ეკონომიკურ ლოლოებიანი

სპორტის ლეგენდარული ისტორია

ფუტბალი ყველა დროის ჩემი



საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი

თბილისი — 1988

ავთანდილ ნიკოლოზის ძე ღოღობერიძე დაიბადა 1922 წელს, სოხუმში. ფეხბურთის თამაში 16 წლისამ დაიწყო. 1940—41 წლებში იცავდა სოხუმის „დინამოს" სახელს. ომის წლები არმიაში გაატარა, ორჯონიკიძისა და ნალჩიკისათვის ბრძოლებში მონაწილეობდა.

თბილისის „დინამოში" 1943 წლიდანაა. სამი წლის შემდეგ მოიხვეჭა სპორტის ოსტატის, ხოლო კიდევ ხუთი წლის მერე — სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. შედიოდა ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის რიცხვში, სსრ კავშირის ნაკრებისა და ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში, მრავალჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი და სსრ კავშირის თასის ფინალისტი.

1951 წლიდან ა. ღოღობერიძე სკკპ წევრია, ხუთჯერ იქნა არჩეული თბილისის ქალაქის საბჭოს დეპუტატად. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და სამი მედლით.

ლიტერატურული ჩანაწერი გ. აკოფოვისა

ორიოდე სიტყვა ავტორზე და მის წიგნზე

ჩემი მეგობარი, რომელთანაც ბევრი სასიამოვნო თუ მძიმე წუთი გამინაწილებია ფეხბურთის მინდორზე, დღეს მეცა და შენც, მკითხველო, სულ სხვა ახალ, უჩვეულო „ჟანრში“ წარმოგვიდგება— როგორც ავტორი მოგონებათა საინტერესო წიგნისა. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ავთანდილ ღოღობერიძემ თავისი მრავალწლიანი სპორტული მოღვაწეობის პერიოდში მოიარა ბევრი ქვეყანა სხვადასხვა კონტინენტებზე — ჩინეთსა და ბირმადან — კუბამდე, ჩილსა და ეკვადორიდან — ინგლისამდე...

იყო მონაწილე, ან, თუნდაც მოწმე ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატისა, ინახულო ფეხბურთის სამშობლო, გამოხვიდე მსოფლიოს მრავალი განთქმული ფეხბურთელის პირისპირ,— ასეთი რამ ბევრს როდი რგებია. ღოღობერიძემ კი გამოცადა ერთიც, მეორეცა და მესამეც. შთაბეჭდილებანი, რა თქმა უნდა, უხვად დაგროვდა. აბა, მოდი და ნუ გაუზიარებ მათ ფეხბურთის მოყვარულებს!

ჩვენი ერთობლივი გამოსვლების მრავალი წლის მანძილზე ავთანდილ ღოღობერიძე სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვა ვითარებისას გავიცანი. მახსოვს იგი ამ ორი ათეული წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ უულვაშო ყმაწვილი მოვიდა ჩვენს კოლექტივში, შემდეგ მოწმე ვიყავი მისი სპორტული ნიჭის შესანიშნავი გაფურჩქვნისა. ვუყურებდი რა მის მონდომებულ, თავდავიწყებითს შრომას ყოველი საწვრთნელი ვარჯიშისას, აღარ მაკვირვებდა თამაშში მისი შრომისმოყვარეობა, თავგანწირვა და სწრაფი პროგრესი

ტექნიკაში. ვიცოდი რა ცხოვრებაში მისი ზრდილობა და თავდაჭერილობა, სწავლაში სიბეჯითე, ადვილად ვხვდებოდი, საიდან მოდიოდა ქცევის ასეთი კულტურა და კორექტულობა მწვანე მოედანზე.

შეიწოვა და შეისისხლხორცა-რა ყოველივე საუკეთესო, რისი მიცემაც მისთვის კოლექტივს შეეძლო, შეიძინა რა გამოცდილება და მომწიფდა რა როგორც ფეხბურთის ოსტატი, ლოლობერიძე-მოთამაშე საოცრად უადვილებდა საქმიანობას მწვრთნელსა და კაპიტანს: ზოგჯერ სრულიად ზედმეტი იყო ჭკუის სწავლება და დარიგება, — ყველას თვალწინ ედგა ავთანდილის ცოცხალი მაგალითი. აი, სწორედ ამიტომ 1951 წლის გაზაფხულზე, როცა გუნდი უკაპიტნოდ დარჩა და ახალი იყო ასარჩევი, ერთხმად იქნა დასახელებული ყველაზე ღირსეულის — ა. ლოლობერიძის კანდიდატურა. ყველაზე ღირსეულად კი მას თვლიდნენ არა მარტო როგორც საუკეთესო ფეხბურთელს, არამედ აგრეთვე როგორც ყველაზე ავტორიტეტიანს: მისი სიტყვა ყველასთვის კანონი იყო. მკაცრი და მომთხოვნი იგი მხოლოდ მოედანზე როდი გახლდათ. ბუნებით მგრძნობიარე და გულისხმიერმა ადამიანმა, ლოლობერიძემ, ადრევე შეიგნო, რომ გუნდი ვერადროს ვერ შეძლებს კოლექტიურ თამაშს, თუ მოთამაშეთა შორის არ დამყარდება ნამდვილი მეგობრობა. და იგი ძალღონეს არ იშურებდა იმისათვის, რათა ხამ ათეულ ფეხბურთელს ერთიანი მეგობრული ოჯახით ეცხოვრა.

ათი წელი იყო ლოლობერიძე გუნდის კაპიტნად. ამ დროის მანძილზე ბევრის გადატანა მოუხდა კოლექტივს: იყო წარუმატებლობისა და ძიების წლებიც, როდესაც გვეგონა, რომ იმსხვრეოდა ტრადიციები, იკარგებოდა საკუთარი სახე, საკუთარი სტილი. გუნდი ციებ-ცხელებას განიცდიდა, იცვლებოდნენ მოთამაშეები, იცვლებოდნენ მწვრთნელები... მაგრამ ამ მღელვარე დროის მთელ მანძილზე ავთანდილ ლოლობერიძე იმედიანად და მხნედ იდგა კაპიტნის ბოგურაზე. იდგა და იღვწოდა, რათა ენახა მშობლიური კოლექტივის ყოფილი დიდების აღორძინება.

უფრო მოგვიანებით ჩვენ ვხედავდით ლოლობერიძეს კოლექტივის მეთაურის როლში — გუნდის მწვრთნელისა და უფროსის თანამდებობაზე. მაგრამ ყველა ეს „სახეცვლილება“, როგორც ალბათ ადვილად ხვდებით, მუდამ იყო დაკავშირებული, ასე ვთქვათ, პრაქტიკულ ფეხბურთთან — ბურთთან და მოედანთან. ახლა კი

ფეხბურთის ვეტერანი პირველად სინჯავს თავის ძალას მოღვაწეობის სულ სხვა სფეროში — ლიტერატურაში და, უნდა გამოგიტყდეთ, წარმატებითაც.

დღიურები დიდი სიამოვნებით წავიკითხე. თუმცა წიგნის მთავარ ღირსებას წარმოადგენს მისი წმინდა „საფეხბურთო" ნაწილი (ეს ასეც უნდა ყოფილიყო) — კვალიფიციური შეფასება და ანალიზი მრავალი ეროვნული ნაკრების, კლუბისა, თუ ცალკეული ფეხბურთელის თამაშისა, დარწმუნებული ვარ, რომ იგი მხოლოდ სპეციალისტებსა და ფეხბურთის გულშემატკივართ როდი დააინტერესებს. ეს წიგნი მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთზე არ გახლავთ. იგი მოგვითხრობს შეხვედრებზე იმ ადამიანებთან, იმ ახალ უცხოელ მეგობრებთან, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და მატულობს. და, ბოლოს, ეს არის წიგნი იმ დიად მისიაზე, რომელიც მრავალგზის ჰქონდა დაკისრებული საბჭოთა სპორტის წარგზავნილებს — თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს.

ა. ღოღობერიძის დღიურების გამოცემა იმითაც არის უაღრესად ღირსშესანიშნავი, რომ ჩვენში, საქართველოში, ამგვარი სპორტული მემუარების გამოცემის ტრადიცია ჯერჯერობით არ არსებობს. დაე, მტკიცედ დაინერგოს, აყვავდეს და გაიფურჩქნოს ეს ტრადიცია.

ბორის პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

შესავლის
მაგიერ

ბავშვობაში ყოველივე ჩვენგანს იმდენი საინტერესო რამ წაუკითხავს მოგზაურობებზე, რომ მე პირადად ყოველი მოგზაური მუდამ მწერლად წარმომიდგებოდა ხოლმე. მართლაც დიდი ბედნიერებაა ნახო უცხო ქვეყნები, უცნობი ხალხები, გაეცნო მათს ზნე-ჩვეულებებს და მერე ყოველივე ამის შესახებ მოუყვე სხვებს.

მე არც მოგზაური ვარ და, მით უმეტეს, არც მწერალი. მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მეგობრებთან—თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებთან, აგრეთვე სხვა გუნდებთან ერთად, ბევრი მოგზაურობა მომიხდა. და თუმცა ჩვენი ვიზიტები, ჩვეულებრივ, ხანგრძლივი არ იყო და იქ ტურისტებად კი არ ჩავდიოდით, არამედ როგორც საპასუხისმგებლო საერთაშორისო შეხვედრათა მონაწილენი, ყოველივე ჩვენგანი ცდილობდა რამდენიმე თავისუფალი საათის მონაკვეთში გაცნობოდა იქაურ ხალხს, მის ადათსა და წესებს, ენახა ყოველივე საინტერესო და საყურადღებო...

და აქ მე მივხვდი უბრალო ჭეშმარიტებას: სულაც არ არის აუცილებელი გქონდეს ნიჭი მწერლისა; დაე, შენი ჩანაწერები წააგავდნენ ჭაბუკობისდროინდელ დღიურებს, — უსათუოდ უნდა იწერდე ყოველივეს. გაივლის წლები და დრო წაშლის შენს მეხსიერებაში ბევრ საინტერესო დეტალს. აი, სწორედ მაშინ დაუფასებელ სამსახურს გაგიწევს ოდესღაც გაკეთებული ძუნწი, ლაკონური ჩანაწერები.

ნახულისა და გაგონილის უფრო მეტხანს „შენახვის“ სურვილმა მომცა ბიძგი მიმემართა ჟურნალისტთა იარაღისთვის — ბლოკნოტისა და ფანქრისთვის, უფრო გვიან კი ფოტოაპარატისთვისაც. მაშინ, ცხადია, აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს ჩანაწერები ოდესღაც საფუძვლად დაედებოდა ცალკე წიგნს. უბრალოდ ვვარაუდობდი, რომ ისინი მუდამ კარგ სამსახურს გამიწევდნენ, როდესაც შინ დაბრუნებულს, მომიხდებოდა ამბის მოყოლა მორიგ საზღვარგარეთულ მგზავრობაზე ოჯახურ წრეში, ლექციისას, თუ გაზეთების ფურცლებიდან.

უკვე დიდი ხნის შემდეგ, როდესაც ფეხბურთის მოედანს გამოვეთხოვე და საწვრთნელ სამუშაოზე გადავედი, გამომცემლობის წინადადება მივიღე და დღიურების „გაშიფვრას“ შევუდექი.

და აი, მუშაობა დასრულებულია. დიდი სულიერი მღელვარებით (ისეთით, როგორსაც მგონი ყველაზე ძნელი მატჩის წინაც კი არ განვიცდიდი) გამომაქვს ნამუშევარი მკითხველთა სამსჯავროზე. მე მესმის მთელი სირთულე, უფრო მეტიც — ორმაგი სირთულე ჩემი მდგომარეობისა, როგორც დამწყები ავტორისა, რომელსაც განუზრახავს ილაპარაკოს ფეხბურთის მოყვარულთა ფართო წრისათვის კარგად ცნობილ ამბებზე. პატიებას გთხოვთ ამისათვის, მაგრამ მეტი რა გზაა! თუ ჩემი ჩანაწერები დააინტერესებენ სპორტის მოყვარულთ და რამდენადმე შეავსებენ მათს ცნობებს საყვარელ გუნდზე, ჩავთვლი, რომ ჩემს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი სპორტულ ჟურნალისტს გ. აკოფოვს, რომელიც დამეხმარა დღიურის დასაბეჭდად მომზადებაში.

ა. ლოლოგერიძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.



თბილისის „დინამოს“ საერთაშორისო შეხვედრების სიის პირველი სტრიქონი 1937 წლითაა დათარიღებული. საბჭოთა ქვეყანაში სტუმრად მყოფი ბასკონიის ფეხბურთელები საქართველოშიც ჩამოვიდნენ. ფეხბურთის „სტაჟიან“ გულშემატკივრებს, ცხადია, კარგად ახსოვთ ბასკთა პოპულარული გუნდის ვიზიტი. იმ წელიწადს მე, სოხუმელი მოსწავლე, ის-ის იყო მიმიღეს ბავშვთა სპორტული სკოლის ფეხბურთის სექციაში. ახლაც მშვენივრად მახსოვს თუ როგორი რიდითა და პატივისცემით წარმოვთქვამდით ბიჭები ლუის რეგეიროს, ისიდრო ლანგარას, ლეონარდო სილაურენის, და, რა თქმა უნდა, ჩვენი საყვარელი ფეხბურთელების შოთა შავგულიძის, ალექსანდრე დოროხოვის, მიხეილ ბერძენიშვილის, ბორის პაიჭაძის, გრიგოლ გაგუას სახელებს. მაშინ აბა რას ვიფიქრებდი, რომ გავხდებოდი მათ გუნდში თამაშის ღირსი და რომ მხვდებოდა პატივი — დამეცვა მისი ღირსება ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სტადიონებზე.

ბასკთა ნაკრებთან სამახსოვრო შეხვედრის შემდეგ გავიდა შვიდი წელი, სანამ თბილისის დინამოელებს კვლავ მოუხდათ საერთაშორისო მატჩში მონაწილეობა — 1944 წლის შემოდგომაზე გუნდი ირანში მიიწვიეს. ეს იყო დინამოელთა პირველი გამგზავრება საზღვარგარეთ. მომავალი შეხვედრებისთვის ჩემს სახელოვან უფროს ამხანაგებთან ერთად მეც დაუზარლად, მთელის ძალ-ღონით ვემზადებოდი. ჩემს წინაშე იდგა კიდევ ერთი საპასუხისმგებლო ამოცანა: გუნდში სულ რაღაც ერთი წელი ვიყავი ჩარიცხული და ჩემზე დამყარებული იმედები უნდა გამემართლებინა. ჩვენ საკმაოდ დიდხანს — ერთი თვის განმავლობაში ვემზადებოდით და საფუძვლიანადაც: რაც უნდა თქვათ, უცხოეთის სტადიონზე დებიუტი არც თუ ისე ჩვეულებრივი საქმე იყო. მით უმეტეს, რომ გუნდი აგერ უკვე მეოთხე წელია ოფიციალურ შეჯიბრებაში არ გამოსულა: მთელი საბჭოთა ხალხი ფაშისტ ბარბაროსებს ებრძოდა და ფეხბურთისთვის არავის არ ეცალა.

ჩვენი სამზადისი, დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც თავი იჩინა ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ: ირანში გამგზავრებაზე პრეტენზიას თურმე ბაქოელი ფეხბურთელებიც აცხადებდნენ, რომლებმაც რამდენიმე ხნით ადრე მოგვიგეს მატჩი სსრ კავშირის თასზე. რომელი „დინამო“ გაემგზავრებოდა ირანს — ჩვენი თუ ბაქოსი? ეს საკითხი უნდა გამოერკვია მათ შორის დანიშნულ შესარჩევ მატჩს. თამაში თბილისში გაიმართა და ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა — 3:0. ამრიგად, ირანში გამგზავრების „ვიზები“ მოპოვებულ იქნა.

ჩვენი დელეგაცია ასე გამოიყურება. მას ხელმძღვანელობს დიმიტრი სამუშია — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მწვრთნელი ასირ გალპერინი, გუნდის უფროსი შოთა შავგულიძე, ექიმი ალექსი სოკოლოვი; მოთამაშეები: მეკარეები — სერგო შუდრა და ვალტერ სანაია, მცველები — უშანგი სალდაძე, არჩილ კიკნაძე, ბორის ფროლოვი, შოთა ჯოჯუა, ნიკოლოზ ნაუმცევი, ნახევარმცველები — მიხეილ ბერძენიშვილი, გრიგოლ გაგუა, ვლადიმერ ჯორბენაძე, გიორგი ჭელიძე, თავდამსხმელები — თენგიზ გავაშელი, გიორგი ანთაძე, ბორის პაიჭაძე, ვიქტორ პანიუკოვი, გაიოზ ჯეჯელავა, ასლან ხარბედია, სპარტაკ ჯეჯე-

ლავა და მე. დელეგაციას ახლავან საკავშირო კომიტეტის წარმომადგენელი მ. ტოვაროვსკი და მსაჯი ნ. ლატიშევი.

ბაქოში ჩასვლის შემდეგ რამდენჯერმე ამაოდ ვცადეთ სამხრეთ საზღვარზე გადაფრენა: უამინდობის გამო თვითმფრინავს ჰაერში არ უშვებდნენ. თვითმფრინავში რომ ჩავსხედით, ყოველივე ამისაგან მხოლოდ შორეული მოგონებაღა დარჩა, ისეთი მოუთმენლობით ელოდა ყოველივე ჩვენთაგანი ირანელ ფეხბურთელებთან შეხვედრას.

...თეირანის აეროდრომი, დამხვდურთა ტალღა, ყვავილები, მისალმებანი, პირველი პრეს-კონფერენცია... მივემართებით თეირანის გარეუბნის ერთ-ერთი კურორტზე, რომლის სასტუმროშიც მოგვიწევს გაჩერება. ასობით თეირანელთა შეძახილები და მათი ცნობისმოყვარე მზერა გვაცილებს.

პირველმა საათებმა სიზმარივით განვლო. ჩემი ამხანაგებისა რა მოგახსენოთ, — ზოგიერთი მათგანი უკვე იყო საზღვარგარეთ (როდესაც ამიერკავკასიის ნაკრებმა სკანდინავიის ქვეყნებში გამართა ტურნე), მაგრამ მე თავს როგორღაც უხერხულად ვგრძნობ: უცხო ქვეყანა, უცნობი ხალხი, გაუგებარი ენა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ირანელები მეტისმეტად ყურადღებით გვეკიდებიან, მზად არიან შეასრულონ ჩვენი ყოველივე სურვილი.

ჩემი ასეთი განწყობილება დიდ ხანს როდი გაგრძელდა. საბჭოთა საელჩოში თანამემამულეებთან შეხვედრამ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ამხ. ს. ქავთარაძესთან და ელჩთან გულთბილმა საუბრებმა, უმალ გაგვიქარწყლეს დაძაბულობა და დაგვიტოვეს მხოლოდ ერთი, ასე ვთქვათ, სპეციფიკური, პროფესიონალური მღელვარება, რომელიც მომავალ მატჩთან იყო დაკავშირებული. მაშინ ჩვენ (ყოველ შემთხვევაში, ყველას თუ არა, მე მაინც) გვეგონა, რომ ამ მღელვარებას აქვს თავისი საბაბი: დრო გადის, ახლოვდება პირველი მატჩის დღე, ჩვენ კი მომავალი მეტოქეების წვრთნას ჯერაც არ დავსწრებივართ. ქალაქში ტურისტებივით ვმოგზაურობთ, ვეცნობით ღირსშესანიშნავ ადგილებს, ერთი წვეულებიდან მეორეზე მივდივართ, ხან „ჭიქა ჩაის“ გვიმართავენ, ხან ჩვენებურ პურ-მარილს, საუზმეს სადილი მოსდევს, სადილს — ვახშამი... მხოლოდ „ნამდვილ საქმეს“ არ ვაკეთებთ (ასე მეჩვენებოდა მაშინ).

თუმცა... მოვასწარით სტადიონის დათვალიერებაც და იქ ვარჯიშიც ჩავატარეთ.

მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ მივხვდი, რომ მატჩის წინ (როგორი მძიმე და საპასუხისმგებლოც უნდა იყოს ეს შეხვედრა) სპორტსმენმა არ უნდა იფიქროს მასზე. იგი უნდა გამოეთიშოს ამ გულის გამაწამებელ ფიქრებს და იფიქროს სულ სხვა რამეზე. მახსოვს იქ, ირანში, დელეგაციის ხელმძღვანელებმა პირველი მატჩის წინ კინოთეატრში ჩვენი წაყვანა განიზრახეს. მაგრამ ამის განხორციელება თავდაპირველად არ მოხერხდა. საქმე იმაში იყო, რომ თეირანის ყველა კინოთეატრის მეპატრონეს იმ დღეებში გაფიცვა გამოეცხადებინა. ჩვენ უკვე შევურიგდით ამ „მარცხს", მაგრამ ერთ-ერთი კინოთეატრის პატრონმა ჩვენთვის სპეციალური სეანსების მოწყობის სურვილი გამოთქვა.

ერთი სიტყვით, მოსაწყენად არ გვეცალა. მოწყენა კი არა, სიმართლე რომ გითხრათ, ყოველი ექსკურსიის, მიღებისა და კონცერტის შემდეგ დასასვენებლადაც კი არ გვყოფნიდა დრო. ჩვენი მოუთმენლობა იზრდებოდა 20 ოქტომბრის — პირველი მატჩის დღის მოახლოებასთან ერთად.

და აი, დადგა ეს დღეც. ახლა, როდესაც მოედანზე გასვლამდე სულ რამდენიმე საათი დარჩა, დროს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დროის ჩვენს შეგრძნებას, რაღაც ეშმაკი ემართება: ჯერ იყო და იგი აშკარად არ გვყოფნიდა, ახლა კი ძალზე ნელა მიიზლაზნება და ნერვებს გვიშლის. ეს უკვე სტარტისწინა მდგომარეობაა, რომელიც ასე კარგადაა ცნობილი ყველა „სპეციალობის" სპორტსმენისათვის. მე, რომ იტყვიან, ადგილს ვერ ვპოულობ. შევდივარ ხან ერთ ნომერში, ხან მეორეში, აგერ ერთ ამხანაგს ვესაუბრები, მეორეს ვაკვირდები, — მაინტერესებს როგორ იქცევიან უფროსები. გარეგნულად ისინი ძალზე წყნარად გამოიყურებიან, არაფრით არ გამოხატავენ თავიანთ მღელვარებას. ვიცი, რომ ეს მოჩვენებითი ამპარტავნია, — ბიჭებმა იციან მღელვარე გრძნობათა დამალვა. მე კი ჯერ ესეც არ ვიცი. ხუმრობა საქმე როდია: დღეს პირველ საერთაშორისო მატჩში უნდა ვითამაშო!

მატჩამდე საათნახევრით ადრე, როგორც იქნა, მოვიდა ავტობუსი და სტადიონზე გავემგზავრეთ. რაც უფრო ვუახლოვდებით

სტადიონს, მით უფრო იკლებს ჩვენი მოძრაობის სიჩქარე. ადამიანთა ნაკადი იზრდება, — სტადიონამდე ერთი კილომეტრის დაშორებით მთელი ქუჩა ხალხითაა გაჭედილი. ჩვენი ავტობუსი კუსავით მიიზლაზნება — ხალხის ამ უსასრულო ნაკადში ძლივს მივიკვლევთ გზას.

აი, „ამჟადიეს" სტადიონიც. თამაშამდე ერთი საათი რჩება. იგი კი უკვე პირამდე სავსეა. ინტერესი ჩვენი პირველი გამოსვლისადმი ძალზე დიდია. წინა დღეებში ჩვენ ამ ცხოველ ინტერესს ირანელებთან შეხვედრებისას გამართულ საუბრებში ვგრძნობდით, ახლა კი ამაში საბოლოოდ დავრწმუნდით უკვე თვით სტადიონზე.

მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვდივართ: შუდრა, სალდაძე, ფროლოვი, კიკნაძე, ბერძენიშვილი, გაგუა, ჯეჯელავა, ანთაძე, პაიჭაძე, ღოღობერიძე, პანიუკოვი. საზეიმო ცერემონიალისა და მოთელვის შემდეგ იწყება მატჩი. საქმე გვაქვს ირანის მეორე ნაკრებთან.

...ბურთი თამაშში შეჰყავს ჩვენს კაპიტანს — ბორის პაიჭაძეს. ჩაწოდება ანთაძეს, მისგან — უფრო მარჯვნივ — ჯეჯელავას. ჩვენი მარჯვენა გარემარბი ატყუებს მცველს და ბურთს აწვდის პანიუკოვს. ვიქტორმა შეამჩნია, რომ მე ბურთზე გავდივარ და ბრწყინვალედ გამიჭრა. შეუჩერებლივ ვარტყამ და... უცებ როდი ვხვდები, რა მოხდა. პირველი, რაშიც გავერკვიე — ეს იყო ჩემი ამხანაგების აწვდილი ხელები და მათი გაბრწყინებული სახეები. ესე იგი, გოლია — პირველი გოლი! ბურთი მე გავიტანე! გამოგიტყდებით, იმ წუთს ჩემზე ბედნიერი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ მეგულებოდა. თითქოს ფრთებიც კი შემესხა, ძალა მომემატა. მატჩი კი ესეეს არის დაიწყო, მიმდინარეობს მხოლოდ მე-2 წუთი.

მასპინძლებმა მარცხს კონტრშეტევით უპასუხეს, მაგრამ ჩვენმა მცველებმა ჩაშალეს მათი იერიში. ბურთმა ირანელთა ნახევარზე გადაინაცვლა და კვლავ ისე მოხდა, რომ დასკვნითი დარტყმის შესაძლებლობა მე მომეცა. ბურთის გატანის შემდეგ, უპირველესად ყოვლისა, გავიფიქრე: „ძალიან მწყალობს ბედი". მართლაც, უკვე 2:0 მიგვყავს და ორივე გოლის ავტორი მე ვარ. მართალია, ისინი ერთობლივი შრომის ნაყოფი იყო, მაგრამ მეგობრების შე-

ქების შემდეგ გამიათკეცდა სურვილი — რაც შეიძლება უკეთ მეთამაშა.

ტრიბუნებზე სამარისებური სიჩუმეა. და უეცრად ამ „პანაშვიდურ“ მყუდროებაში გამოჩნდა უზარმაზარი რუპორი (ჩვენ ის ძველებური გრამაფონის მილი გვეგონა), რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. მასში მკაფიოდ, მბრძანებლური ტონით ჩასძახოდნენ რაღაც მოწოდებას. მერე გავიგეთ, რომ ეს ყოფილა კატეგორიული მოთხოვნა უკეთ თამაშისა, სირცხვილისგან რეაბილიტირებისა, გამარჯვებისა და მხოლოდ გამარჯვებისა.

მაგრამ ამ მოწოდებებმა არ უშველა მასპინძლებს — მე-15 წუთზე გაიოზ ჯეჯელავას დარტყმა და... ანგარიში სამამდე გაიზარდა, რის შემდეგ ბორის პაიჭაძემ კიდევ ორი ბურთი გაიტანა.

პირველ ტაიმს გამანადგურებელი ანგარიშით (5:0) ვიგებთ. მატჩის ბედი, ცხადია, გადაწყვეტილია და თამაშის მსვლელობაში უკვე ვეღარაფერი მოახდენს გარდატეხას. მაგრამ უნდა გენახათ რა ამბავი ატყდა ტრიბუნებზე, როდესაც ირანელთა მარცხენა შუამარბმა ჩვენს კარში გაიტანა ბურთი. (იგი მათთვის ერთადერთი აღმოჩნდა). ატყდა წარმოუდგენელი ყიჟინა. არა, ყიჟინა ეს ის სიტყვა არაა, თუნდაც „წარმოუდგენელის“ მეზობლად ნახმარი. იდგა ენით წარმოუთქმელი გუგუნი, ქუხილი, სკდომა, ბღავილი, ღრიალი... ასეთი რამ არასოდეს გამეგონა.

მაგრამ მაყურებლებს თავისი გრძნობებისა და განცდების გამოხატვის შესაძლებლობა აღარ მიეცათ — მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა. ჩვენ მაინცა და მაინც თავს აღარ ვიკლავდით, მით უმეტეს, რომ წინ კიდევ უფრო საპასუხისმგებლო მატჩი გველოდა — ირანის ეროვნულ ნაკრებთან.

ახლა, მრავალი წლის შემდეგ, ერთ პატარა საიდუმლოებას გაგიმხელთ: „ანტრაქტში“ ჩვენთან საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები მოვიდნენ და გვთხოვეს მაინცდამაინც ბევრ გოლს ნუ გაიტანთო... და აქვე გაგვიმარტეს: თუ თქვენ შემდგომშიაც ასეთი ინტენსიურობით დაახვავებთ ბურთებს, შემდეგ მატჩზე შეიძლება შაჰი აღარც კი მოვიდესო. ეს კი ჩვენს მხრივ „უტაქტობა“ იქნებოდა, რადგან შემდეგი თამაში შაჰის დაბადების დღეს იყო დანიშნული. ცხადია, უხერხული იყო მისი დღესასწაულის გაუფე-

რულება. თანაც ჩვენს მხრივ, რომლებიც საოცარი სითბოთი და ყურადღებით ვიყავით გარემოცული.

შემდეგ მატჩამდე ერთი კვირა იყო და ჩვენ, ბუნებრივია, მთელი თავისუფალი დრო ქალაქის დათვალიერებას, მისი მოსახლეობის ადათ-წესთა გაცნობას მოვახმარეთ. ადგილობრივი პრესა აღფრთოვანებით გამოეხმაურა ჩვენს პირველ გამოსვლას. ისედაც უაღრესად სტუმართმოყვარე ირანელებმა აღარ იცოდნენ კიდევ რით ეცათ ჩვენთვის პატივი, რითი დაეტკბოთ ჩვენი სმენა და მზერა. სტუმრად ვიყავით სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და სამინისტროთა თანამშრომლებთან, სპორტულ კლუბებში. ყველგან გვიმასპინძლდებოდნენ ტრადიციული ჩაითა და ხილით. კინოთეატრებშიც კი, სადაც სპეციალურად ჩვენთვის მიმდინარეობდა სეანსი, უცებ აინთებოდა შუქი და დარბაზში ხილით სავსე ხონჩები და ცხელი ჩაი შემოჰქონდათ.

ძალზე საინტერესო სანახაობას წარმოადგენს იქაური ბაზარი — მრავალხმიანი, აღმოსავლურად ჭრელი და ხმაურიანი, სადაც გამყიდველთა აზრით ერთადერთ საუკეთესო რეკლამას წარმოადგენს საქონლის პატრონის ან ნოქრის სახმო სიმები. მაღაზიებში ბევრია საქონელი, განსაკუთრებით, ძვირფასიანი, მყიდველები კი არ ჩანან. მოსახლეობას, რომლის ძირითადი ნაწილი ღარიბად ცხოვრობს, ფული, რა თქმა უნდა, ძალზე ნაკლებად აქვს.

მრავალ საინტერესო სანახაობას შორის განსაკუთრებით ერთი უჩველო დამამახსოვრდა: ცირკში გამოდიოდა არც თუ ისე ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავის არაჩვეულებრივ ძალასა და გამჭლეობას აჩვენებდა ხალხს. სანამ იგი ღუნავდა სხვადასხვა სისქისა და სიდიდის ნალებსა და რკინის ძელებს, ჩვენ ძალიან მშვიდად ვისხედით — ასეთი რამ შინაც ბევრჯერ გვქონდა ნანახი. მაგრამ აი, მან გვიჩვენა საოცარი ნომერი: გაჭიმულ საჩვენებელ და შუა თითებს შორის, როგორც ღია მაკრატელში, უმი კვერცხი ჩადო და არხეინად გაჭყლიტა. ბოლოს კი ვნახეთ რაღაც საშინელი, არაადამიანური ნომერი: ძალოსანს თავზე ადებდნენ კარგა მოზრდილ რიყის ქვას და უროსა სცემდნენ... ქვა ნაჭერ-ნაჭერ იმსხვრეოდა, კაცი-გრდემლი კი ისე იჯდა, ვითომცდა არაფერიაო. მე კი ზურგზე ჭიანჭველები დამირბოდნენ.

მატჩის წინადღეს მიგვიწვიეს დიდ სპორტულ ზეიმზე, რომელიც გაიმართა შაჰის დაბადების დღის აღსანიშნავად. იმავე სტადიონზე, სადაც მეორე დღეს უნდა გვეთამაშა, გამოვიდნენ ირანის სპორტსმენები. მათ გვიჩვენეს ეროვნული ჭიდაობა, ფეხბურთი და სპორტის სხვა სახეობები. მაყურებელთა შორის იყვნენ ჩვენი ხვალინდელი მეტოქეებიც. რა თქმა უნდა, სტადიონზე გამართულ ასპარეზობაზე მეტად მათ ხვალინდელი მატჩის ბედი აინტერესებდათ. ამიტომ ჩვენს შორის გაიბა საუბარი, რომლიდანაც დავასკვენით, რომ ჩვენი მეტოქეები ჩვენთან შეჯიბრებიდან კარგს არას მოელოდნენ.

...თამაშის წინ ორივე გუნდი ცენტრალური ტრიბუნის წინ გამწკრივდა. შაჰმა ჩამოგვიარა და ყველას სათითაოდ მოგვესალმა, რის შემდეგ თავისი ლოჟისკენ გაემართა. ჩვენ მოგვართვეს უზარმაზარი გლობუსი, რომელიც ცოცხალი ყვავილებისგან იყო გაკეთებული. გლობუსზე წითელი ფერით გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირი. მსაჯმა მისცა პირველი ნიშანი. მატჩი დაიწყო.

20-22 წუთი დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში იწურება და მრავალრიცხოვან მაყურებელს შესაძლო. რევანშის იმედით უვსებს გულს. მაგრამ აი, პანიუკოვი კარგად იყენებს შექმნილ სიტუაციას, გადის ბურთზე და ძლიერად ურტყამს კარში — 1:0. ორი-სამი წუთის შემდეგ უკვე პაიჭაძე გზავნის ბურთს კუთხეში. მეკარის ნახტომი ამაოა — 2:0.

ანგარიში გაიზარდა, მაგრამ იზრდება მეტოქის წინააღმდეგობაც, ირანელები მეტი სიბრაზითა და თავგანწირვით თამაშობენ. თუმცა სიბრაზე ასეთ შემთხვევაში ცუდი დამხმარეა, მაგრამ ირანელები, რომ იტყვიან, კისრისტეხით მოიწევენ ჩვენი კარისაკენ. ასეთი აფორიაქებული იერიშის მოგერიება „დინამოს“ დაცვისთვის ძნელი საქმე არ იყო — წარმატების მოპოვებისათვის სურვილისა და სიბრაზის გარდა საჭიროა ოსტატობა. აი, სწორედ ეს აკლდათ ირანელებს. ისინი ჩქარობდნენ, ფაფხურობდნენ და ბურთს ჩვენი საჯარიმო მოედნიდან კარგა შორს კარგავდნენ.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა შეტევით დაიწყო. მათ გადაწყვიტეს მოესრათ ჩვენი დაცვა, თუმცა იგრძნობოდა, რომ არ იცოდნენ როგორ განეხორციელებინათ ეს მძიმე საქმე. იმედი, რომ ვერ გა-

ვუძლებდით თეირანის პაპანაქება სიცხეს, არ გაუმართლდათ: ჩვენ ისევე მხნედ გამოვიყურებოდით, როგორც მატჩის დასაწყისში. უფრო მეტიც, ჩვენი მწვრთნელების მიერ შემუშავებულ ტაქტიკურ გეგმას ირანელი ფეხბურთელები უნდა დაექანცა. ეს გეგმა შემდეგში მდგომარეობდა: მოკლე გადაცემებით თამაშისას მოწინააღმდეგე ასწრებდა გადაჯგუფებას და დაუსრულებელი მოძრაობისა და დიდი შრომისუნარიანობის წყალობით ახერხებდა რიცხვობრივი უპირატესობის შექმნას საკუთარი კარის სიახლოვეს. რათა მინიმუმამდე დაგვეყვანა მათი ეს შესაძლებლობა, დავიწყეთ გრძელი გადაცემების უხვად გამოყენება და თამაში ერთი ფლანგიდან მეორეზე გადაგვქონდა. ასეთ ვითარებაში კი პარტნიორის დასახმარებლად ყოველ წუთს სირბილი იოლი აღარ იყო. საქმე იმით დამთავრდა, რომ ჯერ პაიჭაძის, ხოლო შემდეგ ჯეჯელავას ბრწყინვალე დარტყმებით ჩვენი გამარჯვება ირანის ეროვნულ ნაკრებზე ძალიან შთამაგონებელი გამოდგა — 4:0.

დასაწყისისათვის ეს არც თუ ისე ცუდად გამოიყურებოდა.



ᲬᲔᲚᲘ ᲧᲘᲠᲘᲚᲝᲕᲜᲘᲗ

1945 წელი, წელი ომის დამთავრებისა. სამშობლო მძიმე ჭრილობებს იშუშებს და მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდება. ოთხწლიანი „შესვენების“ შემდეგ კვლავ ტარდება საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა უძლიერესი გუნდების ჩემპიონატი. ომისშემდგომ პირველ ჩემპიონატში ჩვენ ცუდად არ გამოვსულვართ — თორმეტ გუნდს შორის მეოთხე ადგილი დავიკავეთ. გათამაშება დამთავრდა, მაგრამ ზოგიერთ კოლექტივს საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად საზღვარგარეთ წასვლა ელოდა, რის გამოც, ცხადია, საჭირო იყო სპორტული ფორმის შენარჩუნება.

1945 წლის შემოდგომის მიწურული სამახსოვროა ფეხბურთის ყველა მოყვარულისათვის, სამახსოვროა მოსკოვის დინამოელთა ტრიუმფალური ტურნეთი ფეხბურთის სამშობლოში — ინგლისში. ჩვენ ყველას გვახსოვს ამ ტურნეს შედეგები: გამარჯვებები „კარდიფ-სიტიზე“ (10:1) და გაძლიერებულ „არსენალზე“ (4:3), ფრე „ჩელსისთან“ (3:3) და „გლაზგო-რეინჯერსთან“ (2:2) ამ შედეგებ-

მა აიძულა ერთ-ერთი თვალსაჩინო ინგლისელი სპეციალისტი, ეროვნული ნაკრების მოთამაშე ხერნარდ ჯოუ განეცხადებინა: „თუ ჩვენ ბვწადია წინანდელ დონეზე შევინარჩუნოთ ჩვენი ადგილი ფეხბურთში, მოგვიხდება რუსების ფიერ შემუშავებული თამაშის თანამედროვე მეთოდების გადმოღება“.

საზღვარგარეთ გამგზავრება ჩვენც მოგველის — ამჯერად რუმინეთში. კარს უკვე დეკემბერი მომდგარა და რა გასაკვირია, რომ თბილისიდან ბუქარესტში ჩვენი გადაფრენა ფერხდება, — ოდესაში თოვლის ნამქერს ქარი საშინელი ძალით ატრიალებს. ვიცდით ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე... უკვე მთელი კვირაა ოდესაში ვსხედვართ... თითქმის დავკარგეთ კიდეც მარშრუტის დანიშნულებისამებრ დამთავრების იმედი, — რაც გინდა თქვი, უკვე 11 დეკემბერია, — ამინდის გამოკეთებას კი კაციშვილი არ გვპირდება. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, ზეცამ მოულოდნელად გახსნა წარბი და აფრენის უფლება მოგვცეს.

მაგრამ დახეთ ბედის უკუღმართობას! ამ გაფრენამაც კინაღამ უშედეგოდ არ ჩაგვიარა?! საქმე იმაშია, რომ უკვე ერთი საათის ფრენის შემდეგ რუმინეთის დედაქალაქს მივაღწიეთ და ის-ის იყო აეროდრომზე უნდა დავშვებულიყავით, რომ ამინდი ისევ გაჭირვეულდა, ბუქარესტმა არ მიგვიღო და თვითმფრინავი... უკან, ოდესისკენ გაფრინდა. უნდა გენახათ, რა საცოდავად გამოვიყურებოდით! მაგრამ სხვა რა კზა კვქონდა, — დაღონებულები შევურიგდით ჩვენს ბედს. ერთი სიტყვით, დავემორჩილეთ სტიქიას.

და უეცრად თვითმფრინავმა მკვეთრად მოუხვია უკან. გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ. გაიღო მფრინავის ჯიხურის კარი, დავინახეთ საჰაერო ხომალდის მეთაურის გაბადრული სახე და ერთბაშად დამშვიდდით.

— ყველაფერი რიგზეა, ბიჭებო. მივფრინავთ ბუქარესტში, — ღიმილით გვითხრა ხომალდის მეთაურმა.

არაფერი იყო გასაკვირველი, როცა აეროდრომზე არავინ დაგვხვდა. თურმე რუმინეთის ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება „არლიუსის“ წარმომადგენლები სულ რაღაც ნახევარი საათის უკან წასულან აქედან, — ისინი დარწმუნებული ყოფილან, რომ დღეს

მათ აღარ მოუხდებოდათ სტუმრების შეხვედრა. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ არასაფრენ ამინდში, ნახევარმეტრიანი თოვლით დაფარულ აეროდრომზე ჩამოვფრინდებოდით? ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც ჩამოვედით დანიშნულების ადგილზე და უკანასკნელი „სატრანსპორტო“ სიძნელე — თვითმფრინავიდან აეროვოგზლის შენობამდე ღრმა თოვლში გადასვლა — არაფრად ჩაგვიგდია.

ტელეფონით დავუკავშირდით ჩვენს საელჩოს, იქიდან დარეკეს „არლიუსში“ და მალე ორი ავტობუსი გვეახლა. სასტუმროსთან უკვე გველოდნენ. ავტობუსებიდან გადმოვედით თუ არა, დაგვხვდა ჟურნალისტთა და ფოტორეპორტიორთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ინტერვიუმ კიდევ ნახევარი საათი წაიღო და ბოლოს, ერთკვირიანი მოგზაურობით ქანცდალეულებმა, სასტუმროს ნომრებს მივაშურეთ.

მეორე დილამ ძალიან დაგვაღონა. გავიღვიძეთ თუ არა, ფანჯრებთან გავჩნდით და დავინახეთ... დიდი თოვლი. გვითხრეს — მთელი ღამე თოვდა და თოვლის ფენა უკვე ნახევარ მეტრს აღემატებაო... თერმომეტრი კი თავის საქმეს „აკეთებს“ — 10-გრადუსიან ყინვას გვიჩვენებს. აბა, რა ფეხბურთზე შეიძლება ლაპარაკი! მართალია, პირველ მატჩამდე (იგი 16 დეკემბრისთვისაა დანიშნული) მთელი ხუთი დღეა და მანამდე შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. მაგრამ რა დაგიმალოთ და ამის იმედი არავის ჰქონდა.

მასპინძლები უამინდობის წინაშე ფარხმალს როდი ყრიან, მათი გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევია — ჩატარდეს ყველა დანიშნული მატჩი! ასე რომ ჩვენ უბრალოდ უფლება არ გვაქვს გულხელი დავიკრიფოთ და დემობილიზაციის ხასიათზე დავდგეთ. ჩვენს მომავალ საასპარეზო ადგილს სამხედრო ნაწილები თოვლისგან წმენდენ, მაგრამ მატჩამდე ერთხელ მაინც გვსურს ვარჯიშის ჩატარება, მით უმეტეს, რომ თამაში ძალზე უჩვეულო პირობებში მოგვიწევს.

მატჩამდე, როგორც უკვე ვთქვი, არც თუ ისე ცოტა დროა. და ჩვენც დიდი ინტერესით ვეცნობით ქალაქს. ჯერ კიდევ გზაზე აეროდრომიდან სასტუმრომდე შეიმჩნეოდა კვალი ახლახან დამთავრებული ომისა, რომელმაც უზარმაზარი ზარალი მიაყენა მთელს რუმინეთს და, კერძოდ, მის დედაქალაქს (გვითხრეს, რომ ფაშისტთა ოკუპაციამ ქვეყნის მეურნეობას მიაყენა ზარალი, რომელიც

12-ჯერ აღემატებოდა წლიურ ბიუჯეტს. აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა ამ უბედურებას კიდევ ერთიც მიემატა — 1945 წლის ზაფხული გვალვიანი გამოდგა და სანახევროდ დაქცეული ქვეყანა უმოსავლოდ დარჩა).

სულ ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა, რაც რუმინელმა ხალხმა მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყება მოახდინა და ფაშისტური დიქტატურა დაამხო. საბჭოთა ჯარების შეტევა, ომიდან რუმინეთის გამოსვლა და ანტიჰიტლერულ კოალიციასთან მისი შეერთება დაგვირგვინდა ბარბაროსთა უღლისაგან ქვეყნის გათავისუფლებით. რუმინელი ხალხის ისტორიაში გაიხსნა ახალი ერა, რაც მის ჭეშმარიტ ეროვნულ აღმავლობას, სოციალურ გათავისუფლებას და ქვეყნის სწრაფ აყვავება-გაფურჩქვნას ნიშნავდა. რუმინელი ხალხის ხელმძღვანელი ძალის — მუშათა პარტიის მეთაურობით ახალი სოციალისტური წყობილების შემოქმედად იქცა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის თანამეგობრობა.

1944 წლის აგვისტოდან 1945 მარტამდე რუმინეთში სამჯერ შეიცვალა მთავრობა. სამივე მთავრობაში აქტიურ როლს ბურჟუაზიის წარმომადგენლები თამაშობდნენ. 1945 წლის 6 მარტს ხელისუფლება ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარი ნაციონალ-დემოკრატიული ფრონტის ხელში გადავიდა. დაიწყო ახალი ცხოვრება...

სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, — თეატრში, საწარმოში, თუ დარბაზობაზე, ფიქრში ვუბრუნდებოდით ფეხბურთის მოედანს, რომელსაც სასწრაფოდ ამზადებდნენ მატჩისათვის. მოასწრებენ კი?

როგორ არ ეცადნენ, როგორ არ იჩქარეს, მაგრამ თოვლის ტყვეობიდან მოედნის გათავისუფლება 15 დეკემბრის საღამომდე მაინც ვერ მოხერხდა. მატჩამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა — ერთ დღეზე ნაკლები, მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს, თუ სრულფასოვანი ვარჯიში არ მოხერხდა, ფეხი მაინც შევდგათ ხვალინდელი ბრძოლის ასპარეზზე. მინდორზე თოვლი უკვე აღარ დევს, მაგრამ ყინულის თხელი ფენა აქა-იქ დარჩენილა და ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება თამაშში შესაბამისი კორექტივების შეტანა: ყინულზე დავარდნილი ბურთი ძალასაც იცვლის და სხვანაირადაც

სსლტება, თან შიპებიც ხეირიანად არ გიჭერენ. თამაში, ცხადია, გაგვიძნელდება,—მის შედეგს უფრო ფიზიკური და ჩქაროსნული მომზადება განაპირობებს, ვიდრე ტექნიკა.

„ჩფრ“ — ასე ეწოდება რუმინეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — ჩვენს პირველ მეტოქეს. რკინიგზელებს („ჩფრ“-ის კლუბი სპორტსმენ ტრანსპორტელებს აერთიანებს) ინგლისის, იუგოსლავიის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების გუნდებთან საერთაშორისო შეხვედრების დიდი გამოცდილება აქვთ. ისიც გავიგეთ, რომ გუნდი გაძლიერებულია სხვა კლუბების სამი მოთამაშით.

მწვრთნელებმა ა. ჟორდანიამ და მ. მინაევმა დაადგინეს ჩვენი პირველი მატჩის შემადგენლობა. აი, როგორ გამოიყურება ის: შუდრა, ფეხლევანიდი, სალდაძე, კიკნაძე, ბერძენიშვილი, გაგუა, ჯეჯელავა, ღოღობერიძე, პაიჭაძე, ბერეჟნოი, პანიუკოვი (დასახელებულთა გარდა ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მეკარე ვ. სანაია, მცველი ბ. ფროლოვი, ნახევარმცველები ვ. ჯორბენაძე და გ. ჭელიძე, თავდამსხმელები ა. ხარბედია და გ. არაშიძე და აგრეთვე ფეხბურთის საკავშირო სექციის წევრი მ. სუშკოვი, მწვრთნელი მძლეოსნობაში ბ. დიაჩკოვი, რადიოკომენტატორი ვ. დუბინინი და მსაჯი ნ. უსოვი. ხელმძღვანელობდა დელეგაციას რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე თ. სხირტლაძე).

მატჩის პირველმა წუთებმა ისე ჩაიარა, თითქოს ჩვენს მთავარ მეტოქედ რუმინელი ფეხბურთელები კი არ იყვნენ, არამედ დაუმორჩილებელი ბურთი იყო. იგივე საზრუნავი გაუჩნდა ჩვენს მოწინააღმდეგესაც. ბურთი არ გვემორჩილება, ფეხებში არ ჩერდება; ფინტები რა სახსენებელია, — ელემენტარული გადაცემებიც კი არ გამოდის. განსაკუთრებით ყურადღებით არიან მცველები და ნახევარმცველები, რადგან მათი პატარა შეცდომაც კი შეიძლება ძვირად დაუჯდეს გუნდს.

გადის 10, 15, 20 წუთი... თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობს. პირველნი ამ უჩვეულო პირობებს მაინც ჩვენ შევეგუეთ, — შუა ტაიმიდან მოყოლებული, სულ უფრო ხშირად ვუახლოვდებით რუმინელთა კარს. იქმნება მისი აღების მომენტე-

ბიც, მაგრამ ზუსტი დარტყმა არც თუ ისე იოლია. ასე უშედეგოდ მთავრდება ტაიმი.

შესვენების შემდეგ მოედანზე გამოვდივართ წარმატების სრული რწმენით. მაგრამ აი, საოცრება! მასპინძლები მოულოდნელად თავბრუდამხვევ შტურმზე გადმოდიან და თავშივე ცდილობენ ანგარიშის გახსნას. მათი იერიში მაინცდამაინც დალაგებული არ არის, — მასირებული დაწოლა უფრო ფსიქოლოგიურ შეტევას გავს. თანაც ვგრძნობთ, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. მაგრამ მეტოქის ძალ-ღონის გამოლევას ხომ არ დაველოდებით? ანდა გამოელევა კი? ჩვენ თვითონ უნდა გადავიდეთ კონტრშეტევაზე, შტურმით გატაცებულ ნახევარმცველთა ტაქტიკური შეცდომის გათვალისწინებით. და აი, მე-15 წუთზე გათამაშდა კომბინაცია, რომელიც კარგად დაასრულა ვიქტორ ბერეჟნოიმ. 1:0! ეს ერთი გოლი სხვა ვითარებაში ბევრ გატანილ ბურთს უდრის. მაგრამ ნუთუ იგი ერთადერთი იქნება ამ მატჩში? გადის კიდევ 15 წუთი და ჩვენი წარმატება ორკეცდება. სამწუხაროდ, არც ეს გოლია უკანასკნელი, — თამაშის მიწურულში ბურთი მაინც აღმოჩნდა ჩვენს კარში. მაშ ასე, პირველ მატჩში ჩვენ მოვიპოვეთ გამარჯვება ანგარიშით 2:1.

როდესაც შეხვედრის დრო ამოიწურა და ჩვენ, მოედნის ცენტრში შეკრებილნი, უკვე ვაპირებდით მინდვრის დატოვებას, უეცრად შემოგვესმა ჩურჩული: „პეტრუ გროზა, პეტრუ გროზა“... ვხედავთ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი საბჭოთა გენერალ-პოლკოვნიკის თანხლებით ჩვენსკენ მოემართება. გროზამ ყოველივე ჩვენგანს გამარჯვება მოგვილოცა და ახალი წარმატებანი გვისურვა. სპორტულ მეტოქეებთან მეგობრულად ხელიხელგადახვეულნი, მაყურებელთა ტაშის გრიალში ვტოვებთ მოედანს.

პირველმა გამარჯვებამ ძალზე აღგვაფრთოვანა. სასიამოვნო იყო იმის შეგნება, რომ ძნელი ტურნე (ეს წინასწარ ვიცოდით) წარმატებით დაიწყო. ჩეფეერელებთან გამარჯვებამ ერთბაშად აგვამაღლა ადგილობრივი პრესის თვალში და... საფიქრებელში ჩააგდო ჩვენი მომავალი მეტოქენი. „იუვენტუსმა“, რომელთანაც გველოდა შემდეგი შეხვედრა, „ყოველი შემთხვევისათვის“ გადაწყვიტა სხვა კლუბების რამდენიმე მოთამაშით გაძლიერებულიყო: თუმცა

იმის თქმა, რომ თითქოს მხოლოდ პირველი გამარჯვების შემდეგ მოგვაქციეს განსაკუთრებული ყურადღება, მთლად სწორი არ იქნება. ჩვენდამი — საბჭოთა სპორტის წარგზავნილებისადმი — ინტერესი ჩვენი ჩასვლის დღიდანვე იგრძნობოდა. მასპინძლები გულითადობას იჩენდნენ იმ ქვეყნის ადამიანებისადმი, რომელმაც მათ გათავისუფლება მოუტანა. გაუთავებელი შეკითხვები, მხურვალე ხელისჩამორთმევა, გულთბილი მისალმებანი რუსულ ენაზე ნიშნავდა დიდ პატივისცემას და სიყვარულს ჩვენი ქვეყნისადმი, მისი ხალხებისადმი. როდესაც მე ზემოთ ვლაპარაკობდი გაზრდილ ინტერესზე, მხედველობაში მქონდა მხოლოდ წმინდა სპორტული ინტერესი.

20 დეკემბერი. მივემგზავრებით „იუვენტუსთან“ მატჩზე. შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილებაა და ახლა იგი ასე გამოიყურება: შუდრა, ფეხლევანიდი, ფროლოვი, კიკნაძე, ჭელიძე, გაგუა, ჯეჯელავა, ღოღობერიძე, პაიჭაძე, ბერეჟნოი, პანიუკოვი.

არც თუ ისე ხშირია, როდესაც თანაბართა საერთაშორისო მატჩში ერთ-ერთმა მხარემ უმალვე მიაღწიოს აშკარა უპირატესობას ანგარიშში. აქ კი სწორედ ასე მოხდა: მე-10 წუთზე უკვე 2:0-ა ჩვენს სასარგებლოდ. გამარჯვებისთვის ეს თითქოს სავსებით საკმარისია. მაგრამ სანამ ასე ვფიქრობდით, ჩვენს კარში ერთიმეორეზე მოყოლებული ორი ბურთი აღმოჩნდა. მატჩის დაწყებიდან სულ რაღაც 15 წუთი გავიდა და ანგარიში უკვე 2:2-ა. ახლა თავიდან უნდა ვიბრძოლოთ ანგარიშისათვის. ეს კი არც ისე იოლია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრიბუნები ბობოქრობენ და ტაქტში გაიძახიან: „იუვენტუს!“ „იუვენტუს!“ ჩვენ კი ცოტათი დაბნეულად გამოვიყურებით. მართალია, ეს დაბნეულობა დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ აი, 30-ე წუთია და წინ უკვე რუმინელები არიან.

ასეთ სიტუაციაში მთავარია მტკიცე ნებისყოფა და სიმშვიდე. პანიკა, საკუთარ თავში რწმენის დაკარგვა მარცხს უდრის. სწორედ ამგვარ ვითარებაში უნდა ეცადო თამაშში გარდატეხის მოხდენის შესაძლებლობათა გამოყენებას.

წარმატებით აღფრთოვანებული „იუვენტუსის“ ფეხბურთელები ავიწროებენ ჩვენს დაცვას, რომელიც ძლივს უმკლავდება მე-

ტოქეს. მცველებს რაც შეიძლება ჩქარა უნდა დავეხმაროთ, თორემ წარმატებაზე ოცნებაც კი სასაცილო იქნება. გადაწყვეტილება თავისთავად მოდის: არ შეიძლება ელოდო ბურთს, საჭიროა უკანდახევა და ბურთისთვის ბრძოლა, იქიდან — სიღრმიდან შეტევების ორგანიზება. ასე ჩვენ უფრო ხანგრძლივად ვფლობთ ბურთს და, ნებით თუ უნებლიედ, მოწინააღმდეგე, რომელიც შეტევაზე იყო, თვით იქცევა შეტევის მომგერიებელ გუნდად და მთელ ენერგიას ბურთის მოპოვებას მოახმარს. ასე იქცა „იუვენტუსი" „უბურთო" გუნდად, რაც, ცხადია, ინიციატივის დაკარგვასთან იყო დაკავშირებული. თამაში თანდათან რუმინელთა მოედნის ნახევარზე გადადის და როდესაც პირველი ტაიმის დამთავრებას სამიოდე წუთი აკლია, ჩვენი კაპიტანი ბორის პაიჭაძე ანგარიშს ათანაბრებს. ამით მან „გამოასწორა" თავისი შეცდომა: ცოტა ხნით ადრე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო.

მეორე ტაიმის დასაწყისი ძალზე გავს მატჩის პირველ წუთებს: კვლავ ჩვენი იერიშები, კვლავ ზედიზედ ორი ბურთი „იუვენტუსის" კარში. ორივე გოლის ავტორია გაიოზ ჯეჯელავა. 5:3 საკმაოდ სოლიდური ანგარიშია, მაგრამ იგი დიდხანს არ ძლებს. ეს სხვაობა ჯერ რუმინელებს დაყავთ მინიმუმამდე, შემდეგ კი პანიუკოვი ჩვენს სასარგებლოდ ზრდის ანგარიშს.

მასპინძლები თავგამოდებით იბრძვიან, დაბარცხებას ვერ ურიგდებიან, მაგრამ არაჩვეულებრივად დიდმა დაძაბულობამ ისინი საგრძნობლად გამოფიტა და როდესაც ანგარიში 7:5 გახდა ჩვენს სასარგებლოდ, მეტოქე სულ მოტყდა. უკანასკნელი 20 წუთი რუმინელებმა პასიურად ჩაატარეს, დაკარგეს სპორტული ყინი. რითაც კარგად ვისარგებლეთ და კიდევ 3 ბურთი გავიტანეთ.

10:5 — ასეთი არაჩვეულებრივი ანგარიშით დავამარცხეთ „იუვენტუსი" და პრესისა და სპეციალისტების მაღალი შეფასება დავიმსახურეთ.

კიდევ ერთი მატჩი გველოდა ქალაქ ტიმიშოარაში ტრანსილვანიის ნაკრებთან. მაგრამ სანამ ამ თამაშზე შევჩერდებოდე, მსურს მოგითხროთ ბუქარესტში მომხდარ ერთ შეხვედრაზე. „იუვენტუსთან" თამაშის შემდეგ, საღამოს, ჩვენთან სასტუმროში მოვიდა ადგილობრივ სომეხთა კულტურის სახლის დელეგაცია (კულტურის სახლი სტეფანე შაუმიანის სახელს ატარებს) და თავისთან დაგვპა-

ტიკა. ჩვენ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდით და მივედით ქართველ ფეხბურთელთა საპატივსაცემოდ გამართულ საღამოზე. სუფრაზე წარმოითქვა საბჭოთა საქართველოს სადღეგრძელო და კულტურის სახლის პრეზიდენტმა — სუფრის თამადამ მოულოდნელად ქართული „მრავალჟამიერი“ წამოიწყო. ჩვენ, რა თქმა უნდა, უმალვე ავყევით. ყურადღებიანმა მასპინძლებმა სხვა სიურპრიზიც მოგვიმზადეს, დაგვიკრეს ფირფიტები ქართული ხალხური სიმღერებითა და არიებით ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან.

მივიღეთ აგრეთვე არაჩვეულებრივი წინადადება—ამხანაგურ მატჩში შევჯიბრებოდით სომეხ სპორტსმენებს. მაგრამ მათ ფეხბურთის გუნდი არ აღმოაჩნდათ და ამიტომ შევთანხმდით კალათბურთის მატჩი გაგვემართა. მხოლოდ ერთი პირობით: ვინაიდან ჩვენ კალათბურთელები არა ვართ, თანახმა ვართ ვითამაშოთ მხოლოდ დახურული მატჩი. მაგრამ რარიგ გავვოცდით, როდესაც მეორე დღეს, მაყურებლებით სავსე სპორტულ დარბაზში ამოვყავით თავი. სხვა გზა არ იყო, — სახალხოდ უნდა გვეთამაშა. ჩვენმა ბიჭებმა არც აქ შეირცხვინეს თავი: ორივე შეხვედრა (დათქმული გვქონდა ორი შემადგენლობით ორი გუნდის წინააღმდეგ თამაში) ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა.

როგორც იქნა, ამინდმა გაგვიღიმა, დადგა თბილი დღე და მინდორიც მინდორს დაემსგავსა, — გაშრა, ბალახმა „გამოანათა“. ასეთ მოედანზე შეიძლება აჩვენო ტექნიკური ოსტატობა. შემადგენლობა იგივეა, რაც ჩფრ-თან მატჩისას, მხოლოდ კარს შუდრას ნაცვლად სანაია იცავს.

როგორც რუმინელებმა განაცხადეს, ორ გასულ შეხვედრაში ისინი დარწმუნდნენ, რომ ჩვენ ძლიერად ვატარებთ მატჩის პირველ წუთებს და აუცილებლად ვაღწევთ შედეგს. ამას, ალბათ, იმიტომ ამბობდნენ, რომ გავეფრხილებინეთ — ამჯერად ეს ოინი არ გაგივათო. ჩვენ კი ავიღეთ და მე-5 და მე-12 წუთზე მათ ორი გოლი გავუტანეთ. განსაკუთრებით ლამაზი იყო პირველი ბურთი. კომბინაცია მცველებმა წამოიწყეს. შემდეგ ბურთს ბერძენიშვილი დაეუფლა და მე გადმომცა, მე კი უმალვე მარცხნივ — ბერეჟნოის. ჩვენმა მარცხენა შუამარბმა შეამჩნია, რომ პაიჭაძემ კარგი პოზიცია დაიჭირა მარჯვენა ფლანგზე... გადაცემა მარჯვნივ. ბორისი მისთვის ჩვეული სიკოხტავით გავიდა ფლანგზე. და როდესაც დადგა

ბურთის გადაცემის მომენტი, ცენტრში აღმოჩნდა ჯეჯელავა, რომ-ლის დარტყმა დამაგვირგვინებელი გამოდგა. პანიუკოვის მიერ-გატანილი მეორე ბურთი შედარებით „იოლი“ იყო, მაგრამ რუმი-ნელთათვის ეს, მე მგონია, სულერთი იყო.

ჩვენი საყვარელი „ტაქტიკა“ ამჯერადაც გავახორციელეთ. „იუვენტუსთან“ შეხვედრაში დაშვებული შეცდომები კი აღარ გა-გვიმეორებია. შესვენების შემდეგ ტრანსილვანიის ნაკრების კარში კიდევ 3 ბურთი მოვათავსეთ და გავიმარჯვეთ ანგარიშით 5:0.

...ახალ, 1946 წელს, ჩვენ შინიდან მოშორებით, ბუქარესტში, საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთა წრეში შევხვდით. საახალწლო სუფრაზე მეგობრული, გულითადი და მხიარული ვითარება სუფევ-და. ამას ტონი მისცა ჩვენმა თამადამ, ელჩმა სერგო ქავთარაძემ. ახალ წელს ჩვენთან ერთად ხვდებოდა ძალზე პატივსაცემი სტუმა-რი — მარშალი თ. ტოლბუხინი. დღესასწაული ჩვენთვის მართლაც რომ საზეიმო იყო, — ქართველმა ფეხბურთელებმა სამივე მატჩი მო-ვიგეთ და გულშემატკივრების იმედები გავამართლეთ.

რუმინეთში ღირსსახსოვარი გამგზავრების შემდეგ ჩვენს გუნდს 1946 წლის სეზონში მხოლოდ ერთი საერთაშორისო შეხვედრის ჩატარება მოუხდა: თბილისში ჩამოვიდა ბელგრადის „პარტიზანი". უცხოეთში გამგზავრება არც 1947 წელს გვქონდა გეგმაში.

პირადად მე კი წილად მხვდა ბედნიერება მიველო მიწვევა ქვეყნის მაშინდელი ჩემპიონის — ცდკა-ს კოლექტივისაგან და მასთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში მემოგზაურა.

მაგრამ სანამ მეგობრულ ქვეყანაში არმიელთა გამოსვლებზე მოგითხრობთ, მინდა ცოტა უკან დავბრუნდე და გავიხსენო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ფინიში. მით უმეტეს, რომ ჩემპიონის ბედი კინალამ თბილისის დინამოელებმა გადავწყვიტეთ.

...7 ოქტომბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაისმა მსაჯის მ. დმიტრიევის სასტვენის ხმა და დაიწყო ჩვენი მატჩი ცდკა-ს ფეხბურთელებთან. ჩვენთვის ეს შეხვედრა მხოლოდ პრინციპულ მნიშვნელობისა იყო: მესამე საპრიზო ადგილი განაღდებული გვქო-

ნდა, მეორე ადგილს კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავიკავებდით. არმიელებისათვის კი მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ იგი უეჭველად უნდა მოეგოთ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფრედ — 0:0 ან 1:1 — დაეთმავრებინათ. სხვა ვარიანტები მათ ხელს არ აძლევდა და ასე განსაჯეთ, ფრეც კი ანგარიშით 2:2 საგრძნობლად აუარესებდა მათს შანსებს პირველი ადგილისთვის ბრძოლაში.

ანგარიში ორჯერ წავიყვანეთ, ჯერ გაიოზ ჯეჯელავას, ხოლო შემდეგ (მეორე ტაიმში) რეზო მახარაძის დარტყმის შედეგად. მაგრამ ორივეჯერ ვსეგოლოდ ბობროვმა თავისი გუნდი დამარცხებას გადააჩინა.

არმიელებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი ქულა, მაგრამ მიაღწიეს ყველაზე არასასურველ საყაიმო შედეგს. ახლა, უკანასკნელ მატჩში ვოლგოგრადის „ტრაქტორთან“, ჩემპიონის ტიტულის მოსახვეჭად საჭირო იყო გამარჯვება ანგარიშით 5:0. არანაკლებ! წინააღმდეგ შემთხვევაში ბალის მესამედი ნაწილი ბურთების შეფარდებაში სასწორს მოსკოვის დინამოელთა სასარგებლოდ გადახრიდა.

ცდკა-ს ფეხბურთელებმა საოცარი სიზუსტით შეასრულეს მათს წინაშე დასახული ამოცანა და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. სულ მალე ისინი ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრენ იქაურ უძლიერეს გუნდებთან შესახვედრად.

არმიელთა კოლექტივი გაძლიერებული იყო სხვა კლუბების მოთამაშეებით. ნიკანოროვთან, პროხოროვთან, კოჩეტკოვთან, ჩისტოხვალოვთან, ვოდიაგინთან, სოლოვიოვთან, გრინინთან, ნიკოლაევთან, ფედოტოვთან, ბობროვთან, პორტნოვთან ერთად დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ აკიმოვი, გომესი, ლერმანი, ნ. დემენტიევი, პონომარიოვი, რიაზანცევი, სალნიკოვი და მე.

დელეგაციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად რუსეთის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პუშნოვი, ახლდნენ მწვრთნელი ბორის არკადიევი და საკავშირო კატეგორიის მსაჯი მიხეილ დმიტრიევი.

რა ვიცოდით მომავალ მეტოქეებზე? გამოგიტყდებით, ძალზე ცოტა რამ. ყველა ჩვენი ცნობა უფრო ისტორიული ხასიათისა იყო, წარსულ დღეებს ეკუთვნოდა და ძალზე მცირე სამსახურს

თუ გაგვიწევდა მომავალი მატჩებისთვის სამზადისში. ვიცოდით, მაგალითად, რომ ყველაზე დიდ წარმატებას ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა მიაღწიეს 1934 წელს, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს. იმავე წელს მოსკოვის ნაკრები გამოდიოდა პრაღაში, მოსტში, კლადნოში, ბრნოში და მოიგო ყველა მატჩი ბურთების საერთო შეფარდებით 77:7. ერთი წლის შემდეგ საპასუხო ვიზიტით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა პრაღის ნაკრები, რომელმაც ლენინგრადის და მოსკოვის ნაკრებ გუნდებთან ფრედ (შესაბამისად 2:2 და 3:3) დაამთავრა შეხვედრები და მოუგო უკრაინის ნაკრებს — 1:0.

ცდკა-ს პირველი მეტოქეა ქვეყნის ყველაზე პოპულარული. უძლიერესი საკლუბო გუნდი „სპარტა". ჩეხოსლოვაკიის ათგზის ჩემპიონს ჩატარებული ჰქონდა თითქმის 500 საერთაშორისო მატჩი, ორჯერ მოიგო ევროპოდებული მიტროპის თასი (ცენტრალური ევროპის თასი), 1946 წლის სეზონში გაიმარჯვა თამაშებში შვეიცის ჩემპიონ „მალმესთან" (4:3), ინგლისის თასის ფინალისტ „დერბი კაუნტისთან" (3:2), ჩვენს ჩამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე კი ავსტრიის „რაპიდთან" (4:0).

„სპარტასთან" შეხვედრამდე საკმაო დრო გვქონდა — მთელი კვირა. და ჩვენ მოვასწარით არა მარტო კარგად დაგვეთვალიერებინა „ზლატა პრაღა", მისი მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლითა და სასახლეებით, არამედ ნაყოფიერადაც გვევარჯიშნა, თანაც გვენახა მატჩი, რომელშიც ჩვენი მომავალი მეტოქეები მონაწილეობდნენ.

ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, პირველობის გათამაშება აქაც საშემოდგომო-საგაზაფხულო კალენდრით ტარდება (საზაფხულო არდადეგებით). 11 უძლიერესი გუნდი შედის ეგრეთწოდებულ „სახელმწიფო ლიგაში". ჩემპიონის წოდებაც, ცხადია, ამ გუნდებში თამაშდება. ჩვენი ჩამოსვლისათვის ნათამაშევი იყო საშემოდგომო წრის შვიდი ტური, რომელთა შემდეგ ლიდერობდნენ „ბოჰემიანსი", „სლავია" და „ბრატისლავა".

კვირა დღეს დავესწარით პირველობის მატჩებს. ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ „ბოჰემიანსი" და „მორავსკა-ოსტრავა". თამაში. რომელმაც ძალზე სწრაფ ტემპში ჩაიარა, დამთავრდა ფრედ —3:3. ორივე გუნდმა გვიჩვენა მაღალი ტექნიკა, ბურთის ძალდაუტანე-

ბელი, მსუბუქი ფლობა. კიდევ უფრო საინტერესო და მძაფრი გამოდგა ძველ მეტოქეთა — ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონთა „სლავიისა“ და „სპარტას“ მატჩი. ამ გუნდების კლასი კიდევ უფრო მაღალი გვეჩვენა. „სპარტას“ ჰქონდა უდავო უპირატესობა, მაგრამ მისი რეალიზაცია ვერ მოახერხა და ეს თამაშიც ფრედ დამთავრდა.

უნდა ითქვას, რომ პრაღაში ჩვენ განსაკუთრებული გულითადობით შეგვხვდნენ. ადგილობრივი გაზეთების მტკიცებით არც ერთ უცხოურ გუნდს არ გამოუწვევია აქ ესოდენ დიდი ინტერესი. გაზეთებმა მთელი გვერდები მიუძღვნეს სსრ კავშირის ჩემპიონს, მის მოთამაშეებს... განსაკუთრებით ბევრს წერდნენ გ. ფედოტოვსა და ვ. ბობროვზე, რომლებსაც აქ კარგად იცნობდნენ და ევროპის საუკეთესო „სტრელცებს“ (ე. ი. ფეხბურთის სნაიპერებს) უწოდებდნენ. გაზეთი „მლადა ფრონტა“ წერდა: „ცდკა-ს ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს დისციპლინა. ფეხბურთელები ვარჯიშობენ ძალდაუტანებლივ, ზედმეტი მეთვალყურეობის გარეშე, ყოველივე მათგანი ვარჯიშობს კეთილსინდისიერად, თავდაუზოგავად (ჩვენი მოთამაშეებისაგან განსხვავებით). ჩვენი ნაკრების წევრთნელი ცდკა-ს ვარჯიშის დროს ქებით აქნევდა თავს“.

პირველი მატჩის წინადღეს ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ასოციაციის მიერ გამართულ საღამოზე ჩვენი დელეგაციის ყველა წევრს უძღვნეს ოქროსა და ვერცხლის მედლები. ისიც გვითხრეს, — ასეთი ჯილდოები უცხოელებს პირველად ეძლევათო. ჩვენი გუნდი მიიღო პრაღის პრიმატორმა დოქტორმა ვაცლავ ვაცეკმა. ამ შეხვედრისას ს. პუშნოვმა დოქტორ ვაცეკს გადასცა ცდკა-ს სპორტული კლუბის საპატიო ნიშანი.

საბჭოთა ფეხბურთის ჩემპიონის დებიუტმა მართლაც არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია: „სპარტას“ სტადიონის სალაროებთან ბილეთების გაყიდვის დღეს 300 ათასი კაცისგან შემდგარი რიგი ჩამწკრივდა: 50 ათასი ბილეთი ერთ საათში გაიყიდა. მეორე დღეს 80 კრონიან ბილეთში 4—5 ათას კრონს იძლეოდნენ.

„სპარტა“, აი, ის „სპარტა“, რომელიც რამდენიმე დღის წინ „საქმეში“ ვნახეთ, „სპარტა“, რომლის შვიდი მოთამაშე ეროვნული ნაკრების ხერხემალს წარმოადგენს, დღეს, 2 ნოემბერს, ჩვენს წინააღმდეგ თამაშობს. ცდკა-ს შემადგენლობა ასეთია: ნიკანოროვი,

ჩისტოხვალოვი, კოჩეტკოვი, პროხოროვი, სოლოვიოვი, ვოდიაგინი. გრინინი, ნიკოლაევი, ბობროვი, ფედოტოვი და პონომარიოვი.

მიხეილ დმიტრიევის სასტვენის ხმაზე ბობროვს ბურთი თამაშში შეჰყავს — იწყება მატჩი, რომელსაც პრესამ ‘ეუპოვარი ბრძოლა უწოდა. თუმცა ერთმანეთს გუნდები აქამდე არ შეხვედრიან, ისინი საკმაოდ კარგად იცნობენ ერთურთს, იმდენად, რომ არ დაკარგონ დრო სისუსტეთა ტრადიციულ მოსინჯვაზე. „სპარტას“ ფორვარდთა ხუთეული ნახევარდაცვის აქტიური მხარდაჭერით მძაფრ შეტევაზე გადმოვიდა, და, ასე ვთქვათ, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე გვაგრძნობინა თავისი განზრახვა — პირველივე წუთებში გაეხსნა ანგარიში. სრული დატვირთვით უხდება მოქმედება ჩვენი ნახევარდაცვის ახალგაზრდულ წყვილს (ალექსეი ვოდიაგინს და ვიაჩესლავ სოლოვიოვს), აგრეთვე მცველებს ცენტრხავბეკ კოჩეტკოვის მეთაურობით.

ასეთ სიტუაციაში ბურთი თითქოს ჩვენს კარში უნდა გასულიყო და ის, რაც მოხდა მე-19 წუთზე, ბევრისთვის მოულოდნელი იყო. ბურთი ცენტრში მიიღო ბობროვმა სწრაფად მოატყუა ორი მცველი და ლამაზი, მძლავრი დარტყმით იგი „სპარტას“ კარის ბადეში გაგზავნა. ეს იყო ნამდვილი ბობროვისებური დარტყმა!

ჩვენები შემდგომში ძალიან ავიწროებდნენ მასპინძელთა დაცვას, თუმცა შესვენებამდე რეალური საგოლე მომენტი უკვე აღარ შექმნილა, — მცველები ყველა შემთხვევაში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ.

მეორე ტაიმს „სპარტა“ ძალზე აგრესიულად იწყებს. იერიშებში თავიდანვე ებმება ერთ-ერთი ნახევარმცველი. ჩვენს საჯარიმო მოედანზე რამდენიმე სახიფათო მომენტი იქმნება. მიუხედავად ამისა, „სპარტა“ კიდევ ერთ ბურთს იღებს თავის კარში. კვლავ ყველა განაცვიფრა ბობროვმა. სიტუაციაში, რომელიც თითქოს არავითარ ხიფათს არ უქადდა პრაღელთა კარს, ბობროვმა მოატყუა მცველი, უეცრად საშინელი სისწრაფით მოწყდა ადგილიდან, მარტოდ მარტო გაჩნდა კარის წინ და, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ისარგებლა ასეთი შესაძლებლობით. ანგარიში გახდა 2:0

მაგრამ 3 წუთის შემდეგ „სპარტას“ მარცხენა გარემარბმა გრონეკმა ისარგებლა ჩისტოხვალოვისა და ნიკანოროვის წამიერი

შეუთანხმებლობით და თავით გაიტანა პირველი და უკანასკნელი საპასუხო ბურთი.

ის ფაქტი, რომ ჩეხოსლოვაკმა ფეხბურთელებმა მეტს ვერ მიაღწიეს, ჩვენი მცველების დამსახურებას უნდა მიეწეროს. მიუხედავად ახალი მზარდი იერიშებისა, მათ რამდენჯერმე შეძლეს კარის გადარჩენა. კერძოდ, ქებას იმსახურებენ ახალგაზრდა ნახევარმცველები ვოდიაგინი და სოლოვიოვი, რომლებმაც, ისევე როგორც საკავშირო ჩემპიონატში, აქაც აჩვენეს ტაქტიკურად გონებამახვილური თამაში და დაადასტურეს თავიანთი რეპუტაცია უნივერსალი ფეხბურთელებისა, ამ სიტყვების ყველაზე ფართო გაგებით. ამ წყვილის თამაშზე ჩეხოსლოვაკიის პრესაც ბევრს წერდა, მაგრამ ყველაზე დიდი ქება მაინც ვსევოლოდ ბობროვს ხვდა, პირველი მატჩის ნამდვილ გმირსა და გამარჯვების მთავარ „მიზეზს“.

ჩვენი პირველი წარმატება, სამწუხაროდ, უკანასკნელი გამოდგა: მომდევნო ორ მატჩში — მორავიის ოსტრავასა და ბრატისლავაში წარუმატებლობა გველოდა. მაგრამ სანამ მათს შესახებ მოგიყვებოდეთ, მინდა გავაკეთო რამდენიმე საერთო შენიშვნა, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაში ჩვენს გამოსვლებსა, და, კერძოდ, წაგებულ შეხვედრებს ეხება.

„სპარტასთან“ გამარჯვების შემდეგ ადგილობრივი პრესა, რომელიც აღნიშნავდა საბჭოთა ფეხბურთის ლიდერის თამაშის მაღალ კლასს, წერდა ერთ, ჩემის აზრით, მნიშვნელოვან ფაქტორზე — ჩვენი ფორვარდების მეტისმეტად რბილ (როგორც ისინი უწოდებდნენ) თამაშზე მცველებთან ბურთისათვის ბრძოლისას. შესაძლოა არმიელებზე გავლენა იქონია ძნელმა, მომქანცველმა სეზონმა (ჩეხების ფიზიკური მდგომარეობა ბევრად უკეთესი იყო, რადგან ისინი, ასე ვთქვათ, კალენდარში „ისხდნენ“), შეიძლება სხვა რაიმეც იყო მიზეზი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი გახდა: ჩვენი ფორვარდები, რომლებიც ხშირად ჯობნიდნენ „სპარტას“ დაცვას, ბურთის დაკარგვასთან ერთად კარგავდნენ... ბრძოლისუნარიანობას. ის, რასაც ჩვენმა ჩეხოსლოვაკელმა მეგობრებმა სირბილე უწოდეს, უბრალოდ პასიურობა იყო, რაც, ჩვეულებრივ, არმიელთა გუნდს არ ახასიათებდა. ჩვენ თვითონ ალბათ ყურადღებას მივაქცევდით ამ გარემოებას, მაგრამ სერიოზულ მეტოქეზე გამარჯვების შემდეგ ეს ფაქტორი როგორღაც მეორე პლანზე აღმოჩნდა.

პირადად მე კი მგონია, რომ ჩვენს წარუმატებლობას საფუძველად დაედო სხვა გარემოებაც: ასეთი რანგისა და კლასის მეტოქეებთან შეხვედრების სოლიდური გამოცდილების უქონლობა, თანაც სხვის მინდორზე, ფანატიკურად განწყობილ გულშემატკივართა გარემოცვაში. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ჩვენი ნახევარმცველების თამაშზე. როგორც აღვნიშნეთ, პრაღაში ისინი ძალზე აქტიურად მოქმედებდნენ, განსაკუთრებით ნაყოფიერად თამაშობდნენ თავდასხმაში, რითაც საყოველთაო ქება დაიმსახურეს. ფორვარდთა იმ ინერტულობისას, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, უკეთესის ნატვრაც კი არ შეიძლებოდა. მაგრამ მორავიის ოსტრავაში და ბრატისლავაში ჩვენ მწარედ დავისაჯეთ სწორედ შეტევაში ხავბეკების აქტიურობის გამო. იერიშებით გატაცებულნი, ისინი ვერ ასწრებდნენ თავიანთ ადგილებზე დაბრუნებას და მეტოქე ჩვენს კართან, როგორც წესი, უმრავლესობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ორ მატჩში ჩვენ 7 ბურთი გაგვიტანეს, მაგრამ არც ერთში არ მიუძღვის ბრალი ბრწყინვალედ მოთამაშე ნიკანოროვს. უნაკლო იყო კოჩეტკოვიც, — „მსოფლიოს დონის მოთამაშე, გუნდის გული“, როგორც მას უწოდა გაზეთმა „მლადა ფრონტმა“.

ახლა მოკლედ შევეხოთ თამაშებს. მორავიის ოსტრავაში ჩვენი შემადგენლობა რამდენადმე შეიცვალა: ნიკანოროვი, ჩისტოხვალოვი, გომესი, სოლოვიოვი, კოჩეტკოვი, ვოდიაგინი, გრინინი, ნიკოლაევი, პონომარიოვი, ფედოტოვი, ღოლობერიძე (ბობროვი, რომელმაც წინა მატჩში ინდივიდუალური თამაშით ზედმეტად გატაცების გამო მწვრთნელისაგან სამართლიანი შემჩნევა მიიღო, განაწყენდა და მეორე თამაშზე... აღარ გამოვიდა). მეტოქეთა გუნდში იყვნენ: შეფერი, ფოლდინა, მარინჩაკი, რეჩეკი, ზაიერი, რადიმეკი, იანიკი, ბოუჟეკი, კრიჟაკი, პჩოლკა, დუბოვსკი.

ანგარიში ჩეხებმა გახსნეს: მე-13 წუთზე ცენტრალური თავდამსხმელის მიწოდებით კრიჟაკმა ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი. მაგრამ ჯერ კიდევ პირველ ნახევარში ჩვენ შევძელით ორი ბურთის გატანა: 34-ე წუთზე მე კარგად გამოვიყენე გრინინის ჩაწოდება და ანგარიში გავათანაბრე, ხოლო 10 წუთის შემდეგ ფედოტოვმა ჩვენი გუნდი წინ გაიყვანა — 2:1. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე ფედოტოვმა და მე ადგილების შენაცვლებაზე მოვილაპარაკეთ: მე უნდა დამეკავებინა მისი ადგი-

ლი, იგი კი „ახალგაზრდობას გაიხსენებდა“ და მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლებდა (როგორც ცნობილია, ფედოტოვმა თამაში დაიწყო მარცხენა გარემარბის ამპლუაში, სადაც გაითქვა სახელი).

ჩვენმა „ეშმაკობამ“ თუ სულ არ არივდარია მოწინააღმდეგე მცველთა გეგმები, ყოველ შემთხვევაში საგონებელში ჩააგდო ისინი. ასეა თუ ისე, პირველ ტაიმში ისიხი დიდხანს ვერ შეეგუენ იმას, რომ განთქმული საბჭოთა ცენტრფორვარდი მოულოდნელად ფლანგიდან ახორციელებდა შეტევებს. შეიძლება სწორედ ამ „არეულობამ“ განაპირობა ის, რომ მე და ფედოტოვმა ორი ბურთი გავიტანეთ.

მართალია, შესვენების შემდეგ ვითარება რამდენადმე შეიცვალა: ახლა უფრო მჭიდროდ გვიჭერდნენ. მაგრამ მასპინძელთა უპირატესობა კვლავინდებურად არც ერთ ხაზში არ იგრძნობოდა. მას შემდეგაც კი, როცა 59-ე წუთზე მასპინძლებმა ჩვენს კარში მესამე ბურთი გაიტანეს, წონასწორობა უმალვე, 2 წუთის შემდეგ იქნა აღდგენილი (რიაზანცევი) და თამაშიც თითქოს ასე, — ფრედ უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე ჩისტოხვალოვის დასანანმა შეცდომამ ოსტრავის გუნდს საშუალება მისცა გაეტანა კიდევ ერთი, ამჯერად უპასუხო ბურთი.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თითქოს ეს მატჩი უნდა მოგვეგო, მაგრამ მისი წაგება ძალზე უმართებულო და გულდასაწყვეტი იყო.

კიდევ უფრო საწყენი იყო მოედნის დატოვება დამარცხებულის როლში შემდეგ მატჩში ბრატისლავის ფეხბურთელებთან. ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო ადგილები გაზეთ „რუდე პრავოში“ გამოქვეყნებული ანგარიშიდან:

„ცდკა-ს გუნდის მესამე მატჩი ჩეხოსლოვაკიაში მისი მეორე დამარცხებით დამთავრდა. 35 ათასი მაყურებლის წინაშე, ვინკ სრულად შეავსო ბრატისლავის სტადიონი, ცდკა-ს მოთამაშეებმა ვერ ისარგებლეს შემთხვევით დაემტკიცებინათ, რომ „ოსტრავას“ გამარჯვება რამდენადმე შემთხვევითი იყო. ბრატისლავაში შეხვედრამ ნათლად დაგვანახა, რატომ ვერ მიაღწიეს „სპარტაზე“ გამარჯვების შემდეგ ჩვენმა სტუმრებმა შემდგომ წარმატებას ჩეხოსლოვაკიაში: მათ არ ყოფნით საერთაშორისო გამოცდილება ასეთ მნიშვნელოვან და პასუხსაგებ შეხვედრებში...

გუნდების შემადგენლობანი. ცდა: ნიკანოროვი, ჩისტოხვალოვი, გომესი, ვოდიაგინი, კოჩეტკოვი, სოლოვიოვი, გრინინი, ნიკოლაევი (დემენტიევი), ბობროვი, ფედოტოვი, ღოღობერიძე. „ბრატისლავა“: რაიმანი, ვენგლარი, გინდულიაკი, ბალაჟი, ვიჩასი (პოკორნი), კარელი, გიურტლერი (კაიმლი), კუბალა, ფორეიტი, შუბერტი, შიმანსკი (მალატინსკი). მსაჯი მ. დმიტრიევი.

მატჩი „ბრატისლავის“ სწრაფი შეტევებით დაიწყო, მაგრამ რამდენიმე წუთის განმავლობაში ძალები გათანაბრდა. „ბრატისლავის“ რიგებში შეიმჩნევა შეუთანხმებლობა და ნერვიულობა. ცდა კი უბრალო, მაგრამ მიზანშეწონილი თამაშით უპირატესობას ეუფლება და მე-13 წუთზე დემენტიევი ხსნის ანგარიშს. რამდენიმე წუთის შემდეგ ღოღობერიძე პირველ ბურთს მეორეს უმატებს. ნახევარი ტაიმიც არ გასულა და ანგარიში უკვე 2:0-ა ცდა-ს სასარგებლოდ.

ფსიქოლოგიური კულმინაცია იყო 30-ე წუთი, როდესაც ფედოტოვმა მხარი აუარა „ბრატისლავის“ მეკარე რაიმანს და იმის ნაცვლად, რომ ანგარიში 3:0-მდე გაედიდებინა, ბურთი ძელს მოახვედრა. არ გასულა ერთი წუთიც და გომესი შემთხვევით დაეცა... ამით ისარგებლა „ბრატისლავის“ მარჯვენა გარემარბმა კაიმლმა, რომელმაც შეაგდო ბურთი და ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა.

„ბრატისლავა“ იძენს საჭირო სიმშვიდეს და მეორე ხავტაიმში, როდესაც პოკორნი ცვლის ვიჩანს, ერთგვარ უპირატესობას აღწევს. თამაშის მეორე ნაწილში ცდა-ს საქმე ცუდად წაუვიდა. ფედოტოვმა ორჯერ მოარტყა ბურთი ძელს. მე-10 წუთზე შუბერტმა ზემოდან გადაუგდო ბურთი ნიკანოროვს და გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მე-20 წუთზე კაიმლმა მიიღო კუბალას მიწოდება და ცდა-ს კარში მესამე ბურთი გაიტანა. ცდა-ს ფინიშმა არავითარი შედეგი არ გამოიღო“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს სწორედ ის კუბალაა, რომელმაც შემდგომ დიდად გაითქვა სახელი და თამაშობდა ესპანეთის უძლიერეს გუნდებში.

ყოველივე ამას , ჩემის აზრით, არაფერი აქვს დასამატებელი. ის ფაქტი, რომ „რუდე პრავოს“ მიმომხილველმა გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ჩვენ არ გვაქვს საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება, შემთხვევითი როდია: თამაშის დროს ვგრძნობ-

დით რაღაც დამატებით „ტვირთს“, რომელიც შინ თამაშისას არასდროს არ გვიგრძვნია. ზედმეტი ნერვული დაძაბულობა, განსაკუთრებით კარგად თამაშის სურვილი, სწორედ გამოუცდელობით. უჩვეულო გარემოთია გამოწვეული. სწორად შენიშნა ამ მხრივ გაზეთმა „სვობოდნე სლოვომ“: „მშვენიერი საყურებელია, როდესაც რუსები იგებენ. მაგრამ საქმე გაცილებით უარესდება, როცა ისინი აგებენ. მაშინ ყველა ნერვიულობას იწყებს“. ამ ციტატს მინდა დავუმატო ერთი ფაქტი, რომელიც ბევრისათვის შეუჭნეველი დარჩებოდა. როდესაც ანგარიში ორამდე გავზარდეთ, გუნდის კაპიტანმა ფედოტოვმა მკაცრად მიუთითა ბობროვს, რომელმაც კვლავ მიჰყო ხელი „სოლისტობას“ გუნდის ინტერესების საზიანოდ. ბობროვი... გაჩერდა და ფეხიც აღარ გაუნძრევია.

ასე წავაგეთ სამი თამაშიდან ორი... საშინლად გულდაწყვეტილნი და ძალიან უკმაყოფილონი (რასაკვირველია, საკუთარი თამაშით), ვბრუნდებოდით შინ. მაგრამ, როგორც ცნობილია, გზა გამარჯვებისა და დიდებისაკენ არასდროს არ ყოფილა მხოლოდ ცარდებით მოფენილი. ხანდახან ეკლებიც არის ხოლმე. ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი გამოსვლები, ჭეშმარიტად ძლიერ და გამოცდილ გუნდებთან შეხვედრები, რომლებსაც ევროპული დიდება ჰქონდათ მოხვეჭილი, ყოველივე ჩვენთაგანისათვის კარგ სკოლას წარმოადგენდა. გამარჯვების მეცნიერება არც ისე იოლია, როგორც შეიძლება მოგეჩვენოს, და რათა ჩაწვდე მის არსს, ბევრი რამ უნდა ნახო, დიდი გზა გაიარო და გამოიწრთო. აი, სწორედ ასეთ წრთობას ეწოდება გამოცდილება. იგი მხოლოდ ბრძოლაში შეიძლება შეიძიხო და ამას კი დიდი დრო უნდა.



მთელი ექვსი წელიწადი გავიდა თბილისის „დინამოს“ უკანასკნელი გამგზავრებიდან საზღვარგარეთ. სანამ ჩვენ კვლავ მოგვეცა საშუალება წარმოგვედგინა საბჭოთა ფეხბურთი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. ომის დამთავრებისთანავე განახლებული და ყოველწლიურად მზარდი საერთაშორისო კავშირი ჩვენი ფეხბურთელებისა, 1947—1950 წლებში ერთგვარად შესუსტდა. რამდენად მართებული იყო ამის მიზეზები, ჩემი მსჯელობის. საგანს არ შეადგენს, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი.

1947 წლის შემოდგომაზე, როდესაც მოსკოვის დინამოელები ტრიუმფით გამოდიოდნენ შვეციისა და ნორვეგიის სტადიონებზე, ტორპედოელები კი — უნგრეთში, მე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან — ცდკა-სთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში გავემგზავრე. არმიელთა ტურნეს შედეგები (მათზე წინა თავში დაწვრილებით მოგითხრეთ) იყო პირველი ნიშანი ჩვენი გუნდების არასაკმაო მომზადებისა; სერიოზული ხარვეზები ამოტივტივდა ძლიერ მეტოქეებ-

თან შერკინებისას. საბჭოთა და უცხოური პრესის მიერ ჩვენი გუნდების გადამეტებულმა ქება-დიდებამ ბევრ ჩვენს ფეხბურთელსა და მწვრთნელს თავბრუ დაასხა, რამაც მათი შესაძლებლობათა გადაფასება გამოიწვია. ქება-დიდებისათვის კი, პირდაპირ უნდა ითქვას, ხშირად არავითარი საფუძველი არ იყო, რადგან ჩვენს გუნდებს ბევრი გამარჯვება მოპოვებული ჰქონდათ სუსტ, დაბალი კლასის კლუბებთან მატჩებში. საბჭოთა ფეხბურთის გაზრდილი ავტორიტეტიდანაც კი მცდარი დასკვნები იქნა გაკეთებული. ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრები, რაც უდავოდ დადებითად იმოქმედებდა ჩვენი გუნდების ტაქტიკურ სრულყოფასა და მოთამაშეთა ტექნიკურ ზრდაზე, თითქმის სრულიად შეწყდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ, მაგალითად, 1948 წელს ჩვენს ფეხბურთელებს არც ერთი (!) საერთაშორისო შეხვედრა არ ჩაუტარებიათ, 1949 წელს მხოლოდ ერთი კლუბი — ბუდაპეშტის „ვაშაში" ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში სამი თამაშის ჩასატარებლად. ასეთივე სურათია 1950 წელს — მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკი" გაემგზავრა ნორვეგიაში.

და აი, 1951 წლის შემოდგომაზე დაისახა პირველი არსებითი ცვლილებანი საერთაშორისო მატჩების მკვეთრი გადიდების მხრივ. სხვა გუნდებთან ერთად საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ვემზადებით ჩვენც — თბილისის დინამოელები.

სეზონი კარგად დავამთავრეთ — გამოცდილი მწვრთნელის მიხეილ იაკუშინის ხელმძღვანელობით გუნდმა მეორე საპატიო ადგილი მოიპოვა და ახლა მას რთული ამოცანის გადაწყვეტა დაეკისრეს: მატჩები პოლონეთის საუკეთესო გუნდებთან.

ჩვენამდე მხოლოდ მოსკოვის ტორპედოელებს ხვდათ წილად პოლონეთის სტადიონებზე გამოსვლა. ეს იყო 1946 წელს. მაშინ მოსკოველებმა ფრედ (1:1) ითამაშეს პოლონეთის ნაკრებთან და დაამარცხეს ქალაქ ლოძის ნაკრები (3:1).

ჩვენს მომავალ მეტოქეთა ძალაზე ვცდილობთ შევიქმნათ წარმოდგენა პოლონელი ფეხბურთელების უფრო მოგვიანო შედეგების მიხედვით. 1950 წლის სეზონში პოლონეთის პირველმა ნაკრებმა ფრედ ითამაშა ალბანელებთან (0:0) და რუმინელებთან (3:3), მოუგო ბულგარეთის ეროვნულ გუნდს (1:0) და მხოლოდ უნგრელებთან, რომლებმაც ამ დროისათვის დიდების ზენიტს მიაღწიეს, განიცადა დამარცხება (2:5). მოგვიანებით, უკვე 1951

წელს, პოლონელებმა კვლავ წააგეს უნგრეთის ნაკრებთან (1:2), მაგრამ ორჯერ მოუგეს გდრ-ის ფეხბურთელებს (3:0 და 2:0).

ვიცოდით, რომ ჩვენთან სათამაშოდ გამოვიდოდნენ პოლონეთის უძლიერესი კლუბები — პირველი ლიგის ძველი მონაწილენი: 1951 წლის თასის მფლობელი „უნია“ (ქ. ხოჟუვი), 1950 წლის ჩემპიონი და 1951 წლის პირველობის გათამაშების ლიდერი „გვარდია“ (ქ. კრაკოვი), პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდი — ვარშავის ცვკს-ი და მაღაროელთა საზოგადოების ნაკრები — „გურნიკი“, რომელიც მიმდინარე პირველობის გათამაშებაში მეოთხე ადგილზე მიდის.

ჩვენი დელეგაცია საკმაოდ წარმოსადეგია — მასში ოცდაათამდე კაცია: მოთამაშეები ვ. მარლანია, ს. კიტია, ვ. ელოშვილი, ი. სარჯველაძე, ჯ. რუსაძე, ნ. ძიაპშიპა, ნ. გოგლიძე, ა. ხურციძე, ვ. პანიუკოვი, გ. ანთაძე, ა. კილაძე, მ. ჯოჯუა, კ. გაგნიძე, ი. ვარდიმიადი, ა. ღოღობერიძე, ა. ჭკუასელი, ზ. კალოევი, ა. ნორაკიძე, ნ. თოდრია, გ. ჯავახაძე, მწვრთნელები მ. იაკუშინი და მ. მინაევი, ექიმი-მასაჟისტი ა. კაპიტანოვი, მსაჯი ნ. ჩხატარაშვილი და რადიოკომენტატორი ნ. ოზეროვი. დელეგაციას ხელმძღვანელობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ გოგლიძე. თან გვახლავს აგრეთვე ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის წარმომადგენელი ვ. მოშკარკინი.

...მატარებელი დასავლეთისაკენ მიგვაქროლებს. ვაგონის სარკმლიდან მოჩანს რუსული შემოდგომის ნაცნობი სურათები: არყის ხეთა მოოქროვილი ტყეები, მდინარეთა ვერცხლისფერი ზოლები, ტანწერწეტა ალვები და ტანმორჩილი, მარადმწვანე ნაძვები.

უკან დაგვრჩა მინსკი, ბრესტი, სახელმწიფო საზღვარი. უკვე პოლონეთის მიწაზე ვართ. პირველსავე სადგურზე — ტერესპოლში — ჩვენს შესახვედრად თავი მოეყარათ პოლონეთის ახალგაზრდობის კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, სპორტსმენებს, პიონერებს... დამხვდურთ ხელში ეჭირათ ცოცხალი ყვავილების თაიგულები და ტრანსპარანტები საბჭოთა ხალხის წარგზავნილებისადმი მისასალმებელი სიტყვებით. და ასე მთელ გზაზე გვხვდებოდა მეგობრული ღიმილი, სიმღერები, მხურვალე მისალმებანი.

აი, ვარშავაც! მრავალტანჯული ქალაქი, რომელმაც ომის დღეებში ფაშისტთა საშინელი დარტყმა იგემა. ჰიტლერელებმა თითქმის ძირფესვიანად გაანადგურეს ქალაქი. იგი ისე იყო გადაბუგული და გაცამტვერებული, რომ დასავლეთის პრესამ განაცხადა — მის აღსადგენად საჭირო იქნებაო ათეული წლები. მაგრამ განვლო სულ რაღაც ექვსმა წელმა და ჩვენ მივქრიოვართ ქალაქის ფართე. ასფალტირებული მაგისტრალებით და ყველგან, მარჯვნივ და მარცხნივ, მშენებლობათა ხარაჩოებს ვხედავთ. არაა არც ერთი ქუჩა, არც ერთი კვარტალი, სადაც მშენებლობა არ მიმდინარეობდეს. მთელი ქალაქი უზარმაზარ ხარაჩოშია ჩასმული, — ნანგრეეებიდან დგება ახალი, კიდევ უფრო ლამაზი ვარშავა.

დედაქალაქში ჯერ მხოლოდ გავლითა ვართ. საღამოს ავტობუსით გავისეირნეთ ქალაქის ქუჩებში, ვივახშმეთ პოლონეთის სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან, მეორე დილით ჩავატარეთ წვრთნა, ვეწვიეთ საბჭოთა საელჩოს, სადაც მიგვიღო ჩვენმა ელჩმა ამხ. სობოლევმა და საღამოს გავემგზავრეთ ვროცლავს.

ვროცლავში დილის 6 საათისთვის ჩავედით. მიუხედავად ამისა, სადგურზე დიდძალი ხალხი დაგვხვდა. ისევე როგორც ტერესპოლსა და ვარშავაში, აქაც იყო მეგობრული მისალმებანი, ყვავილები, კეთილი სურვილები.

ჩვენს მომავალ შეხვედრას პოლონეთის თასის მფლობელთან — „უნიასთან“ უდიდესი ინტერესი გამოუწვევია: ფიზკულტურის ადგილობრივ კომიტეტს ბილეთებზე იმდენი განაცხადი მიუღია, რამდენი მცხოვრებიცაა დაახლოებით ქალაქში — 300 ათასი. მაგრამ განაცხადები მხოლოდ ვროცლაველებისგან როდი იყო, ისინი სხვა ქალაქებიდანაც მოდიოდა ჭარბად. და თუმცა ჩვენ პოლონეთის უდიდეს სტადიონზე ვთამაშობდით, იგი მხოლოდ 80 ათას კაცს თუ დაიტევდა.

მატჩის წინა დღეს დაგვპატიჟეს ანსამბლ „მაზოვშეს“ კონცერტზე, რომელიც ახლახან დაბრუნებულა საბჭოთა კავშირიდან, სადაც გასტროლები ჰქონია. გამოაცხადა თუ არა კონცერტის წინ ანსამბლის ხელმძღვანელმა სიგეტინსკიმ, — ჩვენს საღამოს საბჭოთა ფეხბურთელები ესწრებიანო, — დარბაზში მყოფი 17 ათასი მაყურებელი ფეხზე წამოდგა და მქუხარე ოვაცია გაგვიმართა. შევნი-

შნავ, რომ ამ დარბაზში გამოჩენილი შემსრულებლებისა და კოლექტივთა გამოსვლების გარდა (კერძოდ, აქ გაუმართავს კონცერტები ალექსანდროვის სახელობის წითელდროშოვან ანსამბლს), ეწყობა აგრეთვე დიდი სპორტული შეჯიბრებებიც.

ანსამბლის რეპერტუარში, რომელშიც პოლონური ხალხური სიმღერები შედიოდა, განსაკუთრებით მოგვეწონა ერთი. მეორე დღისთვის ჩვენ იგი სახელდახელოდ შევისწავლეთ და შემდგომში მას მეგობრულ საღამოებსა და მიღებებზე ვმღეროდით, რაც მასპინძელთა აუწერელ აღფრთოვანებას იწვევდა. კონცერტის დამთავრების შემდეგ ჯოჯუამ, რუსაძემ და მე ჩვენი კოლექტივის სახელით პოლონელ მსახიობებს ყვავილთა თაიგული მივართვით და შემდგომი წარმატება ვუსურვეთ.

დადგა 28 ოქტომბერი — პირველი მატჩის დღე. სვერჩევსკის სახელობის სტადიონზე თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მოვედით, მისი ტრიბუნები კი უკვე გაჭედილი დაგვხვდა. ჩვენი შემადგენლობა ჯერ კიდევ წინა დღით დადგინდა. აქვე უნდა ითქვას, რომ იგი შემდგომ მატჩებშიც უცვლელი იყო, მხოლოდ გარემარბებს უხდებოდათ ადგილების შენაცვლება.

მაშ ასე, მოედანზე გავდივართ — მარღანია, ელოშვილი, სარჯველაძე, პანიუკოვი, ძიაპშიპა, ანთაძე, ჭკუასელი, გაგნიძე, ვარდიმიადი, ღოღობერიძე, თოდრია.

„უნიას“ შემადგენლობაში არიან: შიმკოვიაკი, ფლიანეკი, ბარტულა, ტიმი, ზებულა, სუჭჩუკი, კუბიცკი, ცეზლიკი, ალშერი. გრაცი, პრეეხარკა.

დამახასიათებელია, რომ თუმცა პოლონეთის გუნდში თამაშობენ სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელები — 19 წლის შიმკოვიაკიდან — ვეტერანებამდე ზებულამდე და ალშერამდე, ყოველივე მათგანს სხვადასხვა დროს დაუცავს პოლონეთის ეროვნული ნაკრების სახელი, ზოგს ერთი-ორჯერ, ზოგს კი მეტჯერ. პოლონეთის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თავდამსხმელს ცეზლიკს, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა (მაშინ იგი 24 წლისა იყო), ნაკრებში 25-ჯერ უთამაშნია.

მატჩი, რომლის მსაჯობა პოლონელებმა ჩვენს ნესტორ ჩხატარაშვილს თხოვეს, დინამოელთა შეტევით დაიწყო, მაგრამ მასპინძლების კართან მიახლოვებას ვერაფრით ვერ ვახერხებთ. ირკვევა

„უნიას“ საბრძოლო რიგთა ტაქტიკური განლაგების თავისებურებანი — ღრმა დაცვაში დახეული ნახევარმცველები და მათ ადგილზე გადმოსული შუამარბები თავიანთი კარის მისადგომებთან მჭიდრო კედელს ქმნიან. როგორც კი დააპირებენ პანიუკოვი და ანთაძე ამ განლაგებაში ცარიელი ადგილის გამოყენებას და წინ გაჭრას, ამას წამსვე მოსდევს პოლონელთა გრძელი გადაცემა წინ, ჩვენი ნახევარმცველების ზურგს უკან, რაც მეტოქეს მწვავე კონტრშეტევის საშუალებას უქმნის. ამგვარ სიტუაციაში განსაკუთრებით საშიშია სწრაფი და ტექნიკური ცეზლიკი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ რთულ სიტუაციაში სრული ბრწყინვალებით გამოავლინა თავისი ოსტატობა ვლადიმერ მარღანიამ, რომელმაც რამდენიმე ძალიან ძნელი ბურთი მოიგერია.

შესვენებამდე ათიოდე წუთით ადრე ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ორივე შემთხვევაში კარი იხსნეს მეკარეებმა. „უნიამ“ გვერდითი ხაზიდან ბურთის თამაშში შეყვანით წამოიწყო კომბინაცია. პრეეხარკამ ბურთი შორს, თითქმის მოედნის ცენტრში გადისროლა ალშერთან, რომელმაც თავით მიაწოდა იეი წინ გაჭრილ ცეზლიკს. უკანასკნელმა უძლიერესი დარტყმით დაუყოვნებლივ გაგზავნა იგი კარის მაღალ კუთხეში. ეჰ, როგორ მინდოდა შევტრიალებულიყავი, თვალები დამეხუჭა, — გოლი ჩვენს კარში გარდუვალი მეგონა. მარღანია, როგორც ჩანს, ჩემს აზრს არ იზიარებდა: წარმოუდგენელ ნახტომში იგი თითებით შეწვდა ბურთს და კუთხურზე გადაიყვანა. კუთხურიდან ბურთი მცველებმა მოიგერიეს და ახლა უკვე ჩვენ ვართ იერიშზე. გაგნიძემ და მე ერთი შეხებით გავითამაშეთ კომბინაცია და დარტყმაზე იური ვარდიმიადი გავიყვანეთ. მაგრამ მას ერთი წამით დაასწრო შიმკოვიაკმა და გაბედულად ჩაუვარდა ფეხებში. ასე, ანგარიშის გაუხსნელად წავედით დასასვენებლად.

თამაშის პირველი ნახევარი მართლაც საყაიმო იყო. მეორე ტაიმს კი, რომელიც ჩვენი თავბრუდამხვევი იერიშებით დაიწყო, დიდხანს ეჭირა დაძაბულობაში როგორც „უნიას“ მცველები, ისე მისი გულშემატკივრები. ვუტევდით მწვავედ და ხანგრძლივად, შედეგის მიღწევას კი ვერ ვახერხებდით — იმ შემთხვევებში, როდესაც პოლონელთა დაცვას ჩამოვიტოვებდით ხოლმე, ბრძოლაში

მშვენივრად მოთამაშე შიმკოვიაკი ებმებოდა. ძალიან გაეერთეთ შეტევით, ნაკლებად დავიწყეთ ფიქრი დაცვაზე და... მივიღეთ გოლი. იგი ცეზლიკმა გაიტანა.

ახლა საჭირო გახდა ანგარიშის გაქვითვა. ეს კი ბევრად ძნელი საქმეა, რადგან „უნიას“ თითქმის ყველა მოთამაშემ უკან, თავის ნახევარზე, დაიხია. უკანასკნელი 15 წუთის განმავლობაში ჩვენ „უნიას“ საჯარიმო მოედანს არ მოვცილებივართ, იერიში იერიშს მიყვება, მაგრამ გოლი არ ჩანს... ბოლოს, მატჩის დამთავრებამდე სამიოდე წუთით ადრე, ვარდიმიადიმ ბურთი დასარტყმელად გაუგორა გაგნიძეს. შეიძლება დარტყმა, მაგრამ კარლომ თვალი მოჰკრა შურდულივით გამოჭრილ ანთაძეს, ბურთი სწრაფად გადააწოდა მას და... ანგარიში გათანაბრდა.

საღამოს ჩვენ კვლავ შევხვდით „უნიას“ ფეხბურთელებს, ამჯერად მეგობრულ ვახშამზე. ამის შესახებ შეიძლებოდა არც კი მომეყოლა, ჩვენ ექსპრომტად თვითმოქმედი კონცერტი რომ არ გაგვემართა. ამბავი დაიწყო იმით, რომ მასპინძლებმა სუფრაზე იმღერეს თავიანთი ხალხური სიმღერა. მიშა ჯოჯუამ „მოაწყო“ საპასუხო სიმღერა, შემდეგ მან გივი ჯავახაძესთან ერთად შეასრულა ქართული ცეკვა და... დაიწყო კონცერტი. ჩვენს „არტისტებს“ პირდაპირ აღარ უშვებდნენ „სცენიდან“ — ნომრები „ბისზე“ მიდიოდა. საქმე პოეზიაზეც მიდგა: გოგი ანთაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსი. თავიანთი ხელოვნება პოლონელმა სპორტსმენებმაც გვიჩვენეს. ეს იყო ნამდვილი მეგობრობის საღამო.

მატჩის მეორე დღე ვროცლავში გავატარეთ. გავეცანით ქალაქს, ვეწვიეთ ვროცლავის საქვეყნოდ ცნობილ ვაგონმშენებელ ქარხანას. ამ ქარხნის პროდუქცია — მთლიანლითონის ვაგონები — იმ წლებში ჩვენს სარკინიგზო მაგისტრალებზეც გამოჩნდა. ქარხანაში სავნახევარ ათასამდე მუშაა, რომელთაგან ყოველივე მეორე — ფიზკულტურელია. გვიამბეს ქარხნის ფიზკულტურელთა ცხოვრებაზე, გვითხრეს, რომ სპორტის სახეებიდან ქარხანაში ყველაზე მეტი პოპულარობით ფეხბურთი და კრივი სარგებლობს, ქარხნის ფეხბურთელთა გუნდი პოლონეთის პირველობის მეორე ლიგაში გამოდის. იმავე დღეს ვროცლავის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად ვიყავით პოლონეთის

გათავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავზე, რომელიც გვირგვინებით შევამკეთ.

ჩვენი მეორე გამოსვლა („გურნიკის" კლუბის წინააღმდეგ) დანიშნული იყო სილეზიის ქალაქ ზაბჟეში. ესაა მაღაროელთა მხარე და გუნდიც, რა თქმა უნდა, მაღაროელებისაა. მატჩამდე ვცხოვრობდით ქალაქ კატოვიცეში, „პოლონური დონბასის" ცენტრში, ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიულ რაიონში. საგულისხმოა, რომ იმავე დღეებში კატოვიცეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საბჭოთა და პოლონეთის შტანგისტები. ჩვენ უკვე შევიტყეთ, რომ საბჭოთა ძალოსნების წინა გამოსვლები აღინიშნა ბრწყინვალე შედეგებით; კერძოდ, გრიგოლ ნოვაკის მსოფლიო და იური დუგანოვის საკავშირო რეკორდებით. კატოვიცეში საბჭოთა და პოლონელ ძალოსანთა ასპარეზობა გაიმართა მეტალურგიულ ქარხანაში და საბადოებზე.

საწვრთნელი მეცადინეობის ჩასატარებლად გავემგზავრეთ ზაბჟეში. ვივარჯიშეთ იმ მოედანზე, რომელზეც იყო დანიშნული ჩვენი შეხვედრა „გურნიკთან". სტადიონი საშუალო სიდიდისაა, — მისი ტრიბუნები 40 ათას მაყურებელს იტევს, მინდორი კი საკმაოდ გაფუჭებულია. პირველ დღეს ერთხელ კიდევ მოგვიხდა ამ სტადიონზე წასვლა. ბედმა გაგვიღიმა: ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ პირველი ლიგის გუნდები — კატოვიცეს „სტროიტელი" და ჩვენი ერთ-ერთი მომავალი მეტოქე ცვკს-ი. თამაში მოიგეს არმიელებმა ანგარიშით 2:1, ამასთან ორივე ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა მარჯვენა შუამარბმა იანეჩეკმა. გამარჯვებულებმა მაინცადამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინეს, მაგრამ ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ მათთან თამაში არც ისე იოლი საქმე იქნებოდა. მეტოქე ფიზიკურად ძლიერია და ძალისმიერ, „მჭიდრო" თამაშს არ ერიდება.

მეორე დღეს, საღამოს, დაგვპატიჟეს შაიბიანი ჰოკეის მატჩზე — ბევრგან მეტად პოპულარულ თამაშზე, ჩვენში კი იმხანად „ახალ ხილზე". ესაა ძლიერ, მამაც და ტემპერამენტიან ადამიანთა თამაში, რომელიც თავიდან ბოლომდე თავბრუდამხვევ ტემპში მიმდინარეობს.

ჰოკეისტები ხელოვნურ ყინულზე თამაშობდნენ. მიხეილ იაკუშინი წარსულში არა მარტო გამოჩენილი ფეხბურთელი გახლდათ, არამედ პირველხარისხოვანი ჰოკეისტიც. როდესაც მან გაიგო, რომ

ჩვენგან ციგურებზე თავის დღეში თითქმის არავინ არ შემდგარა, ჩვენს სპორტულ განათლებაში ამ ხარვეზის გამოსწორება გადაწყვიტა: მთელი გუნდი ციგურებზე შეგვაყენა და... ყინულზე გამოგვიშვა. მხოლოდ შეგვაყენა. ყინულზე ტყაპატყუპით დაცემას ჩვენ დაუხმარებლადაც „ეახერხებდით“. ვერც თოკებმა გვიშველა, — ისინი მთასვლელებივით გექონდა გამობმული. სურათი ძალზე კომიკური გამოვიდა. მოედნის გარეთ მყოფნი, ჩვენი შემყურე პირდაპირ სიცილისაგან იხოცებოდნენ. ჩვენ კი არავისთვის არ გვეცალა. შავ დღეში ვიყავით. სხვებზე არ ვიტყვი (ისინი ჩემზე უკეთ არ გამოიყურებოდნენ), მაგრამ პირადად მე უფრო მეტი ხანი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და „პარტერში“ გავატარე, ვიდრე დგომსა და გააზრებული სრიალის უნაყოფო ცდაში.

...პოლონელი მსაჯის ცობერის სასტვენის ხმაზე „გურნიკის“ წინააღმდეგ საასპარეზოდ გამოვედით იმავე, ასე ვთქვათ, „ტრადიციული“ შემადგენლობით, მხოლოდ მარცხენა ფრთაზე თოდრიას ნაცვლად დავაყენეთ ჭკუასელი, ხოლო მის ადგილზე — ჯოჯუა.

მეტოქეთა შემადგენლობა არაფერს არ გვეუბნება, ვიცით მხოლოდ, რომ თავდასხმის ცენტრალურ ადგილზე ქალაქ პოზნანიდან მოწვეულია პოლონეთის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრფორვარდი ანიოლა. „გურნიკის“ ტექნიკური და გამოცდილი ფეხბურთელები ნელმავალნი აღმოჩდნენ და სისწრაფეში ჩვენი უპირატესობა გადამწყვეტი გამოდგა. ბრწყინვალედ მოთამაშე ნახევარმცველები პანიუკოვი და ანთაძე მტკიცედ დაეპატრონენ მოედნის შუაგულს და განუწყვეტლივ გვამარაგებდნენ ბურთებით. თავდასხმაში ამჯერად ყველაზე წარმატებით ვარდიმიადი და გაგნიძე მოქმედებდნენ. და თუმცა პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა, გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარებოდა. ასეც მოხდა. ნავსი 64-ე წუთზე გატყდა: პანიუკოვმა ბურთი მარჯვენა გარემარბის ადგილზე გადაადგილებულ ჯოჯუას გადასცა, მიშამ კი უფრო წინ, გაგნიძეს, რომელიც უხეშად მოცელეს საჯარიმო მოედნის კუთხეში. ჯარიმის დასარტყმელად ემზადება ჯოჯუა. მცველებმა კედელი აღმართეს, მაგრამ იგი ზედმეტი გამოდგა — მიშამ ბურთი კედელზე გადაატარა და თავისუფალ ვარდიმიადს დაუგდო. ძლიერი დარტყმა კარის მაღალ კუთხეში და ჩვენ მიგვყავს 1:0.

სამი წუთის შემდეგ გაგნიძე — ჭკუასელი — გაგნიძის სწრაფი კომბინაცია მეორე გოლით მთავრდება. ბოლო წუთებში ჯერ ვარდიმიადი, შემდეგ კი ჭკუასელი ოთხამდე ზრდიან ანგარიშს. ვიმარჯვებთ „მშრალად“ — 4:0.

და აი, დადგა ვარშავის მატჩის დღეც. ჩავდივართ დედაქალაქში, ამჯერად უკვე რამდენიმე დღით, — გვეძლევა შესაძლებლობა ახლოს გავეცნოთ მას.

ისევე, როგორც ყველა ჩვენი მეგობარი, ვარშაველებიც ემზადებიან დიდი ოქტომბრის სახელოვანი თარიღის შესახვედრად: ქალაქი სადღესასწაულო სამოსელში მორთულა, ყველგან ილუმინაცია კაშკაშებს.

მარშალკოვსკის რაიონი... კრაკოვის გარეუბანი... სტარო მიასტო... ქალაქის სიამაყე და სილამაზე — მაგისტრალი აღმოსავლეთი-დასავლეთი... ყველაფერს აღორძინების ხელი ატყვია. ერთ-ერთ მშენებლობაზე ყურადღებას იპყრობს თაღზე გადაჭიმული ტრანსპარანტი: „დაე, მარად ყვაოდეს ჩვენი აღორძინებული დედაქალაქი, მომავალი სოციალისტური პოლონეთის გული. დიდება ვარშავის მშენებლებს!“

ქალაქის განაპირას მთელ კვარტალზე გადაჭიმულ უზარმაზარ შენობაში მოთავსებულია ფიზიკური კულტურის აკადემია — პოლონეთის ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მწვრთნელთა და სპორტის მასწავლებელთა კვალიფიციურ კადრებს ამზადებს. დავათვალიერეთ აკადემიის სასწავლო კორპუსები, სპორტული ნაგებობანი, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები, სასადილო, ბიბლიოთეკა.

6 ნოემბერს საღამოს მთელი ჩვენი დელეგაცია მიპატიჟებულ იქნა პოლონეთის მუშათა გაერთიანებული პარტიისა და ვარშავის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ოქტომბრის რევოლუციის 34-ე წლისთავისადმი. იმ საღამოს განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ვარშავის ავტომშენებელი ქარხნის მუშათა პატაკი, რომელიც პირველი პოლონური ავტომობილის გამოშვებას ეხებოდა. ავტომშენებელთა უსაზღვრო სიხარულმა და პატრიოტულმა ჟღერყენებამ მთელი დარბაზი მოიცვა.

მატჩამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა და ჩვენც უქმად არ ვსხედვართ. რა თქმა უნდა, რეგულარულად გავდივართ წვრთნას, მეცა-

დინეობიდან თავისუფალ დროს საინტერესოდ ვატარებთ, — დავდივართ ექსკურსიებზე, კინო-თეატრში... სახელმწიფო მწვრთნელი ვ. მოშკარკინი, აგრეთვე მ. იაკუშინი და მ. მინაევი პოლონელ მწვრთნელებს უტარებენ ლექცია-საუბრებს თამაშის ტაქტიკასა და ტექნიკაზე, ნ. ჩხატარაშვილი კი მსაჯობის მეთოდიკაზე.

ჩვენი მორიგი მეტოქე — არმიელთა სპორტული კლუბის ცსკა-ის კოლექტივი — ერთ-ერთი უძლიერესია თავის ქვეყანაში და საერთაშორისო შეხვედრათა დიდი გამოცდილება აქვს. უკანასკნელ დროს ცსკა-მა ფრედ ითამაშა ჩეხოსლოვაკიის არმიის კლუბთან ატკ-ასთან (2:2) და მოუგო ბულგარეთის ჩემპიონს ცდნა-ს (4:2). ცსკა-მა, რომელიც თავის რიგებში ითვლის ეროვნული ნაკრების რამდენიმე მოთამაშეს, პოლონეთის ბოლო ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. გუნდი დაკომპლექტებულია მაღალი, ათლეტური მოთამაშეებით. კარში დგას 21 წლის მეკარე სტეფანიშინი, რომელიც ერთხმად ითვლება პოლონური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად. დაცვაში არიან დურნეკი, ორლოვსკი, კორენტი, ნახევარდაცვაში — შჩეპანსკი, ოპრიბი, თავდასხმაში — ზასიადეკი, იანეჩეკი, ბრაიტერი, ოლეინიკი და დვერნიცკი.

წინა ორ შეხვედრაში ჩვენს გუნდში მწვავედ თამაშობდა სწრაფი გაგნიძე, რომელმაც ბევრი უსიამოვნება მიაყენა მეტოქეებს. როგორც თავიდანვე გამოჩნდა, არმიელთა მწვრთნელს მცველთათვის მთავარ ამოცანად ჩვენი მარჯვენა შუამარბის ნეიტრალიზაცია დაუსახავს. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში კარლოს ორი მოთამაშე დასდევდა ფეხდაფეხ, მაგრამ ამან არმიელებს საქმე როდი შეუმსუბუქა. პირიქით, გაგნიძის ამგვარმა „დაჭერამ“ ძალიან გაგვიადვილა მოქმედება: ხან ერთი თავდასხმელი რჩებოდა „უმეთვალყურეოდ“ და ხან მეორე... ყოველივე ეს მშვენივრად გამოიყენეთ.

სტეფანიშინი რომ არა, ანგარიშის გახსნა ჯერ კიდევ პირველივე წუთებში შეიძლებოდა. საერთოდ, მისმა მშვიდმა და თავგანწირულმა თამაშმა არაერთხელ იხსნა გუნდი. მე-15 წუთზე პოლონელთა კარზე ვარდიმიადი გავიყვანე, მაგრამ სტეფანიშინი შესანიშნავი ნახტომით ჩაუვარდა იურის ფეხებში და შექმნილი სიტუაცია განმუხტა. შემდეგ კარისკენ გაგნიძე გაიჭრა. მეკარემ მოიგერია მისი დარტყმა, მაგრამ ბურთი პირდაპირ ჩემზე უკუაგდო. მეც არ და-

ვაყოვნე და ძლიერად დავარტყი, მაგრამ სტეფანიშინმა კვლავ მოიგერია ბურთი.

იერიშებში ებმებიან პანიუკოვი და ანთაძე. ჩვენი შეტევის სიმძაფრე მატულობს. ბოლოს, 21-ე წუთზე, მე და ჭკუასელი ადგილების შენაცვლებით მივიწევთ წინ. ავთანდილი სწრაფად გადის კართან, ატყუებს მცველს, მაწვდის ბურთს მარცხნივ, მე კი დაუყოვნებლივ ცენტრში — იური ვარდიმიადს, რომელმაც ახლოდან პირდაპირ „დახვრიტა“ სტეფანიშინი თავისი ყუმბარისებური დარტყმით — 1:0.

შესვენებამდე 2 წუთით ადრე საჯარიმო დარტყმიდან ჩაწოდებულ ბურთს დაეუფლა პანიუკოვი და თავით გაიტანა მეორე გოლი. იგი ამ მატჩში უკანასკნელი გამოდგა. გავიმარჯვეთ ანგარიშით 2:0, თუმცა მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში თამაშს არ დაუკარგავს სიმწვავე.

ახლა უკვე შეიძლებოდა გვეფიქრა უკანასკნელ, როგორც ჩვენ გვეგონა ყველაზე უფრო ძნელ, მატჩზე. ვხვდებოდით პოლონეთის ბოლო ორ ჩემპიონატში გამარჯვებულ კრაკოვის „გვარდიას“. ამ გუნდის მწვრთნელი მატიასი ომამდე კიევის „დინამოში“ თამაშობდა და, რასაკვირველია, კარგად იცნობდა საბჭოთა ფეხბურთს.

ეს გუნდი თავისთავად ძლიერია, აქ კი ჩვენთვის კიდევ უფრო გაუმაგრებიათ ალბათ იმის იმედით, რომ „ფარდის დაშვებისას“ მაინც მიეღწიათ გამარჯვებისათვის. მარცხენა შუამარბის ადგილზე. მაგალითად, დააყენეს გრაცი, რომელმაც უკვე ითამაშა ჩვენს წინააღმდეგ ვროცლავში „უნიას“ შემადგენლობაში.

როდესაც „გვარდიას“ შემადგენლობა გაგვაცნეს, თვალში მოგვხვდა ასეთი ფაქტიც: ჩემპიონის საშუალო ასაკი გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვენი დანარჩენი მეტოქეებისა. „გვარდიას“ ოთხი მოთამაშე უახლოვდება „კრიტიკული“ ოცდაათი წლის ასაკს, ორმა კი უკვე გადააბიჯა კიდეც მას. ვნახოთ, როგორ გაუძლებენ ისინი ორივე ტაიმს, თუ კი მათ მაღალ ტემპს შევთავაზებთ.

ჩვეულებრივ, პოლონური გუნდები, რომლებიც კი ჩვენ გვინახავს, ირჩევენ მოთამაშეთა შემდეგ განლაგებას: სამი ნახევარმცველი და ორი მცველი მაშინ, როცა ჩვენი ცენტრალური მცველი ღრმადაა უკანდახეული და კართან ახლოს მოქმედებს.

ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ 1947 წელს მოსკოვის არმიელები ჩეხოსლოვაკიის სტადიონებზე.



პოლონელი მხატვრის ე. ალაშევსკის მეგობრუ
ლი შარჟი. დაბეჭდილი პოლონურ სპორტულ
გაზეთში.

1951 წელი. ეარშავის ნაკრები თბილისს
კალიტნები ცეზლიკ და ოოლობერიძე თამაშ
დაწყების წინ.

რარიგ ოსტატურად. მარჯვილი თვალით გადაიტანა ქაღალდზე ედვარ ალაშევსკიმ თბილისის დინამოელები.

რუმინელი პიონერიები თაიგულებს გადასცემენ ქართველ
ფეხბურთელებს, ისინი კი თავის მხრივ...

... ამ ყვავილებს მაყურებლებს უძღვნიან.

ოდესელი დინამოელები და ბუქარესტის არმიელები მატჩის წინ რუმინეთის დედაქალაქის სტადიონზე.

ასეთი შეგობრული გულითადობის ვითარებაში ხვდებოდნენ ქართველ ფეხბურთელებს რუმინეთში.

ბუქარესტის არმიელებთან შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. გარღვევაზეა თბილისელთა კაპიტანი.

1955 წელი. რუმინეთის „ლოკომოტივის“ ნაკრები თბილისში. სურათზე აღბეჭდილია ადგილობრივ „დინამოსთან“ შეხვედრის ერთი მომენტი.

ნელი ოთო-დე ვანეროს „ატლეტიკ ბილბაოს“ და თბილისის დინამოელები თამაშის წინ.

პოლონეთის ჩემპიონმა მოთამაშეთა განლაგების სულ სხვა ვარიანტი შემოგვთავაზა. ცენტრხავბეკი შურეკი უკან იყო დაწეული და მის ადგილს ნახევარდაცვაში ერთ-ერთი შუამარბი — მეტწილად პოდკოლე — იკავებდა. ამრიგად, სქემა რამდენადმე უჩვეულოდ გამოიყურება: სამი მცველი, სამი ნახევარმცველი და მხოლოდ ოთხი თავდამსხმელი.

სპეციალური „კონტროლონისძიებები“ მეტოქეთა ტაქტიკური სვლის მიმართ არ შეგვიმუშავებია, რადგან სიახლეს მხოლოდ მოედანზე შევხვდით. მაგრამ თამაშის გეგმა ისე შევადგინეთ, რომ შეტევები აქცენტირებულ იქნა მარჯვენა ფლანგზე, სადაც აქტიურად უნდა ემოქმედათ არა მარტო ჯოჯუასა და გაგნიძეს, არამედ პანიუკოვს და ელოშვილსაც კი.

ეს მატჩი მოვიგეთ სამი „მშრალი“ ბურთის სხვაობით, რომელთაგან ორი შესვენების შემდეგ გავიტანეთ. გოლების ავტორები იყვნენ ჭკუასელი, ვარდიმიადი და მე. ამ თამაშში, უმთავრესად კი პირველ ტაიმში, როცა ანგარიში ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი და პოლონელები ძალზე მძაფრად გვიტევდნენ, განსაკუთრებით ძლიერად ითამაშეს ძიაპშიპამ და მარღანიამ. უკანასკნელს ხვდა დიდძალი ტაში. მატჩს კრაკოვში, ისევე როგორც ვარშავაში, მასპინძელთა თხოვნით სჯიდა ნ. ჩხატარაშვილი.

„გვარდიის“ ფეხბურთელებთან ამხანაგურ ვახშამზე როგორღაც სტიქიურად გაიმართა თვითმოქმედების კონცერტი... მასპინძლები პოლონურ სიმღერებს მღეროდნენ, ჩვენი კი ქართულს. უეცრად მიშა ჯოჯუა ავიდა ესტრადაზე და მუსიკოსებს კლასიკური მელოდია შეუკვეთა — კავარადოსის არია პუჩინის ოპერა „ტოსკადან“. მუსიკოსებმა დაუკრეს წესავალი და მიშა მხოლოდ მისთვის გასაგებ ესპერანტოზე ამღერდა. როდესაც მას „ზედა ნოტები“ აღარ ეყო და ყველას ყური მოჭრა „ყიყლიყომ“, მიშამ იხტიბარი არ გაიტეხა, საერთო სიცილი არაფრად ჩააგდო და, თეატრალურად აღშფოთებულმა, ყოველივე ორკესტრს გადააბრალა:

— თქვენ სწორად არ უკრავთ! — ხმამაღლა განაცხადა მან.

კრაკოვში ყოფნასთან მჭიდროდაა დაკავშირებული პოლონეთში მიღებულ შთაბეჭდილებათა ყველაზე ნათელი მოგონება. ჯერ კიდევ შინ, თბილისში, არაერთხელ გვსმენია სიჭაბუკის ქალაქზე — ნოვაია გუტაზე, რომელსაც პოლონელები „პოლონურ კომსომოლსკს" უწოდებენ. მშენებლობა გრანდიოზული მეტალურგიული კომბინატისა, რომელმაც იმდენი ფოლადი უნდა მისცეს ქვეყანას, რამდენსაც მთელ ომისწინანდელ პოლონეთში ადნობდნენ, უნდა დამთავრდეს 1955 წელს. ნოვაია გუტაში შენდება ასიათასიანი სოციალისტური ქალაქი. დიდ, ნათელ ბინებში მოთავსდებიან მებრძმედეები, მგლინავები, ფოლადის მდნობელები. პოლონური მეტალურგიის ცენტრის გაცნობა ჩვენთვის კიდევ იმიტომაც იყო საინტერესო, რომ იმ პერიოდში ჩვენში, თბილისის გვერდით, ჩნდებოდა სიჭაბუკის ასეთივე ქალაქი, ქართული მეტალურგიის პირმშო— რუსთავი.

ნოვაია გუტა ჯერ უფრო პროექტებშია, ვიდრე აგურსა და ბეტონში. მაგრამ უკვე ახლა შეიცნობს კაცი ამ მზიური ქალაქის ფარგლებს. იგი, ეს მომავლის ქალაქი, ერთ სამშენებლო მოედანს მოგაგონებთ. მშენებლები, — ეს კი ძირითადად ახალგაზრდობაა,— ძალზე ამაყობენ იმით, რომ სწორედ მათ ხვდათ პატივი ეშრომათ ნოვაია გუტაში.

გვაჩვენეს წერილი, რომელიც მათ გაუგზავნეს შორეული ამურის კომსომოლსკის მცხოვრებთ. არის ამ წერილში ასეთი სტრიქონები: „ჩვენ გპირდებით, რომ არ დავიხევთ არც ერთი სიძნელის წინაშე, ისევე, როგორც არ იხევდით თქვენ. ჩვენ ვეცდებით, რომ ნოვაია გუტა გადაიქცეს პოლონურ კომსომოლსკად — ბედნიერ, მხიარულ, მტკიცე ადამიანთა მზიურ ქალაქად".

და კიდევ ერთი მოგონება. ეს უკვე პოლონეთის წარსულიდან. მოგონება იმ დღეთა, როცა ქვეყანაში ბატონობდნენ გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც პოლონეთის ტერიტორიაზე შექმნეს სიკვდილის ერთ-ერთი საზარელი, მხეცური ბანაკი — ოსვენციმი. აქ არ შეიძლება დარჩე გულგრილი. მდუმარედ ვათვალიერებთ ამ სა-

შინელ გიგანტურ სასაფლაოს, სადაც ფაშისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ოთხი მილიონი ადამიანი. მაგრამ ოსვენციმი მხოლოდ წარსულის გახსენება როდია. იგი მრისხანე გაფრთხილებაა: ეს არ შეიძლება, არ უნდა გამეორდეს!

ჩვენ არ გამოგვპარვია შემდეგი გარემოება: პოლონელი ამხანაგი, რომელიც თარჯიმნისა და გიდის როლს ასრულებდა, ოსვენციმის საშინელებებზე ლაპარაკისას გაფითრდებოდა ხოლმე. მერე გავიგეთ, რომ თურმე იგი თვით ყოფილა სიკვდილის ბანაკის ტყვედ და ჩვენს ჯარებს გაუთავისუფლებიათ. სხვათა შორის, ამ ბანაკში ყოფილა დამწყვდეული სახალხო პოლონეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ამხანაგი ცირანკევიჩი.

...ჩვენი გზა კვლავ ვარშავისკენ დევს. უკანასკნელი მეგობრული შეხვედრები ვარშაველებთან, ჩვენს საელჩოელ თანამემამულეებთან...

ვბრუნდებით შინ, თბილისში.





ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ და დაკანონებულ სხვადასხვა ტურნირთა შორის არის ორი ძალზე მნიშვნელოვანი და პოპულარული ასპარეზობა. ესაა მსოფლიო ჩემპიონატები (ანუ ე. წ. ჟიულ რიმეს თასის გათამაშება) და ოლიმპიური თამაშები. თავისი ასაკით პრიორიტეტი ფეხბურთელთა ოლიმპიურ ტურნირებს მიეკუთვნება, — ისინი ხომ 1908 წლიდან მოყოლებული ყოველი ოთხი წლის ინტერვალით იმართება. მაგრამ ოლიმპიადები, როგორც ცნობილია, მოყვარულ სპორტსმენთა შეჯიბრებას წარმოადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ფეხბურთის პროფესიონალური გუნდების გამოჩენასთან ერთად, ბევრ უძლიერეს ფეხბურთელს, ტყავის ბურთის მრავალ ჭეშმარიტ ვირტუოზს გზა დაეხშო ებრძოლა ოლიმპიური ოქროს მედლებისათვის. ერთი სიტყვით, საჭირო გახდა რაიმე სხვა, უფრო სრულფასოვანი, წარმოსადეგი შეჯიბრების მოწყობა, რომელზეც დაიშვებოდა უკლებლივ ყველა ფეხბურთელი. ასეთი სახის

პაექრობად მოგვევლინა მსოფლიო ჩემპიონატები, რომელთა დასაბამია 1930 წელი.

პირველსავე ომის შემდგომი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა ფეხბურთელები სულ უფრო ხშირად ხვდებიან საზღვარგარეთულ გუნდებს როგორც თავის ქვეყანაში, ასევე სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. მოსკოვის დინამოელთა ტრიუმფალურმა ტურნემ ფეხბურთის სამშობლოში — ინგლისში, დედაქალაქის არმიელთა ბრწყინვალე გამოსვლებმა იუგოსლავიაში, ჩვენი სხვა საკლუბო გუნდების მრავალმა გამარჯვებამ ევროპის სხვადასხვა სტადიონებზე საბჭოთა ფეხბურთის საყოველთაო აღიარება და დიდება მოუხვეჭა. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ამხანაგური შეხვედრები იყო. დადგა დრო ჩვენი ძალების სერიოზული შემოწმებისა დიდ საერთაშორისო ტურნირში.

1951 წლის აპრილში საბჭოთა კავშირში შეიქმნა ოლიმპიური კომიტეტი. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იმაზე მეტყველებდა, რომ სსრ კავშირს განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰელსინკის მომავალ, XV ოლიმპიურ თამაშებში. მალე ცნობილი გახდა, რომ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებთან ერთად ოლიმპიადაზე ფეხბურთელებიც გაემგზავრებიან.

ეს მართლაც უაღრესად სერიოზული გამოცდა იყო და სამზადისიც ამთავითვე მთელის გულისყურით უნდა წარმართულიყო. ნაკრების კანდიდატებად დასახელებული იქნა 35 ფეხბურთელი, მათ შორის თბილისის „დინამოდან" ვ. მარღანია, ნ. ძიაპშიპა, გ. ანთაძე, მ. ჯოჯუა, კ. გაგნიძე და მე. თავდაპირველად ოლიმპიელთა მომზადება დაეკისრათ ბ. არკადიევს, მ. ბუტუსოვს, ე. ელისეევსა და გ. ფედოტოვს.

თბილისსა და ლენინგრადში ჩვენს გუნდებთან გამართული რამდენიმე საწვრთნელი მატჩის შემდეგ მაისში მოსკოვს ჩამოვიდა ბოლონეთის ნაკრები, რომელიც იმ წლებში ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივად ითვლებოდა. მის შემადგენლობაში იყვნენ ისეთი პოპულარული ფეხბურთელები, როგორიცაა მეკარე სტეფანიშინი, თავდამსხმელები ცეზკილი, კრასუვკა და სხვ. მოსკოვის

ნაკრები გუნდი (ფაქტიურად კი ბირთვი მომავალი ოლიმპიური ნაკრებისა, უფრო ზუსტად, მისი ერთ-ერთი ვარიანტი) ასე გამოიყურებოდა: ვ. ნიკანოროვი, კ. კრიჟევსკი, ა. ბაშაშკინი, ი. ნირკოვი, ი. ნეტო, ა. პეტროვი, ვ. ტროფიმოვი, ვ. ნიკოლაევი, კ. ბესკოვი, ხ. ღოლობერიძე, ს. სალნიკოვი.

ძალის პირველი გასინჯვა მთლად სახარბიელო როდი გამოდგა. ჩვენმა დაცვამ საკმაოდ კარგი, საიმედო თამაში აჩვენა, თავდასხმას კი აშკარად აკლდა მთლიანობა. თუმცა თამაშის პირველ ნახევარში ჩვენ ორჯერ გვქონდა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ სტეფანიშინმა ბრწყინვალედ ითამაშა და თავისი გუნდი ორჯერვე გადაარჩინა გოლს. მატჩის დასასრულს პოლონელთა გუნდის კაპიტანმა ცეზლიკმა მოახერხა ერთადერთი ბურთის გატანა.

სამი დღის შემდეგ, 14 მაისს, იმავე „დინამოს" სტადიონზე შედგა ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. ჩვენს რიგებს რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შემოემატა: მეკარე ლ. ივანოვი, ნახევარმცველი გ. ანთაძე, ცენტრალური თავდამსხმელი ვ. ბობროვი, მარცხენა გარემარბი ა. ილინი. ბობროვის მიერ შეგდებულ ორ ბურთზე (მე-4 და 82-ე წუთებზე) სტუმრებმა მხოლოდ ერთით (ცეზლიკი, 85-ე წუთი) უპასუხეს. მაგრამ გამარჯვების მიუხედავად, ჩვენი ნაკრების თამაშში მრავალი ნაკლოვანება შეიმჩნეოდა.

გავიდა კიდევ ათი დღე და ჩვენ უკვე ბევრად სერიოზული გაზოცდის ჩაბარება მოგვიხდა, — გავმართეთ მატჩი უნგრეთის ნაკრებთან, რომელიც მაშინ მთელ მსოფლიოში უძლიერესად ითვლებოდა. ეს იყო კოლექტივი, რომელსაც შემდეგ საფეხბურთო სამყარომ უნგრელთა „დიდი გუნდი" უწოდა. სტუმრებმა საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანეს: გროშიჩი, ბუზანსკი, ბერჟეი, ლანტოში, ბოჟიკი, ზაკარიაში, ჩორდაში, კოჩიში, სუსა, პუშკაში, ხიდეგკუტი. ჩვენს გუნდში იყვნენ: ივანოვი, კრიჟევსკი, ბაშაშკინი, ნირკოვი, ანთაძე, პეტროვი, ილინი, ნიკოლაევი, ბობროვი, დემენტიევი, სალნიკოვი. ეს თამაში უკვე ძალიან „მაღალი" შემოწმება იყო და სასიხარულოდ მან მართლაც წარმატებით ჩაიარა. საქმე იმაში როდია, რომ მატჩი ფრედ (1 : 1) დამთავრდა. უფრო მნიშვნელოვანის გახლდათ, რომ საბჭოთა გუნდმა აჩვენა სრულფასოვანი, კლასიკური ფეხბურთი. ჩვენი ბიჭები არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ

სახელოვან მეტოქეებს; კერძოდ, ბრწყინვალედ გაართვა თავი უხგრელთა უძლიერესი თავდამსხმელის პუშკაშის ნეიტრალიზებას ხნთაძემ. სამწუხაროდ, მეორე ნახევრის დასაწყისში მიღებულმა ტრავმამ მას მოედანი დაატოვებინა.

ისევე, როგორც პოლონელებთან, ერთი დღის შემდეგ გუნდები კვლავ გამოვიდნენ საასპარეზოდ. განმეორებითმა მატჩმა წარმატება მოუტანა ჩვენს სპორტსმენებს, რომლებმაც ორჯერ აიძულეს სტუმართა მეკარე ბურთი ბადიდან გამოეტანა. უნგრელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს. ეს იყო დიდი, დამსახურებული გამარჯვება. ამით თითქოს დავადასტურეთ ოლიმპიურ ტურნირში ჩვენი მონაწილეობის კანონზომიერება. მაგრამ რარიგ სასიამოვნოც უნდა ყოფილიყო ეს გამარჯვება, იგი კვლავინდებურად არაოფიციალურ, ამხანაგურ შეხვედრაში იქნა მოპოვებული. უახლოეს მომავალში კი მოგველოდა შეხვედრები იქნებ იმავე მოწინააღმდეგეებთან, მაგრამ ბევრად რთულ, ასე ვთქვათ, ოფიციალურ გარემოებაში — ოლიმპიური ტურნირის ჩარჩოებში.

ასეა თუ ისე, დადგა ივლისის შუა რიცხვები — საბჭოთა სპორტული დელეგაციის ფინეთში გამგზავრების დრო. ჩვენი დელეგაცია ძალზე მრავალრიცხოვანია, — საბჭოთა სპორტსმენები ხომ ზროგრამის ყველა სახეობაში (გარდა ბალახის ჰოკეისა) იღებენ მონაწილეობას. დროული აკლიმატიზაციის მიზნით ჰელსინკში ოლიმპიადის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ჩავედით და ფინეთის დედაქალაქის ერთ-ერთ გუნდთან ამხანაგური მატჩიც კი გავმართეთ. ამ უკანასკნელ, სტარტისწინა დღეებში გუნდის მწვრთნელებმა ბ. არკადიევმა და მ. იაკუშინმა საბოლოოდ დაადგინეს შემადგენლობა პირველ თამაშზე.

საბჭოთა სპორტის 430 წარგზავნილთა შორის დიდ ჯგუფს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები წარმოადგენენ. აი, პირველი ქართველი ოლიმპიელები: მძლეოსნები ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, ნადეჟდა ხნიკინა, ლევან სანაძე, კალათბურთელები ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, მოჭიდავე დავით ციმაკურიძე, შტანგისტი რაფიელ ჩიმიშკიანი, ტანმოვარჯიშე მედეა ჯუღელი, მსროლელი ლევ ვაინშტეინი, ფეხბურთელები გიორგი ანთაძე, ავთანდილ ჭკუასელი, ვლადიმერ მარღანია და მე.

ყველა ჩვენს კოლეგას ადგილი ფინალისტთა შორის უკვე

განაღდებული ჰქონდა. ჩვენ კი, ფეხბურთელებს, იმისათვის, რათა მოვხვედრილიყავით ტურნირის 16 ფინალისტთა შორის, შერჩევით მატჩში უნდა დაგვემარცხებინა ბულგარეთის ნაკრები. ეს ოლიმპისკენ მიმავალ გზაზე პირველი წინაღობა იყო. და იგი წარმატებით იქნა დაძლეული. აი, როგორ გამოიყურებოდნენ გუნდები: საბჭოთა ყავშირი — ივანოვი, კრიჟევსკი, ბაშაკინი, ნირკოვი, პეტროვი, ნეტო, ტროფიმოვი, ტენიაგინი, ბობროვი, ღოღობერიძე, ილინი; ბულგარეთი — სოკოლოვი, ვასილევი, მანოლოვი, აპოსტოლოვი, ბოჟკოვი, პეტროვი, მილანოვი, კოლევი, პანაიოტოვი, არგიროვი, იანევი.

ეს იყო უაღრესად მძიმე და დაძაბული მატჩი, რომელშიც (ჩვენ ეს ვიცოდით) ერთი გოლი შეიძლება გადამწყვეტი გამომდგარიყო. ამას, როგორც ჩანდა, ბულგარელებიც გრძნობდნენ და ამიტომ დაცვაში დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით მოქმედებდნენ. ოთხმოცდაათმა წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 0:0. დამატებით დროში ბულგარელებმა პირველებმა მიაღწიეს წარმატებას — კოლევმა გაიტანა ბურთი. ამ გოლმა თითქოს ნიშანი მოგვცა და ძალა შეგვმატა, — თავბრუდამხვევ იერიშზე გადავედით. ანგარიშის გაქვითვის დრო ძალზე ცოტა იყო, მაგრამ იგი საკმარისი გამოდგა, რათა ჯერ ბობროვს ბრწყინვალე თავური დარტყმით, შემდეგ კი ტროფიმოვს გაეტანათ ორი „საფინალო“ ბურთი. გზა 1/8-ფინალისკენ გაიხსნა!

მატჩი ბულგარელებთან (იგი ფინეთის ქალაქ კოტკაში გაიმართა) ოლიმპიადის საზეიმო გახსნამდე ვითამაშეთ. ასევე ჩატარდა წინასწარი ტურნირის დანარჩენი შეხვედრებიც. თუმცა ფეხბურთი ფინეთში არაა მაინცდამაინც პოპულარული, ჩვენი მატჩი მაყურებლებით გაჭედილ სტადიონზე მიმდინარეობდა. დანარჩენ წინასწარ შეხვედრებში პოლონეთმა სძლია საფრანგეთს (2:1), უნგრეთმა — რუმინეთს (2:1), იუგოსლავიამ — ინდოეთს (10:1), დანიამ — საბერძნეთს (2:1).

1952 წლის 19 ივლისს შაბათი დღე — XV ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის დღე — სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. ჰელსინკის პირამდე სავსე ოლიმპიური სტადიონი. მსოფლიოს 5.800 უძლიერესი სპორტსმენის აღლუმი, ლურჯ სივრცეში აჭრილი ათასი მტრედი... სტადიონზე ოლიმპიური ჩირაღდნით

შემოკრილი ცნობილი ფინელი სტაიერი პაავო ნურმი... და, ბოლოს, ოლიმპიური პრინციპებისადმი ერთგულების ფიცის მიღების ამაღელვებელი წუთები! ყოველივე ეს დაუვიწყარი სურათია.

პირველმა დღემ საბჭოთა სპორტსმენებს უდიდესი სიხარული მოუტანა: ბადროს მტყორცნელი ნინა რომაშკოვას (პონომარიოვა) ოქროს მედალი, შემდეგ კი ოქროს მედლები დავით ციმაკურიძისა და არსენ მეკოკიშვილისა, იური ტიუკალოვისა და ვიქტორ ჩუკარინისა.

დადგა ჩვენი ბრძოლის დროც, ქალაქ ტამპერეში დაინიშნა მატჩი იუგოსლავებთან.

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი შევა ისტორიაში, როგორ ნიმუში გამარჯვებისადმი წარმოუდგენელი ნებისყოფისა, როგორც დრამატიზმით აღსავსე, ლოგიკურად გამართლებული ფინიშის მატჩი. აბა, განსაჯეთ: საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე ჩვენ ვაგებდით... 1 : 5-ზე. თითქოს ყველაფერი უიმედოდ დაკარგული იყო. იუგოსლავებმა, რომელთაც ყველაფერი გათავებული ეგონათ, უარი თქვეს შემდგომ იერიშებზე და აშკარად იწყეს დროის გაყვანა. მათ სურდათ როგორმე ჩაეთავებინათ დარჩენილი წუთები.

მაგრამ ნურას უკაცრავად! მოხდა წარმოუდგენელი რამ. ჯერ ტროფიმოვს გააქვს ბურთი, ერთი წუთის შემდეგ კი — ბობროვს. მიმდინარეობს თამაშის 78-ე წუთი. ნიკოლაევი მძლავრად ურტყამს კარში და მეკარე დიდის გაჭირვებით წვდება მაღალ კუთხეში გაგზავნილ ბურთს, კუთხურზე გადაჰყავს იგი. კორნერს იუგოსლავებისთვის შველა არ მოაქვს: ჩამოწოდებულ ბურთთან ყველაზე ადრე ჩნდება ბობროვი და... ანგარიში უკვე 4 : 5-ა. იუგოსლავები გონს მოდიან, მაგრამ უკვე გვიანაა. გარდატეხა თამაშში და ჩვენს განწყობილებაში მოხდა გაცილებით ადრე, შეიძლება იმ მომენტში, როდესაც ვასია ტროფიმოვმ გაიტანა თავისი გოლი.

და აი, მაშინ, როდესაც მსაჯის წამმზომის ისარი უკანასკნელ წრეს ითვლიდა, მოხდა ის, რასაც 20 წუთის წინ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა — საბჭოთა ნაკრებმა გაქვითა ანგარიში. მეხუთე ბურთი ტროფიმოვის კუთხური მოწოდებიდან თავური დარტყმით გაიტანა ალექსანდრე პეტროვმა. და აქვე ინგლისელი მსაჯი არტურ ელისი იძლევა საფინალო სასტვენს.

დამატებითი დრო. ტრიბუნებზე და მოედანზე განწყობილება დიამეტრალურად შეიცვალა. ახლა ჩვენს გამარჯვებაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი. ჩვენც გვეგონა, რომ ყველაზე ძნელი გავლილია... თუმცა უნდა გვცოდნოდა, რომ დასვენებული, ასე ვთქვათ, „რესტავრირებული“ იუგოსლავები უმტკივნეულოდ როდი დაგვითმობდნენ გამარჯვებას, რომელიც მათ უკვე „ჯიბეში ედოთ“.

გუნდები კვლავ მოედანზე არიან. პირველ წუთებში მომხდარი ამბები სასურველ პერსპექტივას გვისახავენ. იუგოსლაველთა კარს ჩვენი იერიშები ერთი მეორეზე ტალღასავით ასკდება და მხოლოდ შემთხვევით არ გადის გოლი. მე-7 წუთზე ბობროვი ბურთს ძელს ახვედრებს, შემდეგ ნიკოლაევი მეკარესთან პირისპირ გადის და 6—7 მეტრიდან ბურთს პირდაპირ მას ურტყამს. ურტყამს ისეთი ძალით, რომ მეკარის მკერდიდან ბურთი უკუიქცევა და საჯარიმო მოედნის გარეთ გადის. კვლავ დარტყმა, ამჯერად პეტროვისა, და ბურთი კვლავ ძელს ხვდება. სრული უპირატესობაა, გოლი კი არ ჩანს. ასე იწურება დამატებითი დრო...

მეორე დღეს — ახალი მატჩი იმავე მეტოქესთან. თუ წინა დღეს ავად გამხდარი მარცხენა გარემარბი ა. ილინი ბესკოვმა შეცვალა (ჩვენი თავდასხმა ასე გამოიყურებოდა: ტროფიმოვი, ნიკოლაევი, ბობროვი, მარიუტინი, ბესკოვი), მწვრთნელებმა გაუბედავად მოქმედი ბესკოვის ნაცვლად მეორე თამაშში ჭკუასელი დააყენეს.

ასპარეზობას კარგი პირი უჩანდა, — უკვე მე-6 წუთზე ბობროვმა ანგარიში გახსნა. მაგრამ ეს იყო და ეს. ინიციატივა იუგოსლავების ხელში გადავიდა. მე-19 წუთზე ისინი ათანაბრებენ ანგარიშს. 10 წუთის შემდეგ კი ბაშაშკინი საჯარიმო მოედანში ხელით თამაშობს და თერთმეტმეტრიანი დარტყმით ჩვენი მეტოქენი უკვე წინ გადიან. ამ გოლმა პირდაპირ წელში გაგვწყვიტა. მესამე ბურთი, რომელიც ჩვენს კარში შესვენების შემდეგ გავიდა (იგი ბაშაშკინის ფეხიდან შეგორდა ბადეში), უკვე აღარაფერს ნიშნავდა: მატჩი მანამდე იყო წაგებული.

ამრიგად, ჩვენ ჩამოგვერთვა უფლება გვებრძოლა ოლიმპიური მედლებისათვის და მონაწილეებიდან მაყურებლებად გადავიქეცით.

მოკლედ მოგახსენებთ შემდეგ წრეებში გამართულ საფეხბურთო ბრძოლებზე. იუგოსლავებმა ჩვენს შემდეგ მოუგეს დანიე-

ლებს (5:3), შემდეგ კი გფრ-ის გუნდს (3:1), რომელმაც თავის მხრივ მეოთხედფინალში სძლია ბრაზილიელებს ანგარიშით 4:2. ასე რომ, იუგოსლავიის ნაკრები ფინალისტი გახდა.

ფინალში უნგრელებიც გავიდნენ. გადამწყვეტი ორთაბრძოლისკენ მიმავალ გზაზე მათ დაამარცხეს იტალიის ნაკრები (3:0), თურქეთი (7:1) და შვეიცია (6:0). მათი უპირატესობით წარიმართა ფინალური მატჩიც. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა, თუმცა უნგრელებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა: პუშკაშმა სუსტად გაგზავნა ბურთი და მეკარემ უკუაგდო იგი.

მეორე ნახევარში უნგრელებს ორი ბურთი გააქვთ და მოედანს ოლიმპიურ ჩემპიონებად ტოვებენ. მათ ეს საპატიო სახელი სავსებით დაიმსახურეს. გუნდის მომავალი დიდების გზაზე ჰელსინკის წარმატება ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. სამ-ოთხ წელიწადში უნგრეთის ნაკრები მსოფლიოს პირველ გუნდად იქნა ერთხმად აღიარებული. მხოლოდ უბედურმა, სასწაულებრივმა შემთხვევამ (სხვანაირად არც შეიძლება მას უწოდო) დააკარგვინა ორი წლის შემდეგ უნგრეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში უმაღლესი ტიტული, რომელიც მას და მხოლოდ მას ეკუთვნოდა.

ჩვენი ნაკრების პირველმა გამოსვლამ ისეთ დიდ საერთაშორისო ტურნირში, როგორც ოლიმპიური თამაშებია, ვერ მოუტანა საბჭოთა სპორტს დაფნა და დიდება.

სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, რომლებმაც 106 ოლიმპიური მედალი (მათ შორის 38 ოქროსი) მოიპოვეს, ჩვენ, ფეხბურთელებმა, ვერ შევძელით მიგვეღწია საპრიზო ადგილებისათვის და წვლილი შეგვეტანა საერთო დიდ გამარჯვებაში.

მიუხედავად ამისა, ჰელსინკის დებიუტი ჩვენთვის იყო მშვენიერი გაკვეთილი, რომელმაც განაპირობა ჩვენი მრავალი წარმატება მომავალში და, კერძოდ, შესანიშნავი გამარჯვება მელბურნის მორიგ ოლიმპიადაზე.

უკვე მრავალი წლის შემდეგ, განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების შემდეგ, გავაკეთე ჩემთვის დასკვნა, რომელიც, ვფიქრობ, ასე თუ ისე ნათელს ჰფენს სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების დებიუტის შედეგებს ფინეთის სტადიონებზე.

იმ წლებში, და უფრო გვიანაც, სიტყვები „საერთაშორისო მატჩი“ მართლაც და მეტისმეტად მაგიურად მოქმედებდა. ოლიმპიადამდე საზღვარგარეთელ სპორტსმენებთან ყოველი შეხვედრა ამხანაგური, არაოფიციალური იყო და ისინი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ არც კი აღინუსხებოდა. ჩვენ არ ვიყავით ასეთი რანგის მატჩებით განებივრებული და ამიტომ მთელია სერიოზულობითა და მონდომებით ვეკიდებოდით ყოველ თამაშს, ყოველ მეტოქეს. კაცმა რომ თქვას, ეს ასეც უნდა იყოს — ყოველი მეტოქე პატივისცემას იმსახურებს და ალბათ არავის მოუბრუნდება ენა ამის გამო საყვედური გვითხრას.

მაგრამ საკითხავია, ყოველთვის მართებულად ვაფასებთ ჩვენ ამ მატჩების შედეგებით ძალთა შეფარდებას და შეცდომაში ხომ არ შევდივართ? ჩემი აზრის საილუსტრაციოდ შემიძლია მოვიყვანო ხევრი მაგალითი, მაგრამ გამოვიყენებ ბოლოდროინდელ ამბებს.

...1961 წლის დამლევს სსრ კავშირის ნაკრებმა ლათინურ ამერიკაში გამართა ტურნე, რომლის შედეგები ყველას კარგად ახსოვს. ეს იყო ტრიუმფი, ნამდვილი ზეიმი. დავამარცხეთ ურუგვაის. არგენტინისა და ჩილის განთქმული ნაკრები გუნდები. უფრო მოგვიანებით კი, ზე'დ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, მოსკოვში ჩამოვიდა ურუგვაის ეროვნული გუნდი და გამანადგურებელი მარცხი განიცადა — 0:5. პრესამ და სპორტულმა საზოგადოებრიობამ ძალზე მაღალი, შეიძლება ითქვას, აღფრთოვანებული შეფასება მისცა ჩვენი ფეხბურთელების წარმატებას. ისინი მართლაც იმსახურებდნენ ქებას, თუმცა არ უნდა დაგვიწყებოდა, რომ ეს გამარჯვებანი მოპოვებულ იქნა ამხანაგურ მატჩებში.

ჩვენი მეტოქენი კი, როგორც ეს შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, ამას არ ივიწყებდნენ და ჩემპიონატის ოფიციალურ მატჩებში გვეთამაშებოდნენ სულ სხვაგვარად, ვიდრე ოფიციალური ასპარეზობისადმი მზადების დროს. მოსკოვში განადგურებულ ურუგვაის ნაკრებს ჩვენ ძლივს მოვუგეთ არიკაში, ჩილელებს კი, რომლებიც დავამარცხეთ დეკემბერში, იძულებული ვიყავით დავნებებოდით ივნისში. სწორედ პირიქით კი იყო საჭირო!

ვითამაშეთ თუ არა ჩვენ განმეორებითი მატჩები პირველ შეხვედრებთან შედარებით უფრო სუსტად? არავითარ შემთხვევაში! ოთხივე ოფიციალური მატჩი ჩატარებულ იქნა სრული პასუხისმგე-

ბლობით, როგორც ეს ეროვნულ ნაკრებთა დონის შეჯიბრებებს შეეფერება. მაშ რა მოხდა? სხვაგვარი გამოდგნენ მეტოქეები, სულ სხვაგვარი იყო მათი წინააღმდეგობა, ზრძოლის ჟინი და მიზანსწრაფვა, თამაშის ხასიათი... აქაც კი, მწვერვალზე, სადაც თითქოს ყველაფერი უნდა შეეწიროს გამარჯვებასა და მის ინტერესებს, მათ, მათმა მწვრთნელებმა შეძლეს დაეხარისხებინათ თამაშები და გამოეყოთ მთავარი დანარჩენთაგან. მთავარი კი იმ დღეებში იყო მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატი და ყოველი საშუალება, ყოველი მანევრი, ყოველი, თუ გნებავთ, ეშმაკობა, რასაც კი შეეძლო ჩილში სამსახური გაეწია, გათვალისწინებული იქნა. მთავარი, რაც საფუძვლად უდევს მატჩების ამგვარ შერჩევას, ჩემის აზრით, არის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამოცანათა სხვადასხვაობის დადგენა.

უნდა დავისახოთ თუ არა მიზნად ამხანაგურ მატჩში გამარჯვება? რა თქმა უნდა. მაგრამ საშიშია თუ არა ასეთი თამაშის წაგება? საშიშია, თუ გუნდს გარდა გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი ბალანსისა, სხვა საზრუნავი არა აქვს. აბა, ეს რა ამხანაგური, სასწავლო-მოსამზადებელი მატჩია, თუ იგი სხვა ამოცანებსაც (შემადგენლობის ერთ-ერთი ვარიანტის გასინჯვას, ახალგაზრდობის წრთობას, მეტოქის შესინჯვას და სხვ.) არ ითვალისწინებს? დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვში მატჩის მოგება ურუგვაელთათვის სულაც არ იყო ერთადერთი მიზანი. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ასეთი მიზანი მათ საერთოდ არც კი ჰქონდათ. უფრო მეტიც, — შეიძლება მათ სურდათ მოედუნებინათ, „დაეძინებინათ" ჩვენი სიფხიზლე. გამოუვიდათ თუ არა ეს, პასუხი ამაზე უკვე ჩილში გამართულმა მატჩმა მოგვცა.

ვუბრუნდები XV ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირს.

იმისათვის, რომ საბჭოთა გუნდი ოლიმპიადისთვის კარგად მომზადებულიყო, დროც ბევრი გვქონდა და საშუალებაც (თუ გახსოვთ, იმ წელიწადს, სწორედ ოლიმპიური თამაშების გამო, საკავშირო პირველობა ერთ წრედ ჩატარდა და თანაც უჩვეულო დროს, ჰელსინკიდან ოლიმპიელთა დაბრუნების შემდეგ). მაგრამ ეს საშუალებანი ცუდად გამოვიყენეთ, — ნაკრების სტაბილური ძირითადი შემადგენლობის დადგენა ვერა და ვერ მოხერხდა. თუ დაცვაში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო, თავდასხმის ხუთეულის შემადგენლობა ყოველ თამაშში ახლებურად გამოიყურებოდა. ეს „სახე-

ცვლილებანი“ ხდებოდა არა მარტო ოლიმპიადისწინა ამხანაგურ შეხვედრებში, არამედ თვით ტურნირის პერიოდშიც. რა გასაკვირია, რომ კარგად შეთამაშებული ანსამბლი ფორვარდებისა ვერ მივიღეთ.

მინდა ისიც ვთქვა, რომ იუგოსლავებთან განმეორებით მატჩში ჩვენი დამარცხების მთავარი მიზეზი იყო არა დაღლილობა, არა ტექნიკური თუ ტაქტიკური ჩამორჩენილობა, არამედ საჭირო მომენტში „დამატებითი ძლიერების“ გამონახვის უუნარობა. მაშინ საიდან და რატომ უნდა ჰქონოდათ ყოველივე ეს ჩვენს მეტოქეებს? ამაში მათ სატურნირო ზრძოლის გამოცდილება დაეხმარა, რაც ჩვენ არ გაგვაჩნდა. იუგოსლავებს დაეხმარა ძალების ეკონომიურად ხარჯვის უნარი, რამაც საშუალება მისცა თანაბრად გაენაწილებინათ თავიანთი ძალები მთელი ტურნირის მანძილზე — პირველი შეხვედრიდან ფინალურ მატჩამდე. საქმე ისეთნაირად წარიმართა, რომ ჩვენმა ბიჭებმა წინადღეს გამართულ ასპარეზობას შეალიეს მთელი ძალ-ღონე, შეალიეს უკანასკნელ წვეთებამდე. იუგოსლავები უკვე მეორე ტაიმის დასაწყისში აღარ გრძნობდნენ მომაკვდინებელ ნერვულ დაძაბულობას, მოქმედებდნენ თავისუფლად, მშვიდად. ისინი ნაადრევად მოეშვნენ, რაც ჩვენ კარგად გამოვიყენეთ. მეტოქე მოგვიანებით მიხვდა თავის შეცდომას და მეორე დღეს სრული სიმძლავრით ამოქმედდა. ჩვენ კი ძალა აღარ შეგვწევდა იგივე იარაღით გვეპასუხნა, რადგან ძალიან ძვირად დაგვიჯდა წინადღის მატჩი: მან წარმოუდგენლად ბევრი ძალა წაგვართვა.

ასეთ ტურნირში მართლაც უნდა შეგეძლოს ძალის განაწილებაც და მისი ჭკვიანური ხარჯვაც. ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გამოცდილი გუნდები ნებას აძლევენ თავს ცალკეული შეხვედრები მთელი ძალით არ ითამაშონ (თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ესეც არაა გამორიცხული). მაგრამ, ჯერ ერთი, ნახევარი ძალით თამაში როდი ნიშნავს ნახევრად სერიოზულად თამაშს, და მეორეც, ჭკვიან, გამოცდილ ფეხბურთელს შეუძლია შესანიშნავად ითამაშოს და დაღლილობისაგან მუხლები არ ეკეცებოდეს. გუნდი-

სთვის გაღებული სარგებლობა მოთამაშის მიერ 90 წუთის განმავლობაში „დაგროვილი“ კილომეტრების რაოდენობით ხომ არ განიზომება?!

შეიძლება თუ არა ამ თვისებების გამომუშავება და გამოცდილების დაგროვება ისეთ ხანგრძლივ და ძნელ ტურნირებში, როგორიც ქვეყნის ჩემპიონატებია? არა, არ შეიძლება, არ შეიძლება უკვე იმიტომ, რომ ჩვენი შინაური ტურნირების მონაწილეთა ნერვული დაძაბულობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეედრება იმ გამოცდას, რომელსაც გადის სპორტსმენი მთლიანად საერთაშორისო მატჩებისგან შემდგარ ასპარეზობაში. და არ იქნება შესაძლებელი მანამ, სანამ არ ვისწავლით საერთაშორისო მატჩების გარჩევას მათი მნიშვნელობისა და სერიოზულობის მიხედვით, სანამ არ გადავეჩვევით ვუყუროთ მათ ბეცი ბუღალტრების პოზიციებიდან.

რაც უფრო ადრე დავთმობთ ამ პოზიციებს, მით უკეთესია.





თითქოს ეს დიდი ხნის წინათ იყო. რუმინელ ამხანაგებთან ერთად ავტობუსით მივდიოდით ბუქარესტის ქუჩებში... მასპინძლები გატაცებით გვიყვებოდნენ მშობლიური ქალაქის ახლო მომავალზე, ხვალინდელი დღის ბუქარესტზე, რომელიც ნანგრევებიდან აღდგება. ქალაქი მართლაც საშინლად დაზიანდა ომისაგან და ყველას კარგად გვესმოდა, რომ მისი აღდგენა იოლი საქმე როდი იყო.

და აი, რვა წლის შემდეგ ჩვენ კვლავ ბუქარესტში ვართ. მახსოვს, მაშინაც იმავე ქუჩებით წამოვედით აეროდრომიდან, ადგილები თითქოს ისაა და არც ისაა... გარშემო ყველაფერი შეუცვლიათ. ნანგრევებისაგან გაწმენდილ უშენ ადგილებზე მრავალსართულიანი სახლების კვარტალები გამწკრივებულა. აეროდრომიდან ქალაქში შესვლისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ახალმშენებლობათა უზარმაზარმა კომპლექსმა, რომლის მთავარ კორპუსს აგვირგვინებდა ძალიან გრძელი შპილი. ეს თურმე „სკინტეიას“

ახალი პოლიგრაფიული კომბინატია, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აუშენებიათ. და ასე ყველგან—ახალი, ახალი, ახალი...

ტაქტიკურად უფრო ძლიერად და მომწიფებულად წარმოგვიდგა რუმინეთის ფეხბურთიც. ჩვენი პირველი სტუმრობის შემდგომ წლებში რუმინელებმა საგრძნობლად აიმაღლეს თამაშის კლასი და ევროპული ფეხბურთის პირველ რიგებში გამოვიდნენ. საკმარისია გავიხსენოთ ეროვნული ნაკრების შედეგები, რომელიც 1953 წლის სექტემბერში ესტუმრა საბჭოთა კავშირს. სტუმრებმა, რომელთა შემადგენლობაში ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე ვიხილეთ, მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს (მოსკოვის „დინამოსთან“ — 1:3), ერთი ფრედ ითამაშეს („ზენიტთან“ — 2:2), დანარჩენი ორი კი ერთნაირი ანგარიშით — 2:1 მოიგეს (თბილისის „დინამოსთან“ და მოსკოვის „სპარტაკთან“). ასეთი შედეგებით იმ წლებში საუკეთესო საბჭოთა გუნდებთან ბევრი ვერ დაიტრაბახებდა! ჩვენს სტადიონებზე რუმინეთის სპორტსმენთა გამოსვლებმა გვიჩვენა, რომ მათ აქვთ მაღალი ტექნიკა, ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული და, რაც მთავარია, საგრძნობლად აუმაღლებიათ თავდამსხმელთა დამრტყმელი ძალა.

...აი, პირველი ნაცნობებიც: სასტუმროსთან თაიგულებით გვეგებებიან ნაკრების მოთამაშეები აპოლზანი, ენე, პეტშოვსკი, ბეკუცი, კელინოუ, ზავოდა და სხვები, რომლებიც სექტემბერში თბილისში გვეწვივნენ. უმალვე გაიბა მეგობრული საუბარი, მოგონებანი. ყველაზე შთამბეჭდავი და ამაღელვებელი კი მაინც აი, ეს შეხვედრა იყო: მასპინძელთა შორის გამოირჩეოდა მაღალი, ჭაღარაშერეული კაცი, რომლის გარეგნობა პირდაპირ გეუბნებოდათ, რომ იგი ძველი სპორტსმენი უნდა ყოფილიყო. იგი გამოდგა ბარატკი, — ბუქარესტის დინამოელთა ახლანდელი მწვრთნელი, რომელსაც 1945 წელს ჩვენს წინააღმდეგ უთამაშნია ცენტრფორვარდის როლში. მასპინძელთა სიურპრიზს ჩვენც სიურპრიზით ვუპასუხეთ — მოვიყვანეთ ჩვენი გუნდის მწვრთნელი ბორის პაიჭაძე, რომელმაც იმხანად რუმინელი მაყურებლების დიდი სიმპათია მოიხვეჭა და ერთერთ მატჩში თამაშობდა... ბარატკის წინააღმდეგ. მეგობრებმა იცნეს ერთმანეთი და საუბრისათვის უამრავი საერთო თემა გამოიძებნა.

არ ვიცი ვის როგორ, მაგრამ მე ასე მაქვს დაწესებული: ყოველ დღესასწაულს, თუ ეს ოდნავ მაინც შესაძლებელია, შინ შევხვდე და იგი ჩემი ოჯახის წრეში გავატარო. მართალია, ჩვენი დაუდეგარი სპორტული პროფესიის გამო ეს მუდამ როდი ხერხდება. კერძოდ, ორჯერ მომიხდა ზეიმის აღნიშვნა რუმინეთში: ჯერ იყო და აქ ჩვენი გუნდი შეხვდა ახალ, 1946 წელს, ახლა კი რუმინელ მეგობრებთან ერთად უნდა ვიდღესასწაულოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავი. 7 ნოემბერს, დილით, მთელი ჩვენი დელეგაცია მიიპატიჟეს საპატიო სტუმართა ლოჟაში, რომელიც მთავრობის ტრიბუნის გვერდით მდებარეობს. საღამოს კი ჩვენი ბიჭები სადღესასწაულო ილუმინაციით გაჩირაღდნებულ ბუქარესტში სეირნობდნენ.

ზეიმის წინადღეს, 6 ნოემბერს, ჩავატარეთ საწვრთნელი ვარჯიში სტადიონზე, რომლის სახელწოდება — „რესპუბლიკის სტადიონი“ — არაფერს გვაგონებდა. იგი ახალი ნაგებობა გვეგონა. მერე კი გამოირკვა, რომ 8 წლის წინათ ჩვენ სწორედ ამ მოედანზე გვითამაშნია. მაშინ მას სხვა სახელი ერქვა და ასე მშვენივრად არ გამოიყურებოდა: 45.000 ადგილიანი კაპიტალური ტრიბუნებისა და ფართო ტრიბუნებსქვეშა დარბაზების ნაცვლად იყო პატარა მიწაყრილი, რომელზეც 8—10 ათასი მაყურებელი იყრიდა თავს.

8 ნოემბერს კი ჩვენ ვიყავით სხვა გრანდიოზულ ნაგებობაზე — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალისთვის აშენებულ, 23 აგვისტოს სახელობის შესანიშნავ სტადიონზე. მართალია, აქ ჯერ-ჯერობით მოვედით როგორც მაყურებლები: უნდა გვენახა რუმინეთისა და პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი. იგი იმსაჯა ჩვენი დელეგაციის წევრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ნიკოლოზ ბალაკინმა. საინტერესო შეხვედრამ, რომელიც მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა (1:0), კიდევ ერთხელ ნათელყო, თუ რაოდენ გაიზარდა რუმინული ფეხბურთი.

ერთი დღის შემდეგ, 10 ნოემბერს, უკვე ჩვენ თვითონ გამოვედით მოედანზე ბუქარესტის თანაკლუბელებთან შესახვედრად. შემადგენლობა ასეთი იყო: მარღანია, ელოშვილი, რუსაძე, იურჩენკო (მოსკოვის „დინამოდან“), მახარაძე, ანთაძე, თოდრია, კ. გაგნიძე, ზაზროევი, ღოღობერიძე, ჭკუასელი (ამათ გარდა დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც ფიზკულტურის რესპუბლიკუ-

რი კომიტეტის თავმჯდომარე თ. სხირტლაძე ხელმძღვანელობდა, იყვნენ მწვრთნელები ბ. პაიჭაძე და მ. მინაევი, სახელმწიფო მწვრთნელი ბ. აპუხტინი, მოთამაშეები ნ. გაგნიძე, გოგლიძე, ზუბი (ხარკოვის „ლოკომოტივიდან"), კიტია, ვარდიმიადი, ა. კოტრიკაძე, ჯოჯუა, კალოევი, ლარიონოვი (კიევის „დინამოდან").

ბუქარესტის „დინამოში" თამაშობდნენ: ბერტაშუ, ფრუტი, ბეკუცი-II, ზოკო, ბეკუცი-I, ფლორესკუ, ბარტა, ნიკუშორი, ენე, ოზონი, სურუ. შვიდი მოთამაშე ეროვნულ ნაკრებში შედის — ორივე ბეკუცი, ფლორესკუ და ოთხი თავდამსხმელი (გარდა მარჯვენა გარემარბისა). განსაკუთრებით სახიფათოა ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი ენე. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში სექტემბრის ტურნეში რუმინელთა მიერ შვიდი გატანილი ბურთიდან ექვსი ენეს ეკუთვნოდა. თანამემამულეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე დინამოელთა კაპიტანი ოზონი. სწორედ ამიტომ მატჩისათვის მზადებისას განსაკუთრებული ყურადღება ამ ორი მოთამაშის დაჭერაზე გავამახვილეთ.

მაგრამ პირველი უსიამოვნება ამათ როდი მოგვაყენეს. მარჯვენა გარემარბი ჩვენს კართან კუთხურს აწოდებდა (ეს მოხდა მე-7 წუთზე), საიდანღაც მცველთა ზურგს უკან გამოვარდა სურუ და თავური დარტყმით ბურთი გაგზავნა კარის კუთხეში.

გატანილი ბურთის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს, რომელთა წამომწყები და გამტარებელი მარცხენა ფლანგზე მოქმედი ტრიო (ენე-ოზონი-სურუ) იყო. პირველი ტაიმის ნახევარი გავიდა, როცა ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს ელოშვილმა ფეხი იტკინა და მოედანი დატოვა. მოგვიხდა მოთამაშეთა გადაადგილება: ელოშვილის ადგილზე რუსაძე დავაყენეთ, ხოლო ცენტრალური მცველის მოვალეობანი გოგლიძეს დაეკისრა.

მასპინძელთა სტურმი დიდხანს არ გაგრძელებულა, შეტევათა ჩვენი ჯერიც მოვიდა. და თითქოს მეტოქეს ვბაძავთო, ჩვენც მარცხენა ფლანგიდან შევუტიეთ, სადაც ჭკუასელი აშკარად „ჩაგრავდა" თავის დარაჯს. ერთ მომენტში ჭკუასელმა მცველი მოედნის სიღრმეში გაიტყუა და ბურთი ფლანგზე გათავისუფლებულ ადგილზე ჩემსკენ გამოისროლა. მცველებმა წამით დააყოვნეს და

ამ მომენტის ხელიდან გაშვება არაფრით არ შეიძლებოდა. დავინახე, რომ ჩემი დარაჯი ბეკუცი მიხვდა თავის შეცდომას და მზადაა ვეფხვივით მეკვეთოს, — რადაც უნდა დაუჯდეს, ბურთი ამართვას, შეტევა ჩაფუშოს. ამრიგად, ჯერ არ ვიყავი ორთაბრძოლაში ჩაბმული და უკვე კიდევ ერთი კოზირი მივიღე. კიდევ ერთი იმიტომ, რომ ერთი კოზირი უკვე მქონდა — ბურთს ვფლობდი. წონასწორობიდან გამოსული მეტოქე — აი, ეს იყო ახალი, მეორე კოზირი. დაე, მეკვეთოს! ნუთუ ვერ ხვდება, რომ სწორედ ამას ვუცდი?

ამ ვითარებაში ბეკუცის მოტყუილება არ წარმოადგენდა სიძნელეს. ამას მოჰყვა ბურთის გადაცემა მარჯვნივ, კარისკენ შურდულივით გაჭრილ გაგნიძესთან. მან მკერდით „დაიჭირა“ ბურთი, უმალ დაუშვა ფეხზე და თითქმის კარის შეუხედავად დაარტყა. ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასპინძელთა კარს კვლავ ხიფათი ემუქრებოდა და ისევ მარცხენა ფლანგიდან, მაგრამ „შემსრულებლები“ უკვე სხვანი იყვნენ. კომბინაცია მახარაძემ წამოიწყო, ზაზროევმა ფლანგზე გადაინაცვლა და აქედან ბურთი კვლავ გაგნიძეს გადასცა. კარლო მზად იყო თავით დაერტყა კარში, მაგრამ მას წკიპზე მიუსწრო ცენტრალურმა მცველმა და ბურთი თავიდან „მოუხსნა“.

თუ პირველი ტაიმი თამაშის მხრივ ჩვენს მიერ არ იყო მოგებული და ანგარიში, ასე თუ ისე, ზუსტად შეეფერებოდა მოედანზე გამართულ პაექრობას, მეორე ტაიმიც არ წაგვიგია არც ტაქტიკურად, არც ტერიტორიულად, არც საგოლე მომენტებით. მაგრამ აი, მატჩის საბოლოო ანგარიში მაინც არ გამოდგა ჩვენს სასარგებლოდ: მარჯვენა ფრთაზე განხორციელებული ერთ-ერთი კომბინაციის შემდეგ, რომელიც ოზონის აქტიური მონაწილეობით გათამაშდა, მასპინძელთა მარჯვენა შუამარბმა მეორე ბურთი გაგვიტანა.

შემდეგ ბევრი ვეცადეთ, მაგრამ მეტოქეთა ყრუ დაცვის გადალახვა ვერასგზით ვერ მოვახერხეთ. ანგარიში 2:1 მსაჯის საფინალო სასტვენამდე უცვლელი დარჩა.

...წითელი ტილო თეთრი დიაგონალური ხაზით, რომელიც ჩვენი სპარტაკელებისას წააგავს,—ასეთია საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა სპორტსაზოგადოება „ფლამურა -როშიეს“ („წითელი

დროშა“) ემბლემა. ამ კლუბის გუნდი ქალაქ არადიდან ერთ-ერთი უძლიერესია რუმინეთში, — 1950 წლის ჩემპიონი და 1953 წლის გათამაშების მესამე პრიზიორი. მისი ექვსი ფეხბურთელი (მცველი ფარმატი, ნახევარმცველები სერფიოზე და რეინჰარდტი, თავდამსხმელები ვაცი, მერჩია და კარპინეცი) სხვადასხვა დროს ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა. ქალაქ არადის ფეხბურთელთა სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჩვენი ჩამოსვლის წინ მათ დაამარცხეს ავსტრიის ქალაქ გრაცის ნაკრები — 3:1.

არადში, სადაც მეორე გამოსვლა გვქონდა, 11 ნოემბრის ალიონზე გავფრინდით. ფეიქართა ქალაქი განსაკუთრებული სიხარულით შეგვხვდა. მე მგონია, რომ არადის არც ერთი სასურველი სტუმარი ამ ქალაქიდან ისე არ წასულა, მისი საფეიქრო კომბინატი რომ არ ენახა. და აი, ჩვენც მივდივართ ამ უზარმაზარი საწარმოს დასათვალიერებლად. ყოველ საამქროში გვეხვევიან იქ მომუშავე ქალთა დიდი ჯგუფები, იმართება გულითადი საუბრები. ფეიქრებს ჩვენ მომავალ მატჩზე ვპატიჟებთ.

მატჩს არადში სჯის ნ. ბალაკინი. ჯერ კიდევ ავტობუსში ვამჩნევთ, რომ იგი ჩვენზე არანაკლებად ღელავს. ხუმრობა საქმე როდია საერთაშორისო მატჩის მსაჯობა! ოდნავ წინ „გადავხტები“ და გეტყვით, რომ ჩვენი ამხანაგი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, თუმცა მატჩი მწვავე იყო და სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა.

ბუქარესტში გამოსვლამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ ჩვენ ფეხბურთელს (კერძოდ, კარლო გაგნიძეს) აქვს უდავო უპირატესობა სისწრაფეში, მაგრამ ამას ყოველთვის როდი ვიყენებთ. ეს გარემოება, როგორც გამოჩნდა, გაგვითვალისწინებია არა მარტო ჩვენ, არამედ „ფლამურა როშიეს“ მწვრთნელებსაც. ჩააყენებდა თუ არა ჩვენი მარჯვენა გარემარბი თავის დარაჯს ძნელ მდგომარეობაში, ამ უკანასკნელის საშველად ცენტრალური მცველი დუშანი მოიჩქაროდა. ეს გადაადგილება რამდენიმე ხნით აშიშვლებდა ზონას კარის წინ, რისთვისაც შეიძლებოდა დუშანის „დასჯა“. ეს „დასჯაც“ მე-15 წუთზე მოხდა: კარლო გაექცა მცველს და ის იყო გავიდა კბრთან, რომ მისკენ სწრაფად მომავალი ცენტრხავბეკი დაინახა. მან დაუყოვნებლივ ზუსტად გადაუგდო ბურთი ცენტრში კალოევს, რომელმაც თავური დარტყმით გაიტანა პირველი გოლი.

ეს გოლი შესვენებამდე ერთადერთი გამოდგა, თუმცა ცოტაოდენი უპირატესობა ჩვენს მხარეზე იყო.

გადავწყვიტეთ მეორე ტაიმშიც გაგვეგრძელებინა ფლანგური შეტევები, მხოლოდ ისინი ორივე მხრიდან გვეწარმოებინა. დასაწყისშივე ერთ-ერთი ასეთი გარღვევა კინაღამ გოლით დაგვირგვინდა, — გაგნიძემ მარჯვნიდან ჩამოკიდებული ბურთი შეუჩერებლივ, ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ მეკარე კიშმა მოასწრო მისი კუთხურზე გადაყვანა. კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი კი ყალოევმა კარის ძელს სულ რამდენიმე სანტიმეტრით გადააცილა.

მიმდინარეობდა 77-ე წუთი. არადელთა მარჯვენა გარემარბი ჰოპე ბურთით გავიდა თითქმის პირით ხაზამდე და იქიდან ჩააწოდა ცენტრში. ბურთი მიიღო მარცხენა გარემარბმა, თავით მძლავრად დაარტყა კარში, მაგრამ ბურთი მოხვდა ძელს და უკუიქცა. აქ იმარჯვა ცენტრფორვარდმა კოვაჩმა, რომელმაც დაასწრო ჩვენს მცველებს და ანგარიში გაათანაბრა.

არ გასულა ორი წუთიც, და ჩვენ კვლავ მოგვიხდა ცენტრიდან თამაშის დაწყება. ამჯერად რუმინელებმა შეტევა მარცხენა ფლანგზე წამოიწყეს და იგი საოცარი დარტყმით დააგვირგვინა მარჯვენა გარემარბმა. იგი ისეთ არახელსაყრელ მდგომარეობაში, ისეთი მახვილი კუთხით იდგა კარის მიმართ, რომ მისგან დარტყმას არავინ მოელოდა. მაგრამ მან მაინც დაარტყა და ბურთი ახლობელ მაღალ კუთხეში გავიდა. ასეთი რამ შეიძლება სიცოცხლეში ერთხელ მოგიხდეს, მეტად არა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მარღანიას არასწორი პოზიცია ეჭირა. მაგრამ რა დროს ფილოსოფიაა?! „ფლამურა ბროშიე“ წინაა — 2:1.

რუმინელები ცვლიან მოთამაშეებს, — დაცვაში ახალი ძალები შეჰყავთ. ჩვენც ვცვლით მოთამაშეებს, მაგრამ თავდასხმაში. უცებ ჩაება საქმეში მიშა ჯოჯუა, რომელმაც სიჩქარის ახალი ნაკადი შემოიტანა ჩვენს იერიშებში. რუმინელები სულ უფრო მჭიდროდ ჯგუფდებიან საკუთარი კარის მისადგომებთან. ასეთი „გროვის“ გარღვევა შეუძლებელი ხდება.

მატჩის დამთავრებამდე სამიოდე წუთი რჩებოდა, როდესაც მაპინძელთა ერთ-ერთმა მცველმა წესი დაარღვია და დაჯარიმდა. ერთხმად ვიღებთ გადაწყვეტილებას: არავითარი გათამაშება, საჭიროა პირდაპირი, ზუსტი დარტყმა კარში. ურტყამს ჯოჯუა, მძლავ-

რად ურტყამს, მაგრამ ბურთი ხვდება ძელს. უკუგდებულ ბურთისკენ სხვადასხვა მხრიდან გამოქანდნენ მეკარე კიში, ცენტრალური მცველი დუშანი და ჭკუასელი. მეკარემ უკვე ისკუპა და მე მომეჩვენა, რომ მომენტი დაკარგულია. მაგრამ სანამ კიში ძირს დაეშვებოდა და ძვირფას „ნივთს“ დაეპატრონებოდა, ჭკუასელმა რამდენიმე მეასედი წამით მიასწრო მას და ბურთს ცარიელი კარისკენ წაპკრა ფეხი. 2:2! ფრე მატჩში, რომელიც წაგებულად ითვლებოდა.

ყველაფერმა თითქოს კარგად ჩაიარა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ საქმე რიგზე არ იყო. რაოდენ ძლიერიც უნდა ყოფილიყო ჩვენი ორივე მოწინააღმდეგე, ბუქარესტისა და არადის შეხვედრათა შედეგები მაინც სულ სხვა უნდა ყოფილიყო; ეს, ალბათ, ასეც მოხდებოდა, მთელი ძალით რომ გვემოქმედა. სწორედ ამის შეგრძნება იწვევდა ჩვენში საკუთარი თავისადმი უკმაყოფილებას. რა უნდა გაკეთდეს, რომ დარჩენილი შეხვედრები უკეთ ჩავატაროთ? ამაზე ფიქრობდა დელეგაციის ყოველი წევრი.

საერთოდ, სენტიმენტალური ადამიანი არ გახლავართ და კარგად მაქვს გარკვეული, რომ სპორტი (განსაკუთრებით კი მისი ზოგიერთი სახეობა, კერძოდ, ფეხბურთი) ძლიერი და მამაცი ადამიანების ხვედრია, მაგრამ ოსტატობის, გამბედაობის, გამძლეობის გვერდით ყოველთვის მეზობლობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა განწყობილება, აღმაფრენა. ესენი, მერწმუნეთ, მხოლოდ პოეტსა და მსახიობს როდი ჭირდება, — ესენი საჭიროა ყველასათვის, საჭიროა ყოველგვარ საქმეში, თუკი მას სიყვარულითა და შემოქმედებითად უდგები. ისეთ თამაშშიც კი, როგორიცაა ფრენბურთი, სადაც სპორტსმენთა ფანტაზია მაქსიმუმ სამ პასში გათამაშებული კომბინაციებითაა შემოზღუდული, იქაც კი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ბრწყინვალე კოლექტივი იმპროვიზატორთა და იმპროვიზაციის გარეშე. აბა, რაღა ითქმის ფეხბურთზე, რომელშიც უსაზღვრო ტაქტიკური სივრცეებია და სადაც უფანტაზიო მოთამაშე ფრთამოტეხილ ჩიტს ემსგავსება!

ჩვენი გუნდი მუდამ გამოირჩეოდა ცეცხლოვანი, აზარტული თამაშით; ამ ცეცხლის ნაპერწკალი მხოლოდ ერთი ან ორი მოთამაშის სხეულში კი არ ენთო, არამედ თითქმის ყოველივეში. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ თუმცა ნამსახურობის ნუსხაში ჩვენ ცოტა

როდი გვაქვს მოგებული მატჩი, მაგრამ შეიძლება ამ დადებითი შედეგით დამთავრებულ თამაშებზე მეტი გვქონია საინტერესო შეხვედრები, რომელთაგან ზოგი იქნებ წაგვიგია კიდევაც. სწორედ იმპროვიზაციისადმი ლტოლვამ, მისმა სიყვარულმა დაბადა თავის დროზე ჩვენს კოლექტივში მოხეტიალე ფორვარდი, შანვე მისცა სტიმული ინდივიდუალურად ბრწყინვალე მოთამაშეთა გამოჩენას, რომლებიც ფლობდნენ ისეთ კოხტა და მრისხანე ტექნიკურ იარაღს, როგორიცაა ბურთით შემოვლა...

ასეთი აზრები გვიტრიალებდა თავში თითქმის მთელ გზაზე არადიდან კლუჟამდე. მივეგზავრებით კომფორტაბელური ავტობუსით, გასავლელი გვაქვს სამასამდე კილომეტრი, ასე რომ რუმინეთში ჩატარებული თამაშების გასააზრებლად საკმარისზე მეტი დროა. არ ვიტყვი, რომ ეს ორთაბრძოლები მაინცდამაინც ცუდად ჩავატარეთ. შემთხვევითი მარცხი თანაბარ თამაშში და ფრე ერ კიდევ არაფერზე არ მეტყველებდნენ. შორიდან კაცს მოეჩვენებოდა, რომ გუნდს უბრალოდ ბედი არ წყალობდა. მაგრამ ეს შორიდან... სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო.

პირველ მატჩზე, როგორც ამბობენ, მობილიზებული გამოვედით. მარცხის შემდეგ რევანში გვწყუროდა, მაგრამ ჩვენთვის დამახასიათებელი ცეცხლი და იმპროვიზაცია გვაკლდა, არ იგრძნობოდა ის თავისუფლება და სიმსუბუქე ბურთით მუშაობისას, რაც ჩვეულებრივ ახასიათებთ ჩვენს ბიჭებს შინ. ყოველივე ამის მაგიერ იყო რაღაც შებოჭილი, ურისკო თამაში და უცნაური სურვილი თვითდაზღვევისა, ბურთის დაკარგვის შიშით გამოწვეული „ნაღდი" მოქმედებისა. რატომ იყო ყოველივე ეს?

ბუქარესტშიც და არადშიც ჩვენს წინააღმდეგ თამაშობდნენ გუნდები, რომელთა ბევრ ფეხბურთელს ჰქონდა საერთაშორისო შეხვედრათა სოლიდური გამოცდილება და დიდი სტაჟი როგორც თავიანთი კლუბების, ისე ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

ვინ გამოვიდა მათ წინააღმდეგ? ჩვენი ახალგაზრდობა, ფეხბურთის ახალი თაობა, რომელმაც ეს-ეს არის შეცვალა ვეტერანები და რომელთა წარმომადგენლებმა მხოლოდ სამი-ხუთი საერთაშორისო მატჩის ჩატარება თუ მოასწრეს. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ზოგიერთისთვის ეს საერთოდ პირველი საზღვარგა-

რეთული მოგზაურობა იყო, ძნელი არ იქნება კაცმა გაიგოს, თუ რა განსხვავება იყო გუნდების გამოცდილებაში. აი, საიდან იბადება შიში. რა უნდა გვეღონა მის წინააღმდეგ, როგორ უნდა დაგვეძლია ეს გაუბედაობა? აქ საქმეს ლექციებითა და საუბრებით ვერ უშველით, საჭიროა ყოველივემ თავის კისერზე გადაიტანოს, გაიგოს და შეიგნოს, რომ არც ისეთი საშიში რამ არის ეს „საერთაშორისო მატჩი", რომ მისი თამაში საჭიროა ისევე, როგორც სხვა ჩვეულებრივისა — მშვიდად, დაჯერებულად, რწმენით, ჩვეული მანერით. ამგვარ ავადმყოფობას ერთადერთი წამალი კურნავს — დრო. მხოლოდ მატჩებს, ათეულ მატჩს, — სულ სხვადასხვაგვარი მასშტაბისა და მნიშვნელობის შეხვედრებს შეუძლია გააქარწყლოს მეტისმეტი მღელვარება უცხოეთის სპორტსმენებთან ყოველი მატჩის წინ.

გამგზავრებამდე ერთი თვით ადრე ჩვენ შინ შეეხვდით ინდოეთის ფეხბურთელებს „ისტ ბენგალ კლუბიდან". ესეც საერთაშორისო მატჩი იყო, მაგრამ ისეთი კი არა, რომ რაიმე ისწავლო, ან ახალგაზრდებს ასწავლო. სტუმრებს გამანადგურებელი ანგარიშით (9:1) მოვუგეთ. თუ კი ასეთი მატჩი აქტივში შეგვაქვს, ეს მხოლოდ „არითმეტიკისათვის". ახალგაზრდების გაკაჟებისათვის, საბრძოლო მდგომარეობაში მათი გამოცდისათვის, „ისტ ბენგალ კლუბის" ფეხბურთელებთან თამაშს, რა თქმა უნდა, ბევრის მოცემა. არ შეეძლო. მართალია, ამ მატჩის შემდეგ შინ ზედიზედ ჩვენი ორი დამარცხება (რუმინეთის ნაკრებთან და უნგრეთის დოჟას სახელობის კლუბთან) სერიოზულ გაკვეთილად უნდა გამხდარიყო, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, ამ თამაშების გასაანალიზებლად და დასკვნების გამოსატანად უბრალოდ დროც არ გვრჩებოდა.

და აი, თითქოს ინერციით, სეზონის დამლევს თბილისის სტადიონზე დაწყებული ჩავარდნები გრძელდებოდა რუმინეთში მოგზაურობისას. მეტოქენი სხვანი იყვნენ, შეცდომები კი იგივენი, რაც ერთი თვის წინ. მე მთელის სისრულით მქონდა შეგნებული ჩემზე დაკისრებული პასუხისმგებლობა კაპიტნისა. გარდა ამისა, მე ვიყავი გუნდის ერთ-ერთი გამოცდილი მოთამაშე, მაგრამ არ ვიცოდი, პრაქტიკულად რა უნდა გვეღონა, რათა გუნდს ხვალ დღეანდელ-

ზე უკეთესად ეთამაშა, ემოქმედა თავისი ძალისა და შესაძლებლობის შესაბამისად.

ასეთი უსიამოვნო ფიქრები დამეუფლა კლუჟისკენ მიმავალ გზაზე. არა მგონია, რომ შევძელი მწარე ფიქრებით გამოწვეული უგუნებო განწყობილების დაფარვა. ბიუებს გადავხედე. ისინიც ცუდ ხასიათზე იყვნენ, რაღაც დაბნეულად და განაწყენებულად გამოიყურებოდნენ. საკუთარ თავზე განაწყენებულად.

კლუჟში უნდა გვეთამაშა „შტიინცას“ („მეცნიერება“) საზოგადოების ადგილობრივ გუნდთან, რომელმაც რუმინეთის ჩემპიონატში VIII ადგილი დაიკავა. წინა მეტოქეთაგან განსხვავებით, „შტიინცა“ თითქმის მთლიანად ახალგაზრდა, სტუდენტი ფეხბურთელებისაგან შედგებოდა და თამაშის კლასითაც საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა მათ. ჩვეულებრივ პირობებში ჩვენ მას ნაღდად მოვუგებდით, მაგრამ ახლა ორთაბრძოლის შედეგის გამოცნობა ძნელი იყო. ყველა უსიამოვნებას, რომელთა შესახებ ზემოთ მოგახსენეთ, მატჩის წინ ერთიც დაემატა: ავადმყოფობის გამო ძირითად შემადგენლობას უეცრად გამოაკლდა სამი მოთამაშე — ელოშვილი, ანთაძე და მე.

თამაში კლუჟში ჩვენების მნიშვნელოვანი უპირატესობით წარიმართა. საგოლე მომენტები, განსაკუთრებით თამაშის პირველ წუთებში, მასპინძელთა კართან ზედიზედ შეიქმნა. მაგრამ „დინამოს“ თავდამსხმელები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ... კარში არაზუსტ დარტყმებში. კალოევმა, გაგნიძემ, ზაზროევმა და ჭკუასელმა ვერ გამოიყენეს კარის აღების ძალიან ხელსაყრელი მომენტები. საბოლოოდ მატჩი არ წაგვიგია, მაგრამ ვერც მოვიგეთ. ფრე — 1:1 — მხოლოდ ჩვენს მეტოქეებს. აძლევდა ხელს.

ჩვენი ტურნეს უკანასკნელი ეტაპია კლუჟიდან ბუქარესტში, სადაც გველის შეხვედრა უძლიერეს მოწინააღმდეგესთან — არმიის ცენტრალური სახლის (ცკა) გუნდთან — რუმინეთის უკანასკნელი სამი წლის ჩემპიონთან. აქედან მესამე გამარჯვება „არმიელებმა მოიპოვეს ჩვენს ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე. აი, მათი შედეგი: 28 ქულა 42 შესაძლებლიდან (11 გამარჯვება, 6 ფრე, 4 დამარ-

ცხება), ბურთების შეფარდება — 27:14. არმიელთა თითქმის მთელი ძირითადი შემადგენლობა შედის ეროვნულ ნაკრებში. კკა-ს ღირსებას იცავდნენ ჩვენთვის კარგად ცნობილი ფეხბურთელები — ტომა, ზავოდა-I, აპოლზანი, ონისიე, ბოიე, ტატარუ, ზავოდა-II და ნაკრების კაპიტანი პეტჩკოვსკი.

თამაში დანიშნულია 15 საათისათვის, მაგრამ სტადიონზე წასასვლელად თითქმის შუადღისას ავიშალეთ: მიგვიწვიეს ჰანდბოლში (ხელბურთში) ქალთა ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე. სპორტის ეს სახე რუმინეთში უაღრესად პოპულარულია და თაყვანისმცემელთა რაოდენობით მხოლოდ ფეხბურთს თუ ჩამოუვარდება. ხელბურთს თამაშობენ დიდები, ქალები, ჭაბუკები, ბავშვები... საწყენია, რომ ასეთი წარმტაცი თამაში ჩვენში არაა პოპულარული.

ხელბურთელები ჩვენ შევცვალეთ. მსაჯის ნ. ბალაკინის სასტვენის ხმაზე ბურთი თამაშში შევიყვანეთ და უმალვე შეტევაზე გადავედით. 10 წუთის განმავლობაში ვავიწროებდით მასპინძლებს, მაგრამ შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ: ჩვენს უხეირო, არაზუსტ დარტყმებს ერთი „უბედურებაც“ დაემატა — მეკარე ტომას ვირტუოზული თამაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში არმიელები ვერც ერთხელ ვერ მიუახლოვდნენ ჩვენს კარს, მაგრამ მათმა პირველივე კონტრშეტევამ ნაყოფი გამოიღო: ბურთმა სრულიად მოულოდნელად ჩვენს კარში ამოყო თავი. ეს მოხდა მე-17 წუთზე: მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო ტატარუმ, მასთან ერთად წინ გაირბინა და 20 მეტრიდან მძლავრად დაარტყა კარისაკენ. ბურთი დაბალ კუთხეში შევარდა და იძულებული გაეხდით თამაში ცენტრიდან დაგვეწყო. ორი წუთის შემდეგ ზაზროევი გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე, კარგად მიაწოდა ცენტრში კალოევს, რომელმაც ჩვეული ოსტატობით მძლავრად დაარტყა თავით ზედა კუთხეში. გოლი ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მოხდა გასაოცარი რამ: ტომა წარმოუდგენელი ნახტომით შეწვდა ბურთს და იხსნა კარი. ასეთი შესაძლებლობა მატჩის ბოლომდე უკვე აღარ გვქონდა. მართალია, შესვენებამდე ჭკუასელმა და მე ახლო მანძილიდან ზედიზედ ორჯერ დავარტყით კარ-

ში და ორჯერვე ტომამ უკუაგდო ბურთი, მაგრამ ისინი ოდნავადაც ვერ შეედრებოდნენ იმ ბურთს, რომელიც მეკარემ აიღო კალოევის თავური დარტყმის შემდეგ.

მთელი მეორე ტაიმი მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ბრძოლის აზარტმა გაგვიტაცა და ისე ავთამაშდით, როგორც რუმინეთის არც ერთ სტადიონზე, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ მოვახერხეთ. მატჩი წაგებულ იქნა — 0:1.

... პირველად ვბრუნდებოდით ტურნედან უარყოფითი ბალანსით.



ისევე, როგორც შვიდი წლის უკან, ახლაც უცხოეთში გასამგზავრებლად ვემზადები, ვემზადები ცალკე, ჩემი მშობლიური გუნდის გარეშე. მოსკოველ თანაკლუბელებთან ერთად სულ რამდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრები საფრანგეთსა და შვეიცარიაში. ჩემ გუნდს ალბათ ექნებოდა კიდეც უცხოეთში საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად, გამგზავრების პრეტენზია, საკავშირო ჩემპიონატი ისეთივე შედეგებით რომ დაგვემთავრებინა, როგორიც სტარტზე გვქონდა.

პირველი წრე ჩვენ ურიგოდ როდი ჩავატარეთ და 15 ქულით (6 გამარჯვება, 3 ფრე, 3 დამარცხება, ბურთების შეფარდება 19:15) ლიდერთა ჯგუფში მივდიოდით. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ყველა შესაძლებლობა გვაქვს გავიმეოროთ 1953 წლის წარმატება, როდესაც II ადგილი მოვიპოვეთ. მაგრამ მოულოდნელად გუნდმა ძალიან სუსტად ითამაშა მეორე წრეში (7 დამარცხება, 2 ფრე, 3

მოგება, ბურთების შეფარდება 20:32) და საბოლოოდ VIII ადგილზე აღმოჩნდა. საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობის ისტორიის მთელ მანძილზე თბილისის „დინამო“ საპრიზო ადგილებიდან ასე შორს არასდროს არ „გადავარდნილა“.

ამჟამად არ ვაპირებ ჩვენი წარუმატებლობის ანალიზის გაკეთებას. მაგრამ, როდესაც შემოდგომაზე ბევრი საბჭოთა გუნდი საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად უცხოეთში გაემგზავრა, ჩვენ ასეთი ნდობა არ გამოგვიცხადეს. მაშინ მე, ისევე, როგორც ბევრმა ჩემმა თანაგუნდელმა, გადავწყვიტე, რომ სუსტი თამაშისათვის კოლექტივი სამართლიანად იქნა დასჯილი: ასეა თე ისე, ჩვენი გუნდის თითქმის ყველა მოთამაშისათვის სეზონი დამთავრდა ჩემპიონატის დასასრულთან ერთად. მაგრამ ყველასთვის ეს ასე როდი მოხდა.

სექტემბრის ბოლოს მოსკოვში დეპეშით გაგვიძახეს ვლადიმერ მარღანია და მე. მოსკოვის დინამოელებთან ერთად ჩვენ ლონდონის სახელგანთქმულ კლუბ „არსენალთან“ შესახვედრად უნდა მოვმზადებულიყავით. ამ მატჩის შემდეგ, რომელიც მოსკოველებმა მოიგეს (5:0), გვითხრეს, რომ ახალი ჩემპიონი საფრანგეთსა და შვეიცარიაში მიემგზავრება, სადაც განზრახულია 5 მატჩის ჩატარება. დელეგაციის შემადგენლობაში ჩვენც შეგვიყვანეს: მარღანია, მე და ვ. კარპოვი, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ ნახევარმცველი. დელეგაციას ხელმძღვანელობს ვ. ბუროვი, „დინამოს“ მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე. თან გვახლავან მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატები მიხეილ იაკუშინი და ვსევოლოდ ბლინკოვი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვიქტორ არხიპოვი, რადიოკომენტატორი ვადიმ სინიავსკი.

18 ოქტომბერი. მოსკოვიდან ორ ჯგუფად მივფრინავთ. „პირველჯგუფელებს“ (კერძოდ, მე და მარღანიას) ბედმა გავვიღიმა: პრაღაში, სადაც უნდა გადავმჯდარიყავით ფრანგული ავიაკომპანიის „ერ-ფრანსის“ თვითმფრინავში, ხუთი თავისუფალი საათი აღმოგვაჩნდა. იმათთვის, ვინც პირველად დაადგა ფეხი ჩეხოსლოვაკიის მიწაზე, ამ დროის უქმად გაცდენა როგორ იქნებოდა! აბა, როგორ არ გაისეირნებ და არ დაათვალიერებ, თუნდაც ნაუცბათევად, „ზლატა პრაღას“. მე აქ უკვე ვიყავი, როდესაც 1947 წელს ცდკა-ს შემადგენლობაში ჩამოვედი, ვნახე თვალწარმტაცი პრაღაცა და ჩე-

ხოსლოვაკიის სხვა ქალაქებიც შემოდგომის თვალისმომჭრელ მოკაზმულობაში, როდესაც ზაფხულმა ჯერ მთლიანად ვერ დათმო თავისი პოზიციები, ოქროს ფერმა კი უკვე თავისებურად მოავარაყა ხეები.

ტევადი, კომფორტაბელური ოთხძრავიანი თვითმფრინავით პრაღიდან პარიზამდე გადაფრენამ სამსაათნახევარი დაიჭირა. ასე, რომ 18 ოქტომბერს, 19 საათისათვის ორლის აეროდრომზე დავეშვით. ჩვენს დასახვედრად თავი მოუყრიათ საფრანგეთის სპორტული და დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, პარიზის პრესის მუშაკებს, აგრეთვე საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებს.

ზუსტდება ჩვენი შეხვედრების გრაფიკი. როგორც ნავარაუდევი იყო, პირველი მატჩი გველის ბორდოში ადგილობრივ „ჟირონდასთან“, შემდეგი—მარსელში ქალაქ ლილის გუნდთან და, ბოლოს, პარიზში — „რესინგისა“ და „რეიმსის“ ნაკრებთან.

„ჟირონდა“ ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. სულ რაღაც ოთხიოდე თვის წინათ ეს კლუბი სტუმრად იყო ჩვენს ქვეყანაში და, სხვათა შორის, თბილისშიც გამოვიდა (გაგახსენებთ, რომ ეს მატჩი ჩვენ მოვიგეთ 4:0. წააგო „ჟირონდამ“ დანარჩენი ორი შეხვედრაც: მოსკოვის „დინამოსთან“ — 1:6 და „სპარტაკთან“ — 2:3). საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ „ჟირონდას“ წარმომადგენელმა პიუჟოლმა „იუმანიტეს“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ რადგან სსრ კავშირში გამგზავრება მოულოდნელად მოუხდათ, თანაც საფრანგეთის პირველობა უკვე დიდი ხანია დამთავრებული იყო, კლუბის რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელმა ვერ შეძლო წამოსვლაო. ამიტომ, თქვა პიუჟოლმა, „ჩვენ ვერ წარმოვადგინეთ საუკეთესო ფრანგული ფეხბურთი. მაგრამ ჩვენი ტურნეს არსი იმაში მდგომარეობდა. რომ აღდგენილიყო ჩვენს შორის დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი კავშირი... აუცილებელია, რომ ეს კავშირი კიდევ უფრო გაფართოვდეს. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ ამ პირველი კონტაქტით. ამას კიდევ უნდა მოყვეს სხვა შეხვედრები. ახლა ჩვენ საბჭოთა გუნდს საფრანგეთში ველით. დარწმუნებული ვარ, რომ მას მიიღებენ ჩვენთან ისეთივე სიმპათიითა და გულთბილობით, როგორსაც ჩვენ საბჭოთა კავშირში შევხვდით“.

„ჟირონდას“ დაბრუნების შემდეგ ფრანგულ ფეხბურთში მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოვლენები მოხდა, ამაღლდა თამაშის კლასი, გამრავალფეროვნდა ტაქტიკა. მრავალმა კლუბმა, მათ შორის ჩვენმა მომავალმა მეტოქეებმა, ზაფხული საერთაშორისო შეხვედრათა ჩასატარებლად გამოიყენეს. მაგალითად, ქ. რეიმსის გუნდმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურნირში, რომელიც დასავლეთი გერმანიის კლუბმა „შალკე-04“-მა გამართა. ფრანგებმა სძლიეს იუგოსლავიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს — „ჰაიდუკ-სპლიტს“ ანგარიშით 4:3, მაგრამ ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ ავსტრიის პოპულარულ „რაპიდთან“. საინტერესოა, რომ ამ ტურნირის შემდეგ „რაპიდი“ საფრანგეთში გაემგზავრა, კვლავ შეხვდა „რეიმსს“ და ისევ გაიმარჯვა, ამჯერად 1:0. ამის შემდეგ „რაპიდმა“ მოუგო „რესინგს“ (3:1), მაგრამ დამარცხდა „ტულუზასთან“ (3:4).

ავსტრიელთა ამ წარმატებულმა ტურნემ საფრანგეთში უკვალოდ როდი ჩაიარა. საფრანგეთის პროფესიონალური კლუბების გაზრდილი ინტერესი კონკრეტულ საქმეში გადაიზარდა: ჩვენს ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე „რესინგი“ შეივსო ავსტრიელთა უძლიერესი მცველით ჰაპელით.

ახლა რამდენიმე სიტყვა საშინაო შეჯიბრებებზე. საფრანგეთის 18 უძლიერესი გუნდი აგვისტოდან იბრძვის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად და, მაშასადამე, ჩვენი ჩამოსვლისთვის გუნდები უკვე იყვნენ საბრძოლო ფორმაში. ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგეთაგან ჩემპიონატში იმხანად სხვებზე უკეთ გამოდიოდა „რეიმსი“, რომელსაც მეცხრე ტურის შემდეგ 11 ქულით III ადგილი ეჭირა. 2 ქულით ნაკლები ჰქონდა ქვეყნის ჩემპიონსა და თასის ოთხგზის მფლობელს — ქალაქ ლილის სპორტკლუბის გუნდს. ამდენივე ქულა მოაგროვა „ჟირონდამაც“, რომელმაც წარუმატებლად დაიწყო გათამაშება, მაგრამ შემდგომში გამოასწორა საქმე. ამრიგად, ასპარეზობა გველოდა სერიოზულ და კარგად მომზადებულ მეტოქეებთან.

იმ დღეების ფრანგული ფეხბურთის სრული დახასიათებისათვის საჭიროა დავამატოთ კიდევ ერთი რამ: V ნოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლობის შემდეგ (სადაც ფრანგები მეოთხედფინა-

ლისტთა რიცხვშიც კი ვერ მოხვდნენ) ნაკრებმა გუნდმა რადიკალური ცვლილებანი განიცადა, იგი შეივსო ახალგაზრდა ფეხბურთელებით. სწორედ საფრანგეთის ამ სახეშეცვლილმა ნაკრებმა 16 ოქტომბერს (ე. ი. ჩვენს ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე) დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი — დასავლეთი გერმანიის ნაკრები.

...19 ოქტომბრის დილით, „კოლომბის" სტადიონზე პირველი ვარჯიშის ჩასატარებლად მივემართებით. გასახდელში ჩასვლამდე დავათვალიერეთ ეს სასპორტო ნაგებობა, რომლის ტრიბუნები 50.000 მაყურებელზეა გათვალისწინებული. ყველაზე ძალიან იმან გაგვაკვირვა, რომ გარდა ცენტრალური მოედნისა, სტადიონს აქვს კიდევ ცხრა(!) მშვენიერი, ბალახით დაფარული სწორზედაპირიანი მინდორი.

ჩვენმა წვრთნამ ბევრი მაყურებელი მიიზიდა, რომელთა შორის იყვნენ არა მარტო მოყვარულნი, ჟურნალისტები და ფოტორეპორტიორები, არამედ, როგორც მოგვიანებით გვითხრეს, ფეხბურთის მრავალი სპეციალისტი და ფეხბურთელები. არ ვიცი რა აზრისა იყვნენ ისინი, მაგრამ ჩვენ ვარჯიშით კმაყოფილნი დავრჩით: თამაში ასეთ გაზონზე დიდი სიამოვნებაა, ბურთი ყოველთვის „გიჯერებს" და მასთან მუშაობა ადვილი და საამოა.

იმავე დღეს ვეწვიეთ საბჭოთა საელჩოს, სადაც მიგვიღო ელჩმა ს. ვინოგრადოვმა. იგი ყველას გაგვეცნო, გველაპარაკა მომავალ თამაშებზე და წარმატება გვისურვა.

თვითეულ ჩვენგანს პარიზზე ბევრი წაუკითხავს და გაუგონია ძალიან გვწყდება გული, რომ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ მის დათვალიერებას. სამწუხაროა, მაგრამ ამისთვის ჯერ არ გვცალია; ჩვენ აქ ტურისტებად ხომ არ ჩამოვსულვართ! იმავე საღამოს მივემგზავრებით ბორდოში, სადაც 21 ოქტომბერს პირველი შეხვედრა გვაქვს.

ჩქარმა მატარებელმა (იგი ჩქარი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, — „მივფრინავდით" საათში 120 და მეტი კილომეტრის სისწრაფით), ჟირონდას დეპარტამენტის ცენტრში ჩაგვიყვანა. გვიანი დროის მიუხედავად, ბორდოს ვოგზალზე დაგვხვდნენ საფრანგეთის ფეხბურთის კავშირის წარმომადგენელი პიუჟოლი, „ჟირონ-

დას“ კლუბის დირექტორი ბუშე, გუნდის მწვრთნელი ანდრე ჟერარი, ადგილობრივი და პარიზის პრესის წარმომადგენლები.

წვრთნის შემდეგ შევუდექით ქალაქის გაცნობას. ყველგან, სადაც კი ჩვენი დელეგაციის წევრები გამოჩნდებოდნენ, — სტადიონზე, ქუჩაში, თუ სასტუმროში, უმალვე გულთბილი, მეგობრული ვითარება იქმნებოდა. ვგრძნობდით დიდ სითბოს, რომელსაც ამჟღავნებდნენ ბორდოელები საბჭოეთის ქვეყნის წარგზავნილებისადმი. „საუბარი“ ზოგჯერ გვიხდებოდა უთარჯიმნოდ, ჟესტების ენით, მაგრამ ჟესტიკულაცია ისეთი მეტყველი იყო, რომ ყველაფერი გასაგები ხდებოდა.

ბორდო არა მარტო ადმინისტრაციული ცენტრია, არამედ მსხვილი საზღვაო პორტი და სამრეწველო ცენტრი. იგი მდინარე გარონაზე მდებარეობს. აქ არის მეტალურგიული და მანქანამშენებელი, გემმშენებელი და თვითმფრინავმშენებელი ქარხნები, აგრეთვე ხისდამამუშავებელი, ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოები. ყოველივე ამას დავუმატოთ ისიც, რომ ბორდო მეღვინეობის ცენტრია და ნათელი გახდება, რომ ესაა ქალაქი მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული მუშათა კლასისა. ამიტომ იყო, რომ ვოგზლის ბაქანზე დამხვდურთა შორის, ისევე როგორც ჩვენს ვარჯიშებზე, ბევრი იყო სამუშაო კოსტუმსა და კომბინიზონში გამოწყობილი.

ბორდოელებთან ბევრი შეხვედრა გვქონდა. განსაკუთრებით დამახსომდა ერთი. მატჩის წინა დღეს, 20 ოქტომბერს, ქალაქის მერმა რატუშაში მოაწყო მიღება საბჭოთა სპორტსმენების პატივსაცემად. საღამო იყო. მივუახლოვდით თუ არა რატუშას, დავინახეთ: აქ შეყრილი უამრავი ხალხი. როგორც კი ჩამოვედით ავტობუსიდან, ხალხი შემოგვეხვია... გვესალმებოდნენ, მაგრად გვართმევდნენ ხელს, სიხარულსა და ჯღტაცებას გამოხატავდნენ... და რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაკვირვება, როდესაც რატუშაში ერთსაათიანი ყოფნის შემდეგ გარეთ გამოსულებმა, დავინახეთ კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი მასა, რომელიც მოთმინებით ელოდა მიღების დამთავრებას, გველოდა ჩვენ...

დაძინებამდე დარჩენილი რამდენიმე საათი გადავწყვიტეთ გა-
ვეტარებინა ქალაქის პარკში, რომელსაც გართობის პარკს უწოდე-
ბენ (დღის განაწესს, განსაკუთრებით მატჩის წინ, მკაცრად ვიცავ-
დით). გასართობი აქ მართლაც ბევრია — ტირი, კარუსელი, ამე-
რიკული გორაკები, ატრაქციონები, ათასნაირი ლატარია და აქ
ყველაზე პოპულარული, ჩვენთვის კი „უცხო ხილი“ — ელექ-
ტროავტომობილები. წარმოიდგინეთ პატარა შემოღობილი მოედა-
ნი, სადაც უთავბოლოდ მიმოდიან ერთიციცქნა ავტომობილები.
ისინი წამდაუწუმ ეჯახებიან ერთმანეთს, მაგრამ სწორედ ამაშია
გართობის „მარილი“. ყოველი მანქანა შემოსილტულია რეზინის
მრგვალი ამორტიზატორებით, რის გამოც მანქანები შეჯახების-
თანავე ბილიარდის ბურთებივით ერთმანეთისაგან გახტებიან ხოლ-
მე. განსაკუთრებით შავ დღეს აყრიან ახალბედებს: შეამჩნევენ თუ
არა მას, გამოცდილი „შოფრები“ გარს ერტყმიან ახალბედას, რაკ-
ლში მოიმწყვდევენ და პირდაპირ აბურთავებენ. ცხადია, „მო-
სეირნეთა“ შორის სრულებით არ ჩანან ქალები. თუმცა ერთი მაინც
ვნახეთ, — ეს იყო პარკის თანამშრომელი. იგი ქალების მიზიდვი-
სათვის განკუთვნილ ერთგვარ ცოცხალ რეკლამას წარმოადგენდა.

21 ოქტომბერი პირველი მატჩის დღეა. როდესაც დადგა მოე-
დანზე გუნდების გამოსვლის დრო (ეს კი მოხდა ორის ნახევარზე
ადგილობრივი დროით, რომელიც თბილისისას 3 საათით ჩამორ-
ჩება), გამახსენდა ბ-ნი პიუჟოლი: „ჟირონდა“ ჩვენს ქვეყანაში მარ-
თლაც არ ჩამოსულა სრული შემადგენლობით, მის რიგებში რამ-
დენიმე ახალ მოთამაშეს ვხედავდით. ჩვენი შემადგენლობა ასეთია:
იაშინი, როდიონოვი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, ბაიკოვი, სავდუნინი.
შაბროვი, ვ. ილინი, მამედოვი, სალნიკოვი, რიჟკინი.

უკვე პირველმა იერიშებმა წარმატება მოგვიტანა: მამედოვი
ბურთით კარგად შეიჭრა მეტოქეთა საჯარიმო მოედანში, მოატყუა
მეკარე ბერნარი და ბურთი ღიად მყოფ ილინს გადასცა. ცარიელ
კარში გოლის გატანა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. 1:0. ეს ან-
გარიში, „დინამოს“ საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, შესვე-
ნებამდე უცვლელი დარჩა.

მასპინძელთა შორის ყურადღებას იპყრობს ნახევარმცველების
გარიგისა (№ 5) და ოკურას (№ 6) ტექნიკური და პოზიციურად

სრულყოფილი თამაში. თავდამსხმელთა შორის გამოირჩევიან კარგიუ (№ 9) და აბდესალემი (№ 7). ეს უკანასკნელი წარმოშობით მაროკოელი ზანგია. იგი კარგად ფლობს ტექნიკას, თუმცა გარემარბისთვის რამდენადმე აკლია სისწრაფე.

მეორე ტაიმში ჩვენები უკეთ თამაშობენ, უფრო მეტად ფლობენ ბურთს, უტევენ გაცილებით მწვავედ და საზრიანად. მაგრამ ბურთი ჯიუტად არ მიდის კარში: სავდუნინი ორჯერ „ამოწმებს“ ძელის სიმაგრეს, რიჟკინი კი ოდნავ აყოვნებს და კარგავს ანგარიშის გაზრდის აშკარა შესაძლებლობას.

როდესაც თამაშის დამთავრებას 20 წუთი აკლდა, მამედოვი მე შევცვალე. განვაგრძობთ შეტევას... 75-ე წუთზე რიჟკინი მოწინააღმდეგის კარისკენ გაიჭრა. ერთ-ერთმა მცველმა მას ბურთი აართვა და იგი რატომღაც თავისი კარისკენ გაგზავნა. ბერნარი ეცადა ბურთის აღებას, მაგრამ იგი ხელიდან გაუვარდა. იქვე აღმოჩნდა რიჟკინი და მეორე გოლი გაიტანა.

მოედანს ტოვებს ტრავმირებული კრიჟევსკი. მას ცარიელი ცვლის, მაგრამ ფრანგი ფეხბურთელები მაინც ვერ ახერხებენ დაცვის ხაზის გარღვევას. მხოლოდ ერთხელ შეძლო „ჟირონდას“ ცენტრალურმა ფორვარდმა კარგიუმ იაშინთან პირისპირ დარჩენა, მაგრამ ახლო მანძილიდან პირდაპირ ხელებში დაურტყა ბურთი.

თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ბურთი ერთხელ კიდევ აღმოჩნდა ბორდოელთა კარში. ილინი მარჯვნიდან თითქმის პირით ხაზამდე გავიდა და კარგად ჩამოაწოდა საჯარიმო მოედანზე. ბურთზე სხვადასხვა მხრიდან დაუყოვნებლივ წამოვედით ბე და ფრანგთა მცველი. მთელი ფიქრი მიმართული იყო იქითკენ, რომ მეტოქისათვის დამესწრო ბურთის დაუფლება. დავინახე, რომ მცველი მხოლოდ ახლა აპირებდა ნახტომის გაკეთებას. ბურთი კარგად „დავიჭირე“ თავზე. ახლა იგი კარში უნდა გაიგზავნოს. მხოლოდ მეკარის ხელებისგან რაც შეიძლება შორს, კუთხეში. ამ ფიქრებით გართულმა, დარტყმა ვერც კი გავიაზრე. მაგრამ სწორად დამირტყამს, რადგან დავეშვი თუ არა მიწაზე, დავინახე, რომ ბურთი ბადეშია. 3:0. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, თვალის დახამხამებაში მოხდა

ბორდოში წარმატებით აღებულმა სტარტმა თითქოს ტონი მისცა ჩვენს მთელ ტურნეს. საკუთარი ძალისადმი ერთგვარი უნდობლობა, რაც აქამდე ცოტათი მაინც გვქონდა, უმალ გაქრა. თურმე „ჟირონდას“ (და არა მარტო „ჟირონდას“) დამარცხება თავის შოედანზეც, ასე ვთქვათ, მის სახლშიც, ყოფილა შესაძლებელი. ასეთი რწმენა ახლა მეტად საჭირო იყო, — ჩვენ ხომ საფრანგეთის პოპულარულ გუნდს, ქვეყნის ჩემპიონს — ქალაქ ლილის სპორტკლუბს უნდა შევხვდეთ. ეს მატჩი მარსელშია დანიშნული და ჩვენც სამხრეთისაკენ, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისკენ მივემგზავრებით. მარსელი პარიზის შემდეგ საფრანგეთის უდიდესი ქალაქი და მთავარი ნავსადგურია.

24 ოქტომბერი. ერთფეროვნებას ნუ დამწამებთ და გეტყვით, რომ პირველი, რაც მარსელის სასტუმროდან გამოსვლის შემდეგ გავაკეთეთ, იყო სტადიონის გაცნობა და ვარჯიშის ჩატარება.

თავაზიანმა მასპინძლებმა იმდენი ექსკურსია შემოგვთავაზეს, რომ მატჩამდე დარჩენილი ოთხი დღე აშკარად არ გვეყოფოდა. მაგრამ ის, რისი ნახვაც მოვასწარით, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დაგვრჩეს წარუშლელი შთაბეჭდილებანი საფრანგეთის სამხრეთზე და მეგობრისმოყვარე ფრანგ ხალხზე.

დიდი ინტერესით დავათვალიერეთ შატო-იფის კუნძული, მასზე მდებარე ციხე-სიმაგრით, რომელსაც უმღერა დიუმამ „გრაფ მონტე-კრისტოში“, ვიყავით მარსელის თეატრში, შემდეგ კი ვიმოგზაურეთ მსოფლიოში ცნობილი ფრანგული ცისფერი სანაპიროს კურორტებზე. ვიყავით კანსა და ნიცაში, მონტე-კარლოსა და სანრაფაელში, ამ მდიდრულ კურორტებზე, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდები ფრანგ და უცხოელ — უფრო ხშირად ამერიკელ და ინგლისელ—შეძლებულ ტურისტებს. ცისფერი სანაპიროს მშვენიერებანი ხელმისაწვდომია მხოლოდ მდიდრებისათვის, ბიზნესმენთათვის, უქნარა, შეძლებული მფლანგველთათვის. გასართობიც დამსვენებელთა გემოვნების შესაბამისადაა მოწყობილი: ყველგან აზარტული თამაშების სახლები-კაზინოები. სათამაშოდ აქ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან. განსაკუთრებით ბევრ: უცხოელია ნიცაში, ლაქვარდოვანი სანაპიროს უმდიდრეს და ულამაზეს კურორტზე.

...რაც უფრო ახლოვდება თამაშის დღე, მით უფრო ბევრს ვფიქრობთ მატჩზე. მე სხვებზე მეტად ვღელავ, რადგან მწვრთნელებმა განიზრახეს დამავალონ ჩემთვის ერთობ უჩვეულო (თანაც ასეთ კომპანიაში) როლი ცენტრალური თავდამსხმელისა.

მატჩის დღეს, 28 ოქტომბერს, მშვენიერი მზიანი ამინდი გამოვიდა.

— როგორც ჩვენთან, სოხუმში, — მეუბნება ვლადიმერ მარღანია.

უნდა შევნიშნო, რომ გუნდში სამი სოხუმელია: მარღანია, მე და გენადი ბონდარენკო, ნიაზი ძიაპშიპას, ნიკიტა სიმონიანისა და ვოვა მარღანიას თანატოლი და ძველი თანაგუნდელი.

თავდასხმაში გადაჯგუფების გარდა, შეიცვალა დაცვის ხაზიც: კრიჟევსკი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუარა ტრავმამ, კარპოვმა შეცვალა. მთლიანად შემადგენლობა ასე გამოიყურება: იაშინი, როდიონოვი, კარპოვი, კუზნეცოვი, ბაიკოვი, სავდუნინი, შაბროვი, ილინი, ღოღობერიძე, სალნიკოვი, რიჟკინი.

მატჩს საფრანგეთის ჩემპიონთან ჩვენ ვთვლიდით მთავარ გამოცდად, ქალაქ ლილის სპორტკლუბის გუნდს — „№ 1 მეტოქედ“ და, ბუნებრივია, მთელის სერიოზულობით ვემზადებოდით ამ შეხვედრისათვის. მისწრაფება ერთი გვქონდა — გამარჯვება და მხოლოდ გამარჯვება!

მატჩის პირველივე წუთებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ოცნება გამარჯვებაზე არც თუ ისე უნაყოფო იყო: ორჯერ ზედიზედ შეგვექმნა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა და მხოლოდ მღელვარებამ შეგვიშალა ხელი. პირველ შეტევათა ხიფათმა ჩაიარა, თამაში გადანაბრდა და ახლა ბურთმა ჩვენი კარისკენ გადმოინაცვლა. ოსტატობის დემონსტრირება უკვე იაშინსა და მცველებს უხდებათ. მაგრამ დაცვაში საქმე კარგად როდი მიდის, შეიმჩნევა კრიჟევსკის არყოფნა: კარპოვი, რომელსაც მანამდე არასოდეს უთამაშნია მესამე ნომრად, ზედმეტად ნერვიულობს და შეცდომებს უშვებს.

და მაინც პირველი ბურთი ჩვენ გაგვაქვს. შუა ტაიმში რიჟკინი გარღვევაზე გადის და ბურთს კარის გასწვრივ აწვდის. აქვეა ილინი, რომელიც შეუჩერებლივ ურტყამს — 1:0.

გადის სულ რამდენიმე წუთი და ჩვენი კომბინაცია კინალამ

ახალი გოლით დაგვირგვინდა. „კინალამ“ იმიტომ, რომ ილინის ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა

შესვენებამდე ანგარიში თუმცა მინიმალური დარჩა, მაგრამ მატჩის მსვლელობა კეთილ ბოლოს გვპირდებოდა. საქმე იმაშია, რომ ტექნიკურად და ლამაზად მოთამაშე ფრანგი ფეხბურთელები ჩვენსავით სწრაფები არ არიან (თუმცა მაღალ ტემპს ბოლომდე უძლებენ). უპირატესობა სიჩქარეში კი უდიდესი კოზირია.

მაგრამ გამარჯვების ზეიმი ჯერ ნაადრევი იყო. ის, რაც არ მოხდა პირველ ტაიმში, მოხდა მეორეში — კარპოვის ერთ-ერთი შეცდომა საბედისწერო გამოდგა და ფრანგების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბურბოტემ საპასუხო გოლი გაიტანა. და როგორც ეს ხშირად ხდება, პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა ლილის ფეხბურთელებს. იაშინის ბრწყინვალე ნატომი რომ არა, მათი მორიგი შეტევა ჩვენთვის ცუდად დამთავრდებოდა. იაშინი ძლივს მისწვდა ბურთს, რომელიც დაბალ კუთხეში მიდიოდა.

მერე ჩვენ ვუტევთ მთელი ხუთეულით, ზედიზედ ვაწვდით რამდენიმე კუთხურს, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს, მატჩის დასასრულამდე რამდენიმე წუთით ადრე, მოედანზე სალნიკოვს მამედოვი ცვლის. სანამ ფრანგები მიხვდებოდნენ, რომ ახალი მოთამაშის მთავარი იარაღია დრიბლინგი, მამედოვმა მოატყუა მცველი, შეიჭრა საჯარიმო მოედანში და გაიტანა ბურთი, რომელმაც ამ საინტერესო და ძნელ მატჩში გამარჯვება მოგვიტანა.

...საფრანგეთში უკვე ათი დღე ვართ, მისი დედაქალაქი კი ხეირიანად არ გვინახავს. მაგრამ ვიცით, რომ შეხვედრა ჭალაქთან, რომელსაც ყოველი ჩვენთაგანი სასკოლო მერხიდან იცნობს, ჯერ კიდევ წინაა, — პარიზში უნდა ჩავატაროთ უკანასკნელი მატჩი.

ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მოგონება, რომელიც დაგვრჩა საფრანგეთის დედაქალაქში ყოფნისაგან, ესაა გაზეთ „იუმანიტეს“ რედაქციის გაცნობა. მივიღეთ თუ არა ფრანგ კომუნისტთა მებრძოლი ორგანოს „იუმანიტეს“ კოლექტივისა და მისი ხელმძღვანელობის მიწვევა, ჩვენ, ცხადია, არ დავაყოვნეთ იქ წასვლა. ძალზე გაგვახარა იმ გულითადობამ და მეგობრულმა ვითარებამ, რომელიც სუფევდა რედაქციაში. ყოველივე ამან ჩვენზე განსაკუთრებული

შთაბეჭდილება მოახდინა. რედაქციაში ბევრი შეხვედრა და საუბარი გვქონდა, რომელთა შორის ახლაც დაუვიწყარია შეხვედრა გაზეთის მთავარ რედაქტორთან, მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან ანდრე სტილთან. თავისი შემოქმედებით იგი კარგადაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში.

ყოველივე, რაც კი ღირსშესანიშნავია პარიზში, მატჩამდე უნდა ვნახოთ, თორემ თამაშის შემდეგ ცოტა დრო გვრჩება. ჩვენი მარშრუტი პარიზიდან შვეიცარიაში მიდის. მაგრამ თამაშამდე თავისუფალ დროს მთლიანად ექსკურსიებს ხომ ვერ დავუთმობთ? საჭიროა წვრთნა, დასვენება, ძალთა მოკრეფა... წვრთნა წვრთნად რჩება, ცდუნება კი ძალზე დიდია და ჩვენც ყოველ თავისუფალ წუთს ქალაქის გასაცნობად გავრბივართ. მის ქუჩებში ისეთი გრძნობით დავდივართ, თითქოს აქ ოდესღაც უკვე ვიყავით და ახლა მხოლოდ ვიგონებთ ნაცნობ ადგილებს. აი, ეიფელის კოშკი, აი, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, აი, თანხმობის მოედანი, აი, ტრიუმფალური თაღი, — ყოველივე ეს შეგვხვედრია წიგნებსა და ალბომებში, ფოტოსურათებზე, ისტორიის სახელმძღვანელოებში, კინოფილმებში. ვიყავით აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავზე, მოვინახულეთ ინვალიდთა სახლი, სადაც ნაპოლეონის აკლდამაა, ვიყავით ვერსალის სასახლეში, ვიხეტიალეთ ბულონის ტყეში, დავათვალიერეთ სანთლის ქანდაკებათა მუზეუმი (მარტოდ ყოფნა იქ ცოტათი საშიშიც კია, ისე ბუნებრივად გამოიყურებიან „ექსპონატები"). ვნახეთ პარიზის კიდევ ერთი „ღირსშესანიშნაობათაგანი" — მდიდრული ძეგლებით სავსე ძაღლთა სასაფლაო.

ვნახეთ სხვა პარიზიც, — ქალაქი მუშათა კვარტალებისა და ღარიბთა რაიონებისა. სწორედ აქ ცხოვრობენ საფრანგეთის ყველაზე ჭეშმარიტი პატრიოტები, მისი მამაცი, შრომისმოყვარე შვილები.

...ჩვენი მესამე მატჩი უკვე რამდენიმე დღეა ფრანგული სპორტული საზოგადოების ყურადღების ცენტრში. „რესინგზე" დიდ იმედებს ამყარებენ. ეს გუნდი რევანშის აღების უკანასკნელი შანსია. მაგრამ სანამ თამაშზე შოგიყვებოდეთ, მინდა 18 წლით დავიხიო უკან და გავიხსენო 1946 წელს პარიზში გამართული ერთი მატჩი. იმ წელს აქ, პარიზის სტადიონზე, „რესინგი" შეხვდა მოსკოვის ორი

გუნდის — „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ნაკრებს. იმ სამახსოვრო მატჩში (რომელიც მოიგეს ფრანგებმა — 2:1) ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობდნენ მოსკოველთა შუამარბი მ. იაკუშინი და პარიზელთა ნახევარმცველი ჟურდანი. და აი, ორი ათეული წლის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ფეხბურთის მოედანზე, ამჯერად უკვე როგორც გუნდების მწვრთნელები.

თამაშის წინ გამოაცხადეს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე „რესინგი“ გაძლიერებულია „რეიმსის“ კლუბის ფეხბურთელებით. როგორც ჩანს, მარცხმა ბორდოსა და მარსელში, იძულებული გახადა ფრანგული ფეხბურთის ხელმძღვანელები „რესინგის“ რიგების გამაგრებაზე ეფიქრათ. ერთი სიტყვით, ამ დღეს ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად ეროვნული ნაკრების ცხრა მოთამაშე გამოვიდა. ჩვენმა წემადგენლობამ კი დიდი ცვლილებები არ განიცადა. კრიჟევსკის მომჯობინებამ საშუალება მოგვცა კარპოვი დაგვებრუნებინა ნახევარდაცვაში (ბაიკოვის ნაცვლად); ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა მამედოვი.

მატჩი დაიწყო— თავიდანვე ცხადი ხდება, რომ ფრანგები რევანშის ხასიათზე არიან: ტემპიც მაღალი შემოგვთავაზეს და სახიფათო შეტევებიც წამოიწყეს. მაგრამ რეალური საფრთხის წინაშე მაინც მათი კარი აღმოჩნდა, — მამედოვმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე ილინი, რომელმაც პირდაპირ მეკარეს მოახვედრა ბურთი.

როგორც წინა ორ შეხვედრაში, ფრანგები შეტევას ამჯერადაც მოკლე, ზუსტი გადაცემებით აწარმოებენ და ბურთის ფლობის ბრწყინვალე ტექნიკასა და პოზიციური თამაშის მშვენიერ გაგებას ამჟღავნებენ. ისინი მოხერხებულად აქარწყლებენ ჩვენ შეტევებს, თვითონ გადმოდიან მძაფრ კონტრიერიშზე და ბევრ უსიამოვნებას აყენებენ იაშინს. მაგრამ ყველაზე საშიში ჩვენი მეკარისთვის გამოდგა ბურთი, რომელიც მოულოდნელად ჩაჭრა კარის კუთხეში კუზნეცოვმა. კიდევ კარგი, იაშინმა მოასწრო მასზე რეაგირება.

...45-ე წუთია. მსაჯი წამმზომს დაცქერის... იგი, ალბათ, ახლა შეწყვეტს თამაშს და დასასვენებლად წავალთ. ანგარიში კი არ გახსნილა — 0:0-ა. და აი, სალნიკოვმა კოხტა ფინტით უკან ჩამოიტოვა მცველი და დარტყმაზე გაიყვანა შაბროვი, რომელმაც ლამაზი ბურთი გაიტანა. იგი ამ მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა. რამდენს

ეცადნენ ფრანგები ანგარიშის გაქვითვას, მაგრამ ამაოდ: ჩვენი დაცვა და მეკარე ბრწყინვალედ თამაშობდნენ.

ასე, ანგარიშით 1:0, მოვიგეთ უკანასკნელი, მესამე მატჩი საფრანგეთში. ვემშვიდობებით საფრანგეთს. ახლა გზა მეზობელ მაღალმთიან შვეიცარიისკენ გვიდევს. ეს ქვეყანა განთქმულია ალპების სილამაზითა და შესანიშნავად მოწყობილი სამთო კურორტებით, რომლებიც მთელი წლის მანძილზე მრავალ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს.

საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარი 6 ნოემბერს გადავკვეთეთ. რაც უფრო ღრმად შედის მატარებელი სამხრეთში, ვაგონების ფანჯრებიდან სულ უფრო ხშირად ჩნდება ხეხილის ბაღები და ვენახები. მათ ზემოთ ჩანან დათოვლილ მთათა თეთრად მოელვარე მწვერვალები და მთის კალთებზე მერცხლის ბუდეებივით შესკუპული კოშკები. მომხიბვლავი სურათია! მაგრამ ყველაზე ლამაზი სანახაობა ჯერ კიდევ წინ არის, — მივემგზავრებით ლოზანაში, რომელიც ჟენევის ტბის ნაპირას მდებარეობს. ტბა მართლაც რომ მშვენიერსა ხდის ამ მომაჯადოებელ კუთხეს. მთაგრეხილთა შორის დატყვევებული (შვეიცარია მთების ქვეყანაა, მარტო ალპების მასივს მისი ნახევარზე მეტი ტერიტორია უჭირავს) ტბა 100-ზე მეტი კილომეტრითაა გადაჭიმული, სიგანე კი ათჯერ ნაკლები აქვს. პირდაპირ წყალზე ეშვებიან ვენახები და ხეხილის ბაღები. მართალია, ყოველივე ეს ნოემბერში ისე ლამაზი არაა, როგორც გაზაფხულზე, ყვავილობის პერიოდში, ანდა ზაფხულში. მაგრამ წარმოდგენილი მაქვს, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს მიდამოები, ვთქვათ, აპრილში ან სექტემბერში. მოგვიანებით, ლოზანიდან მოვახდინეთ საინტერესო მოგზაურობა ტბის სამხრეთი ნაპირის გასწვრივ თვით ჟენევამდე.

ლოზანაში ყოფნის პირველივე დღე დაგვამახსოვრდა სრულიად მოულოდნელი, ასე ვთქვათ, დაუგეგმავი შეხვედრით. სასტუმრო „ლოზანაში", სადაც გავჩერდით, საღამოს გაიმართა გრანდიოზული მეჯლისი. დაპატიჟეს მთელი ჩვენი დელეგაცია. და აი, მეჯლისზე სტუმართა შორის დავინახეთ ბავშვობიდან ყველასათვის ცნობილი, უსაყვარლესი მსახიობი, მსოფლიო კინოხელოვნების უთვალსაჩინოესი მოღვაწე ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი.

ჩვენ ვიცოდით, რომ იგი დიდი ხანია გახიზნულიყო ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ბოლო არ უჩანდა მის უსაფუძვლო დევნასა და შევიწროებას. ვიცოდით ისიც, რომ ჩაპლინი შვეიცარიაში იყო დასახლებული და გულში ყველას გვქონდა მასთან შეხვედრის პატარა იმედი, მაგრამ რას ვიფიქრებდით, საყვარელ მსახიობს თუ ასე ჩქარა შევხვდებოდით!

პირველი შთაბეჭდილებით ძნელია დაიჯეროთ, რომ სწორედ ეს თმაშეერცხლილი, სოლიდური კაცი გახლავთ შემქმნელი ბედუკულმართი პატარა კაცის უკვდავი სახისა, ავტორი — უჩვეულოდ მრავალი, ორიგინალური ტრიუკისა. როდესაც ჩვენმა ერთგვარმა დაძაბულობამ გაიარა და ოფიციალურ ცერემონიებს მოჰყვა უშუალო, გულითადი საუბარი, ჩვენ დავინახეთ ნამდვილი ჩაპლინი, შესანიშნავი მოსაუბრე, მხიარული, მჭევრმეტყველი და თავის ასაკთან (იგი უკვე 65 წლისა იყო) შეუფერებლად მოძრავი და ენერგიული ადამიანი (რამდენიმე დღის შემდეგ დიდი ინტერესით დავათვალიერეთ ჩაპლინის სახლი დაბა ვევეში, რომელიც ლოზანიდან სულ რაღაც 20 კილომეტრითაა დაშორებული. ეს არის თვალწარმტაცი საკურორტო ადგილი. ჩაპლინს საუცხოო ვილა აქვს, რომლის ტერიტორიას ამშვენებს შესანიშნავი სპორტული ქალაქი პირველხარისხოვანი საჩოგბურთო კორტებით, საცურაო აუზით და სხვა მოედნებით).

მიღება შუაღამემდე გაგრძელდა, მაგრამ მეორე დილით ყველა ჩვეულებრივზე ადრე ადგა. გათენდა დღე, რომელიც ჩვენთვის მუდამ სასიხარულო ზეიმის დღეა. ეს იყო დიდი ოქტომბრის რევოლუციის 37-ე წლისთავი. დელეგაციის ხელმძღვანელებმა დღესასწაული მოგვილოცეს და შვეიცარიის ფეხბურთელებთან მომავალ შეხვედრებში წარმატებები გვისურვეს.

შვეიცარულმა ფეხბურთმა დიდი ხანია ჰპოვა აღიარება ევროპაში. მაგრამ იგი განსაკუთრებულად აყვავდა 1954 წელს, როდესაც ამ ქვეყანაში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. დებულების თანახმად, შვეიცარიის ეროვნული ნაკრები წინასწარ შეხვედრებში მონაწილეობის გარეშე, პირდაპირ ფინალურ ტურნირზე დაუშვეს (როგორც შეჯიბრების მომწყობი ქვეყანა). მიუხედავად ამისა, გუნდი ძალზე ენერგიულად ემზადებოდა ასპარეზობისათვის.

ჯერ კიდევ აპრილში შვეიცარიის ნაკრებმა მოუგო ჰოლანდიის ნაკრებს (3:1), საპატიო ფრეს მიაღწია მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონთან — ურუგვაის გუნდთან (3:3) და წააგო მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან — დასავლეთი გერმანიის ნაკრებთან (3:5).

მსოფლიოს პირველობის გათამაშებაში შვეიცარიელებმა ორჯერ სძლიეს იტალიელებს (2:1 და 4:1), შემდეგ კი წააგეს ინგლისელებთან (0:2). მეოთხედფინალში ისინი შეხვდნენ ავსტრიის ნაკრებს, რომელთანაც დამარცხდნენ უჩვეულო ანგარიშით 4:7, თუმცა მიყავდათ თამაში (3:0).

ცხელ-ცხელი მონაცემები ჩვენს მოწინააღმდეგეებზე ასეთი იყო: მსოფლიო პირველობის შემდეგ შვეიცარიის ეროვნულმა ნაკრებმა ორი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი გამართა დანიისა (1:1) და უნგრეთის (0:3) გუნდებთან, დაამარცხა იტალიის ჩემპიონი — მილანის „ინტერნაციონალე“ (2:1).

მრავალი უცხოელი სპეციალისტის აზრით, შვეიცარიელებს განსაკუთრებულად ძლიერი აქვთ დაცვის ხაზი. მაგრამ მცველები, რომლებიც მაღალ ტექნიკას ფლობენ, ზოგჯერ ინდივიდუალურობით სცოდავენ და ყოველთვის როდი გამოდიან გუნდის ინტერესებიდან. შვეიცარიელთა უარყოფითი მხარეა სუსტი ფიზიკური მომზადება. როგორც ჩანს, სწორედ ამ უკანასკნელ ფაქტორს მოუხდენია გადამწყვეტი გავლენა ავსტრიელებთან ზემოხსენებული შეხვედრის შედეგზე.

მე ასე დაწვრილებით შემთხვევით როდი ვწერ შვეიცარიის ეროვნულ გუნდზე. ჩვენი მომავალი მეტოქე, თუმცა მას ციურიხის და ლოზანის კლუბების ნაკრები შეარქვეს, ფაქტიურად ქვეყნის ნაკრებს წარმოადგენს, რომელშიაც (როგორც ეს თვით მასპინძლებმაც დაგვიდასტურეს) დიდი-დიდი კიდევ ორი ფეხბურთელი აკლია ჟენევიდან.

„დინამოს“ გამოსვლებისადმი ინტერესი ძალიან დიდია. ეს გასაგებიცაა: მოსკოვის „დინამო“ პირველი საბჭოთა გუნდია, რომელიც აქ ჩამოვიდა. უფრო მეტიც, საბჭოთა სპორტსმენები არასდროს არ შეხვედრიან შვეიცარიელ პროფესიონალურ ფეხბურთელებს, ისევე, როგორც შვეიცარიელები პირველად ხედავდნენ საბჭოთა ფეხბურთელების თამაშს. ჩვენამდე საბჭოთა სპორტი აქ

წარმოადგინეს მეთხილამურეებმა და მძლეოსნებმა, და უნდა ითქვას, კარგადაც წარმოადგინეს.

შვეიცარიის „პრემიერამდე“ — ჩვენს პირველ მატჩამდე — კიდევ ოთხი დღეა, რასაც ვარჯიშისთვის და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობისათვის ვიყენებთ. წარმტაცი და საინტერესო კი იმდენია, რომ მის დასათვალიერებლად მთელი თავისუფალი დროც კი ძლივს გვყოფნის. პირველ ყოვლისა, „ტრადიციულად“ ვეცნობით ლოზანის ცნობილ სტადიონს, იქ გველის პირველი წვრთნა და ერთ-ერთი ოფიციალური მატჩი. ეს სტადიონი ცნობილია იმით, რომ აშენებულია სპეციალურად ოლიმპიური თამაშებისათვის. მართალია, ეს თამაშები შვეიცარიაში არ შედგა — ომმა შეუშალა ხელი — მაგრამ სტადიონს დღესაც ოლიმპიურს უწოდებენ. საინტერესოა, რომ ოლიმპიურ თამაშებთანაა დაკავშირებული ლოზანაში სხვა სამახსოვრო ადგილებიც, — აქ მდებარეობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია და მუზეუმი. ეს უკანასკნელი მოწყობილია თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დამწესებლის, ფრანგი პედაგოგის პიერ კუბერტენის სახლში.

ლოზანა ჩვენი ერთგვარი „შტაბი-ადგილსამყოფელია“ შვეიცარიაში. აქედან გავდივართ ექსკურსიებზე, აქ ვბრუნდებით თამაშების შემდეგ. პირველი ექსკურსია სამხრეთისკენ გვაქვს, ჟენევაში. ეს ქვეყნის ერთ-ერთი შესანიშნავი, კოხტად და მდიდრულად გამართული ქალაქია, სადაც მთელი წლის განმავლობაში მრავალი ტურისტი ჩამოდის. ჟენევა მართლაც რომ ლამაზია, ლამაზია ტბებით, ბაღებით, ხეივნებით, სანაპიროებით, ძველი არქიტექტურული ნაგებობებით და ვილებით... იგი ლამაზია ღამითაც, როდესაც ქალაქის თავზე კიაფობს რეკლამების მრავალფეროვან შუქთა ოკეანე.

გიდის მონაყოლიდან ვგებულობთ, რომ თუმცა მდიდარ უცხოელ ტურისტებს აქეთკენ იზიდავს ბუნების მშვენიერება, მათ შვეიცარიაში „ეპატიჟება“ აგრეთვე სხვადასხვა მუსიკალური და სხვა სახის დიდი ფესტივალები, საერთაშორისო გამოფენები (მაგალითად, ავტომანქანებისა, საათებისა და ა. შ.), სპორტული შეჯიბრებები... კერძოდ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ტურისტთა ვეება ნაკადი შემოიჭრა აქ ზაფხულში, ჩვენი ჩამოსვლის წინ,

როდესაც ადგილობრივ სტადიონებზე ფეხბურთის მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობდა.

გვითხრეს ისიც, რომ ტბათა და მთებიდან წამოსულ მდინარეთა დიდი ნაწილი ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის კარგ პირობებს ქმნის. აქ მართლაც ბევრი ჰიდროელსადგურია — ექვსი ათასამდე (!). მაგრამ ისინი ისეთი დაბალი სიმძლავრისა არიან, რომ ადგილობრივი მრეწველობის მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებენ. აქვე უნდა ითქვას, რომ მრეწველობას შვეიცარიაში ძალზე პატარა ხვედრითი წონა აქვს. შვეიცარიის სამრეწველო პროდუქციიდან ყველაზე დიდი პოპულარობით მთელ მსოფლიოში, როგორც ცნობილია, საათები სარგებლობენ.

ჟენევიდან ლოზანაში ვბრუნდებით და აქედან, ჩვენი „შტაბიდან", მივემგზავრებით პირველი მატჩის ადგილზე — ციურიხში. ეს შვეიცარიის უმსხვილესი ფინანსიური და ადმინისტრაციული ცენტრია, სადაც თავმოყრილია ბანკები, სხვადასხვა ფირმათა და საქმიან წრეთა წარმომადგენლობანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი ქალაქის ნაკრების სახით ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდა ქვეყნის ნაკრები. მაგრამ ამან რადი უშველა მათ. მართალია, ანგარიშის გახსნა დიდხანს ვერ მოვახერხეთ (ჯერ სავდუნინმა, შემდეგ კი სალნიკოვმა მოარტყეს ბურთი ძელს), მაგრამ იმის შემდეგ, რაც ბაიკოვმა შორიდან გაიტანა ლამაზი გოლი (ეს სწორედ შესვენების წინ მოხდა), „დინამოს" აშკარა უპირატესობა „საგოლე" შესაბამისობას პოულობს: სალნიკოვი (ორჯერ) და მამედოვი აღწევენ წარმატებას და მატჩი მთავრდება ანგარიშით 4:0.

ჩვენს მეტოქეებს არც გულშემატკივრებით სავსე ტრიბუნების აქტიურმა მხარდაჭერამ უშველია. მხარდაჭერა კი ძალზე მხურვალე და... „მელოდიური" იყო: საქმე იმაშია, რომ თამაშზე იქ თითქმის ყველას მოაქვს სხვადასხვა სიდიდის ზარი თუ ეჟვანი. როგორც კი შვეიცარიელები მოედნის ჩვენს ნახევარზე გადმოვიდოდნენ, ატყდებოდა ეჟვნებისა და ზარების საშინელი რეკა.

პირველ შეხვედრაში მოპოვებულმა იოლმა გამარჯვებამ მოადუნა ჩვენი ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობა. საფრანგეთში გამართული მატჩებისა და აქ მოგებული პირველი თამაშის შემდეგ

უკვე ყველა ფიქრობდა, რომ შვეიცარიელები სერიოზულ მეტოქეებად არ შეიძლება ჩაითვალონ. აი, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ შემდეგი მატჩი იმავე გუნდთან (თამაში ლოზანაში, ოლიმპიურ სტადიონზე, 65 ათასი მაყურებლის წინაშე მიმდინარეობდა) ვეღარ მოვიგეთ.

აღმავლობით მოთამაშე შვეიცარიელი ფეხბურთელები პირველნი აღწევენ წარმატებას. შემდგომში ბაიკოვი ათანაბრებს ანგარიშს. თამაშში გარდატეხის შეტანის ყოველივე ცდა უშედეგოდ მთავრდება.

ეს იყო ტურნეს პირველი და ერთადერთი ფრე, — საწყენი, შაგრამ ჭკუის სასწავლი. ყოველი მოწინააღმდეგე, თუნდაც დიდი ანგარიშით შენს მიერ უკვე დამარცხებული, ყურადღებისა და პატივისცემის ღირსია. ლოზანის მატჩმა ერთხელ კიდევ გაგვახსენა ეს ჭეშმარიტება.

მაშ, ასე. ჩვენი ტურნეს შედეგი არც თუ ისე ცუდია: 4 გამარჯვება, 1 ფრე, 11 გატანილი და მხოლოდ 2 მიღებული ბურთი. ასეთი ბალანსით სამშობლოში დაბრუნება სამარცხვინო არ არის.



ვემგზავრებით

ზუსტად ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე და მარღანია მოსკოვის დინამოელებთან ერთად საფრანგეთსა და შვეიცარიაში გავემგზავრეთ. მაშინაც ოქროს ოქტომბერი იდგა. და ახლაც, 1956 წლის შემოდგომის დღეს, კვლავ სამგზავროდ ვემზადებით, ამჯერად თანაგუნდელ მეგობრებთან ერთად. მივემგზავრებით ახალ, ჩვენთვის უცნობ ქვეყანაში — ბულგარეთში. თუმცა „უცნობი"— ეს ზუსტი სიტყვა როდია. ჩვენ ბევრი რამ ვიცით ახალ ბულგარეთზე, რომელიც წარმატებით აშენებს სოციალიზმს, ბევრი გვსმენია მის შესანიშნავ, შრომისმოყვარე ადამიანებზე. და რა თქმა უნდა, ბევრი რამ გაგვიგონია მის პირველხარისხოვან ფეხბურთელებზე. მათ მხოლოდ გადმოცემით, ასე თქვათ, „დაუსწრებლად" როდი ვიცნობდით: 1952 წლის ივლისში თბილისის „დინამო" მოსკოვის სტადიონზე შეხვდა სოფიის ნაკრებ გუნდს და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1 (სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ეს იყო ბულგარელი სპორტ-

ბრაზილიელი ფეხბურთელები თბილისის სასტუმროს აივანზე.



მოსკოვის დინამოელები საფრანგეთში (მარცხნიდან მარჯვნივ): იაკუშინი, ბაიკოვი, ფედოსოვი, მარღანია, მამედოვი, ღოღობერიძე ნიცის სანაპიროზე.

საბჭოთა ფეხბურთელები პარიზში ყიდულობენ სუვენირებს.

სალნიკოვის ორთაბრძოლა „ყირონდას“ მცველთან.

„რეიმსთან“ დაძაბული მატჩის შემდეგ ფეიბურთელები გადიან მოედნიდან.

საბჭოთა ფეხბურთელებმა დაათვალიერეს ცნობილი ციხე-სიმაგრე კუნძულ იფზე (ქვედა ფოტო). ხოლო ვლადიმერ მარღანიამ იმ საკანშიც ეი გადაიღო სურათი, რომელშიც მრავალი წელი გაატარა ა. დიუმას რომანის გმირმა გრაფ მონტე-კრისტომ.

ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ (მარჯვნიდან მეორე) და ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი გ. სიხარულიძე (მარცხნიდან პირველი) რანგუნის სტადიონზე.

ბირმელი და ქართველი ფეხბურთელები თამაშის წინ ესალმებიან ერთმანეთს.

ქართველი ფეხბურთელები ბირმაში.





1950 წელი. თბილისელები პრაღის სტადიონზე ადგილობრივ „დინამოსთან“ თამაშის წინ.

სმენების ერთადერთი დამარცხება იმ ტურნეში; დანარჩენი ორი შეხვედრა მათ ფრედ დაამთავრეს).

ბულგარელთა ამ გამოსვლებმა საერთო მოწონება დაიმსახურა. მანამდე გაგონილი, ახლა საკუთარი თვალით ვნახეთ: ბულგარელები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, თამაშობენ ძალიან სწრაფ ტემპში და მაღალტექნიკურად. მათი თამაშის სისტემა განსხვავდება იმისაგან, რომელსაც ჩვენი, ან ვთქვათ, უნგრეთისა და პოლონეთის გუნდები იყენებენ. ბულგარელთა მცველები პერსონალურ დაცვას ზონაში თამაშს უხამებენ, კარგად მოქმედებენ კორპუსით; თავდამსხმელები ხშირად ინაცვლებენ ადგილებს, ძალზე მოხდენილად „იხსნებიან“ და თავისუფალ ადგილზე გადიან. გუნდი მიისწრაფის ითამაშოს რაც შეიძლება უბრალოდ და სადად, ფეხბურთელები კი, მაღალი ტექნიკის მიუხედავად, არ ამჟღავნებენ ინდივიდუალური თამაშით გატაცებას. როგორც მახსოვს, განსაკუთრებით მოგვეხიბლა ბულგარელთა გადაცემების მაღალმა ხელოვნებამ, როდესაც ბურთი მიწიდან ერთი-ერთნახევარი მეტრის სიმაღლეზე მიმოდიოდა.

...1956 წლის 3 ოქტომბერი. ვნუკოვოს აეროდრომს ჯერ განთიადი არ დაუფლებია. ჩვენი თვითმფრინავი ემზადება გაფრენისათვის მარშრუტით მოსკოვი — კიევი — ბუქარესტი — სოფია. დელეგაციის ყველა წევრს უკვე დაუკავებია თავისი ადგილი საჰაერო ხომალდში. აქ არიან: მეკარეები ვ. მარღანია და მ. პირაევი, მცველები ვ. ელოშვილი, ნ. ძიაშიპა, გ. ხოჭოლავა, ნახევარმცველები ა. კოტრიკაძე, ა. ღოღობერიძე, მ. დავარაშვილი, თავდამსხმელები ბ. ხასაია, კ. გაგნიძე, ზ. კალოევი, ა. ჭკუასელი, მ. მესხი, ა. ზაზროევი, შ. იამანიძე და გ. ქვლივიძე; მწვრთნელები გ. ჯეჯელავა და ა. კიკნაძე, მასაჟისტი ლ. კაპიტანოვი. დელეგაციას ხელმძღვანელობს გ. სიხარულიძე.

გზა მოსკოვიდან სოფიამდე არ იყო დიდი, — სულ, ჩასხდომის დროის ჩათვლით, მან 10 საათამდე დაიჭირა. მაგრამ იგი მომქანცველი გამოდგა რყევით, რამაც, როგორც იტყვიან, თვითეულ ჩვენგანს პირდაპირ სული ამოართვა. მაგრამ დავდგით თუ არა ფეხი ბულგარეთის მიწაზე, ყველა „საჰაერო“ უსიამოვნება გადაგვავიწყდა. მრავალ დამხვდურს შორის უმალ ვიცანით რამდენიმე მეტოქე მოსკოვის მატჩიდან — სოკოლოვი, არგიროვი, მანოლოვი, კოლევი.

ბევრი სხვა დედაქალაქისაგან განსხვავებით, აეროპორტი სოფიაში ქალაქის ახლო მდებარეობს და მას ბუნებაში ჩაფლული, ლამაზად ნაკეთები ქვაფენილის მაგისტრალით უკავშირდება. მოგვიანებით, როდესაც ქალაქს კარგად გავეცანით, დავრწმუნდით, რომ აეროპორტიდან მომავალი ამწვანებული გზის იდეალური ქვაფენილი მხოლოდ ამ მაგისტრალის საკუთრებას როდი წარმოადგენს, — ასე გამოიყურება სოფიის მრავალი ქუჩა.

გამოგიტყდებით, რომ ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ მივედით სასტუმრო „სევასტოპოლში", სადაც რამდენიმე დღე უნდა გვეცხოვრა. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მიწყნარდა პირველი შეხვედრის მღელვარება და ჩვენ მარტონი დავრჩით, ვიგრძენით, თუ რარიგ დაგვღალა გზამ. როგორც კი ნომრებში მოვთავსდით, წამსვე დავწექით და დავიძინეთ.

ძილმა გამოგვაშუშა და დილით კვლავ მხნედ და გუნებიანად გამოვიყურებოდით, მზად ვიყავით „მოვალეობის შესრულებას" თუნდაც ახლავე შევდგომოდით. მოვალეობა კი ყველასთვის კარგად იყო ცნობილი — რაც შეიძლება კარგად ჩაგვეტარებინა საპასუხისმგებლო მატჩები ბულგარეთში. ამიტომ დილის პირველი მარშრუტი, ჩვეულებისამებრ, სტადიონისაკენ იყო მიმართული. ტრადიციის თანახმად, ვვარჯიშობთ იმ მოედანზე, რომელზეც პირველი თამაში მოგველის. ეს სოფიას საუკეთესო სტადიონია და ბულგარელი ხალხის გმირული შვილის, რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი მოღვაწის ვასილ ლევსკის სახელს ატარებს, რომელიც თურქებმა 1873 წელს ჩამოახრჩეს.

სტადიონი 40 ათას მაყურებელს იტევს; იგი გაშენებულია სოფიას ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში, ქალაქის პარკში. აქვეა კალათბურთის პატარა, 5—6-ათასადგილიანი კოხტა სტადიონი, მრავალი სპორტული მოედანი, საცურაო აუზი და ტბა. მთავარი სტადიონის ერთ-ერთი უველაზე ტევადი ტრიბუნა — დასავლეთისა — თითქმის მთლიანად გადახურულია, რაც მაყურებელს სიცხისა და წვიმისაგან ფარავს. რაც შეეხება მინდორს, იგი მაინცდამაინც არ მოგვეწონა — ჩვენი, თბილისში, გაცილებით უფრო სწორია.

ვარჯიშის შემდეგ (რომელსაც ათას კაცამდე ესწრებოდა, როგორც სპეციალისტები, ისე მოყვარულებიც) რამდენიმე საათმა

გახვლო და ისევ მივედით ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე, ამჯერად როგორც ბულგარეთის პირველობის კალენდარული თამაშის მაყურებლები. ეს მატჩი ჩვენთვის განსაკუთრებით იყო საინტერესო, რადგან მოედანზე გამოდიოდა ჩვენი მომავალი მეტოქე— ბულგარეთის ყველაზე პოპულარული გუნდი, ჩემპიონატის ლიდერი, სამხედრო კლუბი ცდნა. ამ გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობა ეროვნულ ნაკრებში შედის. თუმცა არმიელებს შედარებით სუსტ მოწინააღმდეგესთან (ერთ-ერთი ქარხნის გუნდთან) ჰქონდათ საქმე და თანაც მატჩის შედეგი ლიდერის მდგომარეობას ვერაფერს დააკლებდა, ცდნა-მ აჩვენა სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთი, ბურთის ფლობა კომბინაციაში, ტაქტიკურად სწორი, „მჭიდრო“ თამაში დაცვაში. ერთი სიტყვით, ეს გამოცდილი, კარგად შეთამაშებული კოლექტივია, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ერთნაირად ძნელიცაა და სასიამოვნოც.

მაგრამ მეორე დილას გამოირკვა, რომ ცდნა-ს ჩვენთან თამაში არ შეუძლია და მის მაგივრად გამოვა სოფიის „დინამო“. ზუსტდება აგრეთვე ჩვენი შემდგომი მატჩების გრაფიკი: პლოვდივში შევხვდებით ადგილობრივ „სპარტაკს“, დიმიტროვში კი „მინიორს“ (რაც ქართულად „მაღაროელს“ ნიშნავს).

ზემოთ მოკლედ მოგახსენეთ ბულგარელ ფეხბურთელთა კლასზე. ახლა მსურს უფრო სრული წარმოდგენა შეგიქმნათ ფეხბურთის პოპულარობაზე ამ ქვეყანაში. საკმარისია რამდენიმე ციფრის მოტანა: ბულგარეთში 1956 წლისათვის იყო 7 ათასამდე გუნდი, რომლებიც 120 ათას ფეხბურთელზე მეტს აერთიანებდა. 1945 წლიდან რეგულარულად ტარდება ქვეყნის ჩემპიონატები, თავდაპირველად ერთ, შემდეგ კი ორ ჯგუფად („ა“ კლასი — 12 უძლიერესი, „ბ“ კლასი — ორი ქვეჯგუფი, 16—16 გუნდი თვითეულში), იმართება აგრეთვე პირველობები სოფიისა და ჭაბუკთა გუნდებისათვის. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ დიდი და სახელოვანი სპორტული ტრადიციების ქვეყანაში (საკმარისია გავიხსენოთ, რომ იგი ერთ-ერთია იმ ცამეტი ქვეყნიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ 1896 წლის პირველ ოლიმპიურ თამაშებში) ფეხბურთი უდავოდ ბრის „სპორტი № 1“. იგი არა მარტო უყვართ, არამედ იციან და ესმით. ესოდენ მომთხოვნი აუდიტორიის წინაშე კი ყოველთვის გსურს წარმატებით გამოხვიდე და სირცხვილი არ ჰქონ.

ზემოთ, ალბათ, შენიშნეთ, რომ მოთამაშე სულ თექვსმეტი ვიყავით. დღეს კი უეცრად მიშა პირაევი გამოვიდა მწყობრიდან. გუშინ ყველაფერი რიგზე იყო, ვარჯიშობდა, დღეს კი მწვავე ტკივილი იგრძნო და ექიმმა ბრძა ნაწლავის შეტევის დიაგნოზი დასვა. აუცილებელი შეიქმნა სასწრაფო ოპერაცია. მიშა საავადმყოფოში წაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს. ყველაფერი კარგად დასრულდა, მაგრამ ჩვენ, ისედაც მცირე მარქაფის პატრონები, ერთი მეკარითლა დავრჩით.

როგორ მოვიქცეთ? საჭიროებისას ვის ვანდოთ ადგილი კარში? დავარაშვილს? იამანიძეს? ქვლივიძეს? ყოველი მათგანი ძალზე ახალგაზრდაა და კარში კი არა, თავის ადგილზეც საკმაოდ მაგრად ღელავს. ისინი, რა თქმა უნდა, მარღანიას თანაშემწეებად ვერ გამოდგებიან.

რჩება კიდევ ზაზროევი, მას გამოცდილებაც აქვს და კალათბურთსაც კარგად თამაშობს. ანდრომ არ დაუცადა თავისი კანდიდატურის დასახელებას, იგი მან თვითონ წამოაყენა. მეკარის „ჯავშანი“ კიდევ ასე თუ ისე შეიძლებოდა ჩაგვეცვა მისთვის, რადგან ტრავმისაგან ჯერ საესებით არც კი იყო განკურნებული და ნატკენი ფეხი ხშირად „ახსენებდა“ თავს. შავ სვიტრს როცა აძლევდნენ, ანდრომ ღიმილით ინატრა: „ნეტავ, ეს სულაც არ დამჭირდესო“.

მატჩის დღეც დადგა. ჩვენი შემადგენლობა ასეთია: მარღანია, ელოშვილი, ძიაპშიპა, ხოჭოლოვა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ხასაია, გაგნიძე, კალოევი, ჭკუასელი, მესხი. მეტოქეთა შემადგენლობაში ბულგარეთის ბევრი პოპულარული ფეხბურთელია — მცველი აპოსტოლოვი, თავდამსხმელები აბაჯიევი, იორდანოვი და სხვები. მსაჯად მოწვეულია შვეიცარიელი ვიქტორ შიკერი.

თამაშის გეგმა დაწვრილებით შევიმუშავეთ, ისეთი დეტალებიც კი გავითვალისწინეთ, როგორიცაა მინდვრის ზედაპირი. მაგრამ ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე ჩვენს გეგმაში კორექტივები შეიტანა... ამინდმა. მანამდე იგი უქარო, თბილი იყო. უეცრად ცივ ჰირი შეიკრა და ამოვარდა ძლიერი ქარი. ცხადია, იგი მხედველობაში უნდა მიგვეღო. ყოველივე ამას დაემატა ისიც, რომ კენჭისყრით ჩვენ ქარის წინააღმდეგ უნდა გვეთამაშა. ეს კი იმას ნიშნავ-

და, რომ თამაში შეიძლება წარმართულიყო ბულგარელთა ტერიტორიული უპირატესობით და ჩვენი მეკარე და მცველები ყოველივე წუთს ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ ჩვენმა თავდამსხმელებმა ისე ჩინებულად დაიწყეს თამაში, რომ თითქოს ქარი მოწინააღმდეგის კარის მისადგომებთან მისვლას მათ ხელს კი არ უშლიდა, არამედ ეხმარებოდა კიდეც. ფორვარდთა აღტყინება წამსვე ყველას გადაგვედო და ასე მშვენივრად კარგა ხანია არ გვეთამაშნა. ანგარიშმაც, როგორც ამბობენ, არ დააყოვნა. გავიდა სულ რაღაც 6 წუთი და ჭკუასელმა მარჯვნიდან წამოწყებული კომბინაცია კარში უძლიერესი დარტყმით დააგვირგვინა.

ქარი არ ცხრება, მაგრამ მას აღარ ვგრძნობთ. ზევიდან, ვთქვათ თვითმფრინავიდან რომ გადმოიხედოს კაცმა, ეგონება, რომ ქარი საწინააღმდეგო მიმართულებით უბერავს. თამაში თითქმის სულ ბულგარეთის გუნდის საჯარიმო მოედანთან მიმდინარეობს. ერთ-ერთ მომენტში ჭკუასელმა მშვენივრად მოატყუა ორი მცველი, გაიჭრა კარისკენ, მაგრამ დარტყმა ოდნავ დააყოვნა და ბურთი აართვეს.

ამის შემდეგ სულ ორი-სამი წუთი გავიდა, თამაშმა ჩვენს კართან გადმოინაცვლა და სოფიელთა მარჯვენა გარემარბმა პეჩნიკოვმა ბრწყინვალე დარტყმით კარის მაღალ კუთხეში საპასუხო ბურთი გაიტანა. ამ გოლმა, როგორც ეს ხშირად ხდება, ცივი შხაპივით ხმოქმედა მასპინძლებზე: მათ „გაახსენდათ“, რომ შესვენებამდე დარჩენილ დროში უნდა გამოიყენონ მოკავშირის — ქარის დახმარება. მდგომარეობა მკვეთრად იცვლება — სიმძიმის ცენტრი ჩვენი კარის მისადგომებთან გადმოდის და ახლა „დინამოს“ დაცვა და ნახევარდაცვა მთელი დატვირთვით მოქმედებენ. საჯარიმოზე სიმჭიდროვეა, თითქმის ყველას იქ მოუყრია თავი. აი, სწორედ ერთ-ერთ ასეთ „თავშეყრისას“ ბურთი კარში გადის.

ერთბაშად როდი გავერკვიე სიტუაციაში. ვხედავ, მარლანიამ ორივე ხელი აღაპყრო და მსაჯს უძახის: „ხელი! ხელი!“ მერე მას, როგორც ჩანს, გაახსენდა, რომ მსაჯმა რუსული არ იცის და ახლა ჟესტებით აჩვენებს, — ცენტრალურმა თავდამსხმელმა იორდანოვმა დარტყმის წინ ხელით გაისწორა ბურთიო. მსაჯმა ეს დარღვევა ვერ შენიშნა და ცენტრისკენ გაიშვირა ხელი. მაგრამ ტრი-

ბუნების უკმაყოფილო სტევენა რომ გაიგონა, თავის თანაშემწესთან მოთათბირება გადაწყვიტა. უკანასკნელმა გადაჭრით ვერაფერი ვერ უპასუხა და შიკერმა ცენტრიდან დაგვაწყებინა თამაში. ასე გახდა ანგარიში 2:1.

კარის შეცვლასთან ერთად შეიცვალა სიტუაციაც. ახლა უკვე ჩვენ „ვკარნახობთ", საქმე მხოლოდ ამ უპირატესობის რეალიზაციაშია. განსაკუთრებით შეთანხმებულად მოქმედებს ჩვენი ცენტრალური სამეული გაგნიძე — კალოევი — ჭკუასელი. ერთ-ერთი შეტევის დროს კალოევმა ძლიერად დაარტყა კუთხეში. ძალზე კარგად დაარტყა. გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ მეკარემ მშვენიერი ნახტომით.. პირდაპირ ჩემზე უკუაგდო ბურთი და მისი შეგდება ცარიელ კარში არ იყო ძნელი საქმე.

ანგარიში გათანაბრდა, კვლავ ვუტევთ ბულგარელთა კარს. მასპინძელთა მცველები მოქმედებენ თავგამოდებით, კარგად აზღვევენ ერთმანეთს.

ერთ-ერთ მომენტში მეტოქეთა მარცხენა გარემარბმა ელოშვილის წინააღმდეგ მეტად ეფექტური და უჩვეულო ფინტი იხმარა. ეს ფინტი ყველას მოგვეწონა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან „მოსვენება არ მისცა" ჩვენს ახალბედა, 19 წლის მიშა მესხს. მიშამ შეისწავლა ეს ფინტი, დახვეწა, სრულჰყო და შემდგომში ჩვენ ყველანი არაერთგზის აღგვაფრთოვანა მის ოსტატური გამოყენებით.

მატჩი შეიძლება ფრედ დამთავრებულიყო, ჭკუასელის ოსტატობა რომ არა. მან მოატყუა ჯერ თავისი დარაჯი, შემდეგ კი მეკარეც: შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ბურთი შორს გაექცა. ამით მან კარიდან გამოიტყუა მეკარე, შემდეგ კი უეცრად მოწყდა ადგილიდან, დაეწია ბურთს და ბურთი მეკარეს გადაუგდო თავზე. 3:2!

ძნელი გამარჯვება მოპოვებულია. იგი ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან სეზონი მაინცდამაინც წარმატებით ვერ ჩავატარეთ.

არის მატჩები, რომლებიც დიდ სიამოვნებას გვრიან არა მარტო ტრიბუნაზე მსხდომთ, არამედ თვით მონაწილეებსაც. ჩვენი პირველი მატჩი სოფიაში სწორედ ასეთთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს. მოედანს ვტოვებდით კმაყოფილნი შედეგითაც და თამაშითაც. მრავალრიცხოვანი მაყურებლისათვის შევძელით გვეჩვენე-

ბინა ბევრი რამ ჩვენი არსენალიდან: სწრაფი, ტექნიკური თამაში, მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა, გააზრებული, შეთანხმებული მოქმედება ყველა რგოლში.

— ეჰ, შინ რომ ასე ვთამაშობდეთ! — მხურვალედ ინატრა ვიღაცამ გასახდელში ჩასვლისას.

მგონია, მხოლოდ ის როდი ფიქრობდა ასე. მართლაც და ჩემპიონატის ბევრი მატჩი ასეთი მონდომებითა და აღფრთოვანებით რომ ჩაგვეტარებინა, რა კარგ შედეგს მივიღებდით! ბულგარელი მეგობრები, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს საბჭოთა კავშირის პირველობას, გაკვირვებას გამოთქვამდნენ: ასეთი გუნდი მერვე ადგილს როგორ ვერ აცდაო?

ერთი სიტყვით, პირველი გამარჯვება მოპოვებულია. შემდეგ მატჩამდე ბევრი დრო გვაქვს... ვეცნობით ბულგარეთის დედაქალაქს. არც თუ ისე დიდი, მწვანეში ჩაფლული სოფია ჩვენი სამხრეთის ქალაქებს მოგვაგონებს. უზარმაზარი ტყე-პარკი — „თავისუფლების პარკი“, რომელიც ვასილი ლევსკის სტადიონს ეკვრის, დასვენების შესანიშნავი ადგილია. აქ ბავშვებს უამრავი გასართობი აქვთ — საქანელები, ჰამაკები, გიგანტური ნაბიჯები, სახტუნაოები, სილიანი ორმოები. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უფასოა. მაგრამ აქ დიდებისთვისაც უზრუნიათ. ცალ-ცალკე, წყვილებად, თუ მთელი ოჯახებით ისვენებენ ისინი პირდაპირ ბალახზე (ვერსად შეხვდებით ჩვენი პარკებისთვის დამახასიათებელ აუცილებელ წარწერას „გაზონებზე ნუ ივლით“. გაზონების დანიშნულება სწორედ იმაშია, რომ მასზე იარო და წამოწვე კიდეც!), ხეების ჩრდილში, ტბის ნაპირას, სანაოსნო სადგურზე, საცურაო აუზთან... კვირაობით უცხო კაცს ეგონება, რომ მთელმა ქალაქმა ტყეში და წყალსაცავებისაკენ გადაინაცვლა, — ხალხი მოდის აქ მთელი დღით — პურმარილით, პორტატული რადიომიმღებებით, ფრენბურთის ბურთებით და საყურადღებოა, რომ ხალხის ეს ვეებერთელა მასა არ ტოვებს არავითარ კვალს, — არსად არ ჩანს გაზეთების ნაგლეჯები, პაპიროსის ნამწვავები, საშმლის ნარჩენები, კონსერვის ცარიელი ქილები, დამტვრეული ტოტები...

სოფიის მკვიდრთ აქვთ დასვენებისა და გართობის კიდევ ერთი შესანიშნავი ადგილი, ბალკანეთზე ყველაზე ლამაზი, მწვანედ აქოჩრილი ხელოვნური პარკი ვიტოშის მთაზე. მისკენ მიდის ისეთივე

დაკლაკნილი ავტოსტრადა, როგორც ჩვენს მთაწმინდაზე (ფუნიკულიორი ვიტოშის მთაზე არ არის) და იქიდან ქალაქზე ისეთივე ხედი იშლება, როგორც თბილისზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბულგარელები გარეგნულად ძალიან გვანან კავკასიელებს, ქართველებს, ისინიც შავგვრემანები და ტემპერამენტიანები არიან, ლაპარაკისას უხვად ხმარობენ ჟესტებს, ბევრი მათგანი ულვაშს ატარებს. ბევრი საერთოა კერძებშიც, — ბულგარეთში ძალზე პოპულარული საჭმელია არა მარტო მწვადი და ქაბაბი, არამედ წიწაკა და მწვანილი, რომელიც მუდამ ბლომად მოაქვთ სუფრაზე.

ყველაფერი მსგავსია, მაგრამ ზოგი რამ განსხვავებულია. ჩვენ წესად გვაქვს, რომ თავის დაქნევა დასტურს ნიშნავს, უარყოფა კი თავის აქეთ-იქით მიტრიალებით გამოიხატება. ბულგარელები კი პირიქით აკეთებენ. მახსოვს ერთხელ ვოვა მარღანია და მე მაღაზიაში შევედით, ბავშვებისთვის სათამაშოები უნდა გვეყიდა. ნოქრის მომღიმარ სახეზე უხმო კითხვა აღბეჭდილიყო — რა გსურთ?

— ხტუნია ბაყაყი თუ გაქვთ?

— ინებეთ, — გვეუბნება თურმე ნოქარი და „თავური" ჟესტით კი სულ საწინააღმდეგოს გვიჩვენებს.

— მაშ დამბაჩა ხომ არა გაქვთ, წყლით ხომ იტენება?

— კი.

და კვლავ იგივე ჟესტი თავით. სულ დავიბენით, ვერაფერს მივუხვდით იმ უცნაურ ნოქარს.

კიდევ რაღაც ვთხოვეთ, შემდეგ კიდევ და კიდევ. და ასე ალბათ ვერაფერს ვერ ვიყიდდით, ვოვას რომ პირდაპირ თითი არ ეტაკებინა ვიტრინაში დადგმული კუსთვის და არ ეკითხა, ეს რა ღირსო? სათამაშო შევიძინეთ, მაგრამ ჟესტების ეს „საიდუმლოება" შემდეგ, გვიან გავიგეთ.

ვეცნობით სოფიის ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიულ ძეგლებს. დავათვალიერეთ ბულგარეთის უძველესი სასწავლებლის — სოფიის უნივერსიტეტის შენობა. ვიყავით გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმში, — გვირგვინებით შევამკეთ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის კუბო. სტუმართმოყვარე მასპინძლები უდიდეს სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებზე, თეატრებსა და მუზეუმებზე, სპორტულ ნაგებო-

ბებსა და ბულგარეთის დედაქალაქში განლაგებულ სხვა საინტერესო ობიექტებზე მოგვითხრობენ.

პლოვდივში გამგზავრებამდე, სადაც მორიგი შეხვედრა გველის, მოვასწარით სტადიონზე ერთხელ კიდევ წასვლა. დავესწარით პირველობის კალენდარულ მატჩს „ლოკომოტივსა" და „უდარნიკს" შორის. თამაში მეტად სწრაფი და შეუპოვარი იყო, გამარჯვება დიდძალი ენერგიის დახარჯვით ხვდა „ლოკომოტივს" — 3:2. იმავე საღამოს დაგვპატიჟეს თეატრში, მუსიკალურ პიესაზე „ამბოხების სიმღერა". იგი მოგვითხრობს ბულგარელი ხალხის ბრძოლაზე თურქთა ბატონობის წინააღმდეგ. თეატრში უთარჯიმნოდ წავედით: ბულგარული ენა, სლავური ენის ერთ-ერთი განშტოება, ისე ძალიან წააგავს რუსულს, რომ თითქმის ყველაფრის გაგება შეიძლება. კარგად გაფორმებულ სპექტაკლში განსაკუთრებით მოგვეწონა ცეკვები.

სოფიას პლოვდივი 150 კილომეტრითაა დაცილებული. ეს მანძილი ავტობუსებით დავფარეთ. მთებს შორის მიმავალი გზა ზეტისმეტად ლამაზია. პლოვდივი, სოფიას შემდეგ ბულგარეთის მეორე ქალაქი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში დაუარსებიათ. აქ დღემდე შემორჩენილა უძველესი ხანის ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები. ეს კედლები ჯერ კიდევ რომის იმპერიის ეპოქაში აშოუყვანიათ. დღევანდელი პლოვდივი მსხვილი სამრეწველო ცენტრია, რომელიც ცნობილია აგრეთვე თავისი ყურძნით, ციტრუსებით, პირველხარისხოვანი ბრინჯით.

ერთადერთი, რაც გუნებას გვიფუჭებს, ეს წვიმაა, რომელიც სოფიიდან მოგვდევს. დილიდან წვიმა, საღამოს — წვიმა, ღამით— წვიმა, მეორე დილასაც კვლავ წვიმა. მართალია, მატჩის დაწყების წინ წვიმამ გადაიღო, მაგრამ მან უკვე გააკეთა თავისი „შავი საქმე", გაბიჟვინებულ მოედანზე თამაში იოლი როდი იქნება.

პლოვდივის „სპარტაკის" შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ბულგარეთის მიმდინარე ჩემპიონატში მას VIII ადგილი უკავია და კიდევ ის, რომ დღევანდელი მატჩისათვის იგი ადგილობრივ არმიელთა სპორტკლუბის ოთხი მოთამაშითაა გაძლიერებული.

ჩვენი შემადგენლობა უცვლელია. მაგრამ თავდასხმაში ანსამბლი რატომღაც აღარ იგრძნობა. სხვებს კიდევ ჰკუასელი და კალო-

ევი სჯობნიან. თამაში სწრაფ ტემპში მიმდინარეობს, მაგრამ სახიფათო მომენტები არც ერთ-კართან თითქმის არ იქმნება. არც მაშინ იყო რაიმე საშიშროება, როდესაც მარლანიას გულდასაწყვეტი შეცდომის გამო ჩვენს კარში ბურთი გავიდა. „სპარტაკის“ ნახევარმცველმა შორიდან დაჰკიდა ბურთი საჯარიმო მოედანში. ჩვენი მეკარე ბურთს ადვილად დაეუფლებოდა, იგი კიდეც გამოვიდა ბურთზე, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყვიტა ბურთის მიწაზე დაცემისათვის დაეცადა — ასე უფრო იოლად ავიღებო. მაგრამ ბურთი აღარ ახტა, სველ ბალახზე გაცურდა და კარის კუთხეში შეიჭრა.

მეორე ნახევრის დასაწყისი ძალიან წააგავს პირველი ტაიმის დასასრულს: ბწვავედ, სახიფათოდ ვუტევთ ჩვენ, გოლი კი მეტოქეებს გააქვთ. ვუტევთ ისე, რომ იქმნება კარის აღების რამდენიმე რეალური მომენტი, მაგრამ ვერცერთს ვერ ვიყენებთ. მარჯვენა ფლანგზე სპარტაკელთა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა კი გოლით მთავრდება.

რათა რაც ადენადმე გამოცოცხლდეს თავდასხმის თამაში, მწვრთნელები ცვლიან მარჯვენა ფრთას: ხასაიას და გაგნიძის ნაცვლად მოედანზე გამოდის ქვლივიძე — იამანიძის წყვილი. ფორვარდთა ხუთეული მართლაც მწვავედ იწყებს თამაშს, დრო კი არც ისე ბევრი რჩება. ᲩᲬᲝᲠᲔᲓ გონგის წინ კალოევის კარგი გადაცემიდან მე ვახერხებ ერთი საპასუხო ბურთის გატანას. გოლმა თითქოს ძალა შეგვმატა, მთელის მონდომებით ვცდილობთ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ სპარტაკელები დაცვას აძლიერებენ, ყოველნაირად ცდილობენ გამარჯვების შენარჩუნებას. ამას ისინი აღწევენ კიდეც, იმარჯვებენ ანგარიშით 2:1.

მეორე დილით, 10 ოქტომბერს, სოფიაში ვბრუნდებით. აქედან ქალაქ დიმიტროვამდე, სადაც დანიშნულია უკანასკნელი მატჩი, სულ 30 კილომეტრია. დელეგაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა თამაშამდე დარჩენილი დრო დედაქალაქში გაგვატარებინოს, დიმიტროვში კი მხოლოდ თამაშის დასაწყისისათვის გავემგზავროთ. მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეიცვალა და ტრადიციის თანახმად ერთ წვრთნას მომავალ „ბრძოლის ველზე“ ვატარებთ. დიმიტროვი მაღაროელთა ქალაქია და ამიტომ საუკეთესო გუნდიცა და

სტადიონიც მაღაროელთა სპორტსაზოგადოება „მინიორს“ ეკუთვნის. სტადიონი აქ შედარებით მცირე ზომისაა, მაგრამ მინდორი კარგია.

ჩვენს ხვალინდელ მეტოქეს ბულგარეთის პირველობის გათამაშებაში V ადგილი უჭირავს. დამახასიათებელია, რომ თავის მოედანზე მას წელს ჯერ არ წაუგია არც ერთი მატჩი. საკმარისია ითქვას, რომ დიმიტროველებმა ანგარიშით 4:1 გაანადგურეს სოფიის „დინამო“ და ფრედ ითამაშეს ბულგარეთის ჩემპიონ—ცდნასთან. ეს გუნდისთვის ჩინებული ატესტაციაა.

გავიგეთ, რომ მატჩს სჯის ჩვენი ძველი ნაცნობი, ბულგარელი მსაჯი ტაკოვი, რომელიც 1955 წლის მაისში თბილისს ეწვია და იმსაჯა ჩვენი შეხვედრა ბუქარესტის „ლოკომოტივთან“. წინდაწინ ვიტყვი, რომ თავის სამშობლოში ტაკოვი ისევე კვალიფიციურად სჯიდა, როგორც თბილისში.

„მინიორი“ მართლაც საშიში მეტოქე გამოდგა. თანამემამულეთა მხურვალე მხარდაჭერით მასპინძლებმა ჩვენს კარზე მწვავე იერიშები წამოიწყეს. გუნდს საამისოდ ძლიერი „იარაღი“ ჰქონია—თავდამსხმელთა ძალზე სწრაფი და ტექნიკური ხუთეული. მათმა შეტევებმა მალე რეალური გამოსახულება ჰპოვა: მარჯვენა გარემარბი კარგად გავიდა გარღვევაზე, ბურთი კარის გასწვრივ ჩააწოდა და მარცხენა გარემარბმა ანგარიში გახსნა. მაგრამ, როგორც ამბობენ, მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა: ჭკუასელმა 25—27 მეტრიდან ძლიერი, მოულოდნელი დარტყმით საპასუხო ბურთი გაიტანა.

ნელა, მაგრამ დაჟინებით ვეუფლებით ინიციატივას. მე და ალიოშა კოტრიკაძე სულ უფრო ნაკლებად ვუბრუნდებით ჩვენს საჯარიმო მოედანს, მეტწილად მოწინააღმდეგეთა კარის დაბომბვას ვაწარმოებთ. ერთ-ერთი ასეთი რეიდი „მინიორის“ საჯარიმო მოედანში წარმატებით დამთავრდა: დარტყმა, და ჩვენი გუნდი წინ გავიყვანე.

შესვენება ბულგარელი ფეხბურთელებისთვის ხელსაყრელი გამოდგა. ჩვენ უკვე აღარა გვაქვს წინანდელი აშკარა უპირატესობა. მაგრამ ინიციატივის ხელში ჩაგდება „მინიორმა“ მაინც ვერ მოახერხა. ასე თანაბარ და სანახაობრივად ძალზე საინტერესო ბრძო-

ლაში განვლო მთელმა მეორე ტაიმმა. ანგარიში 2:1 უცვლელი დარჩა.

...ჩვენი მისია დასრულებულია. ნათამაშებია მატჩები ბულგარეთის უძლიერეს გუნდებთან. ვემშვიდობებით მაღაროელთა ქალაქის სპორტსმენებსა და საზოგადოებრიობას, ვუბრუნდებით ჩვენს სტუმართმოყვარე სოფიელ მეგობრებს, იქიდან კი მოსკოვს და მერე — მშობლიურ თბილისს.





რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, ბულგარეთი... ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ყველა წინანდელი მგზავრობის ტრასები დასავლეთისაკენაა მიმართული,— ცენტრალური და ჩრდილოეთი ევროპის ქვეყნებისკენ. მხოლოდ ერთხელ, 1944 წელს, ჩვენ სამხრეთში გავემგზავრეთ, მაგრამ სულ ახლოს, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეზობლად მდებარე ირანში. ის ტურნეც, როგორც ყველა მომდევნო, შემოდგომაზე, სეზონის დამთავრების შემდეგ გავმართეთ.

ამჯერად გვიწევდა უჩვეულო მისია — გამგზავრება შორეულ აღმოსავლეთში, ამომავალი მზის შესახვედრად, მეგობრულ ბირმასა და ჩინეთში. უჩვეულო იყო არა მარტო მარშრუტი და მისი სიგრძე, არამედ ის, რომ გუნდი პირველად ჩაატარებდა მატჩებს მარტში (იდგა 1957 წლის ადრე გაზაფხული), ე. ი. ისეთ დროს, როდესაც, ჩვეულებრივ, ან თბილისში,ან შავი ზღვის სანაპიროს რომელიმე კურორტზე იკრებს ხოლმე ძალ-ღონეს, ვარჯიშობს, საკონტ-

როლო მატჩებს მართავს, ერთი სიტყვით, გაცხოველებით ემზადება მომავალი საკავშირო ჩემპიონატისთვის.

ამ დროისათვის ყველა ფეხბურთელი როდი ასწრებს სპორტული ფორმის აღდგენას, ზოგი ადრე შედის ფორმაში, ზოგისთვის კი ეს პერიოდი ხანგრძლივია. ყოველივე ამისათვის ანგარიში უნდა გაგვეწია. საერთაშორისო შეხვედრებში დაკისრებულ პასუხისმგებლობას რომ თავი დავანებოთ, გვეშლებოდა ჩემპიონატისწინა სასწავლო-საწვრთნელი მომზადების გეგმა.

გულახდილად რომ გითხრათ, ბირმისა და ჩინეთის გუნდებთან მომავალი შეხვედრები არ გვაშინებდა, რადგან მათი შესაძლებლობანი ჩვენთვის დაახლოებით ცნობილი იყო და წარმატების იმედიც გვქონდა. რაც შეეხება მომავალ საკავშირო ჩემპიონატს, იგი აშკარად გვაღელვებდა და გვაფიქრებდა. განვლილი სეზონი სუსტად ჩავატარეთ (VIII ადგილი) და შელახული რეპუტაციის აღდგენის უზომო სურვილი გვქონდა.

მარტის პირველი რიცხვებია. მოსკოველები ჯერ კიდევ ზამთრის თბილ პალტოებში არიან გამოწყობილი, ჩვენ კი ვნუკოვოს აეროდრომზე ღია ფერის საზაფხულო კოსტუმებსა და ლაბადებში გამოწყობილები დავსეირნობთ. ვიცით, რომ შორეულ ბირმაში ეს ტანსაცმელიც ზედმეტი ბარგი იქნება. მაგრამ რა ვქნათ, მხოლოდ შარვლებსა და პერანგებში ჩაცმულები ხომ ვერ გავემგზავრებით? მით უმეტეს, რომ გზად ჩვენი თვითმფრინავი ურალისა და ციმბირის აეროდრომებზე დაეშვება. კარგი სანახავი ვიქნებოდით ირკუტსკში, სადაც 20-გრადუსიანი ყინვა იყო, ან ულან-ბატორში... იქ თერმომეტრის სინდიყი კიდევ 10 გრადუსით დაწეულიყო.

ვისაც კი დასავლეთიდან აღმოსავლეთში უმგზავრია, მისთვის ნაცნობია უცნაური შეჯიბრება დროსთან. მოსკოვიდან ირკუტსკამდე 5 საათის „ეკონომია" გავაკეთეთ: მოსკოვიდან 4 მარტს, დილის 3 საათზე გავფრინდით და 25 საათის ფრენის შემდეგ იმავე დღის 23 საათზე ირკუტსკში ამოვყავით თავი.

ჯერ კიდევ მოსკოვში ჩვენი დელეგაცია ორ ჯგუფად გაიყო და ორი თვითმფრინავი დავიკავეთ. ირკუტსკში ერომანეთს დავშორდით და როდესაც ულან-ბატორიდან პეკინში ჩავედით, შევიტყეთ, რომ მეორე ჯგუფი მხოლოდ ხვალ ჩამოფრინდებოდა. პეკინის აეროდრომზე დამბვდურთა შორის ძველი მოსკოველი ფეხბურთე-

ლიც იყო — სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. სუშკოვი. ჩინელ მეგობართა თხოვნით იგი უკვე დიდი ხანია იქ იმყოფებოდა, ადგილობრივ ფეხბურთელებს წვრთნიდა. ამავე დროს, სუშკოვი პეკინის ფიზკულტურის ინსტიტუტში სპორტული თამაშების მასწავლებლად მუშაობდა.

პეკინში შევდივართ სველი ქალაქის მხრიდან, სადაც მრავლადაა ქოხმახი და პატარა მაღაზია. ქალაქის გარეუბანსა და ახალ პეკინს შორის უზარმაზარი კონტრასტია. ახალი პეკინი შესანიშნავია მრავალსართულიანი სახლებით და მწვანეში ჩაფლული, ფართო პროსპექტებით... ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ახალმშენებლობათა ხარაჩოებს.

პეკინში სულ რამდენიმე საათი დავყავით, მაგრამ მაინც დაგვახსომდა ზოგიერთი დეტალი. მაგალითად, ბავშვი თუ ქალი, ხანდაზმული თუ ახალგაზრდა, — ყველა ველოსიპედზე ზის. მაგრამ გაცილებით უფრო გაგვაკვირვა დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შესრულების წარმოუდგენელმა მასშტაბებმა. დილაადრიანად, როდესაც ქალაქს ვტოვებდით და გვეგონა, რომ ყველას ეძინა, გზაში შემდეგი საოცარი სურათის მოწმენი გავხდით: ყველგან — ქუჩებსა და ეზოებში, ბაღებსა და აივნებზე, ბავშვები და უფროსები მთელის სერიოზულობით ასრულებდნენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს.

დაგვამახსოვრდა კიდევ ასეთი რამ. ვვახშმობდით ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში. აქ იყო როგორც ეროვნული, ასევე ევროპული კერძები და საჭმელები. გაგონილი გვქონდა, რომ ჩინეთში გველისა და კუს ხორცისგან დამზადებული საჭმელები დელიკატურად ითვლება. შიშით ვუყურებდით ჩვენთვის მოტანილ საჭმელებს და მიკარებას ვერ ვბედავდით მით უფრო, რომ ერთმანეთს ვეხუმრებოდით ამა თუ იმ კერძის „წარმოშობაზე“.

ჩვენი მგზავრობის უკანასკნელი მარშრუტია პეკინი-რანგუნი. მივფრინავთ სამხრეთ-დასავლეთით და რაც უფრო ვუახლოვდებით მარშრუტის უკანასკნელ პუნქტს, იცვლება არა მარტო ტემპერატურა, არამედ წელიწადის დროც. თუ პეკინიდან სიანამდე დათოვლილ მთებზე მივფრინავდით, ქალაქ კუნმინში (ბირმის საზღვართან) ნამდვილი გაზაფხული იდგა. (ამ ქალაქს მუდმივი გაზაფხულის

ქალაქი ჰქვია. კლიმატური პირობები აქ ისეთია, რომ წლის განმავლობაში მოსავალს 3—4-ჯერ იღებენ). რანგუნში კი ნამდვილი ზაფხული დაგვხვდა, თერმომეტრი 35 გრადუსს აჩვენებდა.

აეროდრომი. სიზეიმო შეხვედრა. ჩვენი საელჩოსა და ბირმის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები. ქალიშვილები დაწნული ყვავილებით. ჟურნალისტთა პირველი შემოტევები. აქვე აეროდრომზე გაგვაკვირვა ერთი ჟურნალისტის შეკითხვამ: „ხომ არ ჩამოსულა ბორის პაიჭაძე?“ აი, თურმე სად გავარდნილა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის სახელი! კორესპონდენტს ვუთხარით, რომ ბორის პაიჭაძე საპატიო ასაკის გამო ფეხბურთს უკვე აღარ თამაშობს და ამჟამად სპორტული საქმიანობის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზეა დაწინაურებული.

ბირმელი ფეხბურთელები ჩვენთან შეჯიბრებებს მთელის სერიოზულობით მოეკიდნენ და საგანგებოდ ემზადებოდნენ. ჩვენი ჩამოსვლის დღეს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამ ქვეყნის პირველი და მეორე ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც შერჩევით ხასიათს ატარებდა. ვვარაუდობდით, რომ ტექნიკისა და ტაქტიკის მხრივ ბირმელები ჩვენზე სუსტნი იქნებოდნენ, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ მასპინძლები საკუთარ მოედანზე, ჩვეულ ვითარებაში თამაშობდნენ და სწრაფი ტემპის ბოლომდე შენარჩუნებას შეძლებდნენ. ჩვენთვის სიცხე უცხო ხილი არ გახლდათ, — თბილისში ხშირად უფრო მაღალი ტემპერატურაა. გვაშინებდა ჰაერის ტენიანობა, რის გამოც ძალზე გვიჭირდა სუნთქვა.

მატჩმა, რომელშიც ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა მეორე ნაკრებმა, მთლიანად გაამართლა ჩვენი პროგნოზები.

თუ ჩინეთში, ხანმოკლე ყოფნის მიუხედავად, გრანდიოზულმა მშენებლობამ გაგვაკვირვა, ბირმასა და მის დედაქალაქში უძველეს ძეგლთა ზღაპრულმა არქიტექტურამ მოგვაჯადოვა. თამაშამდე სამი დღე გვქონდა და ეს დრო ამ ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებას მოვანდომეთ. ვიყავით „სამეფო ტბაზე“, რომელიც ულამაზეს მხატვრულ პარკში მდებარეობს, დავათვალიერეთ ბუდისტების ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი ტაძარი პაგოდა შვე-დაგონი. საერთოდ, პაგოდა ბირმის პეიზაჟის განუყრელი ნაწილია. სადაც უნდა წახვიდეთ, ყველგან დაინახავთ დიდი თუ პატარა, მდიდრული თუ ღარიბული პაგოდის მახვილ წვეტს. ზოგნი სასახლეებს ჰგვანან,

ზოგნი კი უბრალო სამლოცველოებს. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუდისტური სამღვდელოება ქვეყნის პოლიტიკურ და სასულიერო ცხოვრებაში.

აღმოსავლეთით ასე შორს ჩვენგან არავინ ყოფილა ალბათ ამიტომ და თანაც უჩვეულო გარემოცვამ, აზიის ერთ-ერთი უძველესი ქვეყნის ცხოვრებისა და ისტორიისადმი თვითეული ჩვენგანის ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. XIX საუკუნის დასაწყისში ბირმის ფეოდალური სამეფო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო მსოფლიოს ამ ნაწილში. სამი ომის შემდეგ, რომლებიც ინგლისელებმა თავს მოახვიეს ამ ქვეყანას, 1886 წელს ბირმამ დამოუკიდებლობა დაჰკარგა და იგი ბრიტანეთის ინდოეთის პროვინციათა შორის აღმოჩნდა. ინგლისელ მონოპოლისტთა ბატონობამ ცალმხრივი ეკონომიური განვითარება მოუტანა ქვეყანას. ბირმა გადაიქცა ბრინჯის მთავარ მიმწოდებლად, რომელსაც უკანასკნელ მსოფლიო ომამდე ბრინჯის ექსპორტში მსოფლიოში პირველი ადგილი ეჭირა.

ომისა და იაპონიის ოკუპაციის წლებმა (1942-1945) გააძლიერა ბირმელი ხალხის მისწრაფება გათავისუფლებისაკენ და 1948 წელს ბირმა დამოუკიდებელ რესპუბლიკად გადაიქცა.

აი, ამ უძველესი ქვეყნის სპორტსმენებთან გვიწევდა საფეხბურთო მოედანზე შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთი ძალოსნობასა და კრივთან ერთად აქ ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა სპორტი ამ ქვეყანაში ჯერჯერობით მასობრივად არ არის განვითარებული. გაგახსენებთ, რომ ჩვენამდე, 1955 წელს, ბირმაში იმყოფებოდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1955 წლამდე ბირმაში ქალთა ფეხბურთიც კი იყო გავრცელებული: იმართებოდა მატჩები, რომლებიც დიდძალ მაყურებელს იზიდავდა. მაგრამ მოედანზე გამართული ერთი დიდი ჩხუბის შემდეგ, რომელიც ტრიბუნებსაც მოედო, ქალთა გუნდები დაშალეს, ხოლო მათი შეხვედრები — აკრძალეს. როგორც ბირმელები მოგვითხრობდნენ, ეს უფრო სასაცილო სანახაობა იყო, ვინემ სპორტული. ქალთა ფეხბურთს თუ ვერ მოვუსწარით, სამაგიეროდ ვნახეთ სხვა საშინელი სანახაო-

ბა! — კეტჩი — კრივისა და ჭიდაობის ნარევი, ყოველგვარი წესებისა და შეზღუდვის გარეშე: დაშვებულია ყველაფერი, სახსრების ძტვრევა და თმის ამოგლეჯაც კი.

პირველ მატჩამდე ვივარჯიშეთ ცენტრალურ სტადიონზე, დავათვალიერეთ რანგუნის ნავსადგური (რანგუნი მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქია, 800 ათასზე მეტი მცხოვრებით), ვიყავით ქალაქის პარკში, სადაც აღმართულია ძეგლი ბირმელი ხალხის ეროვნული გმირის აუნ-სანისა, რომელიც იაპონელი ოკუპანტების წინააღმდეგ თავისი ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას ედგა სათავეში. აუნ-სანი ხელმძღვანელობდა მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციას — სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტურ ლიგას, რომლის მიზანი იყო ბირმის მთლიანი გათავისუფლება. 1947 წლის 19 ივლისს ბირმელი ხალხის მტრების მიერ დაქირავებული მკვლელები შეიჭრნენ მთავრობის სახლში და მოჰკლეს აუნ-სანი და მისი ექვსი თანამებრძოლი. რამდენიმე თვის შემდეგ კი ბირმა დამოუკიდებელი გახდა. სხვათა შორის, ცენტრალური სტადიონი აუნ-სანის სახელს ატარებს. იგი 30 ათას მაყურებელს იტევს. მისი სამი ტრიბუნა გადახურულია და მაყურებელს იცავს მცხუნვარე მზის სხივებისა და ტროპიკული წვიმებისგან. მეოთხე ტრიბუნას, სადაც ბილეთების ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომია, არა აქვს არც სკამები და არც სახურავი.

პირველ მატჩზე, რომელიც 11 მარტისთვის იყო დანიშნული, ყველა ბილეთი ჯერ კიდევ ჩვენ ჩამოსვლამდე კარგახნით ადრე გაიყიდა. მაგრამ მომავალ მეტოქეებთან შეხვედრა ერთი დღით ადრე გაიმართა... კონფერენც-დარბაზში. ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა და ჟურნალისტების თხოვნით ჩვენმა მწვრთნელებმა გ. ჯეჯელავამ და ა. კიკნაძემ ჩაატარეს, ასე ვთქვათ, პრეს-კონფერენცია. საუბარი ძირითადად საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას ეხებოდა, — ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას, სკოლებში ფიზიკური აღზრდის სისტემებს, ბავშვთა სპორტს საერთოდ, სპორტულ შეჯიბრებათა კალენდრის შედგენის პრინციპებს, ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ქალთა მიზიდვის საკითხს და სხვ.

ბირმელ მეგობართა ცხოველი ინტერესი გამოიწვია საქართველოში სპორტის განვითარებაზე საუბარმა. ისინი არ მალავდნენ გაკვირვებასა და აღტაცებას იმ წარმატებათა გამო, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა ამ დარგში. მათთვის მოულოდნელი იყო, მაგალითად, ის ფაქტი, რომ საქართველოს ათმა სპორტსმენმა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში 8 მედალი მოიპოვა.

შემდეგ საუბარი „სპეციალურ" თემაზე — ფეხბურთზე გადავიდა. მათ მოვუთხრეთ ფეხბურთელთა წვრთნის ჩვენში არსებულ სისტემაზე. მასპინძლებმა გაგვაცნეს თავისი ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრება. შევიტყეთ, რომ ჩემპიონატი ოთხ ჯგუფად ტარდება. პირველ ჯგუფში 12 უძლიერესი გუნდია, დანარჩენ სამში კი — 8-8. შეჯიბრება ორ წრედ მიმდინარეობს. სეზონის ხანგრძლივობა თითქმის ისეთივეა, როგორც ჩვენში, — იწყება მაისში და წლის ბოლომდე გრძელდება.

ფეხბურთი ბირმაში ძალზე პოპულარულია. ვერც სიცხე, ვერც ტროპიკული წვიმები (რომლებიც ხშირია ივლისსა და აგვისტოში) ვერ ანელებენ ადგილობრივ გულშემატკივართა ინტერესსა და სიყვარულს ამ სპორტისადმი.

ცუდი კლიმატური პირობების გამო ბირმაში ფეხბურთის მატჩი იყოფა არა ორ ტაიმად, არამედ სამად. თვითეული ტაიმი 30-წუთიანია. საერთაშორისო მატჩებს ბირმელი ფეხბურთელები, ცხადია, საერთოდ აღიარებული წესებით თამაშობენ. როგორც ჩანს, ასეთ ცვლილებას ისინი უმტკივნეულოდ იტანენ, რისი ნათელი დადასტურებაა მათი ნაკრების შედეგები: ბირმის გუნდმა ორჯერ ფრედ ითამაშა ინდონეზიის ოლიმპიურ ნაკრებთან და მინიმალური ანგარიშით წააგო თამაში იუგოსლავიის ნაკრებთან.

შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე დადგინდა ჩვენი გუნდის შემადგენლობა: მარღანია, ელოშვილი, ძიაპშიპა, ხოკოლავა, კოტრიკაძე, იამანიძე, გაგნიძე, ღოღობერიძე, ზაზროევი, კალოევი, ხასაია.

ცენტრალური სტადიონის ტრიბუნები ისეა გაჭედილი, რომ ნემსიც კი არ ჩავარდება. სტადიონზე არიან ჩვენი ელჩი ა. შებორინი, საელჩოს სხვა მუშაკები, რანგუნში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ბირმის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ უ ნუს მეთაურობით.

როდესაც გუნდები მოედანზე გამოვიდნენ და საზეიმო ცერემონიალისთვის მთავრობის ტრიბუნის წინ ჩამწკრივდნენ, პრემიერი ჯანმრთელობის მინისტრის უ სეინ ბანის (რომელიც ამავე დროს ბირმის ფიზკულტურის კომიტეტის პრეზიდენტად ითვლება), საბჭოთა ელჩის ა. შებორინისა და ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელის გ. სიხარულიძის თანხლებით გუნდებისაკენ გაემართა. გ. სიხარულიძემ მას ჩვენი ფეხბურთელები წარუდგინა. უ ნუმ დინჯად ჩამოუარა მწკრივს, ისმენდა მოთამაშეთა გვარებს, ხელს ართმევდა მათ. იგი მიუახლოვდა მარცხნივ ბოლოში მდგარ პატარა მიშა მესხს, დაინტერესდა მისი ასაკით, შეაქო იგი და. წარმატება უსურვა.

შემდეგ გუნდები მიესალმენ ერთმანეთს, გაცვალეს სამახსოვრო ალმები, ერთმანეთს ყვავილები მიართვეს, ეს ყვავილები ტრადიციულად მაყურებლებს უთავაზეს და თამაშიც დაიწყო.

მოველოდით, რომ მასპინძლები მთავარ იარაღად სწრაფ ტემპს აირჩევდნენ. ამიტომ გადავწყვიტეთ მატჩი მათივე იარაღით დაგვეწყო და პირველ წუთებშივე მეტად სწრაფი თამაში გავაჩაღეთ. უკვე მე-11 წუთზე მე გავიტანე პირველი ბურთი, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ იამანიძემ ანგარიში ორამდე გაზარდა. კიდევ სამი წუთი გავიდა და გაგნიძემ მესამე ბურთი მოათავსა მოწინააღმდეგის კარის ბადეში.

მიუხედავად ჩვენი ასეთი უპირატესობისა, მასპინძლები არ ჰყრიდნენ ფარ-ხმალს და ყოველ შესაძლებლობას იყენებდნენ კონტრშეტევისათვის. ერთ-ერთი მათი შეტევა ჩვენი კარის აღებით დამთავრდა, თუმცა ეს მაშინ მოხდა, როდესაც ანგარიში უკვე 4:0 იყო.

გუნდების ხელმძღვანელთა მოლაპარაკების შედეგად მეორე ტაიმში შეცვლილი შემადგენლობით გამოვდივართ. ჩემს მაგივრად თამაშობს ვ. რამიშვილი, ხოლო ხასაიას ნაცვლად — მ. მესხი. თანაც, სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ზაზროევმა ფეხი იტკინა და თამაში ათმა ფეხბურთელმა განაგრძო. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგის კარში დამატებით კიდევ ორი ბურთი გავიტანეთ. თამაშის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო და მოწინააღმდეგის რიცხვობრივ უპირატესობას უკვე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია უ ნუმ. მან

იკითხა, რატომ აკლიათ სტუმრებს ერთი კაციო? აუხსნეს, რომ სტუმრებს სათადარიგო მოთამაშის გამოყვანის უფლება აღარ აქვთო. უ ნუმ ითხოვა, რომ გამონაკლისის სახით დინამოელთათვის სრული შემადგენლობით თამაშის ნება დაერთოთ.

— რათა მთლიანად გამოავლინონ თავიანთი ოსტატობა, — თქვა პრემიერმა.

მისი ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და მოედანზე ახალგაზრდა ვლადიმერ ბარქაია გამოვიდა. შეხვედრის საბოლოო შედეგი იყო 9:1. ორი ბურთი ჩვენმა დებიუტანტმა მ. მესხმა გაიტანა.

სამი დღის შემდეგ იმავე გუნდთან უნდა ჩაგვეტარებინა განმეორებითი მატჩი, მაგრამ მასპინძლებმა გვთხოვეს ამ თამაშამდე ერთი არაოფიციალური შეხვედრის გამართვა. სიამოვნებით დავთანხმდით. მასპინძელთა თხოვნა გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩვენ და ბირმელ ფეხბურთელებს ერთად ჩაგვეტარებინა საჩვენებელი-საწვრთნელი ვარჯიში „დინამოს“ მწვრთნელთა ხელმძღვანელობით. სასაცილოა ვიფიქროთ თითქოს ამ ერთადერთმა ვარჯიშმა მნიშვნელოვნად აამაღლა ბირმელ ფეხბურთელთა კლასი, მაგრამ ფაქტია, რომ მეორე თამაშში, რომელიც მინიმალური ანგარიშით მოვიგეთ, მედგარ წინააღმდეგობას წავაწყდით. საქმე იმაში იყო, რომ პირველი მატჩის დიდი ანგარიშით მოგებამ გუნდში თვითდამშვიდება გამოიწვია, დარწმუნებული ვიყავით, რომ მეორე შეხვედრასაც იოლად მოვიგებდით.

ასეთი განწყობილებით საასპარეზოდ გასვლა, როგორც ცნობილია, ხშირად ძვირად უჯდება გუნდს. და აი, თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ გაგვიტანეს ორი ბურთი. მატჩი ასეთი შემადგენლობით დავიწყეთ: პირაევი, ელოშვილი, ძიაპშიპა, რამიშვილი, კოტრიკაძე, იამანიძე, ხასაია, ლოლობერიძე, ჭკუასელი, ბარქაია, მესხი.

შესვენების შემდეგ ჭკუასელის ნაცვლად მოედანზე კალოევი გამოვიდა, ხოლო მესხი გაგნიძემ შეცვალა. ანგარიში სულ მალე გავათანაბრეთ, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ წინაც გავედით — 3:2, 4:2...

კვლავ თვითდამშვიდება, შეცდომები და ანგარიში ამჯერად მასპინძლებმა გაქვითეს. მხოლოდ უკანასკნელ წუთზე ხასაიას ზუსტმა დარტყმამ მოგვიტანა ძნელი გამარჯვება — 5:4.

ეს მატჩი კარგი გაკვეთილი იყო ჩვენთვის.

ვტოვებთ სტუმართმოყვარე ბირმას და იმავე მარშრუტით შინ ვბრუნდებით. ღამეს კვლავ კუნმინში ვატარებთ (გამოირკვა, რომ აქ ღამით საერთოდ არ დაფრინავენ). კვლავ ორ ჯგუფად ვართ გაყოფილი. კუნმინში შეძენილი „ძველი“ ნაცნობები — აეროპორტის მუშაკები — სიხარულით შეგვხვდნენ. აქ დატოვებული გვქონდა ზედა ტანსაცმელი — პიჯაკები და ლაბადები, რომლებიც ყოვლად გამოუსადეგარი იყო ბირმაში. საღამოს ვსეირნობთ კუნმინის ქუჩებში და თუ გუშინ სიცხისგან სული გვეხუთებოდა, ახლა გრილმა ნიავმა პიჯაკებიც კი ჩაგვაცვა.

კუნმინიდან პეკინში ჩავედით, სადაც ამ დროს სტუმრად მოსკოვის „ლოკომოტივი“ იმყოფებოდა. აეროდრომიდან ძლივს მოვასწარით სასტუმროში მისვლა და პირდაპირ სტადიონზე გავემგზავრეთ, სადაც „ლოკომოტივი“ ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს ეთამაშებოდა (მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 4:0).

თამაშის შემდეგ გასახდელში მოსკოველი ფეხბურთელები ვინახულეთ. სრულიად მოულოდნელად ჩინეთის მეორე ნაკრებთან მატჩის ჩატარება შემოგვთავაზეს. თამაშის სურვილი გვაქვს. თანაც, სულ ერთია, მაინც უნდა ველოდოთ თვითმფრინავს. მაგრამ ჩვენი მდგომარეობა პირდაპირ კრიტიკულია: პეკინში ჩამოსულია მხოლოდ ძირითადი შემადგენლობა, დანარჩენები ჯერ კიდევ გზაში არიან და არ ვიცით როდის ჩამოვლენ. მიუხედავად ამისა, არ გვსურდა მასპინძელთა გაწბილება და შეხვედრაზე თანხმობა ვუთხარით, მაგრამ შევთანხმდით, რომ საჭიროების შემთხვევაში მოსკოვის „ლოკომოტივს“ მეკარეს „ვესესხებოდით“. გადავწყვიტეთ დრო არ დაგვეკარგა და იმ დღესვე ჩავატარეთ ვარჯიში, თანაც მოედანს გავეცანით.

ჩვენი ხვალინდელი მოწინააღმდეგის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ლოკომოტიველებს, რასაკვირველია, ჰქონდათ. მათ განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა ჩინელ ფეხბურთელებს, რომლებმაც დროის მცირე მონაკვეთში საგრძნობლად აიმაღლეს ტექნიკური ოსტატობა. საერთოდ, ინტერესი ფეხბურთისადმი აქ დღითიდღე იზრდება. აი, ერთი მკაფიო მაგალითი: ჩვენი მატჩი დანიშნული იყო სამუშაო დღეს, თანაც მისი რეკ-

ლამირებისთვის დრო აღარ დარჩა. მიუხედავად ყოველივე ამისა, უზარმაზარი სტადიონი მაყურებლებით თითქმის სავსე იყო.

ჩინეთის მეორე ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ არმიელთა საკლუბო გუნდების საუკეთესო მოთამაშეები, აგრეთვე ახალგაზრდა ფეხბურთელები სხვა გუნდებიდან. ჩვენმა მეტოქემ ძალიან კარგად ჩაატარა შეხვედრა, გუნდმა აჩვენა კარგი ფიზიკური მომზადება და მეტად მტკიცე თამაში დაცვაში. ჩვენი შემადგენლობა ჩვეულებრივი იყო, მაგრამ თამაში, განსაკუთრებით თავდასხმაში, არ გამოდიოდა.

როგორც ჩანს, ჩვენზე იმოქმედა მომქანცველმა მგზავრობამ, ტემპერატურის ხშირმა ცვლამ. ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ნახევარშიც ანგარიში დიდხანს არ გახსნილა, მას შემდეგაც კი, როდესაც მასპინძელთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა დაინიშნა (ხასაიას დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა). შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე ხასაიამ „გამოისყიდა“ დანაშაული — ზუსტი დარტყმით გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ჩინეთის ნაკრების კარში.

უკანასკნელი საღამო პეკინში ჩინელ მეგობართა წრეში გავატარეთ. ჩვენი დელეგაციის მეორე ნახევარი კვლავ არ ჩანს. იქნებ იგი კარგა ხნით ჩარჩა ბირმაში. ასე ორ ნაწილად ჩამოვედით სამშობლოში.

საერთაშორისო მატჩების მხრივ 1957 წლის სეზონი ჩვენი გუნდისთვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე უხვი იყო. უხვი კი გახლდათ. მაგრამ წარმატებებით მაინცდამაინც ვერ დავიკვეხნიდით. უჩვეულოდ ადრე, ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში, მოვიარეთ ბირმა და ჩინეთი. შემდეგ, ერთი-მეორეს მიყოლებით, შინ მივიღეთ ინგლისის პოპულარული კლუბის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის", ბუქარესტის „დინამოსა" და სტამბოლის „გალატასარაის" ფეხბურთელები. რანგუნისა და პეკინის სტადიონებზე მომხდარ ამბებზე წინამდებარე თავში უკვე მოგითხრეთ. თბილისში გამართული სამი თამაშიდან კი მხოლოდ ერთის მოგება შევძელით, — რუმინელებთან. დანარჩენი ორი წავაგეთ. თუ ინგლისელების ძლიერ გუნდთან დამარცხებას აქვს თავისი ლოგიკა („ალბიონმა" ყველა რგოლში ჩვენზე უკეთესად ითამაშა და ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთი გვიჩვენა), „გალატასარაისთან" წაგება მთლიანად ჩვენს სვინდის-

ზეა: ეს არაა ის გუნდი, რომელთანაც უნდა წაგვეგო, თანაც საკუთარ მოედანზე.

იმათ, ვინც იცის თბილისის „დინამოს“ ისტორია, ალბათ ახსოვთ, რარიგ ძნელი და უიღბლო იყო ჩვენთვის ეს პერიოდი. 1953 წლის საკავშირო ჩემპიონატში სამახსოვრო წარმატების შემდეგ, როდესაც საპატიო მეორე ადგილი მოვიპოვეთ, გუნდი განიცდიდა სერიოზულ კრიზისს შემადგენლობაში. განიცდიდა დიდხანს და, ვიტყოდი, მტკივნეულად. საქმე იმაში იყო, რომ ორი-სამი სეზონის განმავლობაში მისი შემადგენლობა თითქმის მთლიანად განახლდა. იმ ვეტერანთა სანაცვლოდ, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე იცავდნენ „დინამოს“ ღირსებას, — ბორის პაიჭაძის, ვიქტორ პანიუკოვის, გიორგი ანთაძის და სხვათა მაგიერ მოვიდა ნიჭიერი, მაგრამ გამოუცდელი ახალგაზრდობა. გადასაჭრელი იყო ძნელი ამოცანა: ხელახლა შეგვექმნა კოლექტივი, რომელიც შეძლებდა შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა ძველი, კარგი ტრადიციები, შეენარჩუნებინა „დინამოს“ თამაშის თავისებური სტილი. მდგომარეობა იმითაც რთულდებოდა, რომ ამ ამოცანის შესრულება თითქმის ყოველ სეზონში იწყებოდა, მაგრამ... ბოლომდე არ მიდიოდა: დგებოდა ზამთარი, მოდიოდა ახალი მწვრთნელი და იწყებოდა ახალი გადახალისებანი. ასე გრძელდებოდა, არც მეტი, არც ნაკლები, ექვსი წელი, რომლის განმავლობაში ჩემპიონატებში ჩვენ VII-IX ადგილებს ვიკავებდით.

საეროაშორისო მატჩებს საშინაო შეჯიბრებებზე უკეთ ვთამაშობდით. საკმარისია ითქვას, რომ 1954 — 1956 წლებში (რუმინეთიდან დაბრუნების შემდეგ და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ შეხვედრამდე) ჩვენ ჩავატარეთ 11 თამაში და მხოლოდ ერთში — პლოვდივის „სპარტაკთან“ დავმარცხდით. და ეს მაშინ, როდესაც მეტოქეებად გვყავდა ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიცაა ბორდოს „ჟირონდა“, ვარშავის ნაკრები, რიო-დე-ჟანეიროს „ატლეტიკო პორტუგეზა“, ინდონეზიის ნაკრები და სხვ.

ინგლისელებთან წაგება სრულებითაც არ იყო შემთხვევითი: იმ ფორმაში, რომელშიც მაშინ ვიმყოფებოდით, ასეთ გუნდთან მატჩში გამარჯვებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. სტუმრებმა გვიჩვენეს უბრალო, ეკონომიური, რაციონალური და ათლეტური ფეხბურთი, რომელშიც არაფერი იყო ზედმეტი. ჩვენ კი საკუთარი ღირსების

გამოვლინება ოდნავადაც ვერ შევძელით და კანონიერად წავაგეთ O:3. ცუდ ფორმაში რომ ვიყავით, ეს მკაფიოდ გამომჟღავნდა „გალატასარაისთან“ მატჩშიც. ეს კი უკვე მხოლოდ სამწუხარო დამარცხება აღარ იყო, — ეს გახლდათ საგანგაშო მარცხი. საგანგაშო თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ სულ მალე გველოდა ტურნე ავსტრიაში, — შეხვედრები ამ ცნობილი საფეხბურთო ქვეყნის უძლიერეს გუნდებთან.

თუმცა ავსტრიელებს მანამდე არ შევხვედრივათ, „ვენურ სკოლასა“ და „ვენურ ხვეულებზე“, ამ სკოლის მიმდევართა მომხიბვლავ ტექნიკასა და ფინტებზე ბევრი რამ გვქონდა წაკითხული და გაგონილი. მართალია, განვითარების უმაღლეს წერტილს ავსტრიულმა ფეხბურთმა ომისშემდგომ წლებში მიაღწია, მაგრამ მოგვიანებითაც, როდესაც საერთაშორისო სარბიელზე მისი დიდება გაუფერულდა, იგი მაინც იპყრობდა საყოველთაო ყურადღებას, როგორც საინტერესო და ლამაზი სანახაობა.

როდი შევცდი, როდესაც ვახსენე ვენური და არა ავსტრიული სკოლა. ავსტრიის დედაქალაქი არის თავისი ქვეყნის საფეხბურთო მოდის კანონმდებელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით (ზოგიერთი სპეციალისტი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ავსტრიული ფეხბურთი საერთოდ არ არსებობს, არის მხოლოდ ვენური ფეხბურთი). თქვენვე განსაჯეთ: ვენა ავსტრიის ჩემპიონატის პირველ ლიგაში წარმოდგენილია 8 გუნდით (აქ სულ 14 გუნდია); ამასთან, დედაქალაქის 5 გუნდი — „რაპიდი“, „აუსტრია“, „ვაკერი“, „სპორტკლუბი“ და „ვიენა“, რიგორც წესი, პირველობის ძირითადი პრეტენდენტები არიან (სიტყვამ მოიტანა და გაცნობებთ, რომ 1894 წელს დაარსებული „ვიენას“ კლუბი უძველესია ამ ქვეყანაში). ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ავსტრიულ ფეხბურთში „ვენური ჰეგემონიის“ შემდგომი გავრცელების წინააღმდეგ საინტერესო ღონისძიება ჩაატარა ამ ზომებს, რომელიც კრძალავდა დედაქალაქის გუნდებში პერიფერიის ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების გადაყვანას, „დახურული კარის პოლიტიკა“ უწოდეს. ავსტრიის საფეხბურთო კავშირი, რომელიც 1.300 კლუბს აერთიანებს, კარგად გაერკვა იმაში, რომ ვენაში საუკეთესო ძალების გადასროლა, პერიფერიის გუნდების დასუსტების გარდა თვით დედაქალაქის ფეხბურთელების ზრდის შენელებას გამოიწვევდა, რა-

საც ბოლოსდაბოლოს ეროვნული ფეხბურთის კლასის დაქვეითება მოჰყვებოდა.

შემთხვევით როდი ვლაპარაკობ ყოველივე ამაზე ასე დაწვრილებით. ავსტრიაში მისი ფეხბურთისთვის ძალზე არეულ-დარეულ ხანაში ჩავედით. წავიდა ის დრო, როდესაც ავსტრიის ფეხბურთზე ფრანგი მიმომხილველის რისვიკის მსგავსად შეიძლებოდა ეთქვა კაცს: „როგორც გინდა, ისე მოექეცი ავსტრიულ ფეხბურთს, მაგრამ სილამაზეს მას ვერ წაართმევ. მოედანზე ავსტრიელებს არ უყვართ „მუშაობა“, ისინი მართლაც რომ თამაშობენ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მთელი მათი ტაქტიკა აგებულია იმპროვიზაციაზე და მოთამაშეთა ინდივიდუალურ თვისებათა გამოყენებაზე. ყოველივე ამას მათთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შედეგს“.

ასე იყო. კონსერვატული ინგლისელების მსგავსად, რომელთაც დაჟინებით არ სურდათ დაენახათ ახალი სიო მსოფლიო ფეხბურთში და გონს მხოლოდ მაშინ მოვიდნენ, როდესაც თავად იწვნიეს დამარცხებები, ავსტრიელები ძალზე ჯიუტად ებღაუჭებოდნენ თავიანთ ომისწინანდელ კონცეფციებს — ტექნიკურად ვირტუოზულად თამაშობდნენ, ტაქტიკურად კი პრიმიტიულად. იყო სილამაზე და არ იყო კოლექტიური შეტევები, იერიში, დაწოლა, თუ გნებავთ, სიბრაზე, ერთი სიტყვით მათ აკლდათ თანამედროვე ათლეტური ფეხბურთისათვის დამახასიათებელი ბევრი თვისება.

ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ფეხბურთი ავსტრიაშიც უდავოდ სპორტის ყველაზე გავრცელებული სახეა. ის ფაქტი, რომ შვიდმილიონიანი მოსახლეობის ქვეყანაში 160.000 ფეხბურთელია, თავისთავად ძალიან მრავლისმეტყველია. და თუ ავსტრიელები ძველებურად ვეღარ დაიტრაბახებენ თავისი ფეხბურთით (მსოფლიო სარბიელზე მისი აქციები აშკარად დაეცა), არის სპორტის სახეები, რომლებშიც მათ დღესაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავიათ მთელ მსოფლიოში. ესაა სამთო-სათხილამურო სპორტი და ციგურებით ფიგურული სრიალი. სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება, რომ იტყვიან, აქ თვით ღმერთმა ბრძანა: ავსტრია მდებარეობს ალპების შუაგულში, რომლის ფერდობებს აგერ უკვე მრავალი ათეული წელია პირდაპირ მოსვენება არა აქვს ევროპის და სხვა კონტინენტების ტურისტთაგან და მოთხილამურეებისაგან.

ამ ქვეყანაში არის მრავალი კეთილმოწყობილი სამთო-სათხილამურო და ტურისტული თავშესაფარი (ეს სიტყვა — „თავშესაფარი“ — გაცილებით უკეთ და ზუსტად ხსნის ამ ადგილის დანიშნულებას, ვიდრე ჩვენში გავრცელებული ტერმინი „ბაზა“). თუ თქვენ მთებში ძალიან მაღლა ასვლა გადაწყვიტეთ, დარწმუნებული იყავით, რომ გზაში არა ერთი ასეთი თავშესაფარი შეგხვდებათ. ამ შემთხვევაში ისინი ასრულებენ საშუალედო გადასაჯდომი სადგურების როლს, რომლებიც ერთმანეთთან საბაგირო გზათა ქსელით არიან დაკავშირებული. როგორც გზის მაჩვენებელი წიგნები და ბროშურები იუწყებიან, ავსტრიაში არის სამასამდე საბაგირო გზა. და განა გასაკვირია, რომ ავსტრიელმა სამთო მოთხილამურეებმა ასეთ უბრწყინვალეს შედეგებს მიაღწიეს? მათგან საუკეთესოთა სახელები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ესენი არიან: უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებში არაერთგზის გამარჯვებული ქრისტიან პრაედა, 1952 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ოსკარ შნაიდერი, კორტინა დამპეცოს ოლიმპიადის აბსოლუტური გამარჯვებული — სამი ოქროს მედლის მფლობელი ტონი ზაილერი...

სამთო მოთხილამურეებს დაფნის გვირგვინს „ეცილებიან“ ციგურებზე ფიგურული სრიალის ოსტატები. მართალია, მათი რიცხვი აქ არაა დიდი, — სულ რამდენიმე ათასია (სწავლების სიძვირის გამო სპეციალურ სკოლაში ვარჯიში ყველას როდი შეუძლია), მაგრამ ავსტრიელთა დიდება სპორტის ამ სახეში დიდი ხანია გაცდა ამ პატარა ქვეყნის საზღვრებს. აქ, ავსტრიაში, დაიბადა ყინულზე ბრწყინვალე საბალეტო სანახაობა, ცნობილი „აის-რევიუ“, რომლის პროფესიონალური კოლექტივი ყოფილ სპორტსმენ-მოყვარულებისაგან შედგება...

1956 წლის შემდეგ ავსტრიულ ფეხბურთს დაეტყო სერიოზული ხარისხობრივი ცვლილებანი. ამ ძვრების პირველი მაჩვენებელი გახლდათ ეროვნული ნაკრების შედეგები. თუ 1956 წლის სეზონში ნაკრებმა შვიდი მატჩიდან მოიგო მხოლოდ ერთი (წააგო საფრანგეთთან — 1:3, ბრაზილიასთან — 0:2, უნგრეთთან—0:2, იტალიასთან — 1:2), მომდევნო წელს რვა თამაშიდან უკვე ოთხში გაიმარჯვა (შვეიცარიასთან—4:0, შვეციასთან — 1:0, ჰოლანდიასთან — 3:2, ლუქსემბურგთან — 3:0), სამი მატჩი ფრედ დაამთავრა (იუგოსლა-

ვებთან, პოლონდიელებთან და ჩეხოსლოვაკებთან) და მხოლოდ ერთი თამაში — მსოფლიო ჩემპიონთან — გფრ-ის გუნდთან, წაგო — 2:3.

ეს უკვე ჰგავდა წარსული დიდების აღორძინების დასაწყისს, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ყოველივე ეს მოხდა ამ ქვეყანაში ჩვენი ვიზიტის წინა პერიოდში. ამის უგულვებელყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. ახლა შეადარეთ ზემოთ მოყვანილი შედეგები უკანასკნელ თამაშებში ჩვენს წარუმატებლობას, გაიხსენეთ მატჩი „გალატასარაისთან“ და ცხადი გახდება, თუ რარიგ ძნელი პრობლემები იდგა ჩვენი გუნდის წინაშე ავსტრიის ტურნეში. გულახდილად უნდა გითხრათ: გვეგონა, უარესად ვითამაშებდით (არა შედეგის მხრივ, არამედ ხარისხით), ვიდრე ვითამაშეთ. გვქონდა უდიდესი სურვილი — გვეჩვენებინა ლამაზი სანახაობებით განებივრებული ავსტრიელი მაყურებლისთვის მაღალი კლასის ფეხბურთი. მაგრამ მივაღწიეთ რა ამ მიზანს, ჩვენ ვერ შევძელით მთავარი — სამი მატჩიდან თუნდაც ერთის გამარჯვებით დაგვირგვინება. საქმე ისე უცნაურად წარიმართა, რომ უნაყოფო ფეხბურთის, რომელშიც ბოლო დროს ავსტრიელებს დებდნენ ბრალს, იმათ კი არ აჩვენეს, არამედ ჩვენ. ორი წაგება, ერთი ფრე, სულ სამი გატანილი ბურთი, — აი, ჩვენი ავსტრიული ტურნეს უღიმღამო ბალანსი.

ავსტრიაში ნათამაშევ საუკეთესო მატჩად პირველი მიმაჩნია — ქვეყნის მეორე ნაკრების წინააღმდეგ. მართალია იგი წავაგეთ 0:1, მაგრამ მეტოქეთ არაფერში არ ჩამოუვარდებოდით, საგოლე მომენტების მხრივ კი, მოჭადრაკის ენით რომ ვთქვათ, „უკეთესადაც ვიდექით“.

ეს მატჩი შედგა 20 სექტემბერს ვენაში, „ვიენას“ სტადიონზე, რომლის ტრიბუნები 20 ათას მაყურებელს აევსო. ჩვენ ასეთი შემადგენლობით გამოვედით: კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშიპა, ხოჭოლავა, ღოღობერიძე, რამიშვილი, ხასაია, ბარქაია, ჭკუასელი, იაძანიძე, ქვლივიძე. ავსტრიის ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ენჰელმაიერი, პიულვაჩი, შტოცი, ჰელტლი, კარელი, პარშანგი, შლეგერი, რიგლერი, კოვაჩი (კოზლიჩეკი), ხოფი, იაროში. თამაშს სჯიდა ავსტრიელი გრილი.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა ჩვენ საგოლე მომენტები შევქმენით: ფორვარდები ორჯერ დარჩნენ

მეკარესთან პირისპირ, მაგრამ კარში ზუსტი დარტყმა ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა. ერთხელ ამაში ხელი შეგვიშალა ე. წ. ტექნიკურმა უხარისხობამ, მეორედ კი მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა_აღნიშნა. ჩემი აზრი შესაძლოა მიკერძოებული იყოს (განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც თამაში წავაგეთ), მაგრამ მომეჩვენა, რომ არბიტრი წეცდა.

წემდგომში ასეთი ხელსაყრელი მომენტები აღარ გვქონია. ისიც უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ძნელი ზურთი აიღო მშვენივრად მოთამაშე ენჰელმაიერმა.

მეორე ტაიმი ავსტრიელებმა ძალზე მწვავედ დაიწყეს და ჩვენც იძულებული გავხდით უკან დაგვეხია. ისინი ხანგრძლივად და სახიფათოდ გვიტევდნენ, მაგრამ გოლი არ ჩანდა. არ ჩანდა თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე... მატჩის მიწურულში ელოშვილს გაექცა მარცხენა გარემარბი, ბურთი კარგად ჩააწოდა ცენტრში შემოჭრილ კოზლიჩეკს, რომელმაც გაიტანა ერთადერთი გოლი. ანგარიშის გათანაბრებისთვის აღარც დრო დარჩა და არც საამისო მომენტი შექმნილა.

ქალაქი გრაცი, რომელშიც მეორე შეხვედრა გველოდა, შტირიის ალპებში მდებარეობს. იგი შტირიის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრია. (შევნიშნავ, რომ ავსტრია შედგება რვა პროვინციისგან, რომლებიც 1954 წელს ფაშისტური გერმანიის ჯარების განადგურების შემდეგ ოთხ საოკუპაციო ზონაში შევიდნენ. კერძოდ, შტირია წედიოდა ზონაში, რომელიც ხელთ ეპყრათ ინგლისის ჯარებს, ხოლო ზემო ავსტრია, თავისი ადმინისტრაციული ცენტრით — ქალაქ ლინცით, სადაც ჩვენ უნდა ჩავსულიყავით, მოხვდა საბჭოთა ზონაში)..

პატარა, კოპწია გრაცი გადაჭრილია დუნაის შენაკადით — მდინარე მურით, რომლის ნაპირები ბავშვებისა და მოხუცების, ტურისტებისა და მეთევზეების დასვენების საუცხოო ადგილს წარმოადგენს. ადგილობრივ სპორტულ კლუბ „გრაცერ აკ“-ს აქვს საკუთარი სტადიონი, ჰყავს ფეხბურთის გუნდი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატში გამოდის. მიუხედავად ჩვენი წარუმატებლობისა ვენაში, გრაცის სტადიონი გადატვირთულია — ტრიბუნებზე 20.000 მაყურებელზე მეტია.

ვენის მატჩთან შედარებით ჩვენს შემადგენლობაში მოხდა ზო-

გიერთი ცვლილება: მარჯვენა შუამარბის ადგილი დაიკავა კ. გაგნიძემ, მარცხენა გარემარბისა — მ. მესხმა. ჩვენი ახალგაზრდა მარცხენა გარემარბი გახლდათ გოლის ავტორი, რომელიც გავიტანეთ სულ მალე მატჩის დაწყების შემდეგ. სტარტი ძალზე იმედიანი იყო. სამწუხაროდ, თამაში იმავე სტილში ბოლომდე ვერ შევძელით: ინიციატივას დაეუფლენ „გრაცერის“ ფეხბურთელები და მალე მათმა მარცხენა შუამარბმა სუბოშიჩმა გაათანაბრა ანგარიში. თამაში გაგვიფუჭდა, აღარ გამოგვდიოდა არც გადაცემები, არც დარტყმა კარში. ავსტრიელები კი პირიქით, უფრო „გამხიარულდნენ“, ათამაშდნენ ზუსტად და თავისუფლად. ასეთ სიტუაციაში ჩვენს კარში გატანილი მეორე, გადამწყვეტი ბურთი შემთხვევითი როდი იყო.

თუ გრაცის მცხოვრებთ. მიუხედავად ჩვენი მარცხისა ეროვნულ ნაკრებთან, სჯეროდათ, რომ საკლუბო გუნდებთან შეხვედრებისას მაღალ კლასს ვუჩვენებდით, მეორე წაგების შემდეგ, ქალაქ ლინცში უკვე იმედის სრული გაცრუება გველოდა. ჩვენს სიცოცხლეში პირველად გვიხდებოდა საერთაშორისო მატჩის ჩატარება თითქმის ცარიელ სტადიონზე. ლინცელმა გულშემატკივრებმა დაკარგეს კარგი ფეხბურთის ხილვის იმედი და შეხვედრისადმი არავითარი ინტერესი არ გამოიჩინეს. ტრიბუნებზე მოგროვდა სულ რაღაც სამი ათასამდე მაყურებელი. პირველ მომენტში, როდესაც მოთელვაზე გამოვედით, მართალი გითხრათ, ეს ამბავი ძალიან გვეწყინა. მაგრამ გვქონდა კი წყენის უფლება? როგორც სტუმრებს, ჩვენ ყველგან გულითადი სტუმართმოყვარეობით გვხვდებოდნენ, ხოლო როგორც ფეხბურთელები ისეთ ყურადღებას ვგრძნობდით, როგორიც დავიმსახურეთ. და აი, ლინცის სტადიონზე მხოლოდ ისღა დაგვრჩა, რომ საკუთარ თავზე გავბრაზებულიყავით. ისიც ვიცოდით, რომ პირველხარისხოვანი ფეხბურთით „განებივრებული“ ავსტრიელი მაყურებელი სულაც არ აპირებდა ჩვენთვის რაიმე შეღავათის მოცემას და უფერულ თამაშს არ გვაპატიებდა.

ლინცში გველოდა შეხვედრა „ლასკის“ კლუბის ადგილობრივ გუნდთან, რომელიც „ბ“ კლასში გამოდიოდა. ჩვენი ჩამოსვლისთვის „ლასკი“ ერთპიროვნულად ლიდერობდა გათამაშებას და მეტოქეებს ბევრად უსწრებდა.

ჩვენი შემადგენლობა იგივე იყო, რაც გრაცში, მხოლოდ მე თავ-

დასხმაში დამავალეს თამაში. ჩვენი წინა ორი მეტოქე საგრძნობლად მაღლა იდგა „ლასკზე“, მაგრამ ამ გარემოებით როდი აიხსნება ის ფაქტი, რომ უკვე პირველ ათ წუთში კარის აღების სამი რეალური მომენტი შევქმენით, — წინა მატჩებთან ´ შედარებით ჩვენ უბრალოდ ამ დღეს გაცილებით უკეთესად ვთამაშობდით. ასე ვთამაშობდით მანამ, სანამ... გვქონდა ბურთის გატანის იმედი. და აი, როდესაც ვერ გამოვიყენეთ ერთი მომენტი, მეორე, მესამე და უპირატესობა კი აშკარად ჩვენს მხარეზე იყო, თანდათან შეგვერყა რწმენა, გაგვიქრა ენინი, მოგვეშალა რგოლთა ურთიერთობა. თითქოს შევურიგდით იმას, რომ დამაგვირგვინებელი დარტყმების უზუსტობა განუკურნავ ავადმყოფობად გადაგვექცა.

ასეა თუ ისე, „ლასკის“ კარში ორი ბურთი მაინც გავიტანეთ (ეს მე და იამანიძემ მოვახერხეთ), მაგრამ ჩვენსაშიც ამდენივე მივიღეთ. ეს ფრე, ცხადია, ვერავითარ შემთხვევაში ოდნავადაც ვერ შეანელებდა წინა ორი დამარცხებით გამოწვეულ სინანულს.





ამ ქვეყანასთან სასიამოვნო მოგონებანი მაკავშირებს. თოთხმეტი წლის წინ, 1944 წლის ოქტომბერში, აქ, თეირანში, „ამჟადიეს“ სტადიონზე მე ვითამაშე ჩემი პირველი საერთაშორისო მატჩი. დებიუტანტს წილად მხვდა ბედნიერება გამეტანა პირველი ორი ბურთი.

და აი, ესოდენ დიდი „შესვენების“ შემდეგ, ჩვენს კოლექტივს კვლავ ელოდა სტუმრობა ირანში. მართალია, იმათგან, ვინც თითქმის ერთნახევარი ათეული წლის წინათ ჩამოვიდა ამ ქვეყანაში, ჩემს გარდა მწყობრში აღარავინ დარჩა, მაგრამ მოწინააღმდეგეც უკვე სხვაა — ირანული ფეხბურთის ახალი თაობა. ამ თაობის წარმომადგენლებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ როგორც ტექნიკაში, ისე ტაქტიკაში. ამას მკაფიოდ ადასტურებდა, კერძოდ, ბაქოს „ნეფტიანიკის“, ერევნის „სპარტაკისა“ და თბილისელ არმიელთა კოლექტივის უკანასკნელი ვიზიტები ირანში (შეგახსენებთ, რომ ბაქოელებმა და ერევნელებმა ვერ შესძლეს ირანელთა უძლიერესი

გუნდის — „ტაჯის“ დამარცხება: „ნეფტიანიკმა“ ითამაშა მასთან 2:2, ხოლო „სპარტაკმა“ — 1:1. რაც შეეხება თბილისის არმიელებს, მათ შეძლეს ძნელი გამარჯვების მიღწევა — 1:0).

უნდა შევნიშნო, რომ ჩემს გარდა ჩვენი დელეგაციის კიდევ რამდენიმე წევრი იყო უწინ ირანში: გუნდის მწვრთნელი გრიგოლ გაგუა გამოდიოდა აქ ჩვენთან ერთად 1944 წელს, ხოლო ახალგაზრდა ფეხბურთელები თ. მელაშვილი, დ. ხუნდაძე და ვ. რამიშვილი წარსული წლის ზაფხულში ჩამოჰყვნენ აქ თბილისის არმიელთა გუნდს.

მთელი გზა თბილისიდან თავრიზამდე, შემდეგ კი თეირანამდე, ჯერ საბჭოთა, მერე კი ირანული ავტობუსებით დავფარეთ. გადაჯდომა ერთი ავტობუსიდან მეორეში მოხდა საზღვარზე. აქ, სასაზღვრო მდინარე არაქსის ხიდთან, მოვიდნენ ირანის ხელისუფალთა და სასპორტო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც შემდგომში მთელ გზაზე გვახლდნენ.

ირანში პირველი ჩამოსვლის დროს ორივე მატჩი თეირანში გავმართეთ, ახლა კი „პრემიერა“ დედაქალაქში ჩასვლამდე — თავრიზში გველოდა. აქ შევხვდით ადგილობრივ ნაკრებს.

თამაშის წინ თავრიზელებმა თავისი გუნდის გამოსვლისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს, მაგრამ მატჩის შემდეგ ეს განუზომელი ინტერესი როგორღაც გაქრა და დაიფერფლა, რადგან ჩვენ მოვიპოვეთ იოლი გამარჯვება: მეტოქეთა კარში 6 „მშრალი“ ბურთი მოვათავსეთ. და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდით საკუთარ „წინდაუხედაობას“. თურმე მატჩზე სპეციალურად ჩამოვიდნენ „მზვერავები“ — თეირანის გუნდების მწვრთნელები, რომლებიც ძალზე შეაშფოთა მისმა შედეგმა.

ამიტომ იყო, რომ უკვე შემდეგ თამაშში „შაჰინის“ წინააღმდეგ ჩვენ წავაწყდით ირანელთა მასირებულ, ღრმაეშელონიან დაცვას, რომლის გადალახვას დიდი დრო და ძალა შეეწირა.

თუ ჩვენი პირველი ჩასვლის დროს ირანელი ფეხბურთელები ორი მცველისა და ერთ ხაზზე განლაგებული ხუთი თავდამსხმელის (სისტემას ასეც ერქვა — „ხუთი ხაზზე“) სისტემით თამაშობდნენ, ახლა ყველა მათი კლუბი შეიარაღებული იყო თანამედროვე სისტემით „დუბლ ვე-ემით“, რომელიც სამ მცველს ითვალისწინებს.

მაშინ ჩვენც ამ სისტემით ვთამაშობდით, ასე, რომ მზად ვიყავით ყველა შესაძლო კონტრთამაშისათვის.

მაგრამ ის, რაც შემოგვთავაზეს მოედანზე ირანელებმა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ძალიან საკვირველი იყო. ჩვენ ადრეც გვსმენია სხვადასხვა ყრუ დაცვის შესახებ — მრავალგვარ „ბეტონებსა“ და „ზებეტონებზე“ (გავიხსენოთ, თუნდაც, სსრ კავშირისა და ინდონეზიის ნაკრებთა მატჩი 1956 წლის ოლიმპიურ ტურნირზე ავსტრალიაში). ვიცნობდით ისეთი გუნდების ტაქტიკაც, როგორიცაა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, მაგრამ საერთაშორისო მატჩებში ჯერ არ შეგვხვედრია მოწინააღმდეგე, რომელიც ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე თავის ნაჭუჭში „შეძვრა“ და ცდილობს იმოქმედოს პრინციპით „შენც ნუ, მეც ნუ“.

„შაჰინს“ თავდასხმაში მაქსიმუმ სამი კაცი ჰყავდა, უფრო ხშირად კი ორი. სამაგიეროდ, თავიანთი კარის სიახლოვეს ირანელები ყოველთვის ბლომად იკრიბებოდნენ და ასეთი შეჯგუფების გარღვევა ადვილი საქმე როდი იყო. მიუხედავად ამგვარი გულმოდგინე თავდაცვისა, მაინც მოვახერხეთ მატჩის მოგება — 2:1.

დამარცხებულები ძალზე კმაყოფილნი ტოვებდნენ მოედანს. გასახდელში აგვიხსნეს მათი დაუფარავი სიხარულის მიზეზი. თურმე თეირანისა და თავრიზის ფეხბურთელთა შორის არსებობს ანტაგონიზმი, რომელსაც საფუძვლად უდევს „ჰეგემონიისათვის ბრძოლა“, — ერთნიცა და მეორენიც მთელი შესაძლებლობით ცდილობენ დაამტკიცონ თავიანთი უპირატესობა და პრიორიტეტი. თავრიზელების გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, თეირანელებს მოგებაზე არცკი უფიქრიათ. მათ, უბრალოდ, გადაუწყვეტიათ პატარა ანგარიშით წაგება...

„შაჰინის“ („შაჰინი“ შაჰის გუნდია) მაგალითი გადამდები გამოდგა — ჩვენმა უკანასკნელმა მეტოქემ „ტაჯმა“, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ ყრუ დაცვის აგება „შაჰინის“ ფეხბურთელებზე უკეთესად შეიძლება. და ააგეს კიდეც. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ორი თურქი გამოდიოდა, თამაშის ოთხმოცდაათივე წუთი მოედნის თავის ნახევარზე გაატარა. ირანელთა ამოცანა ნათელი იყო: რადაც უნდა დაჯდომოდათ არ გაეშვათ გოლი და, მართლაც, თამაში უშედეგოდ (0:0) დამთავრდა.

უნდა გენახათ, როგორ ზეიმობდნენ გულშემატკივრები და

ფეხბურთელები! ჩვენთვის კი მატჩის შედეგი უფრო ჭკუის სასწავლებელი იყო, ვიდრე დამაღონებელი: იგი გვაიძულებდა გვეფიქრა დაცვაში მეტოქეთა რიცხვობრივი უპირატესობის საწინააღმდეგო პრობლემებზე, უნდა გვეძია ახალი გზები მეტისმეტად „დასახლებული“ საჯარიმო მოედნიანი კარის ასაღებად.

ამჯერად ასეთი გზები ვერ გამოვნახეთ. თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ გულმოდგინედ როდი ვეძებდით. ეს იმიტომ მოხდა, რომ თავრიზში იოლი გამარჯვების შემდეგ აღარ ველოდით ასეთ წინააღმდეგობას თეირანში. და როცა ამ წინააღმდეგობას წავაწყდით, მოულოდნელობისგან დავიბენით კიდეც და, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიურად განიარაღებულნი აღმოვჩნდით. ჩვენს განწყობილებაში გულგრილობის ნიავი იგრძნობოდა, რომელმაც პირველი მატჩის შემდეგ დაპბერა. მან შეძლო ჩვენი დეზორიენტირება, ირანულ ფეხბურთზე არასწორი დასკვნები გამოგვატანინა და... ასეთი გავლენა იქონია ბოლო შედეგებზე.

დასასრულს მოგახსენებთ ჩვენი დელეგაციის შემადგენლობას. მოედანზე ირანელებმა ნახეს: კარში — ს. კოტრიკაძე, დაცვაში — ჩოხელი, ბ. სიჭინავა, ხოჭოლავა, ნახევარდაცვაში — ა. კოტრიკაძე, რამიშვილი, თავდასხმაში — დალაქიანი, ბარქაია, ღოღობერიძე, იამანიძე, მესხი. გარდა ამ მოთამაშეებისა, დელეგაციაში იყვნენ კვაჭაძე, ხუნდაძე, მელაშვილი, კ. გაგნიძე, მწვრთნელები ვ. სოკოლოვი, გ. გაგუა, მ. მინაევი. დელეგაციას ხელმძღვანელობდა გ. სიხარულიძე.



რაღაც მსგავსი ჩვენ უკვე განვიცადეთ ერთი წლის წინ, ირანში: პირველმა წარმატებამ — გამარჯვებამ დიდი ანგარიშით — წარმოშვა მოულოდნელობანი და ახალი დაბრკოლებანიც კი. ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. და აი, ახლა, ჩეხოსლოვაკიაში იგივე გამეორდა. ყველაფერი ჩვენდაუნებლიედ მოხდა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ყოველივე კეთილად დამთავრდა. საქმე იმაშია, რომ ჩეხოსლოვაკური ფეხბურთი ბევრად უფრო მაღლა დგას ირანულზე, აქვს მრავალწლიანი, მდიდარი ტრადიციები და ამიტომ ფიქრი იოლ თამაშზე, მით უმეტეს, დიდი ანგარიშით გამარჯვებებზე, ცხადია, არც შეგვეძლო.

პირველი მატჩი გვქონდა ძლიერ და გამოცდილ მეტოქესთან — პრაღის „დინამოსთან“ (ყოფილი „სლავია“), რომლის შემადგენლობაში იყო ქვეყნის ნაკრების რამდენიმე მოთამაშე.

როგორ წარიმართა თამაში ჩეხოსლოვაკური ფეხბურთის ერთ-

ერთ ლიდერთან, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირთა მონაწილესთან?

სანამ ამაზე მოგითხრობთ, წარმოგიდგენთ დელეგაციის შემადგენლობას: მეკარეები — ს. კოტრიკაძე და ა. კავაზაშვილი, მცველები — ვ. ელოშვილი, გ. ჩოხელი, ე. თორაძე, გ. ხოჭოლავა, ზ. სოტკილავა, ნახევარმცველები — ჯ. ზეინკლიშვილი, შ. იამანიძე. ა. კოტრიკაძე, თავდამსხმელები — თ. მელაშვილი, ვ. ბარქაია, ზ. ჯალოევი, კ. გაგნიძე, ლ. ჟორდანია და მე; მწვრთნელები — ა. ჟორდანია და ნ. ჩხატარაშვილი, ექიმი — ზ. თელია. დელეგაციის ხელმძღვანელია სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქართველოს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე. გვაკლია მესხი, რომელიც მოსკოვში დარჩა (იქ მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მზადება).

ჩვენი ბიჭებიდან მხოლოდ მე მხვდა ბედნიერება აქამდეც ვყოფილიყავი ამ მშვენიერ ქალაქში. „ზლატა პრაღაში" ადრე ორჯერ ვიყავი სხვა გუნდების შემადგენლობაში, — ჯერ ცდკა-ს ფეხბურთელებთან, შემდეგ კი მოსკოვის დინამოელებთან ერთად.

ჩეხოსლოვაკიაში გაცხარებული ჩემპიონატის დღეებში ჩავედით. ჯერ კიდევ ომამდელ წლებში აქაური საფეხბურთო ჩემპიონატი ტრადიციული საშემოდგომო-საგაზაფხულო კალენდრით იმართებოდა. შემდეგ წლებში (უნდა ვიფიქროთ ჩვენი გავლენით) აქ სცადეს ე. წ. საზაფხულო კალენდარზე გადასვლა (სტარტით გაზაფხულზე და ფინიშით შემოდგომაზე). ქვეყნისთვის, რომელსაც რბილი და შედარებით უთოვლო ზამთარი ახასიათებს, ეს კალენდარი ნაკლებ მისაღები გამოდგა და აი, 1958 წლიდან გადაწყდა პირველობის ძველებურად ჩატარება, ე. ი. საზაფხულო არდადეგებით. ასე, რომ სექტემბრის ვიზიტი მხოლოდ ჩვენთვის იყო სეზონის უკანასკნელი აკორდი, მასპინძლები კი ეს-ესაა შედიოდნენ შეჯიბრების გადამწყვეტ ფაზაში.

და კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება 1959—1960 წლების ჩემპიონატისა: იგი მიმდინარეობდა გუნდების ტაქტიკური გადახალისების ნიშნით, — ისინი ითვისებდნენ ოთხი მცველისა ან ოთხი თავდამსხმელის სისტემას („ან" იმიტომ, რომ ყველა მწვრთნელმა როდი მიიღო ახალი სქემა 1+4+2+4; ზოგს უფრო მოეწონა ვარიანტი 1+3+3+4).

ერთი სიტყვით, ჩეხებს, ისევე როგორც ევროპის ბევრი სხვა ქვეყნის ფეხბურთელებს, უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ბრაზილიელთა სიახლე. მათ კარგად ესმოდათ, რომ ეს სიახლე უბრალო მოდური გატაცება კი არ იყო, არამედ ძალზე მნიშვნელოვანი და იქნებ აუცილებელიც კი.

პირველ მეტოქედ, როგორ უკვე ვთქვი, პრაღის „დინამო" გვყავდა. ვიცოდით, რომ ეს იქნებოდა ჩვენი ერთადერთი გამოსვლა პრაღაში და დიდი სურვილი გვქონდა დედაქალაქში განსაკუთრებით კარგად გვეთამაშა. შემადგენლობა გარკვეული გვქონდა, მხოლოდ ერთი საკითხი იყო გაურკვეველი: ვინ შეცვლიდა მესხს? მატჩის წინ უკანასკნელ საწვრთნელ ვარჯიშზე ესეც გაირკვა და დადგინდა: მარცხენა გარემარბის ადგილს დაიკერს კ. გაგნიძე. ამრიგად, საასპარეზოდ ასეთი შემადგენლობით გავედით: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, გაგნიძე.

შეხვედრის შედეგი მასპინძელთათვის პირდაპირ გამანადგურებელი გამოდგა,— ჩვენ გავიმარჯვეთ ანგარიშით 6:1. უნდა ითქვას, რომ თამაშის მსვლელობის მიხედვით ასეთი შედეგი ყოვლად მოულოდნელი იყო,— ჩვენ აშკარა უპირატესობა არ გვქონია. მართალია, კარგად ვთამაშობდით, მაგრამ ბედიც გვწყალობდა. იმ დღეს ყველაფერი საუცხოოდ გამოგვდიოდა, და რამდენი საგოლე მომენტიც შევქმენით, იმდენი მეტოქის კარის აღებით დავაგვირგვინეთ. ისეთი აღმაფრენითა და სიზუსტით ვთამაშობდით, რომ მეტოქენი დაიბნენ კიდეც. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ამჯერად თენგიზ მელაშვილს, რომელმაც სამი ბურთი გაიტანა. ორი გოლის ავტორი იყო კალოევი, ერთისა — ბარქაია.

პრაღაში ჩვენს გამარჯვებას დიდი რეზონანსი ჰქონდა,— გაზეთებმა აღფრთოვანებული ქებით შეაფასეს ჩვენი თამაში და წარმატება შემდგომ შეხვედრებშიც გვიწინასწარმეტყველეს. მართალი გითხრათ, ჩვენც დავიჯერეთ, რომ ეს ასე იქნებოდა. და ძალიანაც შევცდით. ოთხი დღის შემდეგ, პლზენში, უკვე ძალზე ვნანობდით ამას.

პლზენის სპარტაკელები, რომლებსაც უნდა შევხვედროდით, არ შედიოდნენ პირველი ჯგუფის 14 უძლიერესი გუნდის რიცხვში. მიუხედავად ამისა, მათთან თამაში ფრედ დამთავრდა

დაიწყო თუ არა მატჩი, „სპარტაკის“ მცველებმა ძალზე მჭიდროდ აიყვანეს „დინამოს“ თავდამსხმელები. გამახსენდა ერთი „გაკვეთილი“, რომელიც ერთი წლის წინ ჩაგვიტარეს ირანში. მართალია, აქ არ იყო ისეთი მასირებული, სრული უკანდახევა საკუთარი კარის მისადგომებთან, სამაგიეროდ „სპარტაკის“ მცველები ზედმეტი ენთუზიაზმით იჭერდნენ ჩვენს ბიჭებს, მათი „დაჭერის“ ხერხების არჩევაში თავს არ იწუხებდნენ და ხშირად ძალზე უხეშადაც კი იქცეოდნენ.

უშედეგო პირველი ტაიმის შემდეგ მოედნის პატრონებმა გაიტანეს გოლი ჩვენს კარში. ახლა ისინი ანგარიშის შენარჩუნებისთვის ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ. მაგრამ, საბედნიეროდ, წაგებული გუნდის მდგომარეობაში დიდხანს არ ვიყავით: გაგნიძის მაგიერ მოედანზე გამოსულმა ლევან ჟორდანიამ (სასტარტო შემადგენლობა ისეთივე იყო, როგორც პრაღაში) გაიტანა საპასუხო ბურთი. მეტის გაკეთება უკვე ვეღარ შევძელით.

უკანასკნელი მატჩი გვქონდა გოტვალდოვში, ქალაქის ნაკრებთან. პრაღაშიც და პლზენშიც ბევრი ვიმოგზაურეთ, მრავალი ისტორიული და ღირსსახსოვარი ადგილი დავათვალიერეთ, ვნახეთ ძალიან ბევრი საინტერესო რამ, მაგრამ პირადად ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გოტვალდოვის ფეხსაცმლის უდიდესი კომბინატის დათვალიერებამ. ესაა შესანიშნავად მოწყობილი წარმოება, რომლის პროდუქცია მთელ მსოფლიოშია განთქმული. წარმოების ხელმძღვანელებმა გამოთხოვებისას ჩვენი დელეგაციის ყველა წევრს მიართვეს ცელოფანის კოლოფში ჩადებული, საუცხოოდ შეკერილი მინიატურული ფეხსაცმელები.

როგორც შემდეგ გამოგვიტყდნენ, პლზენში ყაიმის შემდეგ გოტვალდოვის ფეხბურთელებს გაუჩნდათ ჩვენთან შეხვედრის კარგად დამთავრების იმედი. იმ ფაქტმა, რომ პლზენის „სპარტაკს“ წარმატება დაცვის საგანგებო გაძლიერებამ მოუტანა, გოტვალდოველებსაც ასეთივე ტაქტიკა აარჩევინა. მაგრამ ჩვენ უკვე გავითვალისწინეთ საკუთარი შეცდომები და გადავწყვიტეთ აღარ გაგვემეორებინა ისინი. პირველ ტაიმში გატანილ ბურთს (ბარქაია) თამაშის მეორე ნახევრის დასაწყისში მეორე მივაყოლეთ (მელაშვილი), საკუთარ კარში ერთი ბურთი გავუშვით და გამარჯვებაც მოვიპოვეთ.

ორი უკანასკნელი მატჩი საკმაოდ ძნელი გამოდგა, მაგრამ მე და ჩემს ამხანაგებს დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ყველაზე მძლავრი კოლექტივი მაინც პრაღის „დინამო“ იყო. მის წინააღმდეგ რომ გვეთამაშა არა პირველი, არამედ მეორე, ან მესამე მატჩი, ანგარიშიც, უდავოა, ისეთი არ იქნებოდა.



თქვენ, ცხადია, ძალიან ხშირად წაგიკითხავთ და გაგიგონიათ სიტყვები „დროის გასწრება“. ამ გამოთქმის მნიშვნელობას აღარც კი ვუკვირდებით. მართლაც და როგორ შეიძლება გაუსწრო დროს? მაგრამ თანაგუნდელებთან ერთად ერთხელ შემთხვევა მომეცა გამესწრო დროისთვის... და არა ქარაგმულად და ფიგურალურად, არამედ სულ ნაღდად, ასე ვთქვათ, ნატურალურად. აი, როგორ მოხდა ეს.

1959 წლის 8 ნოემბერს ხანგრძლივი და ძნელი სეზონის შემდეგ ჩვენი გუნდი მოსკოვიდან ბელგიაში მიემგზავრებოდა (როგორც შემდეგ გამოირკვა, ლუქსემბურგსა და საფრანგეთშიც გველოდა გამოსვლები). ზუსტად დილის 8 საათზე ჩვენი თვითმფრინავი ტუ-104 მოწყდა ვნუკოვოს აეროდრომს და გეზი დასავლეთისკენ აიღო. ვიფრინეთ დაახლოებით 3 საათი და როცა ამსტერდამში დაშვების შემდეგ აეროპორტში უზარმაზარი ელექტროსაათის ციფერბლატს შევხედეთ, ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, — რვას უკლდა 10 წუთი. ჰორიზონტზე ამოწვერილი მზე ვერ იქნა და

ვერ დაგვეწია, — პირიქით, მოსკოვიდან ამსტერდამამდე ფრენის დროს მას ათეული წუთებითაც კი „გავუსწარით“.

ტურნე ბელგიაში იყო საპასუხო ვიზიტი, რომლის მოთავე გახლდათ ჩვენი ყოფილი სტუმრების — „ლა განტუაზის“ კლუბი. გაგახსენებთ, რომ ზაფხულში, უფრო ზუსტად, 22 მაისს, განტუაზელები თბილისში ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდნენ და დამარცხდნენ ანგარიშით 1:2. ახლა კი შინ, მშობლიურ ჰენტში, ისინი რევანშის წყურვილით იყვნენ აღსავსენი. მით უფრო, რომ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ არც თუ ისე მაღალი შეფასება მისცა თბილისის „დინამოს“ თამაშს. ცხადია, ასეთმა შეფასებამ ჩვენი ბიჭები გააგულისა და გადავწყვიტეთ რადაც უნდა დაგვჯდომოდა, თამაში მოგვეგო. ჩვენი დელეგაცია ამჯერად ასეთნაირად გამოიყურებოდა: ს. კოტრიკაძე, გ. ჩოხელი, ე. თორაძე, გ. ხოკოლავა, შ. იამანიძე, ჯ. ზეინკლიშვილი, თ. მელაშვილი, ვ. ბარქაია, ზ. კალოევი, ა. ღოღობერიძე, მ. მესხი, ა. კვაჭაძე, ვ. ელოშვილი, ა. კოტრიკაძე, რ. ჭანჭალეიშვილი, ა. ხელაძე, ი. კურტანიძე, ლ. ჟორდანია, მწვრთნელები — ა. ჟორდანია და ნ. ჩხატარაშვილი, ექიმი ზ. თელია. დელეგაციას სათავეში ედგა გ. სიხარულიძე.

ამსტერდამში ნახევარსაათიანი შესვენების შემდეგ გადავფრინდით ბრიუსელში, იქიდან კი მანქანით ჩავედით ჰენტში, ბელგიაში ჩვენი დებიუტის ადგილზე. ამ ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქზე პირველი შთაბეჭდილება წმინდა საფეხბურთო გამოდგა და მან ყოველი ჩვენგანი გააკვირვა. შევედით თუ არა სასტუმროს ვესტიბულში, თვალში გვეცა უზარმაზარი სტენდი, რომელზეც გაკრული იყო... ცნობილი ფეხბურთელების ფოტოგრაფიები. თურმე ნუ იტყვით, სასტუმროს პატრონი ფეხბურთის დიდი მოყვარული ყოფილა და უკვე დიდი ხნის ტრადიციის მიხედვით ჰენტში ჩამოსულ ფეხბურთელებს, როგორც წესი, სხვაგან არსად უშვებს, თავის სასტუმროში აბინავებს და ყველანაირად ცდილობს, რომ სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ. ისევ ტრადიციის ძალით, თუ სასტუმროს პატრონი მოისურვებს, ფეხბურთელები „ვალდებული“ არიან სამახსოვროდ მასთან გადაიღონ სურათი. ცხადია, ეს ახალი ფოტოგრაფიაც უმალვე სტენდზე აღმოჩნდება.

ჩვენი პირველი მეტოქეა ადგილობრივი კლუბი „ლა განტუაზი“. ჯერჯერობით ამ გუნდის მიხედვით შეგვიძლია ბელგიის ფეხბურთზე წარმოდგენის შექმნა და მსჯელობა, რადგან სხვა გუნდები არ გვინახავს. თუმცა ვიცით, რომ განტუაზელებთან ერთ საფეხურზე, თუ უფრო მაღლა არა, დგანან ბრიუსელის „ანდერლეხტი“ და ლიეჟის „სტანდარდი“. საერთოდ, ფეხბურთი ბელგიაში ძალზე პოპულარულია — 25.000 საკლუბო გუნდი 300 ათასზე მეტ ფეხბურთელს აერთიანებს. ეს მაშინ, როდესაც ამ ქვეყნის მოსახლეობა 8 მილიონს არ აღემატება.

ბელგიის ფეხბურთის დიდება დაიბადა ჯერ კიდევ 1920 წელს, როდესაც ამ ქვეყნის ნაკრებმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. შემდეგშიც ჰქონდათ წარმატებანი ბელგიის ნაკრებსა და საკლუბო გუნდებს საერთაშორისო სარბიელზე. მართალია, უკანასკნელ წლებში გამარჯვებათა რიცხვმა ძალიან იკლო. ჩვენს ჩამოსვლამდე სამი კვირით ადრე ბელგიის ნაკრებმა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შერჩევით ტურნირში დამარცხების სიმწარე იგემა შვედებისა (0:2) და შვეიცარიელებისაგან (2:4).

ჩვენი პირველი მატჩი დაემთხვა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში დაღუპულთა ხსოვნის დღეს, რომელიც ბელგიაში ტრადიციულად აღინიშნება. ვიყავით სასაფლაოზე და გვირგვინებით შევამკეთ ძმათა საფლავი... რამდენიმე საათის შემდეგ უკვე „ლა-განტუაზის“ სტადიონზე სათამაშოდ გამოვდივართ.

გუნდის შემადგენლობაში არიან: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, იამანიძე, ზეინკლიშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე და მესხი.

მასპინძლები თავიდანვე არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, — უპირატესობა მთლიანად ჩავიგდეთ ხელში, მაგრამ მეტოქის კარის გამიზვნა ძალზე გაგვიჭიანურდა. მერე კი ნავსი ტყდება და ზედიზედ გაგვაქვს სამი ბურთი: ჯერ კალოევი აგვირგვინებს ბარქაიასა და მელაშვილის ზუსტ გადაცემებს, შემდეგ კი მე ვიყენებ მელაშვილის საუცხოო ჩაწოდებას ფლანგიდან.

შესვენების შემდეგ ხოჭოლავას ნაცვლად მოედანზე ჭანჭალეიშვილი გამოდის. იწყება ძლიერი წვიმა. შეიცვალა არა მარტო ამინდი, არამედ ჩვენი განწყობილებაც. საბრძოლო ხასიათი, რომლითაც თავდაპირველად გამოვედით, გაჰქრა. გუნდი თვითდამშვი-

დებას მიეცა. მატჩი ნაადრევად ჩავთვალეთ მოგებულად და ამისათვის (მერამდენედ!) მწარედ დავისაჯეთ. მეორე ნახევარში ბელგიელებმა სამივე ბურთი გაქვითეს და შეხვედრა ფრედ (3:3) დამთავრდა.

მეორე დღე ჰენტის დათვალიერებას მოვანდომეთ, ვნახეთ მრავალრიცხოვანი სპორტული ნაგებობა. ვიყავით ველოტრეკზე, სადაც ველომრბოლთა ხანგრძლივი და დამქანცველი, არაადამიანური რბოლის მოწმენი გავხდით. ორი ველომრბოლი, რომლებიც ერთ გუნდს შეადგენს, ექვსი დღის განმავლობაში განუწყვეტელ რბოლაში ენაცვლება ერთი-მეორეს და სხვა ასეთივე გუნდებს ეჯიბრება. საშინელებაა უცქირო სპორტსმენს, რომელიც ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობს. აი, მან თავისი რამდენიმე საათი „დაატრიალა“ და შემდეგი „სეანსის“ მოლოდინში დასასვენებლად მიგდებულა. ასპარეზობა დღედაღამ მიმდინარეობს, დღედაღამე იმყოფებიან ტრეკზე ველომრბოლები, ხოლო ტრიბუნებზე — მაყურებლები. ველოტრეკის თამბაქოთი გაბოლილ შენობაში საშინელი ხმაურია. მაყურებელთა შორის გაქანებული ტოტალიზატორის თამაში მიდის. საბრალო ველომრბოლები კი პედალებს ატრიალებენ, ატრიალებენ, ატრიალებენ...

ლიეჟში ჩასვლამდე, სადაც მეორე თამაში გვქონდა დანიშნული, ანტვერპენში მოვხვდით. აქ კალენდარულ მატჩს ატარებდა ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგე „სტანდარდი“. იგი ბელგიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, ჩემპიონატში კარგად აიღო სტარტი და მეორე ადგილზე იმყოფება. თამაში არ მოგვეწონა, — მოველოდით ტექნიკურ, თუ შეიძლება ითქვას, მშვიდ ფეხბურთს, ვნახეთ კი ორი უხეში გუნდის შეჯახება, რომლებიც ბრძოლის საშუალებათა არჩევანით მაინცდამაინც არ იწუხებდნენ თავს. ამას დაემატა მსაჯის უნიათობაც, მან თავის ნებაზე მიუშვა ფეხბურთელები, თანაც ადგილობრივი გუნდის მიმართ აშკარა ტენდენციურობას იჩენდა.

როდესაც 17 ნოემბერს „სტანდარდი“ მოედანზე ჩვენს პირისპირ გამწკრივდა, ნახევარზე მეტი ფეხბურთელები ვერც კი ვიცანით. თურმე ისინი სხვა კლუბებიდან იყვნენ ნასესხები. ჩვენი შემადგენლობაც შეიცვალა: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, კურტანიძე, მესხი. მატჩის მსვლელობაში ბარქაია ჟორდანიამ შეცვალა.

ცხადია, შემეძლო ამეწერა „სტანდარდთან“ თამაშის მსვლელობა, მაგრამ სიტყვა მივცეთ გაზეთ „სოვეტსკი სპორტს“: „მოწინააღმდეგეთა ძალები თითქმის თანაბარი იყო. მასპინძელთა მწვავე შეტევებს უმალვე მოსდევდა სტუმრების სწრაფი იერიშები. მაგრამ 16-ე წუთზე მომხდარმა სავალალო გაუგებრობამ დაამახინჯა მატჩის მსვლელობა. ბურთი თბილისელთა საჯარიმო მოედანში ია. „სტანდარდის“ თავდამსხმელი ეუფლება ბურთს და გადის კარზე. მაგრამ მან ბურთი აწკარა თამაშგარე მდგომარეობაში მიიღო. ეს კარგად დაინახეს „დინამოს“ მცველებმა და გვერდითმა მსაჯმა, რომელმაც ბაირაღი აიქნია. მაგრამ ამას სასტვენი არ მოჰყოლია და ბელგიელმა დაუბრკოლებლივ გახსნა ანგარიში.

51-ე წუთზე კალოევმა შეაგდო საპასუხო ბურთი. ყველას ეგონა, რომ მატჩი ფრედ დამთავრდებოდა, მაგრამ მის დაბოლოებას 8 წუთი უკლდა, როდესაც სავსებით ანალოგიური „გაუგებრობა“ გამეორდა. „სტანდარდი“ წინ გავიდა — 2:1. თამაში ძალიან გამწვავდა, მაგრამ დინამოელთა შეტევებს წარმატება არ მოჰყოლია. მატჩის შემდეგ ბელგიელთა კლუბის ხელმძღვანელებმა ბოდიში მოიხადეს სუსტი მსაჯობის გამო, მაგრამ ამას, რასაკვირველია, შეხვედრის შედეგის შეცვლა აღარ შეეძლო“.

ზემოთქმული, მე მგონია, არავითარ დამატებას არ საჭიროებს. მსურს მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებს შევეხო ცოტა დაწვრილებით. მესხი, რომელმაც საერთოდ კარგად ჩაატარა მთელი შეხვედრა, განსაკუთრებით სახიფათო იყო უკანასკნელ წუთებში. იგი რამდენჯერმე გავიდა მარცხენა ფრთაზე და შესანიშნავი გადაცემები გააკეთა კარის გასწვრივ. საკმარისი იყო ბურთისათვის ფეხის ოდნავი წამოდება, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა ეს საუცხოო შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს.

ასე რომ დაგვრჩა ერთადერთი შესაძლებლობა თავი გამოგვეჩინა ბელგიის ჩემპიონატის ლიდერთან, გასული წლის ჩემპიონ „ანდერლეხტთან“. მაგრამ ბრიუსელში ჩასვლისთანავე შევიტყეთ ცვლილება ტურნეში: „ანდერლეხტთან“ აღარ გვათამაშებენ (ეს „კორექტივი“ ბელგიელებს შეუტანიათ), სამაგიეროდ მივემგზავრებით ლუქსემბურგსა და საფრანგეთში. ბრიუსელში შემოგვიერთდნენ მოსკოველი თანაკლუბელები ვ. კესარევი, ვ. ცარიოვი და

დ. შაპოვალოვი, ხოლო ცოტა მოგვიანებით — საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ვ. მოშკარკინი.

მე უკვე მოგითხრეთ იმაზე, თუ რამ გაგვაოცა ბელგიაში ყველაზე უფრო, მაგრამ გამომგზავრების დღეს კიდევ ერთი მეტად უცნაური ტრადიციის მოწმენი გავხდით. აქ შევეჩვიეთ არაჩვეულებრივ სიწყნარეს, სიმშვიდეს. ქუჩაში ხმამაღალ სიტყვასაც კი ვერ გაიგონებთ, ხოლო რაც შეეხება ჩხუბს, აყალმაყალს, ან მთვრალი ხულიგნების ღრიანცელს, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს წინ უცნაური სურათი გადაიშალა: მთელი ქალაქი მოდებული იყო გალეშილი ახალგაზრდებით, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად და ცალცალკე ყველაფრის უფლებას ძლევდნენ თავს — უცნობ ქალიშვილებს ეპოტინებოდნენ, ავტომანქანებს აყირავებდნენ... გასაკვირი ის იყო, რომ მათი საქციელი გამელელთაგან და, წარმოიდგინეთ, პოლიციელებისგანაც ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩებოდა. სასწრაფოდ შეეცადნენ ჩვენს დაშოშმინებას და აგვიხსნეს, რომ 19 ნოემბერი ყოველწლიურად აღინიშნება ბელგიაში როგორც „დედისერთა ვაჟების დღე". ამ დღეს დედისერთა ვაჟებს ყველაფერი ეპატიებათ და მათ დაუსჯელად შეუძლიათ გაატარონ ეს დღე, — გააკეთონ ყველაფერი, რაც კი მოესურვებათ. სხვა რომ არა ვთქვათ, უცნაური ტრადიციაა!

ლუქსემბურგში ჩვენს მეტოქედ ამ ქვეყნის ნაკრები იყო გამოცხადებული. მაგრამ სანამ სათამაშოდ სტადიონზე გამოვიდოდით, შევიტყეთ, რომ გვყავს აკრძალული ხერხებით მოქმედი მეორე მოწინააღმდეგეც. ეს გახლდათ კათოლიკური ეკლესია, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთ დაჟინებით ურჩევდა არ დასწრებოდნენ „წითელი გუნდის საფეხბურთო პროპაგანდისტულ გამოსვლას". რამდენად სასაცილო გამოდგა წმინდა მამების გაჭაჭვა, ამაში მატჩის დღეს, სტადიონზე მისვლისთანავე დავრწმუნდით, — თამაშის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, ტრიბუნები კი მაყურებლებით იყო გატენილი. საერთოდ, ლუქსემბურგში ჩვენს მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს. დელეგაციის რამდენიმე წევრი ტელესტუდიაში მიიწვიეს. მრავალ შეკითხვას საქართველოს სპორტულ ცხოვრებაზე ტელევიზორში გამოსულმა გ. სიხარულიძემ გასცა პასუხი.

ლუქსემბურგის ნაკრები საკმაოდ სუსტი გუნდია და არაფერია გასაკვირი, რომ თამაში უმთავრესად მის ნახევარზე მიმდინარეობდა.

ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ აი, ერთი ბურთის გატანაც კი ვერ მოვახერხეთ და შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა.

გული გვწყდებოდა იმის გამო, რომ ერთხელაც ვერ ვითამაშეთ მთელი ძალით, ერთხელაც ვერ შევძელით სრულად გამოგვეჩინა ჩვენი შესაძლებლობანი. და ეს მაშინ, როდესაც საფრანგეთში მივემგზავრებოდით და მოგველოდა მატჩები ამ ქვეყნის ცნობილ კლუბებთან და, პირველ რიგში, მატჩი „რეიმსთან", რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ (ივნისში) საბჭოთა კავშირში იმოგზაურა. ჩვენში ჩამოსულ 16 ფეხბურთელს შორის ექვსი ეროვნული ნაკრების წევრი და 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე იყო. ესენი იყვნენ მეკარე დომინიკ ჟოლონა, მცველი რობერ ჟონკე, ნახევარმცველი არმან პანვერნი, თავდამსხმელები ჟიუსტ ფონტენი, როჟე აიანტონი და ჟან ვენსანი. „რეიმსის" მწვრთნელი ალბერ ბატტე ამავე დროს საფრანგეთის ნაკრებსაც ავარჯიშებდა.

ტურნემ წარუმატებლად ჩაიარა. ფრანგებმა სამივე მატჩი წაგეს: ლენინგრადში — ადგილობრივ „ზენიტთან" (0:3), მოსკოვში— ცსკა-სთან (0:3) და თბილისში — ჩვენთან (2:5). ბუნებრივია, რომ მათ ამოძრავებდათ დიდი სურვილი — სამივე დამარცხება საკუთარ მინდორზე მოგებით „გამოესყიდათ". ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ „რეიმსი" საფრანგეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს: უკანასკნელი 12 წლის მანძილზე შამპანის ფეხბურთელები სამჯერ იყვნენ ქვეყნის ჩემპიონები, ორჯერ — მეორე პრიზიორები, ხოლო ოთხჯერ — მესამე ადგილის მფლობელნი. 1957/58 წლების სეზონში კი (საფრანგეთში, ისევე როგორც ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში, საფეხბურთო სეზონი შემოდგომით იწყება. გაზაფხულზე განახლდება ხოლმე და მთავრდება ივნისში) „რეიმსმა" შეძლო ე. წ. დუბლის გაკეთება, — მოიგო ჩემპიონის მედლებიცა და თასიც. თანაც, გამარჯვებულის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მან უახლოეს მეტოქეს 7 ქულით გაუსწრო. მსგავსი რამ არ მომხდარა საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში. „რეიმსი" ერთ-ერთი ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგეა. პირველი მატჩი კი პარიზის „რესინგთან" გვაქვს.

პარიზში ჩვენი სასტუმრო მდებარეობდა ცნობილი ლუვრის პირდაპირ, რომელიც, რასაკვირველია, გულდასმით დავათვალიე-

თბილისის დინამოელები პარიზში. ტრიუმფალურ თაღთან.



საფრანგეთი... პარიზელმა პოლიციელმა სთხოვა თბილისის დინამოელებს მათთან სურათის გადაღება. მეორე ფოტო გადაღებულია მოსკოვში სახელგანთქმულ შამპანურის ქარხანაში. ქვემოთ — „ერონდას" სტადიონის ხელი ქ. ბორდოში.





საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „რეიმსი“.

الأستاذ الشيخ محمد الغزالي

როტერდამის „ფეიენოორდის“ კარში ბურთი გააქვს კალოევს.

რობერტ ბლენჩფლაუერი.

დეივიდ მაკკეი.

Sheffiel

London

AND NEARBY PLACES OF INTEREST

ბორის ნორმანი.

სტუმრად ფიდელ კასტროსთან.

ასე დაიწყო VI მსოფლიო ჩემპიონატის
გახსნის ცერემონიალი.

სანტ-იაგოს სტადიონის ტრიბუნაზე.

რეთ. მის შესანიშნავ პარკში ყოველ დილით მოთელვასაც კი ვატარებდით. პარიზში, მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში, ბევრი რამაა სანახავი. თითქმის ყოველი კვარტალი, რაიონი, თუ ქუჩა საინტერესო ისტორიულ მოვლენასთანაა დაკავშირებული. ჩვენი ბიჭები პირველად არიან პარიზში, მხოლოდ მე ვარ მეორედ და გაჭირვების დროს... გიდის მოვალეობის შესრულებაც კი მიხდება. პარიზი — საფრანგეთის დედაქალაქი, სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი — სრულებითაც არ გახლავთ ქვეყნის საფეხბურთო ცენტრი. 40 პროფესიონალური კლუბიდან (საფრანგეთში ნახევარ მილიონამდე ფეხბურთელია, რომელთაგან მხოლოდ ათასამდეა პროფესიონალი) მხოლოდ ოთხია პარიზში, რომელთაგან სამი კლუბი მეორე ჯგუფში თამაშობს და მხოლოდ ერთი — „რესინგი" — გამოდის პირველში და ისიც ბრწყინვალებით არ გამოირჩევა. საკმარისია აღინიშნოს, რომ პარიზელი ფეხბურთელები მხოლოდ ერთხელ იყვნენ თავისი ქვეყნის ჩემპიონები.

პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე რომ მივედით, თამაშამდე არც ისე ბევრი დრო იყო დარჩენილი. ტრიბუნები სანახევროდ ცარიელი დაგვხვდა. ვიფიქრეთ: ჯერ კიდევ არის დრო, მატჩია დაწყებისათვის მაყურებლებიც მოვლენ... მაგრამ აი, გამოვედით სავარჯიშოდ და კვლავ ნახევრად ცარიელი ტრიბუნები მოგვხვდა თვალში. მერე აგვიხსნეს: ეს ამბავი ბელგიასა და ლუქსემბურგში ჩვენი წარუმატებლობის შედეგი იყო. ფრანგმა ფეხბურთის მოყვარულებმა, ალბათ, გადაწყვიტეს, რომ არ ღირს დაესწრო „ვეშაპების" — „რესინგის", „რეიმსის" და „ნიმის" მატჩებს იმ გუნდთან, რომელმაც ვერ შეძლო ლუქსემბურგის ფეხბურთელთა დამარცხება. მართალია, გაზეთი „ორორი" მცირერიცხოვანი აუდიტორიის მიზეზად ცუდ ამინდს ასახელებდა, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი ნათელი იყო. საჭირო იყო ფრანგების თვალში რეაბილიტირება; მათთვის უნდა დაგვემტკიცებინა, რომ შეგვიძლია გაცილებით ძლიერი თამაში, ვიდრე ეს ბელგიასა და ლუქსემბურგში ვაჩვენეთ.

ჩვენ ვთამაშობდით ქვეყანაში, რომელმაც ფეხბურთის სამყაროს მისცა რაიმონ კოპა და რომლის ეროვნულმა ნაკრებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატში. ამის დავიწყება აბა როგორ შეიძლებოდა!

ეს ახსოვდათ თბილისის „დინამოს" მწვრთნელებსაც, რომლებ-

მაც გადაწყვიტეს „რესინგთან“ მატჩი დაგვეწყო ფრთხილად, აშკარა დაცვითი ვარიანტით. მართლაც, ხომ არ შეიძლებოდა ჩვენი წარუმატებლობა საფრანგეთშიც გაგრძელებულიყო. მე მგონი ეს გახლდათ არა მარტო ტაქტიკური, არამედ ძალიან ფაქიზი ფსიქოლოგიური მანევრიც. საჭირო იყო ფეხბურთელთა ხასიათსა და განწყობილებაში გარდატეხის მოხდენა, საკუთარი ძალებისადმი შელახული რწმენის განმტკიცება და მათთვის შთაგონება, რომ საფრანგეთის უძლიერესი კლუბებიც შეიძლება დააჩოქოს კაცმა. ამისათვის პირველ რიგში საჭირო იყო საკუთარი კარის ხელუხლებლად შენარჩუნება. ცოტათი წინ წავალ და ვიტყვი, რომ ეს სვლა იმდენად სწორი და ზუსტი გამოდგა, რომ თამაშის მსვლელობაში ვერც კი შევამჩნიეთ როდის ვთქვით უარი დაცვით ვარიანტზე და როდის გავშალეთ ფრთები — ჯერ ერთი ბურთი გავიტანეთ, მერე მეორე.

ახლა ცოტაოდენი თვით მატჩზე. მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვედით: კოტრიკაძე, კესარევი, თორაძე, ჩოხელი, ცარიოვი, ზეინკლიშვილი, შაპოვალოვი, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი. „რესინგის“ შემადგენლობა ოდნავ უჩვეულოა. ავადმყოფობის გამო არ თამაშობს შესანიშნავი თავდამსხმელი სიზოვსკი. „რესინგის“ ღირსებას იცავენ: ვარანი (ტაიანდიე), ოგორენკო, ბოდენი, მარში, ტიბარი, ბოლინი, გრიე (ბარკი), უქლაკი, ეტტი, სენაკი, კედაკი.

წინა თამაშების მიხედვით ვიცოდით ფრანგული ფეხბურთის თავისებურებანი, იგი ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, — მაღალტექნიკური და ლამაზი. ჯერ კიდევ 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფრანგებმა აჩვენეს არა მარტო ლამაზი, არამედ ღონიერი თამაშიც. სწორედ ამ ორი ფაქტორის შერწყმამ მათ მეორე ადგილი მოუტანა. და თუმცა საფრანგეთს შვეიცარიაში გამართული ბატალიების ერთი წლის შემდეგ ვეწვიეთ, გულახდილად უნდა გითხრათ, ეს ღონე და ძალა ფრანგი ფეხბურთელების თამაშში ვერა ვნახეთ, უძლიერეს კლუბებთან შეხვედრებში მეტოქეთა ძალა ისეთი მრისხანე არ გვეჩვენა, როგორსაც მოველოდით.

სახელგანთქმულმა „რესინგმა“ მხოლოდ ნახევარი საათი გაგვიძლო, რის შემდეგ კალოევმა გახსნა ანგარიში, რასაც 3 წუთის შემდეგ შაპოვალოვის მეორე გოლი მოჰყვა. პირველი ტაიმის დამ-

თავრებას სულ რაღაც ნახევარი წუთი აკლდა, როცა ეტტმა საპასუხო ბურთი გაიტანა, თუმცა ამას თამაშის საერთო სურათი არ შეუცვლია: „რესინგი“ უკვე წელში იყო გატეხილი. მიუხედავად ამისა, არც კი გვიფიქრია, რომ „რესინგი“ ფარ-ხმალს დაჰყრიდა და მის ბადეს იოლად ამოვავსებდით ბურთებით. პირიქით, ვემზადებოდით შესვენების შემდეგ მასპინძელთა სასტიკი შტურმის ვაჟკაცურად მოგერიებისათვის. შესაძლებელია ეს ასეც მომხდარიყო, კალოევს რომ არ ჩაეფუშა მოწინააღმდეგის გეგმები: უკვე მე-3 წუთზე მან ანგარიში გაზარდა, რითაც „რესინგს“ პირდაპირ კოვზი ნაცარში ჩაუგდო. მთელი მეორე ტაიმი დინამოელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. იამანიძემ, მესხმა და ისევ კალოევმა, რომელიც ამ შეხვედრის ნამდვილი გმირი გახდა, „რესინგის“ კარში კიდევ სამი ბურთი გაიტანეს, რაზეც ფრანგებმა მხოლოდ ერთი გოლით გვიპასუხეს. დიდი ანგარიშით (6:2) მოვიპოვეთ პირველი გამარჯვება საფრანგეთში.

აბა, ახლა რაღას იტყვიან ფრანგი გულშემატკივრები? ისევ ყურს არ ათხოვებენ ჩვენს გამოსვლებს? პასუხი მეორე შეკითხვაზე ყოველი ჩვენგანისთვის წინასწარ იყო ნათელი. ცხადია, „რესინგის“ ასეთმა განადგურებამ (ასე წერდნენ ადგილობრივი გაზეთები) ჩვენზე ბევრს აზრი შეუცვალა. „დინამოელებმა დაამტკიცეს, რომ საბჭოთა კავშირში არიან სწრაფი, გამბედავი, ინიციატივიანი ფეხბურთელები, რომელთაც აქვთ მაღალი ტექნიკა“, ასეთ ფრთხილ დასკვნას აკეთებდა გაზეთი „ფიგარო“. გაზეთ „პარი-ჟურმა“ უფრო კონკრეტულად გამოთქვა თავისი აზრი და აღნიშნა, რომ პარიზელები პირდაპირ გაოცებული იყვნენ ტექნიკური დინამოელების სისწრაფით და იმით, რომ „მათი ენერგია უდრიდა მათ ვირტუოზობას“. გაზეთი „ლე პარიზიენ ლიბერე“ წერდა: „ათასობით მაყურებელი, რომელმაც ცივი ამინდის მიუხედავად გუშინ ზალამოს თავი მოიყარა „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე, გაწბილებული და გულდაწყვეტილი არ დარჩენილა. თბილისის „დინამომ“ გამართა კარგად ორგანიზებული, ჯგუფური თამაშის ნამდვილი სოლო კონცერტი“. „ფრანს სუარი“ აღნიშნავდა: „თბილისის „დინამო“, რომელიც უკანასკნელი კვირის მანძილზე ბელგიასა და ლუქსემბურგში თამაშობდა, თითქოს, ხელახლად დაიბადა. საბჭოთა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ჩაატარეს თამაში „რესინგთან“. მათ თავი გამოიჩი-

ნეს როგორც სწრაფმა, მოხერხებულმა და ამავე დროს მრისხანე ასნაიპერებმა". და, ბოლოს, საფრანგეთის ცნობილი სპორტული გაზეთი „ეკიპი" წერდა: „თბილისის „დინამო" საბჭოთა გუნდი არ იქნებოდა, მისი მოთამაშეების ფიზიკური კონდიცია ასეთი მაღალი რომ არ იყოს. სწორედ ეს აძლევს „დინამოს" ფეხბურთელებს საშუალებას გამუდმებით იყვნენ მოძრაობაში, თითქმის ყოველთვის დაასწრონ მოწინააღმდეგეს ბურთზე მისვლა, შექმნილი ვითარების მიხედვით მოედანზე ხან შეჯგუფდნენ, ხანაც გაიშალონ. საბჭოთა გუნდი გამოირჩევა აგრეთვე თავის ფეხბურთელთა ფაქიზი აზროვნებით და განსაკუთრებით კოლექტიური თამაშით. დაცვა საკმაოდ გამოსახულად თავმოყრილია ცენტრალური მცველის თორაძის გარშემო: ურთიერთდაზღვევა ყველანაირ შემთხვევაში მშვენიერია. ღოლობერიძის აზრიანი თამაშის წყალობით თავდასხმა შეწყობილად მოქმედებს. მეკარე კოტრიკაძე ეფექტური მოთამაშეა. იგი მარჯვე ადამიანია და როდესაც მის კართან საშიშროება იქმნება, უყოყმანოდ, კარგა შორს გამოდის წინ".

პირველი სერიოზული წარმატება მოპოვებულ იქნა. ახლა ჩვენი ფიქრები უკვე საფრანგეთის ფეხბურთის დედაქალაქისკენ — რეიმსისკენ მიმართულიყო.

სასტუმრო „ოქროს ლომი", რომელშიც დავბინავდით, სწრაფად გადაიქცა ადგილობრივ ფეხბურთის მოყვარულთა მაგნიტურ პოლუსად. რეიმსის სტადიონი საშუალო ზომისაა, იგი სულ 20 ათას მაყურებელს იტევს, ასე რომ ვინც კი ჩვენს თამაშზე მოხვედრის იმედი დაჰკარგა, თავს იმით იმშვიდებდა, რომ სადმე ქუჩაში გვნახავდა. ჩვენმა ბიჭებმა ყვავილთა იმდენი თაიგული მიიღეს, რომ ცნობილ მომღერლებსა და კინოვარსკვლავებსაც კი შეეურდებოდათ.

ჩვენს წინააღმდეგ „სტად დე რეიმსმა" თავისი საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა, მხოლოდ რაიმონ კოპა არ თამაშობდა ტრავმის გამო. დაგვენანა, რომ კოპა, რომელიც საფრანგეთში ფანტასტიკური პოპულარობით სარგებლობს, მოედანზე ვერ ვიხილეთ. „რეიმსის" შემადგენლობა ასეთნაირად გამოიყურებოდა: კოლონა, ვენდლინგი, ჟონკე, როდზიკი, ლებლონი, სიატკა, დიუბაელი, მიულერი (ბარატო), ფონტენი, პიანტონი, ვენსანი. ჩვენი შემადგენლობა იგივეა, რაც „რესინგთან", მხოლოდ თამაშის დროს შაპოვალოვ მელაშვილმა შეცვალა.

ფრანგებმა ძალიან თავდაჯერებულად დაიწყეს შეხვედრა და ყოველგვარი ქარაგმების გარეშე გვაგრძნობინეს, რომ მტკიცედ გადაუწყვეტიათ რევანშის აღება თბილისში დამარცხებისათვის. და თუმცა მასპინძლებს ჩვენზე მეტი საგოლე მომენტი არ ჰქონდათ, მათ მაინც შეძლეს ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის გამოყენება: 25-ე წუთზე ფონტენმა კარგად გადასცა ბურთი დიუბაელს, რომელიც სწრაფად გაიჭრა წინ და მეტად ძნელი მდგომარეობიდან, როდესაც ბურთზე დარტყმა შეუძლებლადაც კი მიგვაჩნდა, ძლიერი დარტყმით ჭახსნა ანგარიში.

მოწინააღმდეგის თამაშს ალღო ავუღეთ. მივხვდით, რომ ჩვენი მთავარი იარაღი უნდა იყოს სწრაფი, ძალიან სწრაფი ტემპი, რომელსაც ფრანგები აშკარად ვერ უძლებენ. საუბედუროდ ამას აგრეთვე მიხვდა... მსაჯი დებანი. სწორედ ამიტომ იგი თითქმის ყოველ წუთს აჩერებდა თამაშს (მაშინაც კი, როდესაც ეს აშკარად დამნაშავის სასარგებლოდ იყო), რათა ჩვენთვის „ფეხები შეებორკა“ და თამაში ფრანგებისთვის ხელსაყრელ (ჩვენთვის კი აშკარად დამღუპველ) მდორე ტემპში გადაეყვანა. და მაინც, „რეიმსის“ კარის სიახლოვეს ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები; ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა დაჰკარგეს კალოევმა, იამანიძემ და მესხმა. გეგონებოდათ, რომ პირდაპირ შეუძლებელია ასეთი ბურთების აცდენა, მაგრამ ერთხელ ძელმა მიიღო დარტყმა, ხოლო ორჯერ ბურთმა ოდნავ ჩაუქროლა კარს.

მეორე ნახევარი ჩვენთვის კიდევ უფრო რთული გამოდგა. ყოველნაირად ვცდილობთ სწრაფი ტემპით თამაშის გამწვავებას, მაგრამ ამის საშუალებას მსაჯი არ გვაძლევს. იგი ძალიან გამოცდილი და ამავე დროს ეშმაკია. ვერაფერში ვერ გამოედავები, ვერც მის მსაჯობას უწოდებ არაობიექტურს, თუმცა ეს არის ყოვლად ნატურალური „მოქერა“, მაგრამ საგულდაგულოდ გრიმირებული და შენიღბული. როგორ იკლავდა თავს დებანი და მაინც შეგვეძლო თამაშის სულ ცოტა ფრედ დამთავრება, კალოევს რომ არაჩვეულებრივად ხელსაყრელი მომენტი გამოეყენებინა და ბურთი „სხვაგან“ არ გაეგზავნა.

ამრიგად, დიუბაელის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება „რეიმსს“ მოუტანა. თამაშის დამთავრებისთანავე ჩვენ, ჩვეულებისამებრ, ფრანგებს პირველებმა მივულოცეთ გამარჯვება და

პირველად მათგან გავიგონეთ უკმაყოფილება სუსტი მსაჯობის გამო. მოგვიანებით ამასვე აღნიშნავდნენ ფრანგული გაზეთები, ხოლო საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამის გამო ჩვენს სპორტულ დელეგაციას ბოდიშიც კი მოუხადა.

რეიმსი მეღვინეობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია საფრანგეთში. სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, რასაკვირველია, დაგვათვალიერებინეს შამპანურისა და სხვა ღვინოების ქარხნები. რეიმსელები კანონიერად ამაყობენ ადგილობრივი ღვინით და შესანიშნავად იციან ღვინის ყადრი და გემო. გაგვასინჯეს სხვადასხვა ხარისხის ღვინოები და მათი მასალები, რომლებმაც თავისი სურნელებითა და გემოთი აღტაცებაში მოგვიყვანა. სხვათა შორის, ფრანგებს საგანგებოდ წაღებული „თეთრა“ და „ტვიში“ დავალევინეთ. ისინი ისე გემრიელად აწკლაპუნებდნენ ტუჩებს და აქნევდნენ თავს, რომ ყველაფერი ნათელი იყო: ღვინოები ძალიან მოეწონათ.

მშობლიურ ქალაქში გულუხვი მასპინძლობა გაგვიწია ჟიუსტ ფონტენმა. იგი ყოველ საღამოს ჩვენთან, სასტუმროს ვესტიბიულში, ატარებდა, გვიყვებოდა საინტერესო ამბებს, უკრავდა ფორტეპიანოზე და თან საყვარელ სიმღერებს ამღერებდა. ერთხელ, როდესაც იგი ინსტრუმენტთან იჯდა და ღიღინებდა, მას ჯემალ ზეინკლიშვილი — მხატვრული სტვენის ნამდვილი ოსტატი — მიუჯდა და სტვენით აჰყვა მელოდიას. ფონტენი წამსვე გამოცოცხლდა, სიმღერები ერთმანეთს „მიაყარა“, თან ჯემალს თხოვა — პარტნიორობა გამიწიეო. „საერთაშორისო“ დუეტი სწრაფად შეხმატკბილდა და ყველას სასიხარულოდ გაიმართა შესანიშნავი კონცერტი...

ისე გამოდის, რომ საზღვარგარეთული ტურნე მუდამ ერთი სტრუქტურით ტარდება: მოწინააღმდეგის სიძლიერე მატჩიდან მატჩამდე მატულობს და, როგორც წესი, ყველაზე ძლიერი ბოლოსოვისაა შემონახული. ვფიქრობ, ასეთი სტრუქტურა ორივე მხრისათვისაა ხელსაყრელი. და აი, რატომ.

მიზეზები, რომელთა შემწეობით ხდება ამგვარი „დაჭირხნა“, მასპინძელს იმიტომ აძლევს ხელს, რომ უცნობ მოწინააღმდეგესთან შეხვედრებში სტარტზე მუდამ საჭიროა სიფხიზლე, მეტოქის ძალთა და შესაძლებლობათა მოსინჯვა, რადგან პირველი წარუმატებლობის შემთხვევაში აუცილებელია მარქაფში გყავდეს ისეთი

გუნდი, რომელიც რევანშის აღებას შეძლებს. ამას კი ყველაზე უკეთესად გააკეთებს ჩემპიონი, ან ჩემპიონატის დღევანდელი ლიდერი. ცხადია, რახან მეტოქეთა შერჩევასა და მათი გამოსვლების თანმიმდევრობას ადგილობრივი ორგანიზაციები განსაზღვრავენ, ზემოაღნიშნულ ფაქტორებს ისინი არ ივიწყებენ.

რაც შეეხება სტუმრებს, ისინი ძალთა ამგვარი განაწილების წინააღმდეგი როდი არიან. პირიქით, ისინი თანდათან ეჩვევიან მათთვის უცხო პირობებს: სტადიონებს, მაყურებელს, ტემპერატურის რეჟიმს, ადგილობრივ დროს, რომელიც ზოგჯერ დიდადაა განსხვავებული სტუმართა „მშობლიური" დროისაგან. ყოველივე ეს ხანგრძლივ აკლიმატიზაციას მოითხოვს. ასე რომ ტურნეს დასასრულისთვის, როცა უძლიერეს ადგილობრივ კლუბთან აქვთ საქმე, სტუმრები უკეთესად გრძნობენ თავს. ასე იყო ჩვენს წინა მგზავრობებში, ასე მოხდა ამჟამადაც — უკანასკნელ მატჩში შეეხვედით საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერს „ნიმ ოლიმპიკს", რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ჩემპიონი დაამარცხა.

ახლა, ტურნეს მიწურულში, ჩვენდამი დამოკიდებულება მთლიანად შეიცვალა. უკვე აღარავის ახსოვდა ბელგიასა და ლუქსემბურგში ჩვენი უფერული გამოსვლა; ყოველივე ეს დაჩრდილა მატჩებმა პარიზსა და რეიმსში. „დინამოსა" და „ნიმ ოლიმპიკის" შეხვედრის შედეგზე პროგნოზების თქმას ვერავინ ბედავდა. ეს მატჩი ფასდებოდა, როგორც თანაბართა და ღირსეულ მეტოქეთა ორთაბრძოლა. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, „პარკ დე პრენსის" სტადიონის ტრიბუნები სავსე იყო. ვთამაშობდით ჩვენი ტრადიციული „ფრანგული" შემადგენლობით, „ნიმის" რიგებში კი იყვნენ: როზაკი, ბეტტაში, შარლ ალფრედი, ვენტური, ბერლაგიო, ბანდერა, სალაბერი, აკესბი, სკიბა, შვაგერი, რახისი.

ყველ მინდორზე თამაში, მოგეხსენებათ, ძნელი საქმეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინიციატივა ხელთ ვიგდეთ და მე-12 წუთზე კალოევმა კარგად დააგვირგვინა კომბინაცია. ჩვენი იერიშები გრძელდება. ფრანგებმა დაცვაში დაახევინეს არა მარტო ნახევარმცველებს, არამედ შუამარბებსაც კი. მათ საჯარიმო მოედანზე ხანდისხან 7—8 კაცი გროვდება. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ „ნიმი" ასევე მასირებულად ახორციელებს კონტრშეტევებს, საოცრად ჩქარა და

როგორლაც შეუმჩნევლად წინ გაჰყავს ხოლმე ზურგის ძალები. ბრავალი ცდის მიუხედავად, მასპინძლები ანგარიშის გათანაბრებას ვერ ახერხებენ და შესვენებაზე კმაყოფილნი მივდიეართ: ანგარიშია 1 : 0 ჩვენს სასარგებლოდ.

10-წუთიანი შესვენების შემდეგ ფრანგები გადამწყვეტ იერიშზე გადმოდიან. ახლა უკვე ჩვენ გვიხდება დაცვითი ხაზების გამაგრება. სახელდობრ, მე დიდიხნით ვრჩები ხოლმე უკან და კონტრშეტევისათვის ველოდები მომენტს და აი, შეხვედრის დამთავრებას 8 წუთი რომ უკლდა, მესმა, რომელიც პარიზელების საყვარელ ფეხბურთელად იქცა (რეპორტაჟის ტრანსლიაციის დროს თქვენ ალბათ გესმოდათ, როგორ გაიძახოდნენ მაყურებლები მის გვარსა და სახელს), ძალიან კოხტად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და ზუსტი დარტყმით მეტოქის კარში მეორე ბურთი მოათავსა.

მსაჯის დეკილიერის სასტვენის ფინალურმა „შეძახილმა" აღნიშნა ჩვენი გამარჯვება — 2 : 0.

კმაყოფილნი და აღელვებულნი ვტოვებდით მინდორს. სასიამოვნო იყო, რომ ჩვენი ტურნეს საპასუხისმგებლო მატჩები მაღალ დონეზე ჩავატარეთ და მომთხოვნი ფრანგი გულშემატკივრები თავიანთ აღტაცებას არ მალავდნენ. სტადიონის ტრიბუნებზე მათი რეაქცია კი ხომ პირდაპირ საოცარი იყო: ჩვენი არც ერთი ფინტი, არც ერთი ზუსტი გადაცემა, არც ერთი დარტყმა და კომბინაცია მხურვალე ტაშის გარეშე არ-რჩებოდა. რაც შეეხება პრესას, ისიც აღფრთოვანებულ ფერებში აფასებდა ჩვენს გამოსვლებს.

მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს ფრანგული გაზეთებიდან: „ლიბერასიონი": „ქართველთა ინდივიდუალური ტექნიკა, მათი გადაცემების სიზუსტე, მაყურებელთათვის ერთდროულად მოულოდნელიც იყო და სასიამოვნოც. პირდაპირ საოცრად თამაშობენ თბილისელები!"

„პარი ფური": „მრავალი საბჭოთა გუნდის საპირისპიროდ, რომელთაც ახასიათებთ მეთოდური და ერთგვარად ნელ ტემპში თამაში, ქართველმა ფეხბურთელებმა კომბინაციებში გვიჩვენეს არაჩვეულებრივი სისწრაფე, რაც სამხრეთული ტემპერამენტის დამახასიათებელი თვისებაა. მათმა სწრაფმა სირბილმა, მათმა ცოცხალმა და მარჯვე დრიბლინგმა პარიზელები გააკვირვა. ყოველი ცალკეუ-

ლი ფეხბურთელი აღჭურვილია სრული ტექნიკური არსენალით".

...პარიზს დილით ვტოვებდით. იდგა ნისლიანი დეკემბერი. რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენი ლაინერი ტუ—104 ვნუკოვოს აეროდრომზე დაეშვა. მიუხედავად 30-გრადუსიანი ყინვისა, აეროდრომზე ჩვენს შესახვედრად რამდენიმე ასეული კაცი მოსულიყო. აქ იყვნენ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის, ფეხბურთის ფედერაციის, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლები, ნაცნობები და მეგობრები. გულითადმა შეხვედრამ ყოველი ჩვენგანი ძალზე ააღელვა...



ეს იყო დაახლოებით ასი წლის წინათ, — 1863 წლის ოქტომბერში. ლონდონის ერთ-ერთ ტავერნაში თავი მოიყარეს ფეხბურთის კლუბების წარმომადგენლებმა და დაამტკიცეს ამ თამაშის წესები. ეს თარიღი დადგინდა ფეხბურთის დაბადების დღედ. გადიოდა წლები, ფეხბურთელთა თაობები ერთმანეთს ცვლიდა, მაგრამ ინგლისელთა ჰეგემონია მსოფლიო ფეხბურთში ურყევი რჩებოდა. ფეხბურთის მამამთავრები თავის უპირატესობაში იმდენად იყვნენ დარწმუნებული, რომ როდესაც XX საუკუნის დასაწყისში დაარსდა საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა), მათ ფედერაციის წევრობა არც კი ისურვეს. ინგლისელებმა „იუკადრისეს" აგრეთვე პირველ მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა. მათ უყოყმანო ძლიერებაში ეჭვი რომ არავის შეპპაროდა, ისინი ახალგამომცხვარ მსოფლიო ჩემპიონს თავიანთ სამშობლოში იპატიჟებდნენ და... ამარცხებდნენ.

ინგლისური ფეხბურთი დედამიწის ზურგზე არა მარტო უძველესია, არამედ სხვადასხვა სისტემების პიონერი და შემქმნელიცაა.

ამ ქვეყანაში დაიბადა სისტემური „ხუთი ხაზზე“ და „დუბლ-ვე“. გამოჩნდნენ პირველად პროფესიონალური კლუბები, ამ კლუბებში აღიზარდნენ და გაიწვრთნენ ლეგენდარული შარავანდედით მოსილი ფეხბურთელები. „არსენალი“, „ასტონ ვილა“, „ეულვერჰემპტონი“. ტედ დრეიკი, ტომი ლაუტონი, სტენლი მეტიუზი, ბილ რაიტი, — ეს სახელები ჯერ კიდევ ბავშვობაში გვსმენია და რომელი ჩვენგანი არ ოცნებობდა დამსგავსებოდა ტყავის ბურთის ამ უბადლო ოსტატებს, ვინ არ ოცნებობდა ენახა ეს სახელმოხვეჭილი კლუბები!

ინგლისურ ფეხბურთთან ჩვენ ძველი ნაცნობობა გვაქვს, მაგრამ ამ ქვეყნის უძლიერეს პროფესიონალურ კლუბებს ომამდე არ შევხვედრივართ. პირველი, ვისაც წილად ხვდა ეს საპატიო და ამავე დროს, ძნელი მისია, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ჩემპიონი — მოსკოვის „დინამო“ იყო. დინამოელებს ამ ტურნეში უნდა დაეცვათ საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟი. ეს ამოცანა ჩვენმა მოსკოველმა თანაკლუბელებმა წარმატებით გადაჭრეს: ოთხი თამაშიდან გუნდმა ორი მოიგო, ორიც ფრედ დაამთავრა; მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანა 19 ბურთი, საკუთარში კი მიიღო 9. ეს იყო ბრწყინვალე დებიუტი!

შემდგომში საბჭოთა და ინგლისელ ფეხბურთელთა მეგობრული კავშირი დღითი დღე ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. მოსკოვის „დინამოს“ შემდეგ ინგლისში იყვნენ ცდა, მოსკოვის „სპარტაკი“ და „ტორპედო“. საპასუხო ვიზიტებით საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა იწყეს ინგლისის უძლიერესმა საკლუბო გუნდებმაც. დადგა ინგლისელ ოსტატებთან შერკინების ჩვენი ჯერიც. 1957 წლის ივნისში თბილისში ჩამოვიდა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“. ჩამოვიდა და მწარე გაკვეთილი გვაგემა: გვიჩვენა ეკონომიური, ათლეტური და პროგრესული ფეხბურთი.

1960 წლის საკავშირო ჩემპიონატი ჩვენმა გუნდმა უფერულად ჩაატარა: იგი ფინალისტთა ექვსეულში ვერ მოხვდა და VIII ადგილი დაიკავა. შედეგი, სხვა რომ არა ვთქვათ, არ იყო სახარბიელო. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებას, აქ საქმე კარგად წაგვივიდა. ყოველგვარი გართულებების გარეშე გავედით ნახევარფინალში, სადაც დამატებით დროში ვძლიეთ დონეცკის „შახტიორს“ და ფინალში მოვხვდით. მეორე ფინალისტი გახდა მოსკოვის „ტორპედო“. ამ გადამწყვეტი ორთაბრძოლის უაღრესად

დაძაბული და საინტერესო პერიპეტიები ცნობილია. ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან, მაგრამ დამატებითი დროის მიწურულში ტორპედოელებმა მოახერხეს გადაწყვეტი ბურთის გატანა და მატჩის მოგებაც — 4 : 3. ყველანი ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავით და ასეთი უგუნებო განწყობილებით მეორე დილით ინგლისში უნდა გავფრენილიყავით იქაურ წამყვან კლუბებთან — „ტოტენჰემთან", „ვულვერჰემპტონთან" და „შეფილდ უენსდეისთან" შესახვედრად.

4 ნოემბერს გვიან საღამოს ჩვენი თვითმფრინავი ლონდონის აეროდრომზე დაეშვა. ცუდი ამინდის გამო (ქალაქი სქელ ბურუსში იყო გახვეული) თვითმფრინავმა ექვს საათზე მეტი დააგვიანა. მიუხედავად ამისა, აეროდრომზე მრავალრიცხოვან დამხვდურს მოეყარა თავი. აქ იყვნენ ბრიტანეთის საფეხბურთო ასოციაციის, ლონდონის კლუბის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" წარმომადგენლები, დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლები, აგრეთვე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები. იმავე საღამოს გავფრინდით მანჩესტერში, ხოლო იქიდან მატარებლით შეფილდში გავემგზავრეთ, სადაც პირველი თამაში იყო დანიშნული.

სანამ თამაშებზე მოგიყვებოდეთ, თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ინგლისის ფეხბურთის იმდროინდელ მდგომარეობაზე.

1960 წლის 20 აგვისტოს (ეს იყო ტრადიციული მესამე შაბათი იმ თვისა) სტარტი აიღო 1960—61 წლის ინგლისის ჩემპიონატმა. უკვე პირველივე მატჩებმა გვიჩვენა, რომ სეზონის გახსნა ახალი, მეტად თვალსაჩინო ცვლილებებით აღინიშნა. ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც შვეიცარიაში ბრაზილიის ნაკრებმა ტრიუმფით მოიგო პირველობა და გამოავლინა არა მარტო ფეხბურთელთა ვირტუოზული ტექნიკა, არამედ მათი განლაგების სრულიად ახალი სქემაც. შვეიცის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ევროპის მრავალ ქვეყანაში გადმოიღეს ეს სქემა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მის ათვისებას შეუდგნენ. ადრინდელ პოზიციებს მტკიცედ მხოლოდ ინგლისელები თუ ადგნენ, რომელთა კონსერვატიზმი საერთოდ, და სახელდობრ ფეხბურთში, კარგადაა ცნობილი.

სხვა ქვეყნებში ფეხბურთის განვითარებისა და მზარდი სრულყოფის უგულვებელყოფა ოდესღაც მწვანე მინდვრების დაუმარ-

ცხებელ ლომებს, ცხადია, არ შეეძლოთ, რადგან ასეთი იზოლაცია სავალალო შედეგს გამოიღებდა. და აი, 1960 წელს ინგლისის ზოგიერთმა კლუბებმა სცადეს თავიანთი ფეხბურთელების უჩვეულო სქემით განლაგება. ჩემპიონატში გამოყენებულ იქნა კონტინენტზე უკვე საკმაოდ ცნობილი „ბრაზილიური“ სქემა 1 + 4 + 2 + 4. პირველი ცდები იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ პრესის განცხადებით, ეს „ბრიტანეთის ფეხბურთში რევოლუციას“ მოასწავებდა. 26 ოქტომბერს ლონდონში, „უემბლის“ სტადიონზე, ახალი სქემით მოთამაშე ინგლისის ნაკრებმა ანგარიშით 4 : 2 დაამარცხა ესპანეთის ნაკრები. ეს იყო დარტყმა არა მარტო ყოყლოჩინა ესპანელებზე, არამედ „დუბლ-ვეს“ მომხრეებზეც. ცნობილი მიმომხილველის მ. საიმონის მახვილგონიერი თქმით, თავდამსხმელთა გაზრდილი ბრძოლისუნარიანობის დროს „დუბლ-ვეს“ სისტემა „... აღარ არის რენტაბელური“.

ნოემბრის დასაწყისისათვის ინგლისის ჩემპიონატში 15 ტური იყო გასული. სატურნირო ცხრილის სათავეში მტკიცედ იდგა ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე „ტოტენჰემი“. ამ გუნდის მწვრთნელი ბილ ნიკოლსონი ბრაზილიური სქემის პირველი მხურვალე მხარდამჭერი იყო და თავის გუნდში ახორციელებდა. მას მიაჩნდა, რომ გუნდის წარმატებებიც სწორედ ამ სქემამ განაპირობა, უფრო ზუსტად იმან, რომ მათ ამ სისტემის ათვისება სხვა გუნდებს დაასწრეს. სხვები ზემოაღნიშნულ სიახლეს სკეპტიკურად უყურებდნენ, ტოტენჰემელები კი ამჯობაში გულხელდაკრეფილი როდი იყვნენ.

კიდევ ერთმა, საკმაოდ მნიშვნელოვანმა, გარემოებამ ითამაშა როლი ამ საქმეში. დანარჩენ კლუბებს, ტრადიციული პრინციპების შეცვლა, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც იმან აიძულა, რომ ძალზე დაეცა ინტერესი ფეხბურთისადმი და, აქედან გამომდინარე, შემოსავალიც შემცირდა. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (1949—1959) მაყურებელთა რაოდენობამ 41 მილიონიდან 31-მდე დაიწია, რამაც მწარედ ჩააფიქრა ფეხბურთის მესვეურები.

ინგლისურ ფეხბურთში ახალმა სიომ დაჰბერა და ჩვენც ამ დროს ჩავედით იქ. თბილისის „დინამოს“ მისია საკმაოდ ძნელი იყო. დელეგაციაში შედიოდნენ: მეკარეები ს. კოტრიკაძე და რ. კვასხვაძე, მცველები ბ. სიჭინავა, ე. თორაძე, გ. ხოჭოლავა, გ. ჩოხელი, ნახევარმცველები შ. იამანიძე, ჯ. ზეინკლიშვილი, ვ. ვორო-

ნინი, თავდამსხმელები თ. მელაშვილი, ვ. ბარქაია, ზ. კალოევი, ა. ღოღობერიძე, მ. მესხი, ი. კურტანიძე, ლ. ჟორდანია, ი. დათუნაშვილი, მწვრთნელები ა. ჟორდანია და ნ. ჩხატარაშვილი, ექიმი ზ. თელია. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მ. გოგიჩაიშვილი, მისი თანაშემწე იყო ბ. პაიჭაძე.

პირველი მატჩი გავმართეთ შეფილდში ადგილობრივ „შეფილდ უენსდეის" კლუბთან. რა ვიცოდით ამ გუნდზე? უძლიერესთა რიგებში იგი ჩადგა ფეხბურთის გამოცდილი სპეციალისტის ჰარი კეტერიკის მოსვლის შემდეგ. ამ მწვრთნელის — კარგი ორგანიზატორისა და ფეხბურთის დიდი მცოდნის — წყალობით გუნდმა სულ რამდენიმე წელია, რაც მაღალ შედეგებს მიაღწია. ინგლისის მიმდინარე ჩემპიონატში მან 28 შესაძლებლიდან 23 ქულა მოაგროვა (10 მოგება, 3 ფრე და მხოლოდ 1 დამარცხება), 26 ბურთი გაიტანა და 11 მიიღო. ამ შედეგით „შეფილდს" სატურნირო ცხრილში მტკიცედ ეპყრო მეორე ადგილი (წინა ჩემპიონატში მან დაიკავა V ადგილი).

თავის ქვეყანაში „შეფილდი" ძალისმიერ გუნდად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ მისი მეკარე სპრინჯეტი და მცველი სვენი ინგლისის ნაკრების წევრები არიან, დაცვა ძალისმიერ თამაშს ამჯობინებს და ზოგჯერ არც აშკარა უხეშობაზე ამბობს უარს. მაისის თვეში „ბუები" (ასე უწოდებენ „შეფილდს", რომლის კლუბის ემბლემაზე ბუა დახატული) სტუმრად იყვნენ საბჭოთა კავშირში, ორი მატჩი გამართეს მოსკოვში, ხოლო ერთი — თბილისში. მოსკოველ არმიელებთან და ჩვენთან ისინი ერთნაირი შედეგით (0 : 1) დამარცხდნენ, ხოლო მოსკოვის „ლოკომოტივთან" თამაში წააგეს ანგარიშით 2 : 3. ჩვენთან თამაშის დროს „შეფილდმა" არ დატოვა ძალისმიერი გუნდის შთაბეჭდილება; მაშინ აშკარად ჩანდა, რომ კოლექტივში საუკეთესოა დაცვის ხაზი. და აი, ხუთი თვის შემდეგ ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს.

თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ „შეფილდი" თითქმის იგივე შემადგენლობით თამაშობდა: მაკლარენი, ჯონსონი, სვენი, მიკსონი. მეკემენი, კეი, გრიფინი, კრეიგი, ელისი, ფანტჰემი და ფინეი. ჩვენთვის მხოლოდ ორი კაცი იყო უცნობი — მარცხენა შუამარბი ფანტჰემი და მარჯვენა გარემარბი გრიფინი.

თბილისელთა შემადგენლობაში იყვნენ კოტრიკაძე, სიჭინავა,

თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, ჩოხელი, მელაშვილი, ბარ-ჭაია, კალოევი, იამანიძე და მესხი.

სტადიონის გასახდელში ყოვლად უცნაური და გაუგებარი შემთხვევა მოხდა. რომელიღაც ჩვენთაგანმა მოისურვა თამაშის წინ აწონვა და დიდ, ახალი კონსტრუქციის სასწორზე დადგა, მაგრამ ძალარი უძრავად იყო გაყინული „ნულზე". „არ მუშაობს", — გა-კიფიქრეთ და მოვშორდით სასწორს. ბოლოს და ბოლოს რა მოხდა, ასეთი რამ ხომ შესაძლოა ყველგან მოხდეს. მაგრამ ჩვენს გაკვირ-ვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აგვიხსნეს, რომ სასწორი სრულ წესრიგზეა, მხოლოდ ასაწონად საჭიროა მასში ლითონის ფუ-ლის ჩაგდება. ყოველივე ეს ქუჩაში კი არ ხდებოდა, არამედ სასპო-რტო შენობაში, რომლის არენდა უამისოდაც დიდი ფული ღირს.

მოგვიანებით დავრწმუნდით, რომ ეს კურიოზული შემთხვევა ერთადერთი არ არის და ფულის მოგების კიდევ მრავალი სხვა ასეთივე უცნაური საშუალება არსებობს. მაგალითად, ყველა სას-ტუმროში, სადაც კი გავჩერდით, ოთახებში დგას ძველებური ბუხ-რები, რომლებიც ბრიტანეთის კუნძულებზე ჯერ კიდევ მოდიდან არ გამოსულან. მაგრამ ძალიან ცოტაა ისეთი ბუხარი, რომელიც შე-შითა და ნახშირით ინთება. მათი უმრავლესობა „ელექტროსათბო-ბზეა" გადაყვანილი. ასე, რომ არ გვირდებათ არც შეშის დაჩეხვა და არც ნახშირის ზიდვა. საკმარისია ჩააგდოთ ლითონის ფული ბუხრის ყულაბაში და ბუხარიც ავტომატურად ჩაირთვება, ოდნავ გაგათ-ბობთ და გამოირთვება. კიდევ გინდათ სითბო? კეთილი ინებეთ და ისევ ჩაუშვით ფული ყულაბის ჭრილში...

თუმცა დავუბრუნდეთ მატჩს.

ძნელია წერა შეხვედრაზე, რომელიც 0:5-ზე გაქვს წაგებული. მატჩის პირველი წუთები არავითარ საშიშროებას არ გვიქადდა, თამაში ორმხრივი, ლამაზი იერიშებით მიმდინარეობდა. მაგრამ მოულოდნელად, 8 წუთის განმავლობაში (9—17 წუთამდე) ელისს თავური დარტყმით, შემდეგ კი ორჯერ ფანტჰემს სამი ბურთი გააქვთ ჩვენს კარში. ასეთმა მარცხმა, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა მცველთა თამაშზე, რომლებიც უამისოდაც არც თუ ისე კარგად მოქმედებდნენ. გუნდში მოთამაშეთა გადაადგილება მოხდა— მოედანი დატოვა ხოჭოლავამ, მისი ადგილი დაიკავა ჩოხელმა, ნახევარდაცვაში გადმოინაცვლა იამანიძემ, მე კი შუამარბის ადგი-

ლზე გადავედი. ერთადერთი, რაც ამის შემდეგ შევძელით, იყო ის, რომ შესვენებამდე მასპინძლებს ინგარიშის გაზრდის საშუალება არ მივეცით. ეს კი იოლი საქმე როდი იყო, რადგან „შეფილდის“ ფეხბურთელები დიდის აღმაფრენით თამაშობდნენ.

ამგვარ ვითარებაში ძალიან ძნელია შეაჩერო საკუთარ ძალაში დაჯერებული მეტოქე, მით უმეტეს, ინგლისელი ფეხბურთელები. აი, რას წერდა „დეილი ტელეგრაფი“ ამ თამაშზე: „მათ დაცვაში აღმოჩენილი იქნა სუსტი ადგილები, რის გამოც „შეფილდის“ სწრაფი თავდამსხმელები ხშირი გადაადგილებით ბევრ უსიამოვნებას აყენებდნენ დინამოელებს. მხოლოდ კოტრიკაძის მაღალი ოსტატობა, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია, დიდხანს არ აძლევდა ინგლისელებს ინგარიშის გაზრდის საშუალებას“.

მეორე ტაიმში თავგამოდებით ვიცავდით კარს, თანაც იშვიათად, მაგრამ საკმაოდ მწვავედ ვუტევდით. გოლი კი ვერა და ვერ გავიტანეთ.

გაზეთ „ტაიმსის“ მიმომხილველი, აღნიშნავდა რა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელთა მაღალ ტექნიკას, წერდა, რომ ჩვენს „...თამაშს აკლდა მოულოდნელობა, რაც შეფილდელებს მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის ადვილად გამოცნობის საშუალებას აძლევდა“. შეიძლება ეს ასეც იყო, — ტრიბუნიდან ხომ უკეთესად ჩანს.

შეხვედრის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, როდესაც საავსებით თანაბარ თამაშში ფანტჰემი გაექცა მცველებს და მეოთხე ბურთი ვაიტანა, რომელსაც მეხუთეც მიაყოლა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ხასიათზე ვტოვებდით მოედანს. ჩვენი გუნდის მრავალწლიან ისტორიაში პირველად განვიცადეთ ასეთი დიდი მარცხი საერთაშორისო მატჩში. სტარტი. სავალალოა, წინ კი უფრო ძნელი შეხვედრები გველის, — უნდა შევხვდეთ „შეფილდზე“ უფრო მაღალი კლასის გუნდებს. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მომავალ მეტოქეთა თამაშს სრულებით არ ვიცნობთ.

შეფილდიდან ქალაქ ვულვერჰემპტონში გავემგზავრეთ, სადაც შევხვდებით ცნობილ „მგლებს“—„ვულვერჰემპტონ-უონდერერსს“. ოთხი თვის უკან „მგლებმა“ ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე შესანიშნავ სტილში დაამარცხეს „ბლეკბორნ როვერსი“ და ინგლი-

სის თასი მოიპოვეს. მათ მხოლოდ 1 ქულა დააკლდათ, რათა ზედიზედ მესამედ ქვეყნის ჩემპიონობა მოეპოვებინათ.

არცაა გასაკვირველი, რომ „შეფილდთან“ მატჩის შემდეგ ჩვენი აქციები ძალიან დაბლა ფასობდა, ხოლო „მგლების“ თავდაჯერებულმა მწვრთნელმა სტენლი კულისმა რეპორტიორებს თამაშის წინ ასე განუცხადა: „ჩემი მგლები მათ დაჰგლეჯენ“.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ შეფილდიდან წამოსვლის დღეს „მგლებთან“ შეხვედრა დაახლოებით ასე გვესახებოდა, მაგრამ მეორე დილით ხასიათი გამოგვიკეთდა, დავმშვიდდით, საკუთარი ძალის იმედი მოგვეცა, რწმენა მოგვემატა და მხოლოდ უკეთ, რაც შეიძლება კარგად თამაშის სურვილით აღვივსენით. გვინდოდა მეორე მატჩში ჩვენი თავის ერთგვარი რეაბილიტირება მოგვეხდინა.

და აი, გუნდები მოედანზე არიან. „ვულვერჰემპტონი“: ფინლისონი, სტიუარდი, შოუელი, კლემპი, სლეიტერი, ფლაუერსი, მეზონი, მიურეი, ფარმერი, ბროდბენტი, დილი (დიურანტი). თბილისის „დინამო“: კოტრიკაძე, სიჭინავა, თორაძე, ჩოხელი, ვორონინი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოლობერიძე, მესხი. ასე იყო სინამდვილეში. რაც შეეხება ადგილობრივი კლუბის მიერ გამოშვებულ პროგრამას, მასში ჩვენი ფუნქციები ცოტათი არეული იყო. ასე, მაგალითად, კალოევი მცველად იყო წარმოდგენილი, ხოლო მარცხენა შუამარბის ადგილზე ეწერა... დელეგაციის ხელმძღვანელი მიხეილ გოგიჩაიშვილი.

შოტლანდიელი მსაჯი დავიდსონი იძლევა ნიშანს, ვიწყებთ პირველ შეტევას, ვკარგავთ ბურთს, ვბრუნდებით ცენტრში, თავიდან ვიწყებთ იერიშს და წარმატებასაც ვაღწევთ: მესხი ფინტით უსხლტება თავის დარაჯს, მეკარესთან პირისპირ გადის და ანგარიშს ხსნის. ყოველივე ამის ჯეროვნად განცდა ვერც კი მოვასწარით. რომ უეცრად დავკარგეთ უპირატესობა: გივი ჩოხელმა მოინდომა თავისი მეკარისათვის ბურთის მიწოდება, მაგრამ... ბურთი კარის კუთხეში აღმოჩნდა. თამაშის დაწყებიდან სულ რაღაც 4 წუთი გავიდა, ანგარიში კი უკვე 1:1-ა.

მიუხედავად ამისა ვგრძნობთ, რომ თამაში „აგვეწყო“, ზუსტი გადაცემების წყალობით კარგად გამოგვდის სწრაფი შეტევები. ვგრძნობა, რომ „მგლების“ სახელმოხვეჭილ მცველებს უჭირთ ჩვენი გარღვევების ჩაფუშვა. დიდი ჯაფა ადგათ ნახევარმცველებს

კლემპს, სლეიტერსა და ფლაუერსს. პირველი ორი ინგლისის ნაკრებში შედიოდა, ამჟამად ნაკრებში მხოლოდ ფლაუერსი თამაშობს. თუ იგი ასე თუ ისე უმკლავდება მელაშვილს, კლემპსი ბშორად უძლურია მესხის წინააღმდეგ.

მე-11 წუთზე მიშამ კარგად „ჩამოკიდა“ ბურთი საჯარიმო მოედანში, მე მთელი სისწრაფით გავექანე ბურთზე, თან ვგრძნობ, რომ მცველი ეს-ესაა დამეწევა. მომეჩვენა, რომ ბურთს მხოლოდ თავი შევუშვირე, სინამდვილეში კი ისეთი სისწრაფე მქონია აღებული. რომ ბურთი ჩემი თავიდან ტყვიასავით შევარდა კარის მაღალ კუთხეში. მიგვყავს 2:1. ეს კარგია, მაგრამ მთავარია, რომ ინიციატივას ვინარჩუნებთ და გვაქვს ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობანიც. მე-18 წუთზე კალოევი აჩქარდა და დაჰკარგა ბურთის გატანის რეალური შანსი. მოწინააღმდეგეებს ასეთი შანსები თითქმის არა აქვთ. მხოლოდ ერთხელ, როცა ფლაუერსმა, ამ უდავოდ ბრწყინვალე ოსტატმა, შორიდან მოულოდნელად დაარტყა და ბურთი კარის ზედა კუთხეში მიდიოდა, ნაღდი გოლი გვეგონა. მაგრამ სერგოს თავგანწირულმა, შეიძლება ითქვას, ფენომენალურმა ნახტომმა ბურთს კუთხურისკენ შეუცვალა მისამართი.

მიმდინარეობდა პირველი ტაიმის უკანასკნელი წუთი, როდესაც მესხი კვლავ „გაეპარა“ თავის დარაჯს. ზუსტი გადაცემა, და „მგლების“ კარში მესამე ბურთი გამაქვს.

ორი ბურთის განსხვავების შემდეგ გასახდელში დასვენებაც იმედიანია. ვიცით, რომ „ვულვერჰემპტონი“ ისეთი გუნდია, რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია განავითაროს ეგრეთწოდებული „ტრადიციული შტურმი“ და ბობოქარი ფინიშით გამოასწოროს მდგომარეობა უიმედო მატჩებშიც კი. ყველაფერი ეს ვიცოდით და ვემზადებოდით. არც დაცვაზე გადასვლას ვფიქრობდით და არც ინიციატივის დათმობას.

მაშინაც კი, როდესაც შუა ტაიმში მეზონმა მინიმუმამდე დაიყვანა ბურთთა სხვაობა, სურათი არ შეცვლილა, — მდგომარეობის ბატონ-პატრონნი ჩვენ ვიყავით. აი, მესხმა მიიღო ბარქაიას ზუსტი გადაცემა და „მგლების“ კარში მეოთხე ბურთი გაიტანა, ხოლო 2 წუთის შემდეგ კალოევმა მეხუთე ბურთი შეაგდო და ანგარიში გახდა 5:2. ჩვენი შეტევა გრძელდება. ერთ-ერთი იერიშის დროს შეკარე ფინლისონმა ნახტომით ბურთი პირდაპირ მესხისკენ უკუაგ-

ლო. კარი ცარიელია, მაგრამ მიშა აჩქარდა და ბურთი მიწაზე გაშ-ხლართულ მეკარეს მოახვედრა.

დრო იწურება, სახელმოხვეჭილი „მგლები“ კი სამი ბურთის განსხვავებით აგებენ თამაშს. ამას არავინ არ მოელოდა, არც ფეხ-ბურთელები, არც მაყურებლები. მართალი გითხრათ, ამას არც ჩვენ მოველოდით, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ! კიდევ უფრო მოულოდნელი ამბავი წინ ყოფილა. შეხვედრის დამთავრებამდე დარჩენილია 12 წუთი. თამაში თითქოს მოგებული გვაქვს, მაგრამ ამ 12 წუთში ინგლისელებმა შეძლეს შეუძლებლის გაკეთება. ჯერ დიუ-რანტმა, რომელმაც მარცხენა გარემარბი დილი შეცვალა, გაიტანა ზურთი, ამას ფარმერმა ზედიზედ ორი ბურთი მიაყოლა და ანგარიში გათანაბრდა — 5:5.

აი, თურმე რა ყოფილა „მგლების“ ტრადიციული ფინალური შტურმი, რომელზეც ასე ბევრს ლაპარაკობენ. ჩვენც გაგონილი გვქონდა მასზე, მაგრამ... ჯერ ერთი, — ასეთ „საშინელებას“ არ მოველოდით, და, მეორეც, — ძალზე შეურყეველი გვეგონა ჩვენი პოზიცია. ეს თავდაჯერება ძვირად დაგვიჯდა. სამი ბურთის განსხვა-ვების დროსაც კი ცუდად წაგვა საქმე, თუ ინიციატივას მეტოქეს გადააბარებ და ბოლომდე არ იბრძოლებ ამ ინიციატივის შესანარ-ჩუნებლად. დასანანია მატჩის ფრედ დამთავრება მაშინ, როდესაც მოგება თითქმის უზრუნველყოფილი გქონდა.

„მგლებთან“ ჩვენი შეხვედრის შედეგი ბევრისთვის მოულოდ-ნელი იყო. მატჩმა ფართო კომენტარი და გამოხმაურება ჰპოვა ინგ-ლისურ პრესაში. აი, რას წერდა, მაგალითად, გაზეთ „ტაიმსის“ სპორტული მიმომხილველი: „ეს იყო „მგლების“ ყველაზე საპატიო ფრე. არა მგონია ვინმემ იფიქროს, რომ თბილისის „დინამო“—ეს ის გუნდია, რომელმაც „შეფილდთან“ წააგო. მატჩში დიდხანს ტო-ნის მიმცემნი სწორედ თბილისელები იყვნენ. დინამოელები კარ-გად ამუშავებდნენ ბურთს, მათი საბოლოო დარტყმები შესანიშნავი იყო. „მგლებს“ ბედმა გაუღიმათ: მოწინააღმდეგის მცველთა უხეში შეცდომების წყალობით მათ ორი ბურთი საჩუქრად მიიღეს“. გაზეთი „დეილი მირორი“ წერდა: „შეფილდში მომხდარი ამბავი საიდუმლოდ დარჩება. გუშინ საღამოს თბილისელებმა გვიჩვენეს, თუ რატომ იყვნენ ისინი არჩეულნი ინგლისში სათამაშოდ“. გაზეთ „დეილი ექსპრესის“ აზრით, „თამაშის წინ თბილისელთა 15 წუ-

თიანი მოთელვა ინგლისელ ფეხბურთელთა უმრავლესობას ნამდვილ მატჩად მოეჩვენებოდა. მეკარე კოტრიკაძეს ერთდროულად ექვსი ბურთი დაატყდა თავს. მის კარს დაუზოგავად ბომბავდნენ. ამ მოთელვამ თბილისელებს საკუთარ ძალებში რწმენა შეჰმატა და უკვე მე-2 წუთზე მარცხენა გარემარბმა მესხმა, ამ მოუხელთებელმა და „ვერაგმა" ფორვარდმა, ყოვლად წარმოუდგენელი შემობრუნებით გაიტანა ბურთი". „ამ თამაშში ორი ბურთის ავტორმა მესხმა გამოავლინა სისწრაფე, ტანისა და ბურთის ბრწყინვალე ფლობამან „მგლების" კაპიტან სტიუარტს ბევრი საზრუნავი გაუჩინა". განაცხადა გაზეთმა „დეილი სკეტჩმა", ხოლო გაზეთი „დეილი ჰერალდი", რომელიც თითქოს აგრძელებდა ზემოთქმულ აზრს, წერდა: „მარჯვენა მცველს სტიუარტს, რომელიც ელვასავით სწრაფი მესხის წინააღმდეგ თამაშობდა, 90-წუთიანი კოშმარის გადატანა მოუხდა". რეიტერის სააგენტოს სპორტულმა კომენტატორმა, რომელმაც მატჩს საბრძოლო ფრე უწოდა, განაცხადა: „საბჭოთა გუნდმა გამოავლინა შესანიშნავი შეთამაშება და ბრწყინვალე დამამთავრებელი დარტყმები. მხოლოდ თავბრუდამხვევი ფინიშის წყალობით, რითაც განთქმული არიან „მგლები", მათ ამჯერადაც თავი დააღწიეს დამარცხებას".

ასეა თუ ისე, შეფილდში წარუმატებლობის შემდეგ, ვულვერჰემპტონში გამართულმა მატჩმა ერთგვარი კმაყოფილება მოგვიტანა და გაგვამხნევა. ეს კი უმნიშვნელო რამ არ გახლდათ, რამდენადაც ბოლო თამაში „ტოტენჰემთან" გვიწევდა. ჩვენს მომავალ მოწინააღმდეგეზე ყველაზე უფრო კარგად ციფრები გვეტყვიან: „დეზებმა" (ასეთი სახელი შეარქვეს ამ კლუბის ფეხბურთელებს) თავისებური რეკორდი დაამყარეს, — ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ 10 გამარჯვება მოიპოვეს. მსგავსი რამ არ ყოფილა ბრიტანეთის საუკუნოვან საფეხბურთო ისტორიაში. „ვინ შეაჩერებს „ტოტენჰემს?" — კითხულობდნენ გაზეთები. ეგონათ, რომ ამას „მგლები" შეძლებდნენ, მაგრამ „მგლებმა" ოთხი „მშრალი" ბურთი იწვნიეს. ჩვენი იქ ყოფნის დროს „ტოტენჰემი" ინგლისური ფეხბურთის უდავო ფავორიტი იყო. „ტაიმსის" სიტყვებით, „ტოტენჰემის" თამაში არაჩვეულებრივად ორიგინალური სტილისაა, რომელიც 1957 წლის მიუნჰენის კატასტროფის შემდეგ (იგი განიცადა

ინგლისის გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“) ინგლისში არ უნახავთ“.

ზემოთ დასმული შეკითხვა უპასუხოდ მაინც არ დარჩა. ჩვენი საბოლოო მატჩამდე ორი დღით ადრე „ტოტენჰემის“ გამარჯვებული წინსვლა შეჩერებულ იქნა. ეს მოახერხა „შეფილდმა“, რომელმაც ლონდონში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ფავორიტი. ეს იყო უმაღლესი კლასის ორი ღირსეული მეტოქის უბრწყინვალესი მატჩი.

მაინც რომელი ფეხბურთელები ითვლებიან „ტოტენჰემის“ მთავარ ძალად? უპირველესად ყოვლისა, ნაკრების ორი მოთამაშე— ცენტრალური თავდამსხმელი ბობ სმიტი და მარჯვენა ნახევარმცველი კრაფტ ბლენჩფლაუერი. 1960 წლის ზაფხულში სმიტმა ბურთების გატანაში დაამყარა ინგლისის ახალი რეკორდი, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, 32 წლის განმავლობაში ხელუხლებელი იყო და 137 ბურთს უდრიდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სმიტმა ამას მიაღწია ოთხნახევარ სეზონში. სმიტი ისეთი მრისხანე თავდამსხმელია, რომ იშვიათად თუ გადის მოედნიდან ბურთის გაუტანლად. ამაში მას ყოველნაირად ეხმარებიან შუამარბები უაიტი და ალენი, რომლებიც სმიტთან შესანიშნავად არიან შეთამაშებული.

მაგრამ „ტოტენჰემის“ უძლიერეს რგოლად მაინც ნახევარდაცვა (მაკკეი, ნორმანი, ბლენჩფლაუერი) ითვლება. ბლენჩფლაუერი თავის სამშობლოში იმდენად პოპულარულია, რომ ერთ-ერთი გაზეთის მიერ გამოცხადებულ ტრადიციულ კონკურსში „მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი“ — ბლენჩფლაუერმა საბჭოთა ტანმოვარჯიშის ლარისა ლატინინასა და ამერიკელ მძლეოსან რაფერ ჯონსონის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. მაკკეი-ბლენჩფლაუერის წყვილი საუკეთესოდ არის მიჩნეული ინგლისში. ნორმანთან ერთად ეს წყვილი ქმნის სამკუთხედს, რომელიც მინდვრის შუაგულის ბატონ-პატრონი ხდება. ერთი სიტყვით, ინგლისური პრესის ერთსულოვანი აღიარებით, საქმე გვექნება ყველაზე უფრო ტექნიკურ გუნდთან, რომლის შემადგენლობაშია თითქმის მთელი ინგლისური ფეხბურთის ნაღები. „ინგლისში ჯერ არ ყოფილა ასეთ ბრწყინვალე ფორმაში მყოფი გუნდი, აგრერიგად შეთამაშებული და გამარჯვებისაკენ ასე მიზანმსწრაფი“, — წერდა გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“. ეს ვარსკვლავები ვიხილეთ 14 ნოემბერს ლონდონის სტადიონზე, როდესაც ისინი ჩვენს წინააღმდეგ სათამაშოდ გამოვიდნენ.

„ტოტენჰემის“ („მებრძოლი მამლაყინწას“ — ასე ითარგმნება „ტოტენჰემ ჰოტსპური“) შემადგენლობაში იყვნენ: ბრაუნი, ბეიკერი, ნორმანი, ჰენრი, ბლენჩფლაუერი, მაკკეი, ჯონსი, უაიტი, სმიტი, ალენი, დაუსონი. ჩვენი შემადგენლობა იგივე იყო, რაც „ვულვერჰემპტონთან“.

სამწუხაროდ, „ტოტენჰემის“ სტადიონზე ვერც ერთი ვარჯიშის ჩატარება ვერ მოვახერხეთ, რადგან განუწყვეტელი წვიმების გამო მინდორს უზარმაზარი, მჩატე პლასტიკური ნივთიერებისგან გაკეთებული ზეწარი ჰქონდა გადაფარებული.

ტოტენჰემი მუშათა რაიონია და ლონდონის მახლობლად მდებარეობს. იგი 130 ათასამდე მაცხოვრებელს ითვლის, ასე რომ სტადიონი, რომელიც ადგილობრივ კლუბს ეკუთვნის, სრულიად საკმარისია მისთვის. სტადიონზე 10 ათასი დასაჯდომი და 60 ათასი დასადგომი ადგილია.

„ტოტენჰემთან“ შეხვედრის წინა დღეს ვიყავით კარლ მარქსის საფლავზე და გვირგვინებით შევამკეთ. ქალაქში ექსკურსიის დროს დიდი სამსახური გაგვიწია საბჭოთა საელჩოს თანამშრომელმა, ჩვენმა თანამემამულემ ნიკოლოზ ყიასაშვილმა. მასზე უკეთესი გიდის მოძებნა ძნელად წარმოსადგენია. ჩვენთან ერთად იგი იყო ბუკინჰემის სასახლეში, ცნობილ ტრაფალგარ-სკვერში, ადმირალ ნელსონის ძეგლთან. ვინახულეთ ქალბატონ ტისოს მსოფლიოში განთქმული ცვილის ფიგურების მუზეუმი. უზარმაზარ გალერეაში სხვადასხვა ეპოქებისა და ქვეყნების გამოჩენილი ადამიანების გამოსახულებათა შორის ვნახეთ პოპულარული ინგლისელი ფეხბურთელების ბილ რაიტისა და სტენლი მეტიუზის ფიგურები.

ამინდი მატჩის დღესაც წმინდა ლონდონისებური იყო, — მოედანი უფრო ჭაობს მოგაგონებდათ, რომელზედაც თამაში ძალიან ნაკლებად წააგავდა ფეხბურთს. მიუხედავად ამისა, შეხვედრა ტემპიანად დაიწყო. ჩვენმა ცდამ — თავიდანვე დაკუფლებოდით მოედნის შუაგულს და ამის შედეგად — ინიციატივას, უნაყოფოდ ჩაიარა, — მასპინძელთა ნახევარდაცვა შეუცდომლად თამაშობდა და ჩვენს შეტევებს საჯარიმო მოედნის შორეულ მისადგომებთან ახშობდა. ინგლისელები ჩვენზე უფრო ხშირად როდი ავითარებდნენ იერიშებს, მაგრამ მცველთა ყოველ შეცდომას უმალვე იყენებდნენ. საუბედუროდ, ჩვენი დაცვა ხშირად ცდებოდა და აი, მე-19 წუთზე

ჯონსის მიერ დარტყმული ბურთი კარის ბადეში გაეხვია. 32-ე წუთამდე, სანამ საპასუხო გოლი გავიტანეთ, ჩვენი იერიშები განსაკუთრებით დაჟინებულია და „ტოტენჰემის" კართან რამდენიმე საგოლე მომენტი იქმნება. როგორც იქნა. ყოველივე ამან, ასე ვთქვათ. მატერიალური გამოსახულება ჰპოვა: იამანიძემ ბურთი გადასცა მესხს, მიშამ გვერდი აუარა მცველს და პირიოი ხაზიდან ძლიერი დარტყმით მოწინააღმდეგის კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი. მას შეუწყრო მელაშვილმა ღა ანგარიში გაათანაბრა.

პირველი ტაიმის დამთავრებას ბევრი არაფერი უკლდა, როცა მაკკეიმ მარჯვენა ფრთიდან მიიღო ზუსტი გადაცემა და მეორე ბურთი გაიტანა ჩვენ კარში. ამ ბურთს, რომელიც თავდამსხმელთა შეცდომის გამო გავიდა (დავივიწყეთ „ჩვენი" ნახევარმცველების დაჭერა და მეტისმეტად გავერთეთ შეტევით), დინამოელთა რიგებში არავითარი პანიკა არ შეუტანია — მიმდინარეობდა თანაბარი, ორმხრივი შეტევებით აღსავსე თამაში და ანგარიშის გათანაბრების იმედს არ ვკარგავდით.

მაგრამ მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე მაკკეის მიერ გატანილმა მესამე ბურთმა პირდაპირ წელში გაგვწყვიტა. უხეში ტაქტიკური შეცდომები ერთიმეორეს მიჰყვა და ასეთ ვითარებაში ჩვენი დაცვითი ზღუდეების გადალახვა დიდ სიძნელეს უკვე აღარ წარმოადგენდა. შეჭმნილი მდგომარეობით კარგად ისარგებლეს ჯონსმა და დაუსონმა, რომლებმაც ანგარიში 5:1-მდე გაზარდეს. მხოლოდ ამის შემდეგ ბარქაია ახერხებს ერთი ბურთის გაქვითვას...

5:2! ასეთი ანგარიშით იმარჯვებს „ტოტენჰემი". ეს იყო ჩვენი უკანასკნელი მატჩი ინგლისში.

ინტერესმოკლებული არაა თამაშის შემდეგ „ტაიმსის" ფურცლებზე გამოქვეყნებული შემდეგი დახასიათება: „ეჭვს გარეშეა, რომ „დინამოში" ცოტა როდია ჭკვიანი მოთამაშე. ესენი არიან ღოღობერიძე, ბარქაია, კალოევი, მესხი (ეს უკანასკნელი ძლიერია მაწინ, როდესაც ბურთს გაუგორებენ და როდესაც თამაშის ხასიათზეა), თორაძე (ძალისმიერი ცენტრალური მცველი, რომელიც არაერთხელ შველოდა თავის პარტნიორებს) და, ბოლოს, მეკარე კოტრიკაძე. მაგრამ ქართველ ფეხბურთელებს აკლდათ „მამლებისთვის" დამახასიათებელი გამბედაობა და სიმტკიცე".

რა ვნახეთ ფეხბურთის სამშობლოში და რა იყო ჩვენთვის

სასარგებლო? ინგლისს, უდავოდ, ჰყავს პროფესიონალურ ფეხბურთელთა ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი რაზმი მთელ მსოფლიოში. იქ არის 94 პროფესიონალური კლუბი, რომლებიც 3 ათასზე მეტ გამოცდილ ფეხბურთელს აერთიანებს. აქაური ფეხბურთის ძლიერება სწორედ ამ მოთამაშეებზეა დამყარებული. არაერთხელ გვსმენია, რომ ინგლისის ნაკრების თამაში ზოგჯერ უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე რომელიმე წამყვანი საკლუბო გუნდისა. მიღებულია, რომ საუკეთესო საკლუბო გუნდების თამაშის სტილი უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოხატავს თანამედროვე ინგლისური ფეხბურთის სახეს. მე მხოლოდ შემიძლია დავეთანხმო ამ აზრს, — თანამედროვე ინგლისური ფეხბურთი არის არა ამ ქვეყნის ნაკრები, არამედ, უპირველეს ყოვლისა. „ტოტენჰემი" (იგი მიმაჩნია მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდად), „ვულვერჰემპტონი", „შეფილდი" და სხვა მათი ტოლი გუნდები.

ბევრი საინტერესო, უცხო და უჩვეულო ვნახეთ ინგლისელ ფეხბურთელთა ტაქტიკასა და ტექნიკაში. პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ეს არის ხშირი და ზუსტი შორეული დიაგონალური გადაცემები. თანამედროვე სისტემაში მცველთა რაოდენობის გაზრდას თითქოს უნდა მოესპო მაღალი, გრძელი გადაცემები მეტოქეთა ზურგს უკან, თავისუფალ ადგილზე. უნდა მოესპო თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან შემცირდა ეგრეთწოდებული „თავისუფალი ადგილები"; მეორეც, გაიზარდა მცველთა ურთიერთდაზღვევის შესაძლებლობანი. ასეთ სიტუაციაში უპირატესობა თითქოს უნდა მისცემოდა მოკლე, უფრო იშვიათად, საშუალო გადაცემებს პარტნიორის ფეხებში.

უნაკლოდ შესრულებული შორეული გადაცემები, გამბედაობა მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში და, ბოლოს, მაღალტექნიკური თამაში თავით მუდამ ახასიათებდათ ინგლისელ ფეხბურთელებს. აი, რატომ შესძლეს მათ დაემტკიცებინათ, თუ რარიგ ეფექტურია თუნდაც მძირებულ დაცვაში გრძელი გადაცემებით თამაში, როდესაც ისინი ზუსტი და დროულია; ამგვარ გადაცემებს იქ შესანიშნავად ფლობენ თავდამსხმელებიცა და მცველებიც. საკმარისი იყო, მაგალითად, მცველებს შეეწყვიტათ მოწინააღმდეგის შეტევა, რომ უმალვე, დაუყოვნებლივ იწყებოდა კონტრშეტევა, რომელსაც სა-

ფუძვლად ედო ერთი ზუსტი გრძელი გადაცემა მთელ მოედანზე. ფიზიკურად ძლიერი, ახოვანი და ბრგე ინგლისელი მცველები ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ, მსუბუქად მოძრაობენ და საკმაოდ კარგად ფლობენ ტექნიკას. მათ ათლეტიზმში უხეშობის ნატამალიც კი არ არის: მათი ძალისმიერი თამაში თითქმის არასდროს არ ცილდება არსებული წესების ფარგლებს, მაშინაც კი, როდესაც ისინი მიმართავენ თავის საყვარელ ხერხს — ფეხებში ჩავარდნას. ამ რთულ ილეთს ისინი ძალიან კორექტულად და ოსტატურად ასრულებენ. ფეხებში ჩავარდნის დროს, როგორც ვიცით, ხშირად წესების დარღვევა და ამ ხერხის შესრულებისას მსაჯიცა და მაყურებელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მის შემსრულებლისადმი. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისელი მცველები ფეხებში ჩავარდნას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ, რადგან ამ დროს საკმარისია მცირე შეცდომაც კი და მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი ხდება. იხმარო ეს ილეთი, ნიშნავს — ითამაშო შეუცდომლად.

დაცვაში ინგლისელები, სულ ცოტა ხუთნი არიან. მაგრამ საკმარისია ერთ-ერთი მათგანი ბურთს დაუფლებოდა, რომ ნახევარმკველები, ზოგ შემთხვევაში კი მცველებიც, შეტევაზე გადასულიყვნენ. ასეთი მოქმედება არა მარტო კარგი ფიზიკური მომზადების შედეგია, არამედ მაღალი სათამაშო დისციპლინისა, გამოცდილებისა და ყოველ შექმნილ სიტუაციაში დამოუკიდებლად აზროვნების უნარისა. დაცვის ხაზის მოთამაშეთა მოქნილობა მჭიდროდაა გადაჯაჭვული თავდამსხმელთა, განსაკუთრებით კი გარემარბთა, მოქმედებასთან. თუ ძველად, „დუბლ-ვეს“ სისტემის დროს, გარემარბები არ სცილდებოდნენ თავის ადგილს და ცენტრში არ ინაცვლებდნენ, ამჟამად ისინი ხშირად იცვლიან ადგილებს, „ხეტიალობენ“ (ახლა თავდასხმაში ხომ 4 ფეხბურთელი დარჩა!) და თავის ზონას თავისუფალს ტოვებენ. აი, სწორედ ამ თავისუფალი ადგილისკენ ისწრაფვიან მცველები.

თავდამსხმელთა თამაშში, უარდა იდეალური გრძელი გადაცემებისა, მოსაწონია კარგად დაყენებული დარტყმები, რომლებიც

ძალიან ხშირად საჯარიმო მოედნის გარედან სრულდება. ამ ბურთების მოგერიება ძნელია არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ძლიერად და ზუსტადაა დარტყმული, არამედ იმიტომაც, რომ მათ მომზადებაზე ზევრი დრო არ იხარჯება. თანაც ეს მომზადება ძალზე შენიღბულია და დარტყმათა უმეტესობა მოულოდნელია. თავდამსხმელები ერთნაირად აგრესიულნი არ არიან, მაგრამ, ჩემის აზრით, ყველა ისინი ერთნაირად საშიშია.



1961 წლის შემოდგომა...

ჩვენ გუნდს მოელის შორეული, ძალზე საინტერესო, მაგრამ არც თუ ისე იოლი მოგზაურობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. პირველად მივემგზავრებით ასე შორს, ოკეანის მიღმა, დასავლეთ ნახევარსფეროში და, ბუნებრივია, დიდი ინტერესით მოველით მომავალ შეხვედრებს გმირული კუბის, ბოლივიისა და ეკვადორის მიწაზე.

ჩემთვის ეს მოგზაურობა ღირსშესანიშნავია კიდევ ერთი გარემოებითაც: დავამთავრე ფეხბურთელის თითქმის ოცდახუთწლიანი კარიერა, მწვანე მოედანზე ადგილი ახალგაზრდებს დავუთმე, თავად კი საწვრთნელ სამუშაოზე გადავედი და აი, ეს ტურნე ჩემი საზღვარგარეთული დებიუტია უკვე როგორც მწვრთნელისა.

ნახტომი ოკეანეზე, თუნდაც რეაქტიული ავიაციის ხანაში, ჩვეულებრივი მოვლენა არ გახლავთ და არც ისე უბრალო რამაა. განსაკუთრებით იმისათვის, ვინც მიჩვეული არ არის მიწაზე დაუწ-

ვებლად ხანგრძლივ გადაფრენებს. მრავალსაათიანმა ფრენამ, როდესაც შენს ქვევით უნაპირო გოლიათი—ოკეანეა, თავდაპირველად ერთხანს შეიძლება გაგაოცოს. შემდეგ კი ითენთები, იღლები, და მოუთმენლად ელი დედამიწის გამოჩენას. აი, სწორედ ამ ეტაპზე რწმუნდები, რომ ორ პუნქტს შორის უმოკლესი მანძილი სწორი ხაზია. რაც შეეხება ჩვენი მოგზაურობის ყველა გასულ ეტაპს, აქ ამ სწორმა ხაზებმა მოსკოვიდან ევროპის მატერიკის დასავლეთი კიდემდე შექმნეს ძალზე იკლიკანტური ტეხილი ხაზი. ავიაკომპანია „კლმ"-ის თვითმფრინავი ოკეანეზე გიგანტური ნახტომისთვის თითქოს გამორბენს აკუთებსო, ძალ-ღონეს ამსტერდამში, მაინის ფრანკფურტში, ციურიხსა და ლისაბონში დაჯდომით იკრეფდა. შემდეგ ამას მოჰყვა კუნძული სანტამარია, პარამარიბო, კარაკასი, კუნძული კიურასაო. გავიდა 16 საათი, სანამ ფეხქვეშ კვლავ დედამიწა ვიგრძენით — დანიშნულების ადგილს მივაღწიეთ. თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია: დილით კიდევ ერთი გადაფრენა მოგველის — კიურასაოდან კუბის დედაქალაქ ჰავანაში.

ვინც ერთი დღე მაინც დაჰყო კუბაზე, ვფიქრობ, დამეთანხმება: დღევანდელი კუბა, 1961 წლის შემოდგომის კუბა, ეს სახალხო მონაპოვართა ერთგული დამცველების ათასი, ათი ათასი შემართული ხიშტია. მთელი პროგრესული კაცობრიობის მხარდაჭერამ, პირველ რიგში, შშვიდობისმოყვარე საბჭოთა ქვეყნის უანგარო მეგობრულმა დახმარებამ კუბა, ეს პატარა კუნძული, მიუდგომელ ციხესიმაგრედ აქცია. კუბის ძლიერება დღითიდღე იზრდება და მტკიცდება. იზრდება მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, იზრდება მასების რევოლუციური შეგნებულობა. და რარიგ დიდიც უნდა იყოს იმპერიალისტთა წადილი — უკუღმა შეაბრუნონ ისტორიის ჩარხი, მათი ბოროტი ზრახვები სულ უფრო საცოდავად გამოიყურება, რადგან რევოლუცია კუბაზე (დღეს ლაპარაკია უკვე კულტურულ რევოლუციაზე), სპორტული ენით რომ ვთქვათ, „სისწრაფეს ღებს".

იწვნია რა თავისუფალი შრომის სიხარული, დღეს ყოველი კუბელი მზადაა უყოყმანოდ შესწიროს სიცოცხლე მამულის კეთილდღეობას. კუბელი პატრიოტები ყველაფერს აკეთებენ, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ სამშობლოს ძლიერება. და რომ ლოზუნგში „სამშობლო ან სიკვდილი!" იზეიმოს სამშობლომ, ამისათვის საჭი-

როა აღიზარდოს თაობა შამაცთა და ვაჟკაცთა, ძლიერთა და მიზანმსწრაფთა, რევოლუციის შეუდრეკელ მებრძოლთა თაობა. სწორედ ამიტომაა, რომ ახალგაზრდობის ფიზიკური განვითარების საქმე კუბაში დღეს ისეთივე დიდმნიშვნელოვანია, როგორც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ერთხელ, როდესაც ჰავანის ღირსშესანიშნაობებს ვეცნობოდით, ქუჩაში დემონსტრანტთა კოლონა შევნიშნეთ. დემონსტრანტები, ტრანსპარანტებით ხელში, სიმღერით მოაბიჯებდნენ.

— მოხალისე მასწავლებლები არიან, რომლებიც ეს-ესაა დაბრუნდნენ პროვინციიდან. ისინი უპატაკებენ თანამოქალაქეებს, ჰავანელებს: კიდევ ას კუბელს შეუძლია დღეს წერა-კითხვაო, — გვითხრა თარჯიმანმა.

შემდეგში არაერთხელ შევხვდით ამგვარ საზეიმო პროცესიებს.

რაც შეეხება სპორტის განვითარებას, ამაზე, ვფიქრობ, საჭიროა უფრო ვრცლად შევჩერდეთ.

19 ნოემბერს კუბამ აღნიშნა ფიზკულტურელის დღე. ჰავანის სპორტის სასახლის ტრიბუნები დაემსგავსა გმირული კუნძულის უზარმაზარ სპორტულ რუკას. თვითეული დელეგაცია თავისი პროვინციის, თავისი ქალაქის ფერის ფორმით იყო წარმოდგენილი. ეს იყო ძალზე ლამაზი და, რაც მთავარია, მრავალისმეტყველი სანახაობა: ესე იგი სპორტი მთელი კუნძულის მასების კუთვნილებად ქცეულა.

...ქრება სინათლე. პროექტორთა მძლავრმა სხივებმა მაყურებელთა მრავალრიცხოვანი, 18-ათასიანი მასიდან „გამოკვეთა“ კიდევ ერთი, ყველაზე პატარა, ჩვენი დელეგაცია. „ვივა სოვიეტიკო „დინამო“! „ვივა კუბა!“ „კუბა-სი, იანკი-ნო!“ ტაქტში იმეორებს მთელი დარბაზი. სხვებთან ერთად ტაშს გვიკრავს ფიდელ კასტროც...

და გავიფიქრე მაშინ: „განა ჩვენი მისია ამ ტურნეში მხოლოდ სტადიონებზე გამარჯვებებით ამოიწურება?“

უნებურად გამახსენდა პატარა ქალაქი კიურასაო, სადაც ჰავანის თვითმფრინავს ველოდით. როდესაც რესტორან „კონტინენტალში“ ზანგი ოფიციანტი ხელს მართმევდა, იგი, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდა იმაზე, ვინ ვარ მე — ფეხბურთელი თუ მწვრთნელი. მან მხოლოდ ერთი იცოდა: მე — ეს საბჭოთა კავშირი ვარ, საბჭოთა კავშირი კი გაგარინია. და აქვე მაჩვენა შაგიდა, რომელსაც თურმე

„თვით გაგარინი უჯდა“. მაშინ ამ ოფიციანტს ვერ გაურღვევია რკალი და ძალზე ნანობდა, კოსმონავტს ხელი რომ ვერ ჩამოართვა. და აი, იგი ახლა აკეთებს ამას: მაგრად მართმევს ხელს სოციალიზმის ქვეყნის წარმომადგენელს, პირველი კოსმონავტის თანამემამულეს. იგი მთხოვს გადავცე მოსკოვს დიდი აღტაცება.

სპორტის სასახლეში საღამოს დამთავრების შემდეგ ფიდელ კასტრომ ჩვენი გუნდის პატივსაცემად მიღება გამართა. დელეგაციის ხელმძღვანელმა გ. სიხარულიძემ კუბის რევოლუციის ბელადს სამახსოვროდ მიართვა ეროვნული სუვენირები. კასტრომ იქვე დაიხურა სვანური ქეჩის ქუდი და სურათი გადაიღო ჩვენთან. მეგობრულ საუბრისას მან ხუმრობით იკითხა, — ბოლო მატჩის მოგებასაც დიდი ანგარიშით აპირებთო? (მანამდე ჩვენ უკვე ორჯერ ვითამაშეთ). მერე კი სერიოზულად დასძინა: ფეხბურთი ჩვენში დღეს მხოლოდ პირველ ნაბიჯებს აკეთებს და ორ-სამ წელიწადში უკვე გაწლის ფრთებსო.

ფეხბურთი კუბაზე დღეს მართლაც პირველ ნაბიჯებს აკეთებს. დედაქალაქში სულ რამდენიმე საფეხბურთო მოედანია, პატარა ტრიბუნებით. რევოლუციამდე აქ სპორტის ყველაზე გავრცელებულ სახეობას ბეისბოლი წარმოადგენდა, რომელსაც ამერიკელები ნერგავდნენ. ამიტომ საკვირველიც არ იყო, რომ ყველაზე ტევადი ტრიბუნები „ლატინო ამერიკანოს“ ბეისბოლის სტადიონს აქვს. სწორედ ამ სტადიონზე, რომელსაც არც თუ ისე „საფეხბურთო“ ზომების მოედანი (94×70 მ) ჰქონდა, გაიმართა ჩვენი მატჩები. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ამ მოედანს ბალახის კარგი ზედაპირი ალმოაჩნდა, რამაც საშუალება მისცა ჩვენს ბიჭებს სრულად წარმოედგინათ თავიანთი მაღალი ტექნიკა. ყოველ ღონეს ვხმარობდით, რათა კუბელი მეგობრები რაც შეიძლება უკეთ გაცნობოდნენ ფეხბურთის საბჭოთა სკოლას და მეტი ესწავლათ ჩვენგან.

იქაური პირობები ჩვენთვის უჩვეულო იყო. უკვე ის, რომ ადგილობრივი დრო თბილისურისგან მთელი 9 საათით განსხვავდება, გულმოდგინე აკლიმატიზაციას მოითხოვდა, ამის დრო კი არ გვქონდა. გარდა ამისა, ძალიან მოკლე დროში (ჰავანაში სულ ცხრა დღე დავყავით) სამი მატჩის ჩატარება მოგვიხდა. სამჯერვე მეტოქედ ქვეყნის ნაკრები გვყავდა. პირველი მატჩის წინ გულთბილად მოგვესალმა სპორტის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი

ჯოსე ლანუსა, რომლის მიწვევითაც ჩავედით კუბაში. შემდეგ ნორჩმა პიონერებმა ჩვენი დელეგაციის თვითეულ წევრს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამივე შეხვედრა ქართველი ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა, რაზეც მკაფიოდ მეტყველებს მათი ანგარიში — 8:0, 6:1, 6:0. ვცდილობდით კუბელი მეგობრებისთვის გვეჩვენებინა „დიდი ფეხბურთი". და თუ ამას ნაწილობრივ მაინც მივაღწიეთ, დინამოელთა ყოფნა კარიბის ზღვის ნაპირებზე გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ამ მატჩების ციფრობრივ მაჩვენებლებს, მათ მოედნის პატრონნი როდი დაანაღვლიანეს. მინდორზე ხომ ერთმანეთს მეგობრები ვხვდებოდით!

როგორი ხანმოკლეც იყო ჩვენი ყოფნა კუბაში, მაინც ბევრი ახალი მეგობარი შევიძინეთ. ჰავანაში შევხვდი ჩემს ძველ ნაცნობსაც, ჩეხ ფეხბურთელ სტაროსტას. ოდესღაც მე მის წინააღმდეგ ვთამაშობდი მორავიის ოსტრავაში. ახლა სტაროსტა, ჩემი არ იყოს, სამწვრთნელო მოღვაწეობაზე გადასულა, კუბის მთავრობის მიწვევა მიუღია და ამჟამად ახალგაზრდა კუბელებს სპორტული ოსტატობის საიდუმლოებათა დაუფლებაში ეხმარება. სხვათა შორის, ჩვენი იქ ყოფნის დღეებში კუბაში სტუმრად იყვნენ ჩამოსული პოპულარული ჩეხოსლოვაკელი მძლეოსნები დანა და ემილ ზატოპეკები, რომლებიც აგრეთვე გადასცემდნენ გმირული კუნძულის ჯაბუკებსა და ქალიშვილებს თავიანთ მდიდარ გამოცდილებას.

სტუმართმოყვარე ჰავანიდან ჩვენი გზა ბოლივიაში (მექსიკაზე გავლით) მიდიოდა. მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში მთელი დღე დავყავით საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებთან, მეორე დილით კი ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასში გავფრინდით. „გადაწეულ" დროს უკვე ნელ-ნელა შევეჩვიეთ და თითქოს აკლიმატიზირებულნიც გამოვიყურებოდით. მაგრამ ლა- პასში გველოდა ახალი სიძნელეები,— ამჟამად მაღლობრივი: ქალაქი ზღვის დონიდან 4.000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მდებარეობს. ასეთი სიმაღლე უჩვეულოა ჩვენთვისაც კი — მთა-გორიანი ქვეყნის შვილთათვის. გადმოვედით თუ არა თვითმფრინავიდან, ვიგრძენით, რომ გაიშვიათებულ ჰაერთან შეჩვევა გაგვიძნელდებოდა. სუნთქვა გვიჭირდა. გუნდის ექიმი ზაჭრო თელია ძლივს ასწრებდა თაკის ტკივილის აბების „პასირე-

ბას". განსაკუთრებით გაუკვირდა სერგო კოტრიკაძეს და საქმე ბოლომდე ანგბადის ბალიშამდეც კი მივიდა. ამის შემდეგ აღარ გვიკვირს, თუ რატომ დაკმაყოფილდა ლა-პასში ფრეთი ისეთი ძლიერგუნდი, როგორიცაა ურუგვაი.

არ ვიტყოდი, რომ ჩვენი ჩასვლა ბოლივიაში ძალზე გაჰხარებოდათ. გაუკვირდათ კიდეც. საქმე იმაშია, რომ ჩვენს ჩასვლამდე ერთ-ერთმა კათოლიკურმა გაზეთმა ხმაური ატეხა: ბოლივიელები მოტყუებულნი ვართო, — „დანაპირებ" მოსკოვის „დინამოს" ნაცვლად ჩამოვიდა თბილისის გუნდი, რომელიც ბოლივიელი ფეხბურთის ოსტატებისთვის სერიოზულ შეტოქეს არ წარმოადგენსო. ამასთან ერთად საჩუქრები, რომლებიც მოიტანეს. სასტუმროში 1946 წელს შექმნილი „დინამო ლა-პასის" კლუბის წარმომადგენლებმა, მოსკოვის დინამოელთათვის იყო განკუთვნილი.

ასე იყო თუ ისე, გაუგებრობას მალე მოეღო ბოლო და ყველგან გულთბილად გვხვდებოდნენ. მოგზაურობაში მუდმივად თან გვახლდნენ ბოლივიის პროფსაბჭოების ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. ჩვენმა ხელმძღვანელმა გ. სიხარულიძემ თავის გამოსვლაში რადიომსმენელებს მოუთხრო ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე საბჭოთა კავშირში, გუნდის უფროსმა შ. შავგულიძემ და მწვრთნელმა ნ. ჩხატარაშვილმა კი ბოლივიელებს გააცნეს ჩვენი კოლექტივის ისტორია. საგულისხმოა, რომ ამ გადაცემას თან ახლდა ლათინური ამერიკის მცხოვრებელთათვის კარგად ცნობილი საბჭოთა სიმღერები.

ფეხბურთი ბოლივიაში, ისე როგორც მთელ სამხრეთ ამერიკაში, სპორტის ყველაზე გავრცელებული სახეა. უკვე ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ უძლიერეს პროფესიონალურ კლუბ „სტრონგჯეტს" (რომელთანაც პირველი შეხვედრა უნდა ჩაგვეტარებინა) თავის აქტივში გამარჯვებები ჰქონდა ბრაზილიის ისეთ პოპულარულ კლუბებთან მატჩებში, როგორიცაა „პორტუგეზა" და „ამერიკა", სერიოზულ ყურადღებას იმსახურებდა. როგორც შემდეგ გამოჩნდა, ბოლივიის ფეხბურთელები საკმაოდ კარგად ფლობდნენ ტექნიკას, მაგრამ ფიზიკურ მომზადებაში აშკარად ჩამოუვარდებოდნენ ჩვენს ბიჭებს.

ბოლივიელები ბრაზილიური ფეხბურთის აშკარა მიმდევრებიარიან. ისინი ბრაზილიელებივით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ

მაღალ ინდივიდუალურ ტექნიკას, უკანასკნელ დროს კი გადაიღეს მსოფლიო ჩემპიონთა განლაგების სისტემაც და მათი ტაქტიკური სიახლენი.

მატჩი „სტრონჯეტთან", რომელსაც ქვეყნის ჩემპიონატში III ადგილი ეკავა, არც თუ ისე იოლი გამოდგა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ბევრი ჩვენი ფეხბურთელი ვერაფრით ვერ შეეგუა აქაურ გარემოს და გამუდმებულ თავის ტკივილს უჩიოდა. (ასპარეზობაზე ასეთი შემადგენლობა გამოვიყენეთ: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ხელაძე, მელაშვილი. ბარქაია, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი). სწორედ ამიტომ თამაშის მსვლელობაში იძულებული ვიყავით შეგვეცვალა ბარქაია, მელაშვილი და დათუნაშვილი, რომელთა მაგიერ მოედანზე გამოვიდნენ ზეინკლიშვილი, სმირნოვი და ნიკოლაევი.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენმა გუნდმა მშვენივრად დაიწყო თამაში და უკვე მე-6 წუთზე ბარქაია-იამანიძის კომბინაციისა და კალოევის ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში გავხსენით.

მეტოქეებმა წარმოგვიდგინეს სავსებით თანამედროვე ფეხბურთი — მოქნილი ტაქტიკა და მაღალი ტექნიკა. თავდაპირველად ისინი იყენებდნენ სისტემას 1+3+3+4 (უკან დასწიეს მარჯვენა შუამარბი).

ბოლივიელებმა ბევრი მწვავე იერიში განახორციელეს, რომლის დროსაც ნახევარმცველები ძალზე აქტიურად ეხმარებოდნენ თავდასხმას. და აქ ქებით უნდა მოვიხსენიო სერგო კოტრიკაძე. მიუხედავად უქეიფობისა, იგი მშვენივრად თამაშობდა და, წარმოიდგინეთ, პენალტიც კი მოიგერია.

მინიმალური ანგარიში მეორე ტაიმის ნახევრამდე რჩებოდა, სანამ შოთა იამანიძემ „სტრონჯეტის" მეკარე მეორედ აიძულა ბურთის ბადიდან გამოტანა. ბოლივიელ ფეხბურთელთა (მათ უმრავლესობას ინდიელები შეადგენენ) ერთ-ერთ საპასუხო შეტევას შედეგიც მოჰყვა, — გოლი მარცხენა შუამარბმა მორენომ გაიტანა. ამრიგად, პირველი მატჩი ჩვენ სასარგებლოდ (2:1) დამთავრდა.

სულ 80 ათასი კაცი ცხოვრობს ქალაქ კოჩაბამბაში და აქედან თითქმის მეოთხედი დაესწრო ჩვენს შეხვედრას „უ.ინსტერმანის"

გუნდთან, რომელიც გაძლიერებული იყო სხვა პროფესიონალურ კლუბთა სამი ფეხბურთელით. ჩვენმა გამარჯვებამ „სტრონჯეტთან“ საგრძნობლად გაზარდა ინტერესი მატჩისადმი კოჩაბამბაში. ბოლივიელებს ძალზე სწყუროდათ რევანში, მაგრამ ამას მხოლოდ სანახევროდ მიაღწიეს: თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1 (პირველი ბურთი აღმოჩნდა ჩვენს კარში, რომელიც გაქვითა დათუნაშვილმა).

უნდა აღვნიშნოთ, რომ „უინსტერმანის“ ფეხბურთელები თამაშობდნენ უხეშად, რაც ადგილობრივი მსაჯის წყალობით ხდებოდა. მე როგორც გუნდის მწვრთნელს, თარჯიმნის საშუალებით პირდაპირ მოედანზე მომიხდა მასთან ახსნა-განმარტების წარმოება. სხვა არაფერიღა მრჩებოდა, გარდა გაფრთხილებისა: „თუ ასე გაგრძელდება, იძულებული ვიქნებით დავტოვოთ მოედანი“. ამ კატეგორიულმა განცხადებამ გაჭრა, შემდგომში მსაჯი გაცილებით მკაცრად და ობიექტურად სჯიდა. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ბოლივიაშიც და ეკვადორშიც ხშირად იწვევენ უცხოელ მსაჯებს, რომლებსაც ანდობენ თავისი ქვეყნის პირველობის კალენდარულ მატჩებს. ბოლივიაში ჩვენს ორ გამოსვლას სჯიდა ურუგვაელი, პირველ მატჩს ეკვადორში კი — უნგრელი. ისინი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩდნენ.

და კიდევ ერთი რამ: აქ, ისევე როგორც სამხრეთი ამერიკის კონტინენტის სხვა ქვეყნებში, სათამაშო მინდორს გარს ერტყმის რკინის მაღალი მესერი. საგულისხმოა, რომ გასახდელი ოთახებიდან გუნდების გამოსასვლელი გვირაბი ორადაა გაყოფილი და გუნდები ერთმანეთის პირისპირ მხოლოდ მოედანზე რჩებიან. ეს ღონისძიება თურმე იმისთვის არის საჭირო, რომ ფეხბურთელებს ერთმანეთში ჩხუბი არ მოუვიდეთ. რაც შეეხება მოედანს, ოთხივე კუთხურ ალამთან დარაჯობს ორ-ორი ახოვანი პოლიციელი, რომლებიც ვეებერთელა ნაგაზებით არიან „შეიარაღებული“.

ბოლივიაში ჩვენი უკანასკნელი მეტოქე იყო „მუნიციპალის“ გუნდი — ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერი. მასთან შეხვედრა დაგეგმილი არ გვქონდა, მაგრამ როგორც კი გვითხრეს, რომ შეხვედრის მთელი შემოსავალი ობოლთა სახლის მშენებლობას მოხმარდებაო, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდით თამაშზე.

ძნელია თქვა, რომელია უფრო ძლიერი — „სტრონჯეტი“ თუ „მუნიციპალი“. ყოველ შემთხვევაში, მათთან ჩვენი შეხვედრების შედეგებით არ შეიძლება ამაზე მსჯელობა. და აი, რატომ. მართალია, ორივე გუნდს ერთნაირი შემადგენლობით, ერთ ქალაქში შევხვდით, მაგრამ „მუნიციპალთან“ მატჩის დროისთვის ჩვენ ასე თუ ისე უკვე შევეჩვიეთ უჩვეულო პირობებს და ჟანგბადის ნაკლებობასაც ისე მტკივნეულად აღარ განვიცდიდით.

შეიძლება ეს იყო მთავარი მიზეზი იმ განადგურებისა, რომელიც მივაყენეთ ჩემპიონობის კანდიდატს — 5:2 (3:1), ორ-ორი ბურთი გაიტანეს კალოევმა და სმირნოვმა, ერთი კი ბარქაიამ.

ამ მატჩის შემდეგ ბოლივიის პრესა წერდა, რომ „დინამოელები ევროპის საუკეთესო გუნდების სტილში თამაშობენო“. ჟურნალისტები განსაკუთრებული ქებით იხსენიებდნენ ს. კოტრიკაძეს, ზ. კალოევსა და ახალგაზრდა მ. ხურცილავას.

კუბა და ბოლივია უკან დაგვრჩა. წინ ეკვადორია. მგონი აქ ყველაზე მძიმე ბრძოლები მოგველის. როგორც გვითხრეს, ადგილობრივ კლუბებში ბევრი უცხოელი თამაშობს. ესენი არიან ბრაზილიელები, არგენტინელები, ურუგვაელები. მაშ აქაც ვირტუოზული ტექნიკა ყოფილა პატივში! მაგრამ ბოლივიელი სპორტსმენებისგან განსხვავებით, ეკვადორელები ფიზიკურადაც კარგად არიან მომზადებული.

მართალია, პირველმა მატჩმა „ემელეკთან“ (იგი ჩატარდა ქალაქ გუაიაკილის სტადიონ „მოდელეზე“ 30 ათასი მაყურებლის თანდასწრებით) ჩვენი შიში არ გაამართლა, — ისე მოვიგეთ 6:2-ზე, რომ სერიოზული წინააღმდეგობა არც კი გვიგრძნია. მაგრამ უკვე შემდეგი მოწინააღმდეგე — ეკვადორის 1960 წლის ჩემპიონი „ბარსელონა“ — გამოცდილი, ტაქტიკურად ძლიერი და მრავალფეროვანი გუნდი გამოდგა. ბარსელონელები ოთხი მცველისა და ოთხი თავდამსხმელის სისტემით თამაშობდნენ, იერიშებში ერთ-ერთი ან ორივე ნახევარმცველის ხშირი გამოყენებით.

„ბარსელონას“ გამოჩენამ 30 ათასი მაყურებლით სავსე ტრიბუნებზე ისეთი ძალის ოვაცია. და დამბაჩების ბათქა-ბუთქი გამოიწვია, რომ პირდაპირ გაოგნებულები ვიყავით. რაღა იქნება ბაშინ, ბურთი რომ გაგვიტანონ? ამ კითხვაზე პასუხი სულ მალე,

ნახევარ საათში მივიღეთ. თამაშის 26-ე წუთზე „ბარსელონამ“ ბურთი გაგვიტანა და სტადიონზე ნამდვილად საშინელი გრიგალი ამოვარდა. ეს იყო ფსიქოლოგიური შეტევაც, რომელსაც, როგორც ცნობილია, ბევრი ვერ უძლებს. რა თქმა უნდა, ამგვარ სიტუაციაში ტექნიკასა და ტაქტიკაზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ნერვებსა და ამტანობას. ამ მხრივაც ჩვენს ბიჭებს კარგად ჰქონიათ საქმეტრიბუნათა სიხარული სულ ორ წუთს გრძელდებოდა, სანამ თ. მელაშვილმა ანგარიში გაქვითა.

სტადიონმა ეს გოლი მიიღო როგორც კატასტროფა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

მეორე ტაიმის მე-11 წუთზე ბ. სიჭინავასა და ბარქაიას მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ბურთი კალოევმა მიიღო და მძლავრი დარტყმით გაგზავნა იგი კარის ზედა ძელს ქვეშ. ეს ბურთი ამ ძნელ მატჩში უკანასკნელი გამოდგა.

ამ შეხვედრის შემდეგ თბილისის „დინამო“ საბოლოოდ იქნა „აღიარებული“. გაზეთები აღნიშნავდნენ ჩვენი გუნდის მაღალკლასს, მის უაღრესად კოლექტიურ თამაშს და კარგ ფიზიკურ მომზადებას. ამიტომ მესამე მატჩში, რომელიც ეკვადორის დედაქალაქ კიტოში უნდა შემდგარიყო, „დეპორტივო-კიტოს“ კლუბის ალმით თურმე ფაქტიურად ქალაქის ნაკრების გამოყვანა განიზრახეს. ჩვენ კი ამჯერადაც ჩვეულებრივი შემადგენლობით გამოვდიოდით. სიტყვა „ჩვეულებრივი“ განმარტებას საჭიროებს. ლათინურ ამერიკაში გუნდი გაემგზავრა ორი უძლიერესი ფეხბურთელის — მცველის გივი ჩოხელისა და თავდამსხმელის მიხეილ მესხის გარეშე. ამ დროს ისინი საბჭოთა კავშირის ღირსებას იცავდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატის სტამბოლის შესარჩევ მატჩში, შემდეგ კი თამაშობდნენ ბუენოს-აირესის სანტ-იაგოსა და მონტევიდეოს სტადიონებზე. მათ ნაცვლად ჩვენ დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ მოსკოვის დინამოელები — რიაბოვი და ნიკოლაევი, აგრეთვე სმირნოვი რიგის „დაუგავადან“.

„დანაკლისის“ შესავსებად იძულებული ვიყავით ეს ამხანაგებიც წაგვეყვანა, თუმცა უნდა გამოვიტყდეთ, რომ ახალგაზრდების გაწაფვა უფრო გვინდოდა. ახალბედებიდან გამოირჩეოდა ჯერ

კიდევ სულ ახალგაზრდა მურთაზ ხურცილავა, რომელსაც ცენტრალური მცველის პასუხსაგები პოსტი ჰქონდა მინდობილი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მან ყველა თამაში მომწიფებული ოსტატივით ჩაატარა და სპეციალისტთა და ჟურნალისტთა დიდი ქება დაიმსახურა. „დეპორტივო-კიტოსთან“ მატჩზე შემდეგი შემადგენლობა გამოვიყვანეთ: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოფლავა, გ. სიჭინავა, ხელაძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

ჯერ კიდევ მოედანზე გამოსვლამდე შევურიგდით აზრს, რომ ამ ხანგრძლივი ტურნეს ეს უკანასკნელი მატჩი ყველაზე ძნელი იქნებოდა. თანაც „მოვემზადეთ“ თავშეუკავებელ ეკვადორელ გულშემატკივართა „ფოკუსების“ დასახვედრადაც. მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ჩვენი გუნდის კაპიტნის იამანიძის მიერ თამაშის მე-10 წუთზე გატანილ ბურთს მოედნის პატრონებმა უპასუხეს მხოლოდ ერთით მეორე ტაიმის დასაწყისში.

სტადიონ „ოლიმპიკის“ 40 ათასი მაყურებლის სასიხარულოდ საყაიმო ანგარიში დიდხანს იყო ძალაში. და როდესაც ფინალურ სასტვენს წუთიღა უკლდა, მოვახერხეთ ორი ბურთის (ხუნდაძე, კალოევი) გატანა და გავიმარჯვეთ — 3 : 1.

მატჩის შემდეგ მიგვიღო ეკვადორის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კარლოს ხულიო არისემენამ, რომელიც თამაშს ესწრებოდა.

ტურნე სამხრეთ ამერიკაში დაგვამახსოვრდა კიდევ ერთი უჩვეულო მოვლენით, რომელმაც ყოველივე ჩვენგანის მეხსიერებაში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა: აქ პირველად ვნახეთ გახელებული ხარების ბრძოლა — კორიდა. თავდაპირველად სანახაობა არა მარტო უჩვეულოდ, არამედ საზარლად და ველურადაც გვეჩვენებოდა. სიბრაზით გაცოფებული ხარების დანახვისას ერუანტელი გვივლიდა. შემდეგ ნელ-ნელა შევეჩვიეთ სანახაობას და, წარმოიდგინეთ, გაგვიტაცა კიდეც საერთო აზარტმა და აკიტაჟმა. უნდა ითქვას, რომ ხართა ბრძოლა ისევე პოპულარულია სამხრეთ ამერიკაში, როგორც ფეხბურთი. კორიდის სარბიელის ტრიბუნები ხშირად უფრო მეტადაა გაჭედილი მაყურებლებით, ვიდრე სტადიონისა. მატადორები ისეთივე პოპულარობითა და საყოველთაო სიყ-

ვარულით სარგებლობენ, როგორც ფეხბურთელები. იმ დღეს, რომლის შესახებაც გიყვებით, მოწმენი გავხდით გამარჯვებულის პატივსაცემად გამართული ზეიმისა, რაც ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულში გადაიზარდა. საქმე იმაშია, რომ ახალგაზრდა ეკვადორელი მატადორი (ამბავი ეკვადორში ხდებოდა) შეკრებილთა აუწერელ სიხარულში აღიარებულ იქნა უძლიერესად მექსიკიდან და ესპანეთიდან ჩამოსულ განთქმულ მატადორებთან შეჯიბრებაში. არსებული ტრადიციის თანახმად, გამარჯვებულს მიეკუთვნა მისა მიერ მოკლული ხარის ყური და კუდი. მატადორმა შემოუარა სარბიელს, ანუ გააკეთა საპატიო წრე, რომლის დროსაც იგი პირდაპირ „დასეტყვილ“ იქნა ფარფლებიანი ქუდებით, ქისებითა და... ქალის ტუფლებით. ამის შემდეგ მოკლული ხარის კუდი და ყური მოკრძალებით დაუდეს ფეხთ ლოჟაში მჯდომ ეკვადორის პრეზიდენტს. ყველაზე საინტერესო კი ჯერ კიდევ წინ იყო: მატადორი მთელი თავისი მოკაზმულობით ხელებზე აიტაცეს და ქალაქის ცენტრამდე, რამდენიმე კილომეტრი ასე ატარეს.

სხვა, არანაკლებ საინტერესო მოგონება დაკავშირებულია ეკვატორზე მგზავრობასთან. იგი ქალაქ კიტოდან 30 კილომეტრის დაშორებით გადის. ჩამოვედით თუ არა დანიშნულების ადგილზე, და ავტობუსიდან ფეხი მიწაზე დავდგით, აჩხაკუნდა ყველა ჩვენი ფოტომოყვარულის აპარატი: ყველას სურდა აღებეჭდა ისტორიული კადრი, როდესაც ცალი ფეხით დგახარ ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე, მეორეთი კი — სამხრეთისაზე.

ბოლივიაში და ეკვადორში წარმატებული გამოსვლების შემდეგ, განსაკუთრებით კი „ბარსელონაზე“ გამარჯვების მერე, მივიღეთ მრავალი მიწვევა არგენტინიდან, ბრაზილიიდან, კოსტარიკადან. ჩვენი სამხრეთ-ამერიკული ტურნეს იმპრესარიომ, ბრაზილიელმა დეგამამ (ბრაზილიის კლუბის „მადუერას“ ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ამ გუნდთან ერთად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში) წინადადება მისცა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობას დაგვედო კონტრაქტი ბრაზილიაში მოგზაურობაზე.

— ისეთი თამაშით, თქვენ რომ აჩვენეთ,— თქვა მან,— დიდი სიამოვნებით მიგიღებენ ყველა ქვეყანაში.

ცხრა მატჩი გავმართეთ კუბის, ბოლივიისა და ეკვადორის

სტადიონებზე. 8 გამარჯვება და 1 ფრე, 39 გატანილი და 9 მიღებული ბურთი, — აი, ჩვენი მოგზაურობის ბალანსი.

დასასრულს მინდა მოვიყვანო ადგილი ერთი წერილიდან, რომელიც ჩვენს ოკეანესგაღმა მოგზაურობას შეეხებოდა. იგი ეკუთვნის ფეხბურთის ერთ-ერთ უდიდეს სპეციალისტს, საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მთავარ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მიხეილ იაკუშინს, რომელიც გვახლდა ამ ტურნეში. აი, რას წერდა იგი „ფუტბოლში" გამოქვეყნებულ სტატიაში: „...თბილისის დინამოელებმა კარგად ჩაატარეა თავიანთი ტურნე და ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ საბჭოთა ფეხბურთის სკოლა დგას სწორ გზაზე. უმეტეს მატჩებში მათ გამოამეღავნეს ლამაზი, ძალიან სწრაფი, კომბინაციური თამაში. შეტევათა ელვისებური განვითარება, სიმტკიცე დაცვაში, მაღალი შრომისუნარიანობა. აი, სწორედ ამან განაპირობა დინამოელთა წარმატება ბოლივიისა და ეკვადორის პროფესიონალურ კლუბებთან შეხვედრებში".

ცნობილი გამოთქმა რომ ცოტათი გადავაკეთოთ, შეიძლება ითქვას, რომ არ ვარგა ის ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე არ ოცნებობს. როგორც ჯარისკაცისთვის ძნელია გენერლად გახდომა, ასევე ძალიან ძნელი და რთული საქმეა ჩვენთვის გავიკაფოთ გზა მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელთა ფორუმისაკენ...

ცოდვა იქნებოდა, რომ ბედს ვუჩიოდე. იმ წლებში, რომლებიც ფეხბურთთან მაკავშირებდნენ, ჩემი გუნდისა და სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ათეულ საერთაშორისო მატჩში გამოვსულვარ, ვყოფილვარ სხვადასხვა კონტინენტებზე. ოლიმპიურ თამაშებშიც მიმიღია მონაწილეობა. და მხოლოდ ერთს ვერ მივაღწიე, — ვერ იქნა და ერთხელაც ვერ მოვხვდი მსოფლიო ჩემპიონატზე. იმ დროისათვის, როდესაც საბჭოთა ფეხბურთელები ჟიულ რიმეს თასის გათამაშებაში ჩაებნენ, ნაკრებში უკვე აღარ

ვიყავი. და ადვილი გასაგებია ის უსაზღვრო სიხარული, რომელიც განვიცადე 1962 წლის აპრილში: „დინამოს“ ცენტრალური საბჭოდან გვაცნობეს, რომ შეყვანილი ვიყავი სპეციალისტ-მწვრთნელთა ჯგუფში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების სანახავად ჩილეში მიემგზავრება.

ადვილად მიხვდებით, რომ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ჯგუფის შემადგენლობა მცირეა, — სულ 9 კაცი ვართ. ჩვენი ხელმძღვანელია ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სპორტულ თამაშობათა კათედრის დოცენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ტოვაროვსკი. ჯგუფში შედიან: ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მთავარი მწვრთნელი ბ. ნაბოკოვი, „ა“ კლასის წამყვანი გუნდების უფროსი მწვრთნელები ვ. სოლოვიოვი (კიევის „დინამო“), ნ. სიმონიანი (მოსკოვის „სპარტაკი“), ო. ოშენკოვი („შახტიორი“), ნ. მოროზოვი („ლოკომოტივი“), ა. ღოღობერიძე (თბილისის „დინამო“), რადიოკომენტატორი ნ. ოზეროვი და ჟურნალისტი და მთარგმნელი ვ. პარხიტკო.

ოზეროვის გარდა ყველას ერთი ამოცანა გვაქვს: სანტ-იაგოში, ვინია-დელ-მარსა და რანკაგუაში გამართული თამაშების ნახვა და ჩვენი ნაკრები გუნდის შესაძლებელ მეტოქეთა თამაშის გაანალიზება. ასე რომ, თუ აქამდე, უცხოეთში ყოფნისას, საკუთარი ინიციატივით ვწერდი დღიურს, ამჯერად ჩემი პირდაპირი მოვალეობა იყო გულდასმით ჩამეწერა ყოველივე, თვალყური მედევნებინა, ანალიზი მეწარმოებინა... უნდა გითხრათ, რომ ეს მოვალეობა ძალიან სასიამოვნო იყო, მით უმეტეს, რომ უნდა გვენახა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების თამაში.

დღიურის წერა, როცა სხვა საზრუნავი არა გაქვს, ძნელი საქმე როდია. მაგრამ აწარმოო მსოფლიო ჩემპიონატის დღიური, საკმაოდ რთული ამბავია და აი, რატომ. ამ უდიდეს სპორტულ მოვლენაზე იმდენი რამაა დაწერილი, თანაც ისე დაწვრილებით, რომ ჩილის ამბების უბრალო აღწერა უკვე საქვეყნოდ ცნობილისა და ნათქვამის გამეორებას ნიშნავდა. ამიტომ სულაც არ დამისახავს მიზნად ფოტოგრაფიული სიზუსტით ამეწერა ჩემპიონატის მსვლელობა, ან ოქროს ქალ-ღმერთის თასისთვის გამართული ბრძოლების პერიპეტიათა სტენოგრამა გამეკეთებინა.

ჩემთვის მთავარი და ყველაზე საინტერესო იყო დამენახა მომავალ ორთაბრძოლებში ფეხბურთის სკოლების და სტილის თავისებურებანი, ვცდილიყავი გამეგო და გამეაზრებინა მათი ყველაზე დამახასიათებელი, განსაკუთრებული თვისებები, ერთი სიტყვით, ჩემებურად შემეფასებინა ნანახი.

მოგვიანებით, უკვე შინ როცა დავბრუნდი, ჩემს ჩანაწერებს მიემატა საზღვარგარეთული ჟურნალ-გაზეთებიდან გაკეთებული ამონაჭრები ანგარიშებისა და რეცენზიებისა...

მაგრამ სანამ უშუალოდ ჩილის საფეხბურთო ბატალიებს შევეხები, თავს ნებას მივცემ და რამდენადმე გადავუხვევ თემას. ჯერ სულ რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ მგზავრობაზე. მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე გადავლახე ოკეანე დაახლოებით ასეთივე მარშრუტით.

მოსკოვი—პრაღა—ციურიხი—ლისაბონი, და ტრანსკონტინენტალური ლაინერი კურსს იღებს სამხრეთი ამერიკისაკენ. 13-საათიანი გადაფრენა მხოლოდ ერთი საინტერესო შემთხვევით დამახსომდა: თვითმფრინავში იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალისტები, რომლებიც ჩვენსავით მსოფლიო ჩემპიონატზე მოემგზავრებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ტომით შოტლანდიელმა, მითხრა, რომ რედაქციას მისი გასაგზავნი თანხა არ აღმოაჩნდა და ამიტომ იგი... გამოემშვიდობა საკუთარ ავტომობილს.

მეორე, — იტალიელი, დიდი მოლაპარაკე იყო და მისგან ინტერვიუს აღება გადავწყვიტე. დიახ, სწორედ ასე! ეს, ყმაწვილი ფეხბურთში საკმაოდ განსწავლული აღმოჩნდა და მასთან საუბარი სასიამოვნო იყო. იტალიელთა შანსებს მარიო (ასე ერქვა ჩემს ახალ ნაცნობს) ეჭვის თვალით უყურებდა და თავისი ქვეყნის ნაკრებს „ხასიათის გუნდად" თვლიდა (ეს გამოთქმა ერთობ ნაცნობი იყო ჩემთვის).

— ელენიო ერერა, — თქვა მარიომ, — იტალიაში არ უყვართ მას ტრაბახად და მეტიჩრად თვლიან.

— ვინ იქნება ჩემპიონი? რასაკვირველია, ბრაზილია. — ეს ისე დაჯერებულად თქვა, თითქოს საქმე ეხებოდა არა ფეხბურთის

ურთულეს ბრძოლებს, არამედ უმარტივეს არითმეტიკულ ამოცანას.

ოკეანის თავზე ჩვენმა დელეგაციამ პირველი გამარჯვება მოიპოვა. ტრადიციის თანახმად, ავიაკომპანია წინადადებას აძლევს მგზავრებს მონაწილეობა მიიღონ საერთო თამაშში: სტიუარდესა ჩამოატარებს სალონში დიდ ფორთოხალს, რომელშიც ასანთის ღეროებია ჩასობილი. ვინც ზუსტად გამოიცნობს ამ ღეროთა რაოდენობას, პრიზიც—შოკოლადის კამფეტებით სავსე კოლოფი—მას ეკუთვნის. 70 პასუხიდან სწორი მხოლოდ ერთი გამოდგა: ჩვენმა მთარგმნელმა ვალოდია პარხიტკომ ზუსტად დაასახელა რიცხვი—78. შოკოლადს ყველანი გემრიელად შევექეცით და „დამარცხებულ“ მეზობლებსაც გავუმასპინძლდით.

სამხრეთამერიკულ კონტინენტზე პირველი ქალაქი, სადაც შევჩერდით, იყო ბრაზილიის ქალაქი რესიფი.. პირველი ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც შეგვხვდა, იყო 15 წლის ფეხშიშველი ზანგი ბიჭუნა რამოს სივილინო.. პირველი შეკითხვა, რომლითაც მას მივმართეთ, იყო:

— თამაშობ თუ არა ფეხბურთს?

ბიჭუნამ ფართოდ გაიღიმა, მისი თვალები კი თითქოს ამბობდნენ: ასეთ შეკითხვას მხოლოდ მიამიტი კაცი თუ მოგცემსო...

— მინდა პელესავით ვითამაშო.

ასეთი კატეგორიული განცხადების შემდეგ აღარაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ, როგორც ერთ-ერთმა ჩვენგანმა იხუმრა, „ყოველი შემთხვევისათვის“ გადაგვეღო სურათი მომავალ სახელგანთქმულ პირთან.

რესიფის შემდეგ თვითმფრინავის ფრთებქვეშ გადაგვეშალა კიდევ სამი ქალაქის — რიო-დე-ჟანეიროს, მონტევიდეოს და ბუენოს-აირესის პანორამები და, ბოლოს, მგზავრობის საბოლოო პუნქტს — სანტ-იაგოსაც მივაღწიეთ. გადაწყვეტილია აქ, ჩემპიონატის დედაქალაქში დავბინავდეთ... აქ იქნება ჩვენი დელეგაციის შტაბი. აქედან გავემგზავრებით მატჩების სანახავად, აქ მოვიყრით ხოლმე თავს...

თვითეული ჩვენგანი კონტროლის ქვეშ იყვანდა თითო გუნდს და მერე თავის მოსაზრებებსა და შეხედულებებს საფუძვლიანი

ანალიზით წერილობით წარუდგენდა ჯგუფის უფროსს მ. ტოვა-როვსკის. სხვათა შორის, ამ მეთოდში ახალი არაფერია. ასეთი „ბზვერავები“ ჰყავს ყველა ქვეყნის ფედერაციას, რომლის გუნდიც მონაწილეობს ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებაში.

ამრიგად ვნახე ექვსივე მატჩი რანკაგუას ჯგუფში, სადაც თამაშობდნენ ბულგარეთი, არგენტინა, ინგლისი და უნგრეთი, ვნახე ჩილისა და გფრ-ის, ესპანეთისა და ჩეხოსლოვაკიის შეხვედრები სანტ-იაგოსა და ვინია-დელ-მარში, აგრეთვე მეოთხედფინალური თამაში ბრაზილიასა და ინგლისს შორის, ნახევარფინალური შეხვედრა ბრაზილიისა და ჩილს შორის, ორთაბრძოლა მესამე ადგილისათვის ჩილსა და იუგოსლავიას შორის და თანამედროვე ფეხბურთის უზენაესი მატჩი — პირველობის ფინალი: ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია, ე. ი. სულ 12 თამაში.

რანკაგუა და ვინია-დელ-მარი პატარა, კოპწია ქალაქებია, დაახლოებით სოხუმის სიდიდისა (წარმოიდგინეთ, სოხუმელებმა თავის სტადიონზე რომ იხილონ მსოფლიოს პირველობის მატჩები!). ჰავითა და ბუნების სილამაზით ჩვენ გაცილებით უკეთეს პირობებში ვიმყოფებოდით, ვიდრე ისინი, ვინც გადახრუკულ არიკაში მოხვდნენ, ატაკამის უდაბნოს პირას.

პირველი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც მე ვნახე, ბულგარეთ—არგენტინის შეხვედრა იყო. ბულგარეთი მე მერგო, არგენტინა—ვ. სოლოვიოვს. ბულგარელთა გუნდის მეთვალყურის როლს კეთილსინდისიერად ვასრულებდი, მაგრამ გამოგიტყდებით, თვალი მაინც არგენტინელებისაკენ მიმირბოდა (არგენტინას დიდი წონა აქვს საერთაშორისო ფეხბურთში და, რაც მთავარია, იცის როგორ ეთამაშოს ბრაზილიის უძლიერეს გუნდს. ბევრი მიმომხილველი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ თუ არგენტინა ფინალში შეხვდება ბრაზილიას, ამ უკანასკნელის საქმე ცუდად წავაო).

და აი, ამ მატჩს ესწრებოდა სულ რაღაც 6 ათასი მაყურებელი. სტადიონის 25-ათასიანი ტრიბუნები ცარიელი იყო და მხოლოდ მისი ცენტრალური ნაწილი ჰქონდათ დაკავებული მაყურებლებს. მართალია, აბონემენტის ფასი ძალზე მაღალი იყო — 12-დან 100 დოლარამდე, მაგრამ მაყურებელთა სიმცირე ძალიან გვეუცხოვა და გვეწყინა კიდეც.

თამაში დაიწყო უტემპოდ, უინტერესოდ და მცირე გამონა-

კლისის გარდა, ასევე დამთავრდა. არგენტინელებს, რომლებიც ცნობილი ბრაზილიური სისტემით თამაშობდნენ, გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მათ რიგებში არ იყვნენ „ვარსკვლავები“, რომლებიც საინტერესო სანახაობით თამაშს ქმნიან. ერთადერთი, ეს იყო სანფილიპო, რომელსაც დანარჩენები გულმოდგინედ აწვდიდნენ ბურთს, მაგრამ სანფილიპო ჩაკეტეს ბულგარელმა მცველებმა და მასაც მაინცდამაინც არ გამოუდვია თავი. არგენტინელთა მარჯვენა გარემარბმა ფ. რაკუნდომ მატჩის დასაწყისში გაიტანა ერთი ბურთი და მთელი გუნდი ამ გოლის შენარჩუნებისათვის თავგამოდებით ჩხუბობდა დარჩენილი 86 წუთის განმავლობაში. ჩხუბობდა ამ სიტყვის სრული და პირდაპირი მნიშვნელობით (განსაკუთრებით მარზოლინი, საისი, პაგანი). მას შემდეგ, რაც ბულგარელებმა ამ ხელაღებული მუშტი-კრივის შედეგად დაკარგეს ორი წამყვანი მოთამაშე (დიეგი და ილიეგი), მათაც გადაუხვიეს „ქრისტიანულ წესს“, — მეტოქეს მეორე ლოყა აღარ მიუშვირეს და უხეშობას უხეშობითვე უპასუხეს.

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უოლტერ უინტერბოტომმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „უინტერესო თამაში იყო. ჯარიმები, ჯარიმები და ისევ ჯარიმები. ორივე გუნდი ისეთ ფორმაშია, რომ მომავალ თამაშებში არცერთს გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს“. შემდგომმა ამბებმა სავსებით დაადასტურა უინტერბოტომის აზრი.

ძალიან საწყენი იყო მსოფლიო პირველობაზე ნამდვილი ფეხბურთის ნაცვლად ხულიგნობის ცქერა. თურმე ასეთი ამბავი მარტო ამ სტადიონზე კი არ მომხდარა, არამედ სხვაგანაც. ჩილის გაზეთებში ატყდა განგაში, ფიფა-მ მოიწვია საგანგებო სხდომა, მსაჯებს მიეცათ სპეციალური ინსტრუქცია და უხეშობამ შემდგომში თანდათან იკლო, ხოლო რაც შეეხება ფინალს, იგი აბსოლუტური კორექტულობის ნიმუშს წარმოადგენდა.

პირველი ნამდვილად საინტერესო მატჩი, რომელიც ჩილში ვნახე, იყო უნგრეთისა და ინგლისის გუნდების შეხვედრა. როგორც. გონებამახვილურად შენიშნა ფრანგულმა ყოველკვირეულმა „ფრანს ფუტბოლმა“, „...შეხვედრა ისე კორექტულად მიმდინარეობდა, რომ გეგონებოდათ ფეხბურთელები სმოკინგებში გამოწყო-

ბილი თამაშობენო". ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო და რომელიმე გუნდის უპირატესობაზე კარგა ხანს ვერაფერს იტყოდით. მაგრამ თუ ყურადღებით დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ უნგრელები ოდნავ, ძალიან უმნიშვნელოდ უფრო ზუსტები იყვნენ კომბინაციებში, რომ მათი უძლიერესი ფორვარდები — ტიხი და ალბერტი — უფრო პროდუქტიულად მოქმედებდნენ იმ ზონაში, საიდანაც, ჩვეულებრივ, უფრო ხშირად გადის ხოლმე ბურთი.

აი, როგორ ახასიათებდა უნგრეთის გუნდს ინგლისური გაზეთი „დეილი უორკერი": „ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ ახლანდელი უნგრული გუნდი 50-იანი წლების სახელგანთქმული ნაკრების ღირსეული მემკვიდრეა. ცენტრალურმა თავდამსხმელმა ალბერტმა, ჩემპიონატში ჯერჯერობით ერთადერთმა, შეძლო ერთ თამაშში სამი ბურთის გატანა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ინგლისელთა წაგება ანგარიშით 1:2, არც ისეთი დიდი ტრაგედიაა, როგორც ეს უშუალოდ მატჩის შემდეგ წარმოგვიდგა".

ინგლისელთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვა გრიფსმა (№ 8), ხოლო ჩარლტონმა (№ 11) ბრწყინვალედ ითამაშა. ესაა საოცრად სწრაფი გარემარბი, რომელსაც საუცხოო დრიბლინგი აქვს. საჭიროების შემთხვევაში დაუღალავად ეხმარება თავის ნახევარდაცვას, მარჯვნივაც ინაცვლებს, არავითარ შემთხვევაში არ დააყოვნებს ბურთს, თუ რომელიმე პარტნიორს თავისუფალ პოზიციაში მოკრა თვალი. ვერ გაამართლა იმედები ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჰიტჩენსმა. იგი გამოთიშული იყო ანსამბლს და ვხედავდი, როგორ უკმაყოფილოდ აქნევდა თავს გუნდის მწვრთნელი უ. უინტერბოტომი. მორიგ მატჩში მწვრთნელმა ჰიტჩენსის ნაცვლად პიკოკი გამოიყვანა, მაგრამ ეს ვარიანტი უარესი გამოდგა, რის შემდეგ ინგლისელებმა ხელი ჩაიქნიეს და ისევ ჰიტჩენსი არჩიეს.

ცენტრფორვარდის ეს გადაუჭრელი პრობლემა, და მეკარის სუსტი თამაში რომ არა, ინგლისელები უკეთეს შედეგებს მოიპოვებდნენ. მათს თამაშში სილამაზეს ნუ ეძებთ. სამაგიეროდ იგი მეტად მძლავრი და შთამბეჭდავია. სულ ორი-სამი გადაცემაც კი საკმარისია ინგლისელთათვის, რომ ღრმა ზურგიდან უშუალოდ მეტოქის კარის წინ გაიყვანონ თავისუფალი ფორვარდი.

და რამდენად განსხვავდება ინგლისური ფეხბურთისაგან არ-

ენტინელთა დაქუცმაცებული, მოკლეგადაცემებიანი თამაში! ცენტრიდან საჯარიმო მოედნამდე არგენტინელებს სულ ცოტა 5—6 გადაცემა მაინც „ეხარჯებათ“, რასაც უამრავ დროს ანდომებენ. თანამედროვე ფეხბურთში კი დრო ყველაფერია.

ვნახე არგენტინელი ფეხბურთელები მას შემდეგ, რაც მათ მეოთხედფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგეს. მოედნიდან გასვლისას ბევრი მათგანი ტიროდა. ძნელია ამაზე უფრო სევდიანი, მოწყენილი ხალხის წარმოდგენა. მე არც მიკითხავს უგუნებობის მიზეზი, ან რა საჭირო იყო. არგენტინელებმა მშვენივრად იცოდნენ, რანაირი მიღებაც ელოდათ სამშობლოში.

განსაკუთრებული ინტერესით ველოდით პელეს ნახვას. ჩვენში ბევრი რამაა ცნობილი ამ ბრაზილიელი ზანგის შესახებ. სამხრეთ ამერიკაში პელე სწორუპოვარი პიროვნებაა, მისი სახელის გაგონებაზე ტრიბუნები ისტერიულად გაჰკივიან. ეს გულღია, ხალისიანი, მომღიმარი ფეხბურთელი უკვე ლეგენდადაა ქცეული. ლეგენდადაა ქცეული აგრეთვე მისი ქველმოქმედება, სიყვარული ბავშვებისადმი, ცხოველებისადმი და, რასაკვირველია, ბურთისადმი.

პელეს ვუყურეთ ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩში. მაგრამ ფეხბურთისთვის განკუთვნილი 90 წუთის ნაცვლად პელეს თამაში ვნახეთ სულ რაღაც 20 წუთი. ამ ხნის განმავლობაში მას ბევრი არაფერი გაუკეთებია, ვინაიდან ჩვეულებად ჰქონია—კარგად გაერკვეს სიტუაციაში, მოსინჯოს მოწინააღმდეგე. თავისებური დიაგნოზი დაუსვას თვითეულ მცველს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს თავის საქმეს. სანამ პელე ამ საძიებო სამუშაოებს აწარმოებდა, მას მოულოდნელად, მოწინააღმდეგესთან ბრძოლების გარეშე, მოუვიდა სერიოზული ტრავმა: ძნელი მდგომარეობიდან კარში დარტყმის დროს ძლიერად გაეჭიმა ფეხის კუნთი და დაეცა. იქვე იმყოფებოდა ჩეხების ნახევარმცველი მასოპუსტი, რომელმაც ნახა ყველაფერი ეს და მოიქცა როგორც ჭეშმარიტი რაინდი, — არ დაესხა თავს მწოლიარე პელეს. ბრაზილიელი გაჭირვებით ადგა და მადლობის ნიშნად ნელი დარტყმით გაიყვანა ბუოთი ხაზს გარეთ.

ორივე ფეხბურთელის ამ კეთილშობილურმა ჟესტმა უდიდესი მოწონება გამოიწვია სტადიონზე. მაყურებლები შემდეგშიც არ

დამცხრალან, როცა ექიმებმა პელე ძლივს შემოიყვანეს მინდორზე, სადაც მან ადგილი დაიკავა მარცხენა ფრთაზე და არავითარ მონაწილეობას არ იღებდა თამაშში. ჩეხოსლოვაკიის გუნდის მცველები ყოველმხრივ ამჟღავნებდნენ თავიანთ პატივისცემას ჩვენი დროის უდიდესი ფეხბურთელისადმი და ერთხელაც არ შეჯახებიან მას.

აღნიშნულმა მატჩმა, უკეთ რომ ვთქვათ, ბრაზილიელთა თამაშმა ნამდვილად გააწბილა როგორც მაყურებლები, ისე პრესაც. ჩილის გაზეთი „ელ მერკურიო" წერდა: „ორივე მოწინააღმდეგე აუღელვებლად თამაშობდა და სანახაობრივი თვალსაზრისით თამაში სილამაზით არ გამოირჩეოდა. მაგრამ ტაქტიკური ჩანაფიქრების მხრივ ფანტასტიკურად სრულყოფილი იყო. ბრაზილიელები დიდ პატივისცემით ლაპარაკობენ ჩეხოსლოვაკიის გუნდზე". ფრანგული „ეკიპი" უფრო კონკრეტულად ლაპარაკობდა ჩეხოსლოვაკელთა ძალაზე: „ისეთმა გუნდმა, როგორიცაა ჩეხოსლოვაკიისა, სადაც ყველაფერი კოლექტიურ თამაშს ექვემდებარება, გუნდმა, რომლის მეკარე იმისთვის კი არ დგას კარში, რომ თავი გამოიჩინოს, არამედ ცდილობს საშგებლობა მოუტანოს კოლექტივს, ისეთმა გუნდმა თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს მსოფლიო ფეხბურთში".

მართლაც, პელეს გუნდი არაფრით არა ჰგავდა იმ მრისხანე მსოფლიო ჩემპიონს, რომელმაც სრულიად ახალი, სრულყოფილი ფეხბურთის დემონსტრაცია მოახდინა შვეიცარიაში და სპეციალისტებს აჩვენა საოცნებო თამაში. წერდნენ, რომ ბრაზილიელები ზედმეტად არიან დარწმუნებული თავიანთ ძალაში, რომ შემადგენლობა დაბერდა 4 წლით, რომ მეტოქეები მათ უკვე კარგად იცნობენ და ამიტომაც მათთვის წინააღმდეგობის გაწევა გაცილებით უფრო იოლია და ა. შ.

მაგრამ, ალბათ, ბრაზილიელებს თავიანთი კონკრეტული გეგმა ჰქონდათ, რომელსაც ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ. გუნდმა თავიდანვე არ გამოამჟღავნა მთელი თავისი შესაძლებლობანი, მიაღწია მხოლოდ იმას, რაც საჭირო იყო, ე. ი. პირველი ადგილი დაიკავა ჯგუფში და მხოლოდ მეოთხედფინალში ჩართო ზედმეტი „სიჩქარე".

ეს იყო მატჩში ინგლისელებთან. ამ თამაშის შემდეგ მაყურებლებიც ძალიან ნასიამოვნები დაიშალნენ სტადიონიდან და პრესა-

მიხეილ იაკუშინი, დიდი, ბორის პაიკაძე (სტოკჰოლმი, 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატი).

არიკა. მატჩი სსრკ — ჟოლუმბია. მიხეილ მესხი თავის სტიქიაშია.

არიკა. გივი ჩოხელი თავისუფალ დროს.

ნიკოლოზ ლატიშევი — VI მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მსაჯი.

გარინჩა.

ფინალური მატჩის მომენტი. ჩეხოსლოვაკთა გუნდის მეკარე შროიფი და ბრაზილიელთა ცენტრ-ფორვარდი ვავა ბურთისათვის ბრძოლაში.

Eis os [illegible] brasileiro [illegible] disputa
VII Campeonato [illegible] de Futebol, vestindo os novos e
agasalhos [illegible] fornecidos com o patrocínio Fio Helanca
São agasalhos esportivos de grande poder de aquecimento e leveza
e e estão dando [illegible] de movimento.

Estas foram as vantagens que motivaram a Confederação Brasileira de Desportos (C.B.D.) a aceitar, prazeirosamente, êste valioso presente oferecido pelos produtores de Fio Helanca no Brasil.

FIO Helanca

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები.

ბრაზილიელთა განთქმული ხუთეული — გარინჩა, დიდი, პელე, ვავა, ზაგალო (მარცხენა ფოტო). პელე მიემგზავრება სტადიონზე (ზედა ფოტო). ჩილეს ეთერი ჟურნალის ყდაზე აღბეჭდილია ბრაზილიური ფეხბურთის ორი მოგალიები (ქვედა ფოტო).

I მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები.



ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელი შეკულარაცი.

VI მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიელი სივორი უტევს შვეიცარიელთა კარს.

მაც შეცვალა ტონი: მსოფლიო ჩემპიონმა გამოაჩინა თავისი „კლანჭები“.

„ბრაზილიელები ჯობდნენ ინგლისელებს ბურთის ფლობასა და გადაცემათა სიზუსტეში, — წერდა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი. — მათი თავდასხმა მოქმედებდა სწრაფად და ეფექტურად, მაშინ, როცა პოზიციური თამაშით გატაცებული ინგლისელი მცველები ურთიერთდაზღვევას ვერ ასწრებდნენ. მოედანზე ბრაზილიელთა „ბატონობა“ საკმაოდ დამაჯერებლად მეტყველებს ამ გუნდის კლასზე. ინგლისელები ლომებივით იბრძოდნენ მანამ, სანამ დაიღლებოდნენ“.

ინგლისელებმა მეტად მაღალ ტემპში დაიწყეს თამაში და პირველივე წუთებზე იშიშვლეს თავიანთი „მასვილი“ — ბობ ჩარლტონი. ბრაზილიელთა მარჯვენა მცველი ჯ. სანტოსი ჯერ კიდევ კონტრილეთისთვის ემზადებოდა, როცა ჩარლტონმა თვალშეუვლები მოძრაობით აუარა გვერდი ჯერ მას, შემდეგ მაუროს და ზედ კარიბ წინ ჩააწოდა ბურთი. ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვერ გამოიყენა მარცხენა გარემარბის ეს ძვირფასი „ნობათი“ და დაკარგა ნაღდი გოლი. სანამ ის, თმებში ხელჩავლებული, კვნესოდა მეკარე ჟილმარის წინ, ბრაზილიელებმა წინ გაისროლეს ბურთი და ჩართეს თამაშში თავიანთი მთავარი „კოზირი“ — გარინჩა. თუ შეადარებთ ორივე მოწინააღმდეგის ძირითად შემტევ ძალას — ჩარლტონსა და გარინჩას, ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ძლიერია. გარინჩა, როგორც კატა თაგვს, ისე ეთამაშებოდა თავის დარაჯ უილსონს, და განა მარტო უილსონს! იგი გასაოცარი სისწრაფით დაჰქროდა მინდორზე და ამ კოლოსალურ სისწრაფეში წამითაც არ კარგავდა ბურთს. ინგლისელებმა ყველაფერი სცადეს, რათა როგორმე „დაეშოშმინებინათ“ მეტოქეთა „განრისხებული“ გარემარბი, მაგრამ ეს აშკარად აღემატებოდა მათს ძალ-ღონეს. პირველი ტაიმის შემდეგ უ. უინტერბოტომმა სულ ორიოდე სიტყვა უთხრა კორესპონდენტებს:

— წარმოდგენა არა მაქვს რა ვუთხრა ჩემს მცველებს. როგორ უნდა დავიჭიროთ გარინჩა, არ ვიცი!

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ბრაზილიელთა გამარჯვება (3:1) მხოლოდ გარინჩას პირად საქმეში „ჩაგვეკერებინა“. ინგლისელებმა

ამ დღეს ძალზე ძლიერად ითამაშეს, მაგრამ ყველასთვის ცხადი იყო, რომ ბრაზილიის ნაკრები მათზე მაღლა იდგა.

მატჩის შემდეგ უინტერბოტომმა ჟურნალისტებს განუცხადა:

— წავაგეთ იმიტომ, რომ ჩვენი დაცვა შეცდომებს უშვებდა, ხოლო თავდამსხმელები თავდაჯერებულობამ დაღუპა. ბრაზილიის ნაკრები შესანიშნავი გუნდია, ხოლო გარინჩა მსოფლიო კლასის მოთამაშეა.

ზევით აღვნიშნე, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს ძალზე ცოტა მაყურებელი ესწრებოდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ფეხბურთი ჩილში პოპულარული არაა. პირიქით. ჩვენს გუნდთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ სანტ-იაგოს ქუჩები ნამდვილ საგიჟეთს გავდა. ფეხბურთის მოყვარულთა დემონსტრაციებს ხოლო არ უჩანდა, არც დღისით, არც ღამით. მთელი დედაქალაქი ან ქუჩებში იყო გასული, ან აივნებზე გამოფენილიყო. ახალთახალ მანქანებზე ვეება ასოებით იყო დათხაპნილი: „ვივა ჩილი!“ ხალხი მღეროდა, ბორგავდა, შფოთავდა. მანქანის დაყვირება სანტ-იაგოში სასტიკადაა აკრძალული, მაგრამ ამ დღეს აქ ყოველგვარი აკრძალვა მოისპო და ყველაზე უფრო გამაყრუებლად სწორედ პოლიციელთა მანქანები გაჰკიოდნენ.

რანკაგუას სტადიონზე მყოფ თითქმის ყველა მაყურებელს, ბულზე ეკიდა პორტატული რადიომიმღები, ისინი ისმენდნენ თავიანთი გუნდის მატჩის რეპორტაჟს და როგორც კი ერთხმად აყვირდებოდნენ, უკვე ვიცოდით, რომ ჩილელებმა წარმატებას მიაღწიეს.

ბრაზილიელებთან მატჩის წინ სანტ-იაგოს ერთ-ერთ გაზეთში მსხვილი შრიფტით ეწერა: „ჩილიმ მიირთვა შვეიცარული ყველი, დააყოლა იტალიური სპაგეტი და შესვა რუსული არაყი. ახლა დესერტად ბრაზილიურ ყავას არაფერი ჯობია“.

ასეთ პირობებში თამაში ძალზე ძნელი იყო თვით ბრაზილიელთათვისაც კი, რომლებიც „ესტადიო ნასიონალის“ პირთამდე გატენილი, ფანატიკურად განწყობილი აუდიტორიის წინაშე უნდა გამოსულიყვნენ. ტრიბუნებს შორის ნამდვილი შეჯიბრება გაჩაღდა გუნდის აქტიურ მხარდაჭერაში. თვითეულ ჯგუფს ცალკე დირიჟორი ჰყავდა, რომელსაც ისტერიამდე მიჰყავდა თავისი „ორ-

კესტრი". ბრაზილიიდან ჩამოსული ორიოდე ათასი გულშემატკივარი საცოდავად იყო მიყუჟული ამ გნიასში.

ჩილის ფეხბურთელებს იმ დროისთვის საკმაოდ ჰქონდათ მიღებული წამახალისებელი ჯილდოები. ისინი გამოაცხადეს სანტიაგოს საპატიო მოქალაქეებად, დაურიგეს ბინები, დიდი ფულადი პრემიები, აღუთქვეს უფასო მოგზაურობა სამხრეთი ამერიკის ქვეყნებში, მათს ბავშვებს მისცეს უფასო განათლების უფლება და სხვ.

საინტერესოა ასეთი დეტალი: სსრ კავშირისა და ჩილის გუნდების მატჩის დღეს ჩილის საფეხბურთო ფედერაციის აწ განსვენებული პრეზიდენტის კ. დიტბორნის მეუღლეს შეეძინა მესამე ვაჟი. მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობამ მაწინვე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ეს ვაჟი მთელი თავისი სიცოცხლე იქნება კლუბის საპატიო წევრი.

სხვათა შორის, ბრაზილიისა და ჩილის გუნდების მატჩს ესწრებოდნენ ჩვენი ფეხბურთელებიც, რომლებიც სანტ-იაგოში დარჩნენ თვითმფრინავზე ადგილების უქონლობის გამო.

ბრაზილიელებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ მათი მოწინააღმდეგე დასაწყისში სულ მცირეოდენ უპირატესობასაც კი მიაღწევდა, შემდგომში მასთან ბრძოლა უაღრესად გაძნელდებოდა. ამიტომ მათ პირველ წუთებიდანვე აიღეს ხელთ თამაშის სადავეები. გუნდის მწვრთნელს ა. მორეირას სწორედ ასეთი მითითება ჰქონდა მიცემული თავისი მოთამაშეებისათვის:

— დღევანდელ მატჩში თამაში იწყება პირველ წუთზე და თავდება მხოლოდ ოთხმოცდამეათეზე. გახსოვდეთ ეს და ითამაშეთ მთელი თქვენი შესაძლებლობით და... სინდისით.

ბრაზილიელებმა მართლაც კეთილსინდისიერად ითამაშეს. მათი დაცვა იდეალური შეთანხმებით მოქმედებდა, ხოლო თავდასხმას ტონი გარინჩამ მისცა. გარინჩა მართლაც ბრწყინვალე იყო და თუ რომელიმე მომენტში ჩილელთა დაცვა უპირატესობას აღწევდა მოწინააღმდეგე ფორვარდებთან ბრძოლაში, გარინჩა გამძვინვარებული იწყებდა შეტევას თავის ფლანგზე.

ბრაზილიელები კარგი სტრატეგები აღმოჩნდნენ. მათ სწორად გამოთვალეს, რომ გარინჩა, ვავა, ამარილდო და ზაგალო ყოველ-

ოვის შეძლებდნენ მოწინააღმდეგის დაცვის დაჩაგვრას და შედეგის მიღწევასაც. როცა მათთან საბრძოლველად ჩილელებს ინსაიდის უკან დახევა უხდებოდათ, დიდი მაშინვე გადიოდა წინ და უშუალოდ საიერიშო ოპერაციებში მონაწილეობდა.

პირველი ორი ბურთი გაიტანა გარინჩამ, რამაც ფაქტიურად გადაწყვიტა მატჩის ბედი. ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2 და ფინალში გავიდნენ.

მართალია, ჩილელებმა წააგეს მატჩი, მაგრამ მათ გაამართლეს ყველა ის იმედი (და საჩუქარიც), რომელთაც მათზე ამყარებდნენ გულშემატკივრები.

„ბრაზილიელები ფეხბურთის სილამაზის ყველა საიდუმლოს ფლობენ და ურთულეს ილეთებსაც კი ხუმრობით ასრულებენ. მათი გამარჯვება სავსებით დამაჯერებელია, თუმცა ჩილელები ღირსეული მეტოქეები იყვნენ“, — ასე წერდა დპა-ს სააგენტო. ბრაზილიელთა მწვრთნელმა ა. მორეირამ კი განაცხადა: „ჩვენი გუნდი უნაკლოდ თამაშობდა. ჩილელები, როგორც მოსალოდნელი იყო, ძნელი მეტოქეები გამოდგნენ, თუმცა დაცვაში სუსტი ადგილები ჰქონდათ“.

მასპინძლებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი მესამე ადგილისთვის და დაამარცხეს კიდეც იუგოსლავიის ძლიერი გუნდი (1:0).

გაზეთ „დოიჩეს შპორტ-ეხრს“ (გდრ) მიმომხილველის აზრით, „წინა მატჩებთან შედარებით ოლიმპიური ჩემპიონი ამჯერად უარესად თამაშობდა. ინიციატივისა და მრავალფეროვანი თამაშის მიუხედავად, თავდამსხმელებმა ვერაფრით ვერ გადალახეს ტემპერამენტიანი ჩილელი მცველებისა და მეკარის მედგარი წინააღმდეგობა. ამასთან ერთად, იუგოსლაველთა ნახევარმცველები ცდილობდნენ უკან ეთამაშათ, რაც მოედნის შუაგულში ერთგვარ „ვაკუუმს“ ქმნიდა.

თავის მხრივ ჩილელებმა კარგი სტრატეგიის — ნახევარმცველ როხასის ხელმძღვანელობით მეტოქეს გრიგალისებური შტურმი დაატეხეს, რომელსაც აუღელვებლად იგერიებდნენ იუგოსლაველთა მცველები და მეკარე. როდესაც მეორე ტაიმის ბოლოში ჩილელთა იერიშები თანდათან ჩაქრა და უსისტემო გადანაცვლებებში გადაიზარდა, იუგოსლავები შეტევაზე გადავიდნენ და კიდევაც ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. მთელი გუნდი წინ, შეტევაზე წავიდა, და სწორედ ეს იყო ძალზე სახიფათო მანევრი. ასეც მოხდა:

მოუსვენარი როხასის თავგანწირულმა პირადმა გარღვევამ ჩილეელებს გამარჯვება და ბრინჯაოს მედლები მოუტანა. მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხე ადგილი იუგოსლავიის ახალგაზრდა გუნდისათვის უდავო წარმატებად უნდა ჩაითვალოს".

ამ დროისათვის უკვე ვნახე მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩები, ასე ვთქვათ, გათამაშების ნაღები. რა თქმა უნდა, ეს იყო ნამდვილი დიდი ფეხბურთი, მაგრამ გამოგიტყდებით, მისი ზოგიერთი დეტალი აშკარად ვერ უპასუხებდა თანამედროვე მოთხოვნებს. თავი რომ დავანებოთ მაყურებელთა სიმცირეს, ფეხბურთელთა უხეშობას, ზოგიერთი გუნდის აშკარა სისუსტეს, ე. წ. ფავორიტებს შორისაც არ იყო ყველაფერი რიგზე. ავიღოთ, — მაგალითად, ესპანელთა გუნდი. აქ თავმოყრილია უმაღლესი კლასის „ვარსკვლავების" მთელი პლეადა. მხოლოდ მათი ჩამოთვლაც კი საკმარისია ნათქვამის საილუსტრაციოდ: დი სტეფანო, დელსოლი, სუარესი, ჰენტო, სანტამარია... და აი, ამ გუნდმა ჩილში სირცხვილი ჭამა. ესპანელებმა იმდენად ცუდად ითამაშეს, რომ თავიანთ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს და ჩამორჩნენ მექსიკის საკმაოდ სუსტ გუნდსაც კი. მიზეზი? ერთ-ერთი მიზეზია ესპანელთა მოხეტიალე მწვრთნელის ე. ერერას ყოვლად გაუმართლებელი, უსაფუძვლო ექსპერიმენტები.

ერთ-ერთმა ესპანელმა კორესპონდენტმა პირდაპირ თქვა:

— თუ დაგვღუპავს, ეს დაგვღუპავსო, — და თითი ერერასკენ გაიშვირა.

მსოფლიო პირველობის ფინალი ასეთ მატჩს ყოველთვის ვერ ნახავს კაცი, ამიტომ ისე უნდა უყურო, რომ არ გამოგრჩეს არც ერთი უწვრილმანესი და უმნიშვნელო დეტალიც კი...

ერთ-ერთი ფინალისტი — ბრაზილიის ნაკრები — ეათამაშების გადამწყვეტ ფაზაში გავიდა როგორც კანონიერი პრეტენდენტი. რაც შეეხება ჩეხებს, ფინალში მათი მონაწილეობა ჩემპიონატის მთავარ სენსაციას წარმოადგენდა.

ჩეხებმა წააგეს ეს გადამწყვეტი შეხვედრა (1:3), მაგრამ მათ ამ დღეს შესანიშნავი თამაში გვაჩვენეს. მთელი გუნდი საათის მექანიზმივით მოქმედებდა — უკიდურესი სიზუსტით, გამოზომილად. რა თქმა უნდა, ისეთ მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას, როგორიცაა ბრაზილიის ნაკრები, პირველ ყოვლისა უნდა იზრუნო

საკუთარი კარის უხიფათობაზე და ჩეხებიც სწორედ ასე მოიქცნენ. მათი დაცვა და ნახევარდაცვა თამაშობდნენ სამაგალითო ურთიერთშეთანხმებით, დინჯად, თითქმის უშეცდომოდ. წინ დარჩენილი 3 ფორვარდი ყოველნაირად ცდილობდა შეტევის გახანგრძლივებას, რათა უკანდახეულ შუამარბებს მოესწროთ წინა ხაზზე გადმოსვლა. შეიძლება ჩეხების თამაში კიდევ უფრო ეფექტური ყოფილიყო, მეკარე შროიფს შეცდომები რომ არ დაეშვა (თურმე ბრაზილიელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის შეპარვია მაშინაც კი, როცა ისინი ფინალს მე-14 წუთზე აგებდნენ ანგარიშით 0 : 1).

ორიოდე სიტყვით დავახასიათებ მსოფლიო ჩემპიონთა თამაშს, გადმოგცემთ ჩემს უშუალო შთაბეჭდილებებს თვითეულ მათგანზე.

ჟილმარი შეიძლება ჩამორჩება კიდეც მსოფლიოს ექსტრაკლასის მეკარეებს და მას ზოგჯერ საკუთარ კლუბშიც ცვლიან, მაგრამ იგი იდეალურადაა შეთანხმებული ნაკრების მცველებთან და უსიტყვოდ ესმის თვითეული მათგანის ჩანაფიქრი. ჟილმარი ათლეტური აგებულებისაა, მაღალი ბურთის ასაღებად ხშირად გაბედულად გამოდის წინ, აქვს კარგი ნახტომი, თავდამსხმელებს ეთამაშება თამამად და მათთან შეტაკებისას, როგორც წესი, იმარჯვებს ხოლმე.

როცა ლაპარაკია რომელიმე გუნდის დაცვაზე, ჩვეულებრივ წარმოვიდგენთ სამ მოთამაშეს შემდეგი ნომრებით — 2, 3, 4. ბრაზილიელთა გუნდში მცველთა ნომრები ასე წიგნის ფურცლებივით არაა ერთმანეთს მიყოლებული. მსოფლიო ჩემპიონის დაცვაში თამაშობენ ჯ. სანტოსი, მაურო, ზოსიმო, ნ. სანტოსი. თვითეული მათგანის ტექნიკურ შესაძლებლობებზე ლაპარაკიც ზედმეტია, ხოლო მათი ტაქტიკური შეთამაშება იდეალსაა მიღწეული. ყველა ამ მცველმა კარგად იცის თავისი ასაკისა და სისწრაფის ამბავი, ამიტომ მინდვრის სიღრმეში არასოდეს არ მიჰყვება მოწინააღმდეგეს. ცენტრალურ ზონას ისინი ცარიელს არ ტოვებენ და შეტევის დროს მხოლოდ განაპირა მცველები — ჯალმა და ნილტონ სანტოსები გადიან წინ. რაც შეეხება „ტანდემს“ მაურო-ზოსიმოს, იგი ყოველთვის ფხიზლად დარაჯობს ჟილმარის სამფლობელოს. საინტერესოა, რომ 1958 წელს ბრაზილიელებს სხვა „ტანდემი“ ჰყავდათ — ბელინი-ორლანდო. ახლანდელი წყვილი ძველის პირწავარდნილი ასლია.

შუა მინდორში ბრაზილიელთა გუნდის საქმეებს განაგებენ ზიტო და დიდი (გაჭირვების შემთხვევაში აქ ჩამოდის მარცხენა გარემარბი ზაგალო და სქემა ღებულობს შემდეგ სახეს: 1+4+3+3).

ზიტო დაუღალავი მოთამაშეა. მას შეუძლია გაუჩერებლად ითამაშოს ორივე ტაიმის განმავლობაში, იმოძრაოს, ირბინოს, დაეხმაროს პარტნიორებს, ყოველთვის იმყოფებოდეს მოქმედების ცენტრში. ამისათვის თავის კოლექტივში ზიტოს დიდი დაფასება აქვს.

ისევე, როგორც ოთხი წლის წინ შვეციაში, ახლაც ბრაზილიელთა მეტად რთული, თავისებური მექანიზმის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ვალდირ პერეირა, მეტსახელად — დიდი. ეს მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას, განუმეორებელი ფეხბურთელია. როცა ბრაზილიელები თამაშს იწყებენ ცენტრიდან, დიდი მარჯვნივ უდგას შუა თავდამსხმელს — ვავას. მაგრამ ეს მხოლოდ „დეკორაციული გაფორმებაა" ჩემპიონთა განლაგებაში. როგორც კი ბურთი შევა მოძრაობაში, დიდი გადადის ოდნავ უკან და მარცხნივ, სადაც მოქმედებს დაახლოებით ცენტრალური ნახევარმცველის ზონაში. ძნელია წარმოიდგინოთ ამაზე უფრო ჭკვიანი, ტაქტიკური ალღოს მქონე მოთამაშე. დიდი იშვიათად გადის წინ და არც არავის იჭერს. მისი ამოცანაა იყოს ღიად და მიიღოს ბურთი, ამიტომ ყველა მისი პარტნიორი, მეკარე ჟილმარიდან დაწყებული, ეძებს დიდის, ცდილობს როგორმე მას მიაწოდოს ბურთი, ხოლო დანარჩენი კი უკვე დიდის საქმეა: გადაცემის მისამართი გარანტირებული აქვს თითქმის 100-პროცენტიანი სიზუსტით. მაგალითისათვის მოვიყვანთ დიდის შესრულებულ ერთ „ნომერს" ფინალური მატჩიდან.

ნილტონ სანტოსმა საჯარიმო მოედანთან ჩაიგდო ბურთი და მაშინვე დიდის დაუწყო თვალიერება. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა, სწრაფად გავიდა მარცხნივ და მიიღო პარტნიორის გადაცემა. ზუსტად იმავე მომენტში გაიხსნა ზაგალო და თავისუფალ პოზიციაში მოემზადა კომბინაციის გასაგრძელებლად, ხოლო ცენტრში მოძრაობა დაიწყო ვავამ. დიდი ტანით ზაგალოსკენ იყო მიბრუნებული, მას უყურებდა და თითქოს მანძილს ზომავდა, ჩვენ კი გაფაციცებით ვადევნებდით თვალს მთელ ამ ამბავს. დიდიმ კიდევ ერთხელ შეხედა თავის მარცხენა გარემარბს, ძლიერად მოიქნია ფეხი და ამ მომენტში შორს, მის ზურგს უკან ადგილიდან მოწყდა

გარინჩა. ეს იყო საუცხოოდ შესრულებული დიდის „პირადი კუთვნილება“ — „ხმელი ფოთოლი“. ბურთმა უცნაური პარაბოლა მოხაზა ჰაერში და ზედ გარინჩას ფეხებთან დაეშვა საჯარიმო მოედნის კუთხეში. ბევრი-რამ მინახავს ფეხბურთში, ამგვარი კი არაფერი.

დიდის მთელი ეს „რეპუსი“ საუცხოოდ იცის გარინჩამ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრაზილიელთა შორის ჩილში ყველაზე სახიფათო და შედეგიანი მოთამაშე იყო მათი მარჯვენა გარემარბი.

თუ შვეიცარიაში ჩემპიონთა თავდასხმაში № 1 მოთამაშე იყო პელე, ახლა გამარჯვებები მოჰქონდა გარინჩას. ჩილის სტადიონებზე გარინჩას გამუდმებით დასდევდა პერსონალური დაცვა ორი კაცის შემადგენლობით. თუ შვეიცარიაში იგი იყო მხოლოდ ზრწყინვალე გარემარბი, ახლა მან ნამდვილი ორგანიზატორის როლი შეასრულა, გაცილებით გაიფართოვა სამოქმედო დიაპაზონი, ცენტრშიც გადავიდა და, რაც მთავარია, ისწავლა გოლების გატანა. გარინჩას თითქოს ფეხზე აქვს მიკრული ბურთი და ადგილიდან, პირველივე ნაბიჯიდან აკეთებს საშინელი სისწრაფის ბიძგს იქით, საითაც თითქოს გზა არაა... მცველი ამას სწორედ ყველაზე უფრო ნაკლებად ელის.

როგორც კი გარინჩა იწყებს მოძრაობას ფლანგზე, ცენტრში ადგილს ეძებს ვავა და იშვიათად ხდება, მან რომ თავისი მარჯვენა გარემარბის გადაცემას ვერ მიუსწროს და ტყუილად დაკარგოს იგი. მაგრამ შეიძლება ზოგმა იფიქროს, რომ ვავა არის მხოლოდ ინტუიციის მოთამაშე, რომელიც გუმანით გრძნობს გოლის მომწიფების დროსა და ადგილს. ეს ასე არაა. ვავა ნამდვილი ცენტრფორვარდია, მაღალი კლასის, კომბინაციური სტილის, ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელი.

რა თქმა უნდა, ბრაზილიელებს ჩილში პელე აკლდათ ისე, როგორც ნაპირზე ამოგდებულ თევზს — წყალში. მაგრამ პელეს როლი ზუსტად, „სიტყვა-სიტყვით“ შეასრულა მისმა დუბლიორმა ამარილდომ. იგი აკეთებდა ყველაფერს, რაც პელეს უნდა გაეკეთებინა და, უნდა ითქვას, არც ერთმა პარტნიორმა არ აგრძნობინა მას, რომ, რაც უნდა იყოს, იგი მხოლოდ ამარილდოა და არა პელე. ძნელ მატჩში ესპანელებთან ამარილდომ ბევრი გააკეთა თავისი გუნდისთვის, გოლიც გაიტანა და... იქვე იტირა.

სანახაობითი ეფექტით თავის პარტნიორებს რამდენადმე ჩამორჩება ზაგალო, მაგრამ ეს ისეთივე საჭირო მოთამაშეა თავდასხმაში, როგორ ზიტო ნახევარდაცვაში. იგი საუკეთესოდ ეხმარება თავის პარტნიორებს.

ასეთი იყო ბრაზილიის ნაკრები ჩილში. ჩვენ ბევრჯერ გვსმენია, რომ ამ ქვეყანაში ყოველ ადგილზე 4—5 ტოლფასოვანი ფეხბურთელი ჰყავთ. მაგრამ ხელმეორე ჩემპიონობა ჩილში მოიპოვა ძირითადად იმავე გუნდმა, რომელმაც შვეციაში გაიმარჯვა. ახლები იყვნენ მხოლოდ მაურო, ზოსიმო, ამარილდო. მწვრთნელებმა მიზნად დაისახეს პირველი ადგილის მოგება „ძველი გვარდიის“ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეს გამართლდა კიდეც. რასაკვირველია, ბრაზილიელთა გამარჯვებას არ ჰქონდა ისეთი ბრწყინვალება, რაც 1958 წელს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს გუნდი წინანდელზე ზუსტად 4 წლით ხნიერი იყო, მისი ცნობილი სისტემა უკვე აღარ წარმოადგენდა სიახლეს, ვინაიდან მსოფლიოში ახლა თითქმის ყველა თამაშობს ამ სისტემით, ბრაზილიელებს უკვე საკუთარი ხუთი თითივით იცნობენ და მათთვის გაცილებით ძნელია თავისუფლად თამაში. გარდა ამისა, მათ აკლდათ პელე. ამიტომ იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონი ამჯერად „დასჯერდა“ თავისი წოდების შენარჩუნებას და საამისოდ გამოიყენა მხოლოდ 12 ფეხბურთელი.

ფინალის მსაჯმა ნ. ლატიშევმა კარგად იცოდა, რომ ბურთის შენარჩუნება, რომელიც კანონით მას ეკუთვნოდა, ძნელი იქნებოდა. ამიტომ იგი წინასწარვე მოემზადა და გვითხრა:

— თამაშს დავამთავრებ ისე, რომ რაც შეიძლება ახლოს ვიყო ბურთთან. მე ვიცნობ ამ ბრაზილიელებს...

მან მართლაც ასე დაამთავრა თამაში. სწორედ მაშინ, როცა ამოიწურა 90 წუთი, რომელიღაც ბრაზილიელს ხელით უნდა შემოეგდო ბურთი მინდორში. ლატიშევი მივიდა მასთან, გამოართვა ბურთი და საფინალო სასტვენიც გაისმა.

სტადიონზე აუწერელი ამბავი ატყდა. ბრაზილიელები ეხვეოდნენ ერთმანეთს, ხარობდნენ, ხტოდნენ... მინდორზე პირველად გადმოხტა პელე და ეცა ამარილდოს, მას მოჰყვა ბრაზილიელთა მთელი დელეგაცია, ტრიბუნებიდან გადმოცვივდნენ გულშემატკივრები, ზაგალო გულწასული იწვა ბალახზე, ზოსიმო დაჩოქილი ლოცულობდა, ყველანი აუწერელი სიხარულით იყვნენ შეპყრო-

ბილი. მინდვრის შუაგულში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ანა-ფორაში გამოწყობილი ოთხი აღფრთოვანებული ღვთის მსახური რაღაც საოცარ ცეკვაში ხტოდა.

უცებ ამ ჯგუფიდან გიჟური სისწრაფით გამოიქცა თავგადაპარ-სული ზანგი, რომელსაც ორივე ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული ბურთი. ეს იყო ცნობილი მონადირე ფინალის ბურთებზე, ბრაზილიის გუნ-დის მასაჟისტი პ. ამერიგო. ლატიშევი არც გამოჰკიდებია მას, ვინაიდან ახლა ამერიგოს ალბათ თვით გარინჩაც კი ვერ დაეწეოდა. შემდეგ ამერიგო გასახდელში ეახლა ნ. ლატიშევს და მოკრძალებ-ული, უდანაშაულო კაცის გამომეტყველებით მიართვა ბურთი. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ის ბურთი არ იყო, რომლითაც ბრა-ზილიელებმა მოიგეს ფინალი. ეს იყო სრულიად ახალთახალი ბურ-თი ყველა ბრაზილიელი მოთამაშის ხელმოწერით. ყველაზე ბოლოს ხელი მოეწერა თვით ამერიგოსაც, ალბათ, ძვირფასი სახსოვრის ნიშნად.

რა შემიძლია ვთქვა ჩვენი გუნდის შესახებ, რომელმაც ჩილში გაიმეორა თავისი შვეიცის მაჩვენებელი — გავიდა მეოთხედფი-ნალში?

მთელი ჩვენი ყურადღება და გულისყური მიპყრობილი იყო არიკისკენ, სადაც თამაშობდნენ საბჭოთა ფეხბურთელები. ხარბად ვიჭერდით თვითეულ ცნობას, ამ შორეული ქალაქიდან, მაგრამ მე, სამწუხაროდ, არ მინახავს ჩვენი გუნდის არც ერთი მატჩი მსოფ-ლიო პირველობაზე. ამიტომ გადაჭრით და დარწმუნებით ვერაფერს მოგახსენებთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ გათამაშების დაწყებამდე საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავო-რიტად ითვლებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან ესოდენ დიდი წარმატებით მოიარა სამხრეთი ამერიკის ქვეყნები.

საბჭოთა გუნდის აქციები ძალზე მაღლა ფასობდა იუგოსლავ-იის ფეხბურთელებთან გამარჯვების შემდეგ. მაგრამ ეტყობა ამ მატჩმა უზომოდ დიდი ენერგია შთანთქა და ნერვულად გამოფიტა ჩვენი მოთამაშეები. ეს იყო ძალთა კოლოსალური ხარჯვა, რამაც მომდევნო მატჩშივე იჩინა თავი კოლუმბიის გუნდთან. რომ ეს დასწანანი 4 : 4 არა, მწვრთნელებს საშუალება ექნებოდათ დაესვე-ნებინათ გუნდის ძირითადი ძალა ურუგვაისთან შეხვედრაში, ვინა-იდან ამ მატჩის შედეგს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ

ექნებოდა ჩვენთვის. ნაცვლად ამისა, ურუგვაელებთან შეხვედრამ ფეხბურთელთა ახალი დაძაბულობა გამოიწვია, რაც ყოველთვის მძიმედ ეტყობა ხოლმე გუნდს.

ყოველი ტურის მეორე დღეს სანტ-იაგოს ყველა კინოთეატრში აჩვენებდნენ ოთხივე ქალაქში ჩატარებულ მატჩებს, ისე რომ, მე 24 საათის შემდეგ ეკრანზე ვნახულობდი ჩვენი-გუნდის თვითეულ თამაშს. ასე ვნახე ჩილის ნაკრებთან წაგებული თამაში, იაშინის მიერ გაშვებული ორი გოლი და მთელი მეორე ტაიმი, როცა ჩვენს ფეხბურთელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მისი რეალიზაცია ვერაფრით ვერ მოახერხეს.

ვფიქრობ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ ინდივიდუალური ტექნიკის ამაღლებაზე. მხოლოდ მაღალი ფიზიკური მომზადებისა და სისწრაფის იმედით თანამედროვე ფეხბურთში ძნელია ისეთი შეჯიბრების მოგება, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ფეხბურთის ძალა დღეს კარგადაა ცნობილი საერთაშორისო სარბიელზე. ამაზე ნათლად მეტყველებენ როგორც ნაკრების, ისე საკლუბო გუნდების მრავალრიცხოვანი გამარჯვებები, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია ისეთი კლასის შემსრულებლები, ე. ი. უმაღლესი კატეგორიის ფეხბურთელები, როგორებიც ჰყავს ბრაზილიას.

ჩვენს ფეხბურთელებს ძალზე კარგი ფიზიკური მომზადება აქვთ, მაგრამ ისინი უზომოდ ბევრ ლონესა და ენერგიას ხარჯავენ ყოველ თამაშში. არც ერთი ბრაზილიელი მოთამაშე არ ხარჯავს ამდენ ძალას მატჩის დროს თავისი დახვეწილი ტექნიკის წყალობით. იგი თამაშობს თავდადებულად, თავდაუზოგავად, მაგრამ რაციონალურად და მარაგში ყოველთვის საკმარისად აქვს ენერგია.

დაცვის პრობლემა ჩვენს ნაკრებში არ იყო სათანადოდ გადაწყვეტილი. გუნდში, რომელიც ხშირად თამაშობს სისტემით 1+4+2+4, არ იყო კარგად გადაჭრილი ორი ნახევარმცველის პრობლემა, მოუგვარებელი დარჩა თავდასხმის ურთიერთობა ნახევარდაცვასთან, არ ჩანდა საჭირო შეთანხმებულობა ფორვარდებს შორისაც...

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ბევრს ლაპარაკობენ მსოფლიო პირველობის ჩატარების სისტემის შეცვლაზე. ახლის

მომხრენი ხაზს უსვამენ, რომ ოლიმპიური სისტემა მეოთხედფინალში არაა გამართლებული და 8 გუნდმა პირველი ადგილი ერთმანეთს შორის უნდა გაითამაშოს წრიული წესით.

მიიღებს თუ არა ამ ცვლილებებს ფიფა, ვინ იცის. ყოველ შემთხვევაში, გათამაშება უნდა მოეწყოს ისე, რომ მსოფლიო პირველობის მატჩებს ესწრებოდეს არა 5—6 ათასი მაყურებელი, არამედ ათჯერ მეტი. ჩილის აუდიტორია აშკარად არასაკმარისი იყო 1962 წლის დიდი ფეხბურთისათვის.



ბუმერანგი ბასკეტბოლელი

მსოფლიო სარბიელზე გერმანულ ფეხბურთს დიდი სახელი არასოდეს არ ჰქონია, თუმცა თითქმის ყველა დიდ ჩემპიონატსა და ტურნირზე იყო წარმოდგენილი. და აი, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გფრ-ის ნაკრები გუნდის გამარჯვებამ ერთბაშად ასწია გერმანელ ფეხბურთელთა და მათი მწვრთნელის ზეპ ჰერბერგერის აქციები. მართალია, ყიოულ რიმეს თასის გათამაშებაში გამარჯვების შემდეგაც დასავლეთი გერმანიის ფეხბურთმა სასტიკი მარცხი განიცადა, კერძოდ, ბელგიის, სსრ კავშირის, იუგოსლავიის, შვეიცარიის, ირლანდიის ნაკრებებისგან. მაგრამ ბერნში გამარჯვების ფაქტმა, როდესაც გერმანელებმა ფინალში მოუგეს დიდების ზენიტში მყოფ უნგრელებს, აიძულა სპორტული სამყარო დიდი პატივით მოპყრობოდა უმაღლესი საფეხბურთო ტიტულის მატარებელთ.

გდრ-ის ფეხბურთელებთან ორჯერ მოგვიხდა შეხვედრა. 1954

წლის ივლისში თბილისს ეწვია ბერლინის „ფორვერტსი“ და წააგო ადგილობრივ „დინამოსთან“ — 1:4, ხოლო 1958 წელს ბერლინის „დინამო“ გვესტუმრა. ამ მატჩშიც ჩვენ გავიმარჯვეთ — 2:1.

გფრ-ის ფეხბურთელებთან კი შეხვედრა საერთოდ არ გვქონია. და აი, 1962 წლის ზაფხულში, როდესაც საბჭოთა ქვეყნის სტადიონებზე გაცხარებული კალენდარული თამაშები წარმოებდა, ჩვენს გუნდს მოუხდა დასავლეთ გერმანიაში გამგზავრება და იქაურ კლუბებთან შეჯიბრება.

მგზავრობა ძალზე მიმზიდველი გველოდა (უნდა გავცნობოდით ახალ საფეხბურთო სკოლას) და ამავე დროს უჩვეულოც. მისი უჩვეულობა განაპირობა ვადამ: გუნდის ხელმძღვანელთათვის მას პასუხი უნდა გაეცა მეტად რთულ კითხვაზე: სწორია თუ არა საკავშირო ჩემპიონატის უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩების წინ ახალი, მძიმე და პასუხსაგები ტვირთის მოკიდება? ხომ არ ჯობს დავასვენოთ მოთამაშეები?

ამ კითხვებს ახლავე მინდა ვუპასუხო. ყოველივე ეჭვი და შიში ამაო გამოდგა. გუნდმა მშვენივრად გამოიყენა ეს კარგი შესაძლებლობა და გარდა სამი მატჩისა, გამართა რამდენიმე საწვრთნელი მეცადინეობა საუკეთესო მინდვრებზე. ამავე დროს, მოთამაშეები ცოტა ხნით მაინც მოცილდნენ ჩემპიონატის დაძაბულ, ნერვულ ატმოსფეროს და საუცხოოდ გაერთნენ.

რაც შეეხება ახალ საფეხბურთო ქვეყანასთან გაცნობას, იგი „ყველაზე მაღალ დონეზე“ როდი წარმოებდა. თუმცა კლუბები, რომლებსაც შევხვდით, უძლიერესთა თანრიგს ეკუთვნიან, მათს რიგებში არ არიან ეროვნული ნაკრების წევრები. ამრიგად, სწორი არ იქნებოდა ნოინკირჰენში, ჰანოვერსა და კარლსრუეში ჩატარებული მატჩების შედეგების მიხედვით გაგვეკეთებინა საერთო დასკვნები დღევანდელ დასავლეთ გერმანულ ფეხბურთზე. ცხადია, ზოგიერთი განზოგადება მაინცაა შესაძლებელი...

ადრეც ვიცოდით, რომ გერმანელებს უყვართ ათლეტური, წესების ფარგლებში დაშვებული, „მკაცრი“ ფეხბურთი. ვიცოდით ისიც, რომ მასპინძლებს დაცვა უფრო ეხერხებათ, ვიდრე თავდასხმა. მაგრამ აი, მათთვის დამახასიათებელი მაღალი ტექტიკური დისციპლინა, მოქნილობა და სულ უახლესი, თანამედროვე სტილით თამაში, რასაკვირველია, უკანასკნელი წლების შენაძენი იყო. გან-

ლაგება 1+4+2+4 მიიღო ყველა წამყვანმა გუნდმა, ამასთან ბევრი მათგანი საკუთარი კარის წინ ე. წ. „მწმენდავის“ ყოლას ამჯობინებს.

...ჩვენი დელეგაციის შემადგენლობა ამჯერად ასე გამოიყურებოდა. ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სამსონაძე, გუნდის უფროსი ა. ღოღობერიძე, მწვრთნელები მ. იაკუშინი და ა. კოტრიკაძე, ექიმი ზ. თელია, მოთამაშეები ს. კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, მ. ხურცილავა, გ. ჩოხელი, ჯ. ზეინკლიშვილი, შ. იამანიძე, გ. სიჭინავა, ი. დათუნაშვილი, ვ. ბარქაია, ზ. კალოევი. მ. მესხი, ნ. ლეჟავა, დ. ხუნდაძე, ა. ხელაძე, თ. მელაშვილი.

...27 ივლისს ჩვენი გუნდი ჩემპიონატის მორიგ მატჩში შეხვდა ლენინგრადის „დინამოს“ და თუმცა წინასწარი ეტაპის კიდევ შვიდი შეხვედრა გვაქვს დარჩენილი, 16 აგვისტომდე თავისუფალი ვართ. აი, სწორედ ამ „ფანჯარაში“ იყო დაგეგმილი ჩვენი ტურნე დასავლეთ გერმანიაში. დრო სამი მატჩის გასამართავად არც თე ისე დიდია. და ამიტომ 2 აგვისტოს გათენებისას უკვე გავფრინდით ამსტერდამ-ბრიუსელის გავლით ფრანკფურტში, საიდანაც იმავე საღამოს ავტობუსით ჩავედით ჩვენი პირველი მატჩის ადგილზე — ქალაქ ნოინკირჰენში.

ნოინკირჰენი საარის ოლქის მეორე ქალაქია სიდიდით, ხოლო მისი გუნდი „ბორუსია“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1956 წლის ჩემპიონია და სამხრეთ-დასავლეთის ზონაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება. ზონა აქ შემთხვევით როდი ვახსენე: სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, პირველობა გფრ-ში ტარდება რთული, მრავალსაფეხურიანი სისტემით, რომლის-პირველ ეტაპს წარმოადგენს თამაშები ზონებში. ასეთი ზონა აქ ხუთია: ჩრდილოეთის, სამხრეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და ბერლინისა, ყველა ზონა 76 გუნდს აერთიანებს. ზონებში გათამაშების დამთავრების შემდეგ შეირჩევა 8 უძლიერესი გუნდი — ფინალისტი (ამასთან ზოგიერთნი დამატებითი თამაშების შედეგად), ეს 8 კოლექტივი იყოფა ორ ქვეჯგუფად, რომელთა ტურნირებში გამარჯვებულები გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ხვდებიან ერთმანეთს.

ნოინკირჰენში ადგილობრივ ფეხბურთის მოყვარულთათვის ღირსსახსოვარი თარიღის წინადღეს ჩავედით: ქალაქი ემზადებოდა

თავისი საუკეთესო კლუბის — „ბორუსიას“ პირველ ლიგაში მონაწილეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს გადასახდელად. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, საზეიმო საღამო იყო. ჩვენ მოგვესალმა კლუბის პრეზიდენტი ნორბერტი. საბჭოთა დელეგაციის სახელით გულთბილი საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ვ. სამსონაძემ, რომელმაც იუბილარებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ამ საინტერესო შეკრებილობაზე მოსვლამდე მოვასწარით წვრთნის ჩატარება. გაგვაოცა იმ ყურადღებამ, რომელიც ჩვენი წვრთნისადმი გამოიჩინა ადგილობრივმა ტელეკომპანიამ: ვარჯიში თავიდან ბოლომდე ფირზე გადაიღეს და საღამოს ტელემაყურებლებს უჩვენეს. სტუდიაში მიიპატიჟეს ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ვ. სამსონაძე, რომელმაც მოუთხრო ტელემაყურებლებს ქართული სპორტის განვითარებაზე.

მეორე დღეს კვლავ შევხვდით „ბორუსიის“ ფეხბურთელებს, ამჯერად „ელეფელდის“ სტადიონზე. წინა დღით ვარჯიშის დროს ჩვენს ბიჭებს ძალიან მოეწონათ „ელეფელდის“ მწვანე მინდორი და ისინი ლამაზი, ტექნიკური თამაშისთვის განეწყვნენ, მაგრამ წვიმამ ყველას გუნება გაუფუჭა. „მძიმე“ მოედანზე, რა თქმა უნდა, ძნელია მაღალტექნიკურ თამაშზე ფიქრი. ასეა თუ ისე, ბიჭებმა (ცოტრიკაძე, ზ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, მესხი) შეძლეს ინიციატივის მოპოვება. ლამაზი, მაღალტემპიანი თამაშით მათ ტრიბუნები არაერთხელ „აფეთქეს“ ტაშით. ერთხელ ბარქაიამ და ორჯერ კალოევმა ხელსაყრელ სიტუაციაში მიიღეს ბურთი მესხის „რეაქტიული“ გასვლების შემდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ, მომენტები ვერ გამოიყენეს და ჩვენი სათამაშო უპირატესობა ვერა და ვერ გადაიზარდა მატერიალურ უპირატესობაში.

ბოლოს, როგორც იქნა, ბარქაია — გ. სიჭინავას კომბინაცია დასრულდა უკანასკნელის მოულოდნელი დარტყმით 18—20 მეტრიდან კარის დაბალ კუთხეში და მეკარეს მოუხდა ბურთის ბადიდან გამოტანა. ეს მოხდა მე-19 წუთზე.

დიდხანს —მეორე ტაიმის შუამდე — თამაში მიმდინარეობდა თანაბრად, აშკარა საგოლე მომენტების გარეშე. მაგრამ შეძლეს თუ არა მასპინძლებმა ბურთის გაქვითვა (ეს მარჯვენა გარემარბმა მაუმ გააკეთა), თანამემამულეთა ყიჟინით გამხნევებულმა „ბორუ-

სიის“ ფენბურთელებმა, რომ იტყვიან, უმალვე „გვიჩვენეს კბილები“ — ათამაშდნენ ძალიან აგრესიულად. მათი იერიშები თხუთმეტ წუთამდე გრძელდებოდა, შემდეგ კი შეტევაზე ჩვენ გადავედით. უკანასკნელ წუთზე მესხს კვლავ გამოუვიდა თავისი საყვარელი გასვლა, რასაც შეუჩერებლივ მოჰყვა უძლიერესი დარტყმა... ძელში. ამრიგად, ჩვენი მეტოქეებისა და მაყურებლების სასიხარულოდ ანგარიში საყაიმოდ დარჩა.

ჩვენი გუნდის ყოველი გადაადგილება ამ ქვეყანაში ავტობუსებით ხდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ტრანსპორტის საუკეთესო სახეა (თუ კი კარგი გზებია), იგი საშუალებას იძლევა უკეთ გაეცნო ქვეყანას. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ბუნების სილამაზენი როდი გვხვდებოდა თვალწინ. ხშირად მათ წინ ეფარებოდა სულ სხვა სახის „პეიზაჟის დეტალები“, რომლებიც ასე დამახასიათებელია დღევანდელი დასავლეთი გერმანიისთვის. ბრმა უნდა იყო, რომ არ შეამჩნიო ჯარით, იარაღითა და სამხედრო საჭურვლით გაჭედილი ამერიკული „სტუდებეკერების“ ინტენსიური მოძრაობა, სამხედრო ნაწილების გაცხოველებული გადაადგილება, გზატკეცილის გადაღმა კი, ორივე მხარეს — აეროდრომები, სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო ბაზები... ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ვნახეთ, როდესაც ფრანკფურტის გავლით ნოინკირჰენიდან ჰანოვერს მივემგზავრებოდით.

ადგილობრივი გუნდი „ჰანოვერ—96“ არაერთხელ მოხვედრილა ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში, ხოლო ერთხელ — 1954 წელს — პირველი გუნდის ტიტულიც კი მოიპოვა. ჰანოვერელებს საერთაშორისო შეხვედრების დიდი გამოცდილება აქვთ, გუნდის საუკეთესო მოთამაშენი სხვადასხვა დროს გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში შედიოდნენ.

ხუთასკილომეტრიანი მოგზაურობა ავტობუსით ძალზე მომქანცველია და მისი ატანა ყველას როდი შეუძლია. ამიტომ გადაწყდა, რომ მაინის ფრანკფურტში რამდენიმე საათი დაგვესვენა, ქალაქი დაგვეთვალიერებინა და ცოტა მოვსულიერებულიყავით. შესანიშნავად გამოგვივიდა. საქმეზე მიმავალებმა, გზად გფრ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქიც დავათვალიერეთ და იმავე საღამოს ჰანოვერშიც ჩავედით.

როგორც აღვნიშნე, ადგილობრივ გუნდს ჰქვია „ჰანოვერ—96“.

ამ უცნაური სახელწოდების (რატომ 96?) გაშიფვრა მხოლოდ ადგილზე შევძელით. ყველაფერი ძალიან მარტივად გაირკვა: თურმე კლუბი 1896 წელს ჩამოუყალიბებიათ...

ისევე, როგორც ნოინკირპენში, მატჩს სჯიდა ადგილობრივი არბიტრი, ამჯერად საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი შულენბურგი. სჯიდა ძალზე კვალიფიციურად და ობიექტურად. თამაში ჩვენ: ისეთი იერიშებით დაიწყო, რომ უკვე მე-5 წუთზე ანგარიში სულ: ცოტა 2:0 უნდა ყოფილიყო. სამჯერ ბრწყინვალედ გავიდა თავის ფლანგზე მესხი (რომელიც კვლავ, ისევე როგორც „ბორუსიის" წინააღმდეგ, დინამოელთა ყველა შეტევის ლიდერი და თავდამსხმელთა შორის საუკეთესო იყო), მაგრამ კალოევმა და იამანიძემ ვერ გამოიყენეს მეტოქის კარის აღების რეალური შესაძლებლობანი.

ჰანოვერელები უფრო მეტს დაცვაზე ფიქრობენ და მხოლოდ რამდენჯერმე ჩნდებიან ჩვენი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს. ასეთ სიტუაციაში ნულოვანი ყაიმით შესვენებაზე წასვლა დიდი მიღწევაა მათთვის.

ის, რაც მატჩის პირველ წუთებში უნდა მომხდარიყო, მოხდა: მეორე ტაიმის დასაწყისში: მესხმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა თავის მცველთან ორთაბრძოლაში, ზუსტად გადააწოდა ბურთი ცენტრში კალოევს, რომელმაც თავისი ნაცადი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. ჰანოვერელებმა მწვავე საპასუხო შეტევა წამოიწყეს და მხოლოდ კოტრიკაძის მაღალმა ოსტატობამ გვიხსნა ზედიზედ ორი, მეტად ძნელი ბურთისგან.

62-ე წუთზე მასპინძლებმა კუთხური ჩამოაწოდეს. კოტრიკაძე გადაცემაზე გამოვიდა და მუშტით უკუაგდო ბურთი, მაგრამ არც თუ ისე კარგად: ბურთი საჯარიმო მოედანს არ გასცილებია, როცა მას ცენტრალური თავდამსხმელი ჰაიზერი დაეუფლა. უკანასკნელმა დაუყოვნებლივ დაარტყა კარში, რომელშიც კოტრიკაძემ ჩადგომა ვერ მოასწრო. 3 წუთის შემდეგ იმავე ჰაიზერმა მარჯვენა ფლანგზე დაწყებული კომბინაცია მეორე გოლით დააგვირგვინა. და აი, კვლავ აღმოვჩნდით მარცხის წინაშე, და ჩვენს წინ კვლავ სალი კლდესავით აღიმართა მეტოქეთა დაცვის მკსირებული კედელი. თამაშის დამთავრებამდე რაღაც ათიოდე წუთიღა რჩებოდა, როდესაც იამანიძე ჩვენს საჯარიმო მოედანთან დაეუფლა ბურთს, მასთან ერთად

მოახდინა ლრმა რეიდი მარცხენა ფრთაზე, მერე დროულად შეამჩნია კარისკენ გაჭრილი კალოევი და კარგად გადააწოდა მას. ზაურმა თავისი ძველი, მრავალნაცადი ხერხით — თავური დარტყმით მაღალ ნახტომში — გაქვითა ანგარიში.

ჰანოვერიდან გზა გვეჭირა კარლსრუესკენ, რომლის ამავე სახელწოდების გუნდი უდავოდ უძლიერესია სამხრეთ ზონაში და ერთ-ერთი საუკეთესო გფრ-ში. „კარლსრუეს“ ერთი მოთამაშე — გიუნტერ ჰერმანი გფრ-ის ნაკრების სახელს იცავდა ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში.

ამ ქალაქში ჩვენ საბჭოთა საქართველოდან ჩამოსული პირველი სპორტსმენები როდი ვართ: 7 წლის წინათ აქ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა სახელგანთქმულმა მოჭიდავემ გივი კარტოზიამ.

თუ პირველი ორი მატჩი უცვლელი შემადგენლობით ჩავატარეთ, კარლსრუეს სტადიონზე ასე „გამოვიყურებოდით“: ლექავა. ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, კალოევი, ბარქაია, მესხი. მეორე ტაიმში კალოევი შეცვალა ხუნდაძემ, ხოლო მესხი — მელაშვილმა.

მაღალი ტემპის ინიციატორები ამჯერად ჩვენ ვიყავით: გერმანელი ფეხბურთელები თუმცა სწრაფები არიან, მაგრამ ბრძოლას ამჯობინებენ მშვიდ გარემოში, აუჩქარებლად, ასე ვთქვათ, წინდახედულად.

ყოველი გუნდი ისწრაფვის თამაში ჩვეულ სტილში წარმართოს. ესაა მუდამ გუნდის კოზირი. და, პირიქით, როგორმე წაგართვას, ხელიდან გამოგგლიჯოს ეს კოზირი, — აი, ყოველი მეტოქის მიზანი და ამოცანა. სხვადასხვა სატემპო განწყობილების გუნდების ორთაბრძოლისას უფრო ხელსაყრელ პირობებში, ჩვეულებრივ. „ნელი“ გუნდი არის ხოლმე: ცხადია, სხვისი ტემპის „დაგდება“ უფრო იოლია, ვიდრე ქარიშხლისებური შეტევის წამოწყება და წარმართვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაღალი ტემპის შემოქმედი და „მწენებელი“ მეტოქის გზაზე „ბარიკადების“ აღმართვა ბევრად ადვილია, ვინემ სწრაფ თამაშში დახვეწილი, ფილიგრანული ხელოვნების ჩვენება. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვიფიქროთ,

თითქოს შენელებულ ტემპში თამაში მხოლოდ და მხოლოდ ნგრევაა. არავითარ შემთხვევაში! ეს არის აგრეთვე ბურთის ხანგრძლივად „დაჭერის“ ხელოვნების ფლობა, მისი დიდხანს კონტროლი, როგორც ამას აკეთებდნენ, ვთქვათ, კალათბურთელები. და მაინც, როდესაც სისწრაფის ნაკლებობას განიცდი, გსურს თუ არა გსურს, იძულებული ხარ შეიარაღდე ნელი, განზომილი თამაშით.

სწრაფი და მწვავე ფლანგური შეტევები, — აი, საუკეთესო იარაღი ასეთ შემთხვევებში. სწორედ ეს ნაცადი იარაღი გამოვიყენეთ, რადგან საამისოდ ცუდი შემსრულებლები როდი გვყავდა — მესხი და დათუნაშვილი. უფრო მეტად დატვირთული იყო მიხეილ მესხი, რომლის ნეიტრალიზება ვერა და ვერ მოახერხა მცველმა... მიუხედავად წინასწარი ინფორმაციებისა, რჩევა-დარიგებისა და ათასი გაფრთხილებისა.

შეხვედრის მთელმა პირველმა ნახევარმა პოზიციურ ბრძოლაში ჩაიარა დინამოელთა მცირეოდენი უპირატესობით, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა. მასპინძელთა მცველები კარგად ეხმარებოდნენ ერთმანეთს, ყოველთვის ასწრებდნენ სუსტი ადგილის „გადაკეტვას“ და მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილებას.

ანგარიში გაიხსნა 55-ე წუთზე. იამანიძე სწრაფად გაიჭრა მეტოქის კარისაკენ და კომბინაციაში ბარქაია „ჩაითრია“. ბარქაიას დარტყმა და... ბურთი ბადეში გაეხვია. ასე იქნა გამოყენებული კარის აღების პირველი შესაძლებლობა. შემდგომში ასეთი შესაძლებლობანი კიდევ რამდენჯერმე გამეორდა, მაგრამ ამჯერადაც თავი იჩინა ძველმა ავადმყოფობამ — არაზუსტმა დარტყმებმა.

ყველა უბედურებას შემდეგიც დაემატა: მატჩის ბოლო წუთში ხურცილავამ და ლეჟავამ შეცდომა დაუშვეს, რამაც გამარჯვება ხელიდან გამოგვაცალა: ძალიან მშვიდ და უსაფრთხო ვითარებაში ხურცილავამ რატომღაც გადაწყვიტა ბურთი უკან გადაეწოდებინა მეკარისთვის, რომელიც მოულოდნელად გამოდიოდა კარიდან. ლეჟავამ ალლო ვერ აუღო შექმნილ სიტუაციას, დააგვიანა რეაგირება და ვერ შეაჩერა კარისკენ გაგორებული, ძალიან ოილი ბურთი. ამრიგად, ეს თამაშიც ფრედ დამთავრდა.

სამი მატჩი, სამი ფრე, და სამივეში ჩვენი საგრძნობი უპირატესობა. რა გვეთქმოდა, შედეგი ძალზე არასახარბიელო გახლდათ. მთავარი მხოლოდ უპირატესობის მოპოვება კი არ არის, არამედ ამ უპირატესობის გამოყენება და შეხვედრის წარმატებით დაგვირგვინებაა. გუნდის კლასის შეფასებისას ეს თვისება დიდად მნიშვნელოვანია, სულაც გადამწყვეტი თუ არა... სამწუხაროა, რომ სწორედ ეს ვერ ვაჩვენეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე.



სარჩევი

ორიოდე სიტყვა ავტორზე
და მის წიგნზე 3
ავტორისაგან 6
„ამეადიეს“ სტადიონზე 8
ძნელ პირობებში 17
არმიელთა კოლექტივთან 27
ახალ პოლონეთში 37
ოლიმპიური დებიუტი 52
კვლავ რუმინეთში 64
საფრანგეთსა და შვეიცარიაში 77
ბულგარელ მეგობრებთან 96
ამომავალი მზის შესახვედრად 109
უარყოფითი ბალანსით 120
თოთხმეტი წლის შემდეგ 129
პრაღა, პლზენი, გოტვალდოვი 133
ტაშს გვიკრავს საფრანგეთი 138
ფეხბურთის სამშობლოში 154
ოკეანის მიღმა 171
უმაღლეს დონეზე 184
გამოუყენებელი შესაძლებლობანი 205

რედაქტორი ზ. კაკაბაძე
მხატვარი გ. იაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VII 1963 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16; ნაბეჭდი
თაბახი 13,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 12,75 + 16 ჩან.

შეკვ. № 664. ᲣᲔ 06471. ტირაჟი 15.000
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
№ 2: თბილისი, რუსთაველის გამზ., 42.

ფასი 95 კაპ.

Автандил Николаевич Гогоберидзе
«С мячом за тридевять земель»
Литературная запись Г. Акопова

(На грузинском языке)

Союз журналистов Грузии
Тбилиси — 1963

Типография № 2 Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, пр. Руставели, 42.